

ଅ ମ ର ଶ ଶ ଶ

ତପ୍ତିଗୁର୍ବିର ଶୁଣନ୍ତଳୀ

ପ୍ରକାଶିତ ଦେଖିଲୁ

№ IX

ସେପଟେମ୍ବର 1900

ପ୍ରକାଶିତ

ପ୍ରକାଶକ ପବ୍ଲିକେସନ୍ ଏବଂ ପ୍ରକାଶକ ପବ୍ଲିକେସନ୍ ଏବଂ ପ୍ରକାଶକ ପବ୍ଲିକେସନ୍

1900



183

Հ Յ Յ Յ Ո Յ Յ

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Октября 1900г.



გ რ ი ს ს რ ს ი

	83.
I—გიული.—მოთხრობა.—შ. არაგვის შირვალიძას.	1
II—ვიწოდის.—თხზ. გიორგესი.—გარემ. გერმანულიდან.— —ნისა (გავძელება)	43
III—ორ ზღვას შუა...—ლექსი.—განდეგილიძა	78
IV—ნუ მასში ნიმუშარს...—ლექსი.—მასივე	79
V—აული ისრაელისა.—ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია.— ანტ. ფურცელიძამისა (დასასრული).	81
VI—ლაპაზ ჩალს.—ლექსი გ. ა—სა	119
VII—** ლექსი, მისივე	120
VIII—სამეგრელოს აღმართი.—არქანჯელო ლამბერტისა.— (თარგმანი იტალიურით) (გავძელება)	1
IX—სიციონ იმერთა მეფის და მთავრის მამია გუ- რიელის სიზელი.	21
X—პარიზის მსოფლიო გამოცხვა და ჩივინი ჩვეუ- ნა.—თ. ს—სი	24
XI—ინგლისის კონსტიტუცია მე-XIX საუკუნეები	35

ქ რ თ ნ ი კ ა :

XII— გიმაური მიმოხილვა.— კეთილი ნიშნები სწავლა-განათლების საქმეში.— უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა გამრავლება.— სამრევლო სასწავლებელთა დარსება. — სავაჭრო და სამრეწველო სასწავლებლები.— საშუალო სწავლა-განათლების რეფორმა.— მისი მნიშვნელობა ჩვენთვის.— სადგომის გადასახადი.— მისი საზოგადო ხასიათი.— საქალაქო საარჩევანო უფლებანი.— ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.— ნაფიც მსაჯულთა საზოგადო სასამართლო და ნაფიც მსაჯულთა განსაკუთრებული სასამართლო.— მოსალოდნელ სასამართლო რეფორმის საზოგადო ხასიათი და მნიშვნელობა.— დადასტ

შემდეგ თავის მოჯამაგირეს მიჰმართა:—მიტრო, ხურჯინი ფარებში შემოიტანე!..

ოპანეზა, წელში ორად მოხრილი, შევიდა თუ არა, შედგა, წელში აიმართა და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო; მაგრამ პირველ წუთს ვერა გაარჩია-რა. თუმცა ნაცნობი იყო ეს ფარები, მაგრამ მაინც წინ ფეხის გადადგმა ვერ გაბედა, რადგანაც ეშინოდა, არას მიჰმეთქებოდა. ოპანეზამ რამდენჯერმე თვალები მოიფშვნიტა, კიდევ მიიხედ-მოიხედა და შემდეგ, როდესაც კერას-პირას ბოძზე მიყუდებულ კბილებ-გამოყრილ და სახე-დაღმენჯილ დედა-კაცს თვალი მოჰკრა, თვითონავ კბილები გამოყარა და მიუახლოედა:

— ააა, იყთარ, როგორა ჰპრძანდები!

— კარგადა, ჩემო ოპანეზა, შენ როგორ-ლა ხარ, შენის შეილებით!.—თავის მხრით მოიკითხა იყთარმა და ქანქურით ხელი ჩამოართვა.

— აქა მშეცდობა!—შემოჰყო თავი თუ არა კარებში, დაიძახა მიტრუამა, და ისიც ოპანეზასავით კარებში შედგა.

— აი, კერისკენ მოიტა ხურჯინი!—დაუძახა ოპანეზამ.

— დამაცა, თვალი გაუიტეხო, ვერასა ვხედავ! — უპასუხა მიტრუამ თვალების ფშვნეტით.

თვალების მოფშვნეტის შემდეგ კარგად გატენილა პატარა ხურჯინი კერის პირას დასდო მიტრუამ.

— აბა, შენ იცი, მიტრო, როგორც ყველაფერს რიგიანად გააკეთებ. ხომ გახსოვს, შარშან საღაც გვეღგა კარავი, იქვე დაღგი.—უთხრა ოპანეზამ მატრუას და ხურჯინს მიუჯდა.

თხუთმეტამდის დიდი თუ პატარა ოპანეზას გარს შემოეხვია. ყველას თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს, აგერ, ეს-ეს არის, უნდა ხელი სტაცონ და დაითრიონ ხურჯინიო. ალია კი გვერდით მოუჯდა ოპანეზას და ჩაყვითლებულს კბილებს არ ჰმალავდა.

ცეცხლი კი ოდნავ ბეუტავდა კერაზე და ღრჩოლავდა, რის გამოც ისეც ბნელი ფარები კვამლით იბურებოდა.

— იი, იეთარ, ეს შენთვის წამოვიღე! — დაიძახა ოპანეზამ, როდესაც ხურჯინიღან ქალალდში შეხვეული ნივთი ამოილო.

— ოო, ჩემო ოპანეზ! — მეტი არა უთქვამს-რა. იქავე ჩა-ცუცქდა და მაშინათვე გაშალა, და, წითელ ნიადაგიანი და თეთრ ფოთლიანი ჩითი რომ დაინახა, პირი სიამოვნებით ყუ-რებამდის გაეპო, და ისეც წერილი ჩაცვინული თვალები ბუ-დეში სულ დაემალნენ.

— ეს კიდევ ლეილას! — მეორე ნაჭერი მეორე დედაკაცს, ხანუმაზედ უფრო უმცროსს, გაუწოდა.

ლეილაც იეთარს მიუჯდა და კალთაში წითელი მითელი გადიშალა. იეთარმა და ლეილამ ერთმანერთის საჩუქრებს გა-ფაციცებით სინჯვა დაუწყეს. ამ დროს რვამდის წვრილ-ფეხო-ბა მოუსვენრად ადგილობრივ ტიტველა ფეხებს ათამაშებდა და ოპანეზას თითქმის კალთაში უვარდებოდა. მაგრამ ოპანეზა ხურ-ჯინის ამოლაგებას არა ჩქარობდა. ის, თითქოს მღვდელ-მოქ-მედობდესო, მძიმედ ალაგებდა ხურჯინიღან.

— შენი რძლები სადღა არიან, ალი!... იი, ეს ქოშები იმათ მოვყუტანე!...

— რა კაცი ხარ, ოპანეზ, რა კაცი!... რომ არავინ და-გვიწყებია! — მხარზე ხელის დარტყმით ჩამოართვა ქოშები და თავის ცოლებს გადააწოდა.

— სად არიან ქალები?! — თავის მხრივ დაეკითხა ცოლებს, როდესაც ქოშები მიაწოდა

— წყალზედ! — მოკლედ უპასუხეს იმათ და ქოშებს ქექვა დაუწყეს.

— ეს კიდევ შენს ფარის. ის სადღაა?! — ისევ მძიმედ წა-შობიძახა ოპანეზამ და მძიმეთვე გაუწოდა რაღაც ქალალდში გა-ხვეული.

— ოპანეზ! — მეტი ველარა თქვა-რა ალიამ. მთლად დადნა სიამოვნებით, რომ მისი უმცროსი, მისი საყვარელი ქალი ათი წლის ფარი არ დავიწყებია ოპანეზას...

— ლეილა, ფარი სად არის?! — ჩაეკითხა ფარის დედას ალია და საჩუქარი გადააწოდა.

— ძალუეებს გაცყვა წყალზედ!.. ალიაზედ არა ნაკლებ ნასიამოვნებმა ლეილამ უპასუხა და საჩქაროდ შემოაფუქვნა საჩუქარს ქაღალდი.

წერილ-ფეხობას უკვე იმედი გადაუწყდა. „ყველასთვის ამოილო საჩუქრები“, ფიქრობდა წერილ-ფეხობა: „და ჩვენთვის კი არაო ჩვენ არა მოვგიტანა-რაო“. მოცმუკუნე შიშველა ფეხები შეუდგათ, და მობრწყინავე თვალები მოელრუბლათ.

— აბა, ეხლა თქვენ მომიახლოვდით!.. უეცრივ სწორედ დროზედ მიჰმართა ოპანეზამ წერილ-ფეხობას, თორემ წერილ-ფეხობა სისოწარკვეთილებას მიეცემოდა, და ერთი ქაღალდის პარკი ხურჯინილან ამოაძრინა.

მოლრუბლული თვალები წერილ-ფეხობას ისევ მოეწმინდათ ოპანეზას ხმაზედ და ფეხები ისევ ისე აუთამაშდათ.

ოთხმოცამდის თითი მიეგება ოპანეზას, იმს თითქის კი-დევაც შეეშინდა; თავი უკან გადილო და ისე დაუწყო ფოჩიანი კამფეტების დარიგება.

— ოოო, ოოო! — ყიიროდნენ ბაეშვები, და ოპანეზა კი-დევ კამფეტებს უწყობდა ხელში.

როდესაც ქაღალდის პარკი დაცალიერდა, ბავშვებმა საჩქაროდ პირი იბრუნეს, ხტუნაობით ფარეხის ხშირ და დაბალ ბოძებში აირიცნენ და სიბნელის გამო აღარ მოჩანდნენ; მხოლოდ მათი ყიირინალა მოისმოდა, და აქა-იქა ბოძების შუადან მათი თვალები გამოასინათებდნენ.

— ოოო!.. — გაისმა ერთხმად ყველას ხმა და ფუნდრუკაობით ერთი-ერთმანეთს აღარ აცდიდნენ გარედ გავარდნას.

— ალლაპიმც გიშველის, რომ ე ბალლები გაახარე!.. — ალიამ ხელის გადახვევნით მიჰმართა ოპანეზას, როდესაც ბავშვები კისრის მტრევით გარედ გაცვიდნენ.

— ახლა შენც გაგახარო და ალი!.. თი, ეს კიდევ შენ! მოხსუცებული ხარ ჩა-შაქარი გევვარება, — უპასუხა ჰოანეზამ და ხურჯინილან ერთი პატარა შაქრის თავი ამოილო და გირვანქის მეოთხედი მცირე-ფასიანი ჩარკი...

— რანაირად გადაგიხადო მაღლობა, ოპანეზ!.. — აღტაცე-
შით წამოიძახა ალიამ და ლომბიერად მზერა დაუწყო.

II

იეთარი და ლეილა ქეთლის აღუღებას შეუდგნენ. ჩქარა
კერაზედ ცეცხლი გააჩაღეს. ამ დროს ოპანეზზა და ალია გა-
რედ გამოვიდნენ, რომ ენახათ მიტრუა და ალას შვილი ქერ-
ბალი როგორ საქმიანობდნენ.

ალიას ბინა ცოტა ბეჭობზედ იყო მოთავსებული. თით-
ქმის მთლიად ყარაის მანდორი მოჩანდა; თუ კი ვასმეს თვალი
კარგად უჭრიდა, ალიას ბინიდან ცველაფერს დაინახავდა. ოპა-
ნეზა გამოვიდა თუარა, თავის და უნებურად გაშტერდა, და
არე-მარემ თვალი მოსტაცა. მთლიად ეს ტრიალი მინდორი,
ქევეით კიდევ მტკვრის პირას ტყით შემოსილი იდგილი მწვანე
ხავერდის სუფრად ქცეულიყო, რომელსაც უთვალავი ცხვარი
შექვეოდა. აქ-იქ, თითქმის ცველან, თითქოს თეთრი ძაფით
ძმოუქარგავთ მწვანე სუფრაზედო, ისე მოჰვენოდა ცხვარი.
შორს, სულ შორს — ქევეით გადახრილ მზის სხივებზედ მოელ-
ვარებდა და მობჭყვინავდა ჯაანგირი.*)

— ეხლა რა ლამაზია ყარაია, ალი! — სულ უნებურად წა-
მოიძახა ოპანეზზამ.

— ეხლაა კარგია ყარაია. პპრილის თხუთმეტამდის, ან გასუ-
ლამდის. მერე კი წყეულია. — უპასუხა ალიამ, მიტრუასთან და
ქერბალიასთან მიიღიდა, რომლებმაც კარავი უკვე დადგეს და
ახლა ურმიდან კოდებს და ქვაბებს გაღმოლება დაუწყეს.

— ქერბალი, შენ წადი წყალზედ. ქალებმა რაღაც დაი-
გვიანეს. ხომ არა შეემთხვეთ-რა. ამის გაღმოლაგებას მეც ვუშ-
ველი. — ცოტა არეულის სახით უთხრა შვილს და კოდი კა-
რავთან მიათრია.

*) ჯაანგირი — ტბაა ყარაიაზში.



— გიულიც იქაა?! — შუბლ შეჭმუხვნით დაეკითხა ქერ-
ბალაი მამას.

— იქაა!..

— მაშ შენ წალი!..

ალია ამ პასუხით გამშრალი გამოტრიალდა ოპანეზასკენ, რემელიც ამ დროს მთებისკენ, საიდანაც ოდნავ ჯვარი მოჩან-
და, მიბრუნებულიყო და პირჯვარს იწერდა.

— ოპანეზ,— მხარზე ხელის დადებით ნაღელიანად მიჰმარ-
თა ალიამ, როდესაც მიუახლოვდა ოპანეზას: — ხომ არ გამოივ-
ლი იქით?! მიტრო და ქერბალაი თავად მოაწყობენ. შენი აქ
ყოფნა მეტიო.

— ვა, ალი, რატომ არ გამოვივლა! მაგრამ ჩქარა მოსა-
დამოვდება. აგერ მზე რამდენად გადახრილა!.. სანამ იქ მივალთ,
თუმცა ძალიან მინდა იმის დათვალიერება და თაყვანისცემა,
მაგრამ ვერ მოვასწრობთ!

— ეევ, რა დროს თაყვანისცემაა?!... მე ხომ თქვენ სალო-
ცაეისაკენ არ გიწვევ. — წარბების აწევით წამოიძახა ალიამ და
წვერებზე ხელი ჩამოისვა.

— ეს რამდენი წელიწადია აქ მოვდივარ და ჯერ ერთ-
ხელაც არ მილოცნია და არ მინახავს ნათლი-მცემლის საბერო! ვენაც უკალე
ვიმის მადლს, სულ ერთბაშად გადაეუხდი... დავით
გარეჯის საბეროც არის. აგერ, ჯაანგარის ტბის პირდაპირ...
ოჳ, როდის მოვილოცავ იმას!

— როცა გინდა, მაშინ მოილოცე. ეხლა მე იმათ მოსა-
ლოცავად არ ვიწვევ!

— იცი, ალი, ეგ ხომ ქართველმბის საბეროა, იმათი წმინ-
დანების აშენებულია, მაგრამ მე მაინც...

— ქრისტიანები ყველა ერთი სისხლისა მგონიხართ! ეგ მე
არ ვიცი. როცა გინდა ილოცე და როცა გინდა ილანძლე.
ეხლა კი, აი წყაროსკენ გაეიაროთ!

— წყაროსკენ?!

— ჰო!..

— წავიდეთ!.. შეგონა, საბეროსკენ მეუბნებოდი. ვენაცვა-
ლე იმათ მადლს, როდისმე უჩქველად მოვილოცავ!...

III

— ქოფაკი! — წამოიძახა ქერბალაიმ, როდესაც მამა, ალია,
მკვახის სიტყვით გააბრუნა და კოდს სწორება დაუწყო.

— ქერბალაი, — რატომ იგრე ურიგოდ იხსენიებ მამა-
შენს? — დაეკითხა მიტრო ქერბალაის და ურმის ჭავლს მოჰკი-
და ხელი.

— ურიგოდ მოხსენება კი არა, დახრჩობაც ცოტაა! — უპა-
სუხა ქერბალაიმ და კოდზე მისვენებით მიტრუს თვალებში
მზერა დაუწყო.

— რა ვიცი, ქერბალაი, მე რომ მამა მყენდეს ყველა-
ფერს ეაპატიებდი! ეს ოხერი, არც დედა და არც მამა არ
მახსოვეს, და ისე კი მგონია, რომ მშობლებს ყველაფერს მივუ-
ტევებდი და მაგრე ურიგოდ არ მოვიხსენიებდი.

— მშობლები რომ არ გახსოვს, მაგრე იმისთვის ამბობ.
მამა-შენს ის რომ ჩაედინა, რაც მამა-ჩემმა, მაშინ, განა არ გი-
ცნობ, შეილოსა, ცოცხალს შესჭამდი.

— ისეთი რა ჩაიდინა, რომ მაგრე ამბობდეს?

— ჰო და... ჯერ ვაიგე და მერე ისე გამატებულენ!

— მაინც ისეთი რა ჩაიდინა!? რაღა რა ჩაიდინა, — დაიწყო
ქერბალაიმ და აქეთ იქით მიიხედა, გასაკეთებელი ხომ ალარა და-
გერჩა-რაო, და ყველაფერი რომ რიგზედ დაინახა, განაგრძო:
ხომ გახსოვს, შარშან ზამთარს ჩვენ გვერდით, აგრე იქ, რომ
ბინა ეჭირა, ველი-ბაირამ-ქუჩუკ-ოლლის? ჰო, და შარშან ეშმა-
კად აქ ჩამოვიდა ჯალაბობით. წინად ერთხელაც არა ყოფილა
აქ. იქმნება ალარც კი როდისმე მოვიდეს აქ. არ ვიცი, შარშან
რამ მოათესლო აქ?! ნეტავი, ფეხი გაპემობოდა და შარშანაც
არ მოსულიყო!..

— უი, უი, ბედშავო, რად ამბობ მაგას?! ნეტავი, წლეუ-
ლაც მოსულიყო!.. ისეთი ლამაზი...

— მიტრო, — უეცრივ შეაწყვეტინა სიტყვა ქერბალაიმ: იმისი ქალი შენ ძალიან მოგწონდა, განა?!.. ეხლა გაგონდება რამდენჯერ გითქვამს ჩემთვის: „ახ, რა კარგი რამ არისო!..“ რამდენს ემასხარავებოდი ჩემთან და ეუბნებოდი: „მოგიტაცებ და ცხრა მთას იქით წაგიყვანო!..“

— მართალს ამბობ!.. — უპასუხა მიტრუამ, და ქერბალაის აღელვებამ იგი ძალიან შეაშეოთა.

— შენ კიდევაც მითხარი, განა, დამეხმარე, იქმნება, როგორმე მოვიტაცოვო?!

— მართალია, მართალი!..

— მართალია და... იცოდე, ეხლა ის ქალი ჩემი დედინაცეალია!.. — შუბლ შეკმუხვნით და მკაფიოდ წამოიძახა ქერბალაიმ.

— როგორ?!. — მეტი ვერა მოახერხარა მიტრუამ და სწრაფად ქერბალაის ერთის გადახტომით ხელი დაუტირა.

— როგორ და ისე, რომ დედაჩემი მოკედა. ერთი თვის შემდეგ მამაჩემა ის ქალი მოიყვანა...»

— უი, საწყალი!.. რა დაეხართა?!. დედასავით მიყვარდა დედაშენი. ნეტავი, არ გეთქვა! რა კარგი ადამიანი იყო!.. — გულწრფელი მწუხარება გამოიხატა იმის სახეზე.

ქერბალაის გული აუჩიუყდა მიტრუას მწუხარებაზე და თვალებზე ცრემლი მოადგა.

— საწყალი ხაჯა!.. თვალწინ მიდგა იმისი კეთილი სახე; იმისი ტკბილი ხმა მეყურება; „შეილო მიტრო“, თითქოს ისევ ტკბილად მეძახოდეს: „მოდი, პური მოგშიოდა, ჭამეო!“

ქერბალაიმ თვალები მოიწმინდა. თავი შეარხია და დაიწყო: „ჰო დედა-ჩემი ძალიან უყვარდი. კეთილი ადამიანი იყო. ხშირად უთქვამს: „ნეტავ, მიტრო ქართველი არ იყოსო, ან მუსლემანი იყოსო, რომ ჩემი სალბი ჩემი ხელითვე მივუყვანო და ცოლად დავუსვაო. მიტროს მე სასყიდელს არ გამოგართმევდიო“...

— დედა-ჩემი ძალიან მიყვარდა... ისე არავინ მყვარებია ჯერ. ჩემი სონაც არ მიყვარს ისე. ხომ სონას მეტი ჯერ აღა-

გაუღი

რა მომცემია-რა და მომეცემა თუ არა, ეგ ალლაჲმა უწყის. ის სონა რომ მომკვდომოდა, ის მერჩიენა, ოლონდ დედა-ჩემს ეცოცხლა.

— საწყალი ხაჯა, საწყალი! — მწუხარებით გაიძახოდა მიტრო, და თითქოს გიული სულ გადაავიწყდაო, აღარ უხსენებია.

— მიტრო, — რამოდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ ლმობიერად მიუბრუნდა ქერბალაი: — დედა-ჩემს ძალიან უყვარდი. აი, ეს მესა-მე წელიწადია აქ მოდიხარ და მეც შენი ცული არა გამიგონია-რა. მხოლოდ შენი სიკეთე და სივაუკაცე მოუსმენია ჩემ ყურებს. წინად, როცა დედა-ჩემი ცოცხალი იყო, შენი სივაუკაცე და სიკეთის გაგონება მწყინდა, მშურდა და... ეჭ, ჩემო მიტრო, რა დაგიმალო, კიდევაც ვცდილობდი შენს დალუპვას. მინდოდა შენი აქედან გაძევება და ოპანეზასათვისაც რამდენჯერმე შენ-ზე ცული მითქვაშის...

— ქერბალაი, — სიტყვა გააწყეეტინა მიტრუამ და პირდაპირ თვალებში ცეკვა დაუწყო: — მე კი ძმისავით მიყეარდი და ისე გენდობოდი, როგორც ჩემ თავს...

— მე კარგად ვიცი, მიტრო, კარგად და ეხლა იმისთვის ვწუხვარ, რომ რად მომდიოდა ეგ! შენმა დედი-ჩემის უბედუ-რების გაგონებაზე წუხილმა თვალები ამინილა. მამა-ჩემს, მამი ჩემის პირველ და მესამე ცოლებს, ისმაილს და ალავერდის — ჩემ ძმებს — ისე არ უწუხნიათ, როგორც ეხლა შენ შესწუხდი... შენმა შეწუხებამ გამაშავა და, მეგობარო, უარესად ნულარ გა-მაშავებ!.. დამნაშავე ვარ შენთან!..

— ქერბალაი, რატომ მაგეებს მეუბნები?! მარტო იმის-თვის გითხარი, რომ შენზე ეჭვიც არ შემომიტანია, გეჯავრე-ბოდი თუ არა; და ეხლაც არ მჯერა.

— ვიცი, ვიცი, მიტრო, და დლეის შემდეგ შენ თავს ისე ნუ ენდობი, როგორც მე მენდო...

— დლეის შემდეგ კი არა, გიმეორებ, ყოველთვის მაგრე ვიყავი.

— მაშ მოიტა ხელი და დედი-ჩემის სული იყოს ჩვენი შოწამე ჩვენი ძმებად გაფიცვისა! — აღვზნებით წამოიძახა ქერბალიმ და მაგრად მოხვია ხელი მიტრუას...

— მამა-შენი საით წასულა?. ოპანეზა სადღაა?!.. — დაუძახა იქთარმა ქერბალის, რომელიც ამ დროს ფარეხიდან გარედ გამოვიდა ჩიზე მისაწვევად.

— გიულის მოსაყვანიდ წავიდა!.. — მკვანედ მიაძახა ქერბალიმ.

გიულის ხსენებაზე მიტროს გული აუტოკდა, ფერი ეცვალა და სხეული შეუტრთა. იქთარს კი ტუჩები გაეპო და მსხვილი კბილები გარედ გამოუცვივდა.

— უი, არ იყოს იმისი თავი, არა!.. სამოცდა თექვსმეტის წლის კაცია და ჩვიდმეტი წლის გოვოს ცოლად ირთავს!.. ნეტავი თავი ჰქონდეს მაინც რისამე! — ზიზღით წამოიძახა იქთარმა და წყაროსკენ მიიხედა...

— მგონი, ჩვენზე კბილებს ილესაეს, რომ გიული წყალზე გავგზაენეთ!.. — ცოტა სიჩუმის შემდეგ იქთარი მიუბრუნდა ქერბალის და მიტროს.

— გიული ქალბატონად გაგიხადათ მამა-ჩემშა.

— ქალბატონად კი არა, დედოფლად უნდა მამა-შენს.

ქერბალაი ამ სიტყვებზე მოიჭმუხნა, თავი ძირს დახარა და მარჯვენა ფეხის ქალმის ჭვინტით მიწას თხრა დაუწყო.

მიტრუა ხომ გიულის ხსენებაზე ტანის თახთახით, თითქოს იმათ ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევსო, გულ-აღმა გადაწვა კონკილა გამოცლილ ურემში.

— იცი, იქთარ, მიტრუას არა სცოდნია დედი-ჩემის სიკვდილი და სალბის გათხოვება!..

— საწყალი ხაჯი, ოცი დღის შემდეგ გარდაიცვალა სალბის გათხოვების შემდეგ! — დაიწყო წუწუნი იქთარმა და იქვე ფარეხის დერეფნის ბოძთან ჩაჯდა!..

მიტრუაც ურმის ზეწარს გაღმოეყრდო და იქთარის წუწუნს ყური დაუგდო.

— განა ოპანეზას ორ უთქვემს შენოვის, მიტრო, ხაჯის უბედურება?!

— Ե՞րա!..

მიტრუას გული ისევ აუტოკდა, გამითრდა, და ტანი შეუნესტდა. ფეხზე რომ მდგარიყო, დაეცემოდა, ისე მოუდუნდა სხეული...

IV

ალია და ოპანეზა ერთმანეთს შხარ და შხარ ამოუღვნენ
და ხმის ამოუღვბლივ წყაროსკენ გაემგზავრნენ. ორივე თავ-
თავიანთ ფიქრებში იყვნენ გართულნი. ოპანეზა ჰეთიქობდა:
ეს ცხვარი რომ სულ ჩემი იყოს, მაშინ ჰნახავდა ქალაქი თა-
ვის დღეს. ოჭ, ამ სააღვიშოდ ბატყანს და ყველს რამდენს
ამოგაღებინებდი!.. მაგრამ, აგერ, ჩემი ერთი კარავი მოჩანს და
სხვისა კიდევ ათასი. ყველანი მოსულან ყველის საკეთებლად.
სხვებმა კიდევაც დამასწრეს!.. ეჭ, ჩემ ძმას რა ვუთხრა, რომ
ამდენხანს დამაგვიანა. ვინ იცის, აქნობამდის რამდენ ყველს გა-
ვაკეთებდი“...—ჰეთიქობდა ოპანეზა და ალიას არც კი ამჩნევ-
და, რომელიც აგრევე ფიქრებში იყო გართული, მაგრამ
სულ სხვა გვარ ფიქრებში: იმას თვალშინ ეხატებოდა
გიული, და თავბრუ ესხმოდა. ძალიერი უკანა სდევდა
ალია გიულის. უნდოდა, დღე და ღამ სახლში ჩაეკეტნა, სახ-
ლიდან გარედ არ გაეშეა, კლიტე დაელო, როდესაც თეითოო
სხვაგან წავიდოდა სადმე. ასეც აპირობდა, მაგრამ სახლში ყვე-
ლანი ეწინააღმდეგნენ; ყველამ მგლის თვალით დაუწყო ცქე-
რა, და ისეთ-ისეთ სიტყვებს აგონებდნენ, რომ გულსა და მუ-
ცელს უმღვრევდნენ. რა ექმნა ალიას, ისე როგორ მოეხერხე-
ბინა, რომ მუდამ თვალ-ყური ედევნებინა გიულისთვის, რომ
ის მარტოკა არსად გაეშოთ?!. ჰეთიქობდა დღე-მუდამ ამაზე



ალია, მაგრამ ვერა მოაგვანებინა-რა. თითქმის ყოველთვის ამის წინააღმდეგი მოსდიოდა. იმის წინ, თუ უკან მისი ჯალაბობა ყოველთვის ჰგზავნიდნენ ხან სადა და ხან სად არა. რამდენ-ჯერ წინააღმდეგობა გამოაცხადა ალიამ, რამდენჯერ დაუტია იეთარს და ლეილას: „ნურსადა ჰგზავნიო!.. მაგრამ დატევაზე უარესი მოახდინეს. „ჩვენ ქალბატონი არავინ გვინდაო!.. ყო-ველთვის მკვახედ მიახლიდნენ ხოლმე პირში. ორივე ცოლებს დააღრჩობდა, მაგრამ... ოხ, იეთარს პირველად დააღრჩობდა... „ის, ის მელობება ყოველთვის წინ!..“ — გაიფიქრა მწარედ ალი-ამ: — „იმან გადამირია შეილები!..“

„ლამის არის შეილებმა წამახრჩონ. ოხ, იეთარ, იეთარ!.. — კბილების კრაჭუნით უსიტყვოდ წამოიძახა ალიამ და შებ-ლი მაგრად მოიჭყლიტა: „რაღა მაშინ მოგაგონდება ხოლმე, შე ქოფაკო, ოცდა ათი ძროხა და ხუთასი ცხვარი, როდესაც ჩემი შეილები ერთადა დგანან: „ეხ, ჩვენი ოცდა ათი ძროხა და ხუთასი ცხვარი, რომელიც ემ გომბიოში მისუა მამა-თქვენ-შა, ეხლა რომ გვყვანდეს, ჩვენ ბედს ძალლი არ დაჰყეფდაო!.. იეთარის ამ სიტყვებმა ეხლაც გაუელვეს თავში, მკაფიოდ მო-ესმა მისი ღვარძლიანი ხმა, და გული ბრაზით აევსო. ამ წუთას იეთარი რომ წინ შეჰვეუთებოდა, ხელი არც კი აუკან კალდებო-და, ისე წააღრჩობდა. კიდევაც თვალებ-გაბრწყინებული მიი-ხედ-მოიხედა, ეგონა, იეთარი აქ მოგვდევს, და იმისთვის მო-მესმა ასე მკაფიოდ მისი ხმაო, მაგრამ თავის გვერდით ოჟანე-ზას მეტი ვერავინ დაინახა, რომელიც რაღასაც თავისთვის ბუ-ტბუტებდა, და გამოირკვა...“

„მართლა, — ჩაილაპარაკა თაეისთვის ალიამ: — ძვირად და-მიჯდა გიული!.. ოცდა ათი ძროხა და ხუთასი ცხვარი, მეონი, პერებსაც არ მიუციათ ქალში. მე კი... ოო, ქუჩუკ-ოლლი ეშ-მაკი კაცია!.. შემატყო, რომ გიულის იქით გზა არსით მეონდა და ამისთვის ფეხი დააჭირა. ძალიან ბევრი მივეცი. შეილები გავლვარცლე. მაგრამ“...

რამდენიმე წუთით მოსაზრება შეუწყდა. საზრის მაგივ-რად თვალწინ გამოეჭიმა გიული თავისი ცეცხლის მფრქვევე-

ლი თვალებით, რომელიც დრო-გამოშეებით იბინდებოდნენ მეტის-მეტი ვნებით, თავისი საროს ტანით ჯერ შემოსილი, მე-რე კი შიშველი, მისი მთრთოლვარე კუნთები, მკერდი, რო-მელზედაც ოდნავ, საშინლად ნაზად ხელს უსვამდა!.. ოს, რა, ნეტარება, სიამოვნება იყრძნო ალიამ!.. მის გვერდით წევს გიული, ვერხეის ფოთოლიეთ თრთის ყოველ მის ხელის მიკარებაზე. ალია?!.. ალია მხოლოდ ამით სიამოვნებს, მოლად დნება!.. მე-ტი არა უნდა რა და მოდუნებულს მეტიც არა შეუძლიან-რა!... ძალა აღარ შესწევს!.. რა ბედნიერია ამ დროს ალია!.. ამ ბე-დნიერებისთვის:

— მთლად ჩემ სიცოცხლეს შევსწირავ!.. — ხმა მაღლიე წა-მოიძახა ალიამ და ხელი მაგრად გაიქნია, რომელიც ოპანეზას შიგ ცხვირში მოჰვედა...

— ვააი!.. — ერთი ისეთი დაიღრიალა ოპანეზამ და იქავე ჩაიკეცა, რომ ალიას გული გაჟესკდა.

— ოპანეზ, ოპანეზ!... — გულ გახეთქილი ალია დასტრია-ლებდა ოპანეზას...

— ნუ მამკლავ, შენი ჭირიმე!.. — გონება მიხდილი ოპანე-ზა ევედრებოდა ალიას, და თან ცვირიდან ორტოტად სისხ-ლი თქრიალით ჩამოსდიოდა.

— ოპანეზ, დაშვიდდი, შენი მოკვლა არაეის უნდა. უცა-ბედად მომიხვდა ხელი!..

— ოქ, ალი!.. — ცოტათი გონს მოსულმა ოპანეზამ წამო-იძახა: — რა საძაგელი ხელი გქონია!.. ტყვიასავით მომხვდა.

— მეც არ ვიცი, როგორ მომიხვდა ხელი! ადე, წყაროს-თან მოიბანე. ექვე ბექობს იქიდან არის!

— ჩემთვის ჩათიქრებული მოვდიოდი. უეცრივ ისე მწვავედ მომხვდა, რომ გონება დამეკარგა!.. — თავ-წინ წახრილი ჩაცუ-ცქული იჯდა ოპანეზა და წყაროზედ წასვლას სრულებით აღარ ფიქრობდა.

შემოესმათ ამ დროს ხმაურობა. ალიამ მიიხედა და ქალები, დაინახა, რომელთაც ბექობის იქითა მხარედან თავები ამო-

ჰყვეს და ზურგზე თოკებით დაშარტული სპილენძის თულუხების *) თაეგებიც ამოაჩინეს.

— აი, აი, ჩემარა წამოდით! — ხელის ქნევით დაუწყო ყვირილი ალიამ.

მამის ხმის გაგონებაზე ჭარი სრიალით გამოქანდა და თან თხის ლიტრას წყალით სავსეს მოარბენინებდა. სხვა ქალებმაც ფეხი ააჩქარეს.

ოპანეზას შესწყდა სისხლი. ერთი ლიტრა შეალი მოახმარა ალიამ. ქალებიც მოვიდნენ თულუხებით და მათ ოპანეზა ახალუხის კალთებიდან გამოკლეჯილ ბამბით ცხვირის ნესტოებ გამოტენილი, რაც ისეც უშნო ცხვირს უფრო აუშნოებდა, ელაპარაკება, ლრეკით ელაზღანდარავება. ყველანი მოიკითხა, ფარის მაღლობა გადაუხდა და გიული, რომელიც ყველაზე განაპირებით იდგა დაღონებული, რომ დაინახა, ალიას რძლებს დაეკითხა: „ეს ვიღააო“?!

— ეგ ჩენი დედამთილია!.. — ცოტა არ იყოს შხამიანი ღმისილით უპასუხეს ოპანეზას.

— როგორ? — გაკვირვებით დაეკითხა ოპანეზა.

— როგორ და ჩენი მამისთილის ცოლია!.. — იმავე ღმისილით უპასუხეს ქალებმა.

ოპანეზა გაკვირვებით ხან ალიას შექხდავდა და ხან კი-დევ გიულის. ფერ-მიხდილი გიული რძლების დაცინვაზე მიწაში ჩაგარდნას ნატრაბდა. ალიამ კი თვალები გადუბრიალა ქალებს და უსიტყვო კითხვის პასუხი მიჰსცა ოპანეზას: „გიული ჩემი ცოლია“!..

ოპანეზამ თავი გაასავსავა, ხუთი თითით პირჯვარი გადიწერა და თითქოს არავის უცქერისო, წამოიძახა: „დაილოცოს ალლახი, რომ შენისთანა მოხუცს ემაგისთანა მარიხ-ვარსკვლავზე ულამაზესს ნორჩ ქალს აკუთნებს ხოლმე! ..“

ოპანეზას მოძრაობა და კილო ისე ოხუნჯური იყო, რომ ქალებს ძალა-უნებურად ფრუტუნი აუტყდათ. გიულისაც კი,

*) კოკის მსგავსი სპილენძის ჭურჭელია. მთიულეთშიაც ხმარობენ ამ ჭურჭელს.

თუმცა ის, რაც ალიას ცოლად მიჰსცეს, გულ-ჩათხრობილი იყო, მკერივი ტუჩები გაებო და ნაღვლიანი ლიმი გაუთამაშდა. ალია კი მოიღრუბლა ოპანეზას სიტკვებზე.

ოპანეზას კილო გულს ლახვრად მოხვდა და სასტიკად ქალებს უბრძანა: „მგონი დროა სახლში წასვლისა; გეყოფათ ლაზლანდარობა!“

ოპანეზა მიჰსცედა თავის შეცდომას. ოპანეზამ ქალების სასიამოვნოდ იოხუნჯა და უმთავრესი კი დავიწყდა.

ქალები მაშინვე ტუსტუსით წავიდნენ ბინისკენ. ოპანეზა და ალიაც მათ უკან დაედევნენ. ოპანეზამ მოასწრო ბინაში მისვლამდის ალიას გულის მოვება და ისევ ისე მეგობრები მივიღნენ ბინაში, როგორი მეგობრებიც იქიდან წამოეიღნენ...

IV

იეთარმა ჩამოურიგა კერის გარს შემომსხდართ ჩაით სავსე ჭიქები და კვნიწებად დამტვრეული შაქარი. ზოგმა მათგანმა რამდენიმე კვნიწი შიგ ჩაყარა, ზოგმა კიდევ თითო კვნიწი პირში ჩაიგდო, ცხელი ჭიქა თითოს წვერებზე დაიყენეს და, ოდნავ წახსრილი, ხვრეპა დაუწყეს. ვინც დაიშაქრა, რამოდენისამე წამის შემდეგ იმათ ევრევე შეიყენეს ჭიქები და ისევ ისე ხვრეპა დაიწყეს. დამშაქრავებო ცოტათი დაუგვინდათ, რადგანაც ერთი კალის კოეზი იყო და ამისთვის ელოდნენ ერთი-მეორეს მორევას. ჯერ ოპანეზამ მოურია, მერე ალიამ, ამის შემდეგ იეთარმა, ლეილამ და ბოლოს ალიას უფროსმა რძალმა — ქუქაზბანმა. ყველანი, რაკი ჩაი ცხელი იყო, ჭიქებს ტუჩებს არც კი აკარებდნენ და შორიდან ისრუტავდნენ, რის გამოც მათი სრუტის ხმაურობა გარედაც გაისმოდა...

დაცალეს თითო ჭიქა. მეორეც ჩქარა მოჰყვა. მეორეს კიდევ მესამე და ზოგმა მეოთხეც ზედ მიაყოლა, მაგალითად ილიამ და ოპანეზამ.

მიტრუამ კი ერთი ჭიქის შემდეგ უარი განაცხადა, რომელიც ქერბალის გვერდით იჯდა და დროგამოშვებით გიუ-



ლის შეუმჩნევლად თვალს აპარებდა. გიული და ფარი ერთად ისხდნენ, პირეველ ჩამორიგებაზე მათ კიექები არ შეჰვდდათ და მეორე ჩამორიგებაზე კი, რადგანაც მიტრუამ უარი განაცხადა, მისი კიქა გიულის გადაუდგა იქთარმა.

ოჲ, რა სიამოვნება იგრძნო მიტრუამ, როდესაც გიულის ტუჩები შეეხნენ იმ ჭიქას, რომლითაც იმან ჩაი დალია? ყველანი ჩაის სმაში იყვნენ გართულნი, მხოლოდ მიტრუა ვერ ისვენებდა, არ ეჯდომილებოდა აქ. უნდოდა გასულიყო გარედ, მაგრამ გიულის სახე იჭერდა, ვერ დაეთმო, თუმცა ოდნავ დროგამოშვებით შეჰვედავდა ხოლმე, ეხლა უფრო დამშვენებიყო გიული. წინად მხიარული, უდარდელი გიული დადინჯებულიყო, სახე ცოტათი მოპლრუბლოდა, და ეს უფრო ამშვენებდა გიულის*). გიულის შეჰვედავდა თუ არა მიტრო, მაშინვე ალიაზე გადიტანდა თავის თვალებს, და ყოველთვის, მისდა უნებურად, ქერბალის სიტყვა — „ქოფაკი“ — გაურბენდა ხოლმე თაეში...

„ეხვევა, ჰკოცნის!..“ — უეცრივ თვალშინ წარმოუდგა მიტრუას ალია და გიული ერთ ლოგინში, და ტანი შეუთრითა: „იქმნება კიდევაც... — გაეფიქრა უეცრივ მიტრუას, ტანის წვა აუვარდა, მაგრამ ამავე დროს იეთარის სიტყვები მოაგონდა: „ნეტავი თავი ჰქონდეს მაინც რისამე“ — ა, — და, თითქოს უებარი წამალი იყოსო, ისე იმოქმედეს ამ სიტყვებმა. წვა შეუდგა და გულსაც ეფონა.

მიტრუამ კიდევ შეჰვედა გიულის. გიულის გაეთავებინა ჩაის სმა, ბოძს მიჰყრდომოდა და ნალვლიანი თვალები მისთვის მიეჩერებინა. ერთმანეთს შეჰვდნენ მათი თვალები, და ორთავემ ჭარხალივით წამოშითლებულმა თავები ძირს დახარეს...

*) ტფილისის ანლო-მანლო თათრის ქალები სრულებით აღარ ერი-დებიან მამაკაცებს. ნამეტნავად გლეხობაში. თავიანთ წრის კაცს, თუ კი რამდენჯერმე ყოფილა ოჯახში, ისე ექცევიან ქალი და კაცი ერთმანეთს, როგორც ქართველ გლეხობის ოჯახის ქალები. უფროც თავისუფლად.

ჩაის სმა გაათავეს თუ არა, მაშინვე ორი ფლავით თავ-
შებმული ლანგარი *) მოიტანეს იეთერმა და ლეილამ. ერთი
ალიას, ოპანეზის, მრტოუას და ქერბალაის დაუდგეს, მორე კი
თითონ დანარჩენ ქალებთან ერთად დაიდგეს. თან მოაყოლეს
აგრეთვე თეფშით წვრილად დათლილი ყველი და ხის ჯამით
გათქვეფილი, ცოტათი ნივრით შენელებული მაწონი. ჩაის
სმისაგან გაოფლიანებულები ახლა ფლავის ჭამას შეუდგნენ და
ისე აკუმშებდნენ ლუკმებათ თითებით, რომ, თუმცა ლანგრე-
ბი გავსებული იყო, ფლავის ერთი მარცვალი ძირს არ გადმო-
ვარდნილა. მაგრამ ხელები და ტუჩები კი ყველას უბრწყინავ-
დათ, და ერბოს წვეთები თითებიდან უცვიოდათ; ტუჩებიდან
კი მამაკაცებს წვერებზედ უცვიოდათ, ხოლო ქალებს მთლიან
ნიკაპები ტუჩებიდან დაწყობილი ჩამოეგლისათ.

მიტრუამ რამდენიმე ლუკმა იიღო, ხელები საცვეთებზე**) წაისვ-წამოისვა და საჩქაროდ ფეხზე წამოდგა...

— აღარ მინდა! საცაა ცხვარი მოვა, მე კი წყალი არ
მომიტანია.—უპასუხა მიტრუამ, როდესაც დაეკითხნენ: „სად
მიხვალო“ და საჩქაროდ გარედ გავიდა.

ნამდვილი მიზეზი კი სხვა იყო. მიტრუამ მესამე ლუკმა
როდესაც იიღო, ჩუმად შექვედა გიულის, რომელიც დალონე-
ბული და გაწამებული იჯდა. იგი ძირს დაიცქირებოდა და მისი
მკერდი ოდნავ მოძრაობდა. წამს მიტრუამ გონების თვალით
კრელი გულის-პირის ქვეშ მოძრავი მკერდის მოყვანილობა
გაითვალისწინა, და მაშენათვე თავიდან ფეხებამდის ურუანტე-
ლის ისარმა ელვასავით გაურბინა. ვეღარ შეეძლო ისე ჯდომა.
ან უნდა გიულის მკერდს დაპკდომოდა, ან კიდევ გასცლოდა,
სრულებით აღარ ემზირნა მისთვის. მიტრუამ უკანასკნელი ირ-
ჩია, რადგანაც პირველი შეუძლებელი იყო.

*) ლანგარი ტაბაკზე ცოტათი პატარა სპილენძის თეფშია (საინი),
რომელსაც ფლავისთვის ხმარობენ თათრები.

**) ტყავის პაჭიჭები.

გიულიმ თეალი გააყოლა მიტრუას მოსხეპილ ტანს და უეცრივ, მისდა უნებურად, გულის სიღრმიდან ისეთი ოხვრა ამოსკდა, რომ უველას უურადლება მიიქცია...

მხოლოდ ეხლა შენიშვნეს, რომ გიული ფლავს არ დაჰკარებია.

იქთარმა მისი დაღვრემილი სახე რომ დაინახა, გულ-მტკივ-ნეულობით ჰქითხა გიულის:

— „ფლავს რატომ არა სჭამ, გენაცუა“?...

გიული ჩვეული არ იყო ალის უფროსი ცოლისგან ამგვარის კილოსი, და ამისთვის მისთვის მეტად საგრძნობიერო იყო. უმანკო მისი გული ატოკდა და ცრემლებმა ღრჩიობა დაუწყეს, ისე იმრემედა იმაზე. ალი ხომ სულ გადაირია იქთარის გულ-მტკივნეულობით...

— არ მინდა!.. — ოდნავ წამოიძახა გიულიმ.

— ხომ არა გტკივა-რა, ჩემო კარგო!.. — იმავე გულ-მტკივ-ნეულობით დაეკითხა იქთარი.

ალი სულ გადაირია იქთარის საქციელით; „იქთარს შეჰუეარებია გიული!.. — გაიფიქრა ალიმ: — „მაშ შვილებსაც აღარ ამიღელვებსო...“, და მოწირპლული თვალები სულ ჩაებუტა ალის მეტის-მეტის სიამოვნებით...

— არა მტკივა-რა! — უპასუხა ხმის კანკალით გიულიმ და ცრემლები ძლიერ შეიმაგრა.

— მაშ, ჩემო სულო, გაიარე!.. იქნება წყაროზე წახვილე?! — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იქთარმა.

გიული მაშინვე წამოდგა. ალიას ბრწყინვალე სახე ოდნავ მოელრუბლა, მაგრამ, როდესაც ფარიმ წამოიძახა: „მეც წავალო“, ალიას სახე ისევ მოეწმინდა.

ფარის საშინლად უყვარდა გიული და თითქმის ფინიასავით ყოველთვის უკან დასდევდა. გიულიც სამაგიეროს უზღიდა ფარის. ერთად-ერთ არსებას ჰქიდავდა გიული, რომელსაც გულ-წრფელად უყვარდა იგი, რომელსაც მისი მწუხარება და სიამოვნება თავის მწუხარებად და სიამოვნებად მიაჩნდა. თუმცა ფარი გიულიზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო, მაგრამ გიულიმ

რაკი აგეთი თანაგრძნობა ჰპოვა ფარიში, მეგობრულად ექცეოდა
მას. დანარჩენები კი ალიას ოჯახში, გარდა წვრილფეხობისა, რო-
მელთაც ამ ქვეყნისა არა გაეგებოდათ-ის, მგლის თვალით უც-
ქეროდნენ. რასაკეირველია, გიულიც უნდობლად უცქეროდა
უცელას, გარდა ფარისა.

მართალია, ფარის გარდა ერთსაც უყვარდა გიული ამ ოჯახ-
ში. ეს ალია იყო, მაგრამ მისი სიყვარული...

გიულიმ მაშინვე თულობი ქვაბში ჩაცალა, რამწამს იე-
თარმა წყაროზე წასვლა უთხრა და საჩქაროდ გარედ გავიდა.
მას ფეხდაფეხ ცალიერა ლიტრით ფარი გაჰყვა.

მთლად მოატიტვლეს ლანგრები. ერთი მარცვალიც ალარ
დაუტოვებიათ ზედ. შემდევ პურის ლუკმები მაწონში ამოაწეს
და მაწონში ამოვლებული ლუკმები შეჭამეს. ხას ჯამებიც და-
ცალიერდა. ახლა ცველს და უშესებს ჭამა...

მეტის-მეტად ფლავისაგან ასუყებული გული მაწონშა და
ყველმა ჩაუწმინდა და ყველანი კარგ გუნებაზე დადგნენ...

— იმ!... — თითქმის ცველამ ერთად წამოიძახეს, როდესაც
უკანასკნელი ყველის ნაჭრები პირში ჩაიდეს, და მამიკაცებმა
ერბოიანი ხელები წვერ-ულებაშე ჩამოიწმინდეს, მერე წვერს
ბერტყეა დაუშეს და ლიტრით ციფი წყალი ჩამოირიგეს. ქა-
ლებმაც გაპოხილი ხელები და ტუჩ-ნიკაპი ფეხტამლებით გა-
იწმინდ-გაიქრიშეს და შემდევ მამაკაცებისა ლიტრით წყალი
მოირიგეს.

ოჰანეზუც ისე იქცეოდა, როგორც ალია და ქერბალაი. ვინ იცის, რამდენი წელიწადია ოჰანეზა ყოველ გაზაფხულს,
როდესაც კი დოლი დაიძრება, და ცხვარს წველას დაუშებენ,
მაშინვე თავის კარავით აქა ჩნდება, რომ სულ მუქიად ყველი
დაისვას. კარგად ჰქონდა თათრების ზნე-ჩვეულება შესწავლი-
ლი, და ამისთვის პირველ ნახვაზე ყარაიაში, ტანისამოსით არ
გამორჩეულიყო, ვერ შეატყობით, თუ ეს სხვა ტომისა იყო...
ოჰანეზამ ჩიბუხი ამოიძრო ჩუსტის ყელიდან, შემდევ პრტყელ
ჭამარს ხელი გააყოლა და უკან ქამარში თავით გაკეთებული
თამბაქოს ქისა ამოილო...



— თუ ღმერთმა ქმნა და ამისთანა პირი დაიჭირა ცამ, ჩქარა მოგიხდებათ მთაში წასკლა, — დაიწყო ტკეპნით ოპანეზამ, და თან ქისაში ჩაყუდებულ ჩიბუქს ჰტენავდა დაჭრილი წეკოთი.

ამ დროს ბაღარი — ქერბალაის ცოლი წამოდგა და ჭურჭელს ალაგება დაუწყო...

— მაისის ნახევრობამდის სულ დაცალიერდება ყარაია, თუ ალლაშის წყალობით ასეთი დარები დაიჭირა, — პასუხად სთევა ალიამ და თითონაც ჩიბუქი მოამზადა, რომ ოპანეზას შემდეგ მის ქისაში თავის ჩიბუქი ჩაემალა...

ჩამოვარდა ამინდზე ლაპარაკი. ქალებმაც თავიანთვის ხმა-მაღლივ ლაპარაკი დაიწყეს. ამ დროს სად იყო და სად არა, უეცრივ ეფეკტუალური შემოცვივდნენ ბავშვები და ფარებს-თავსა და ბოლოს მოექცნენ. ეხლა ქალალდებს-ლა დაარბევინებდნენ კამფეტების მაგივრად.

VI

მიტრუა ფარეხიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე კარავში შევიდა და რამუენსამე წუთს გაშეშებული დარჩა. არ იცოდა რისთვის წამოვიდა ფარეხიდან, ან ეხლა რად იდგა კარავში. ის ვერასა ჰხედავდა. მერე მოიკრიბა გონება. მოაგონდა, რომ ფარეხიდან გამოსვლის მიზეზად წყალის მოტანა მოიგონა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. იქავე ცარიელი კოკა, რომელიც ქალაქიდან მოიტანეს, მიწაზე გაგორებული დაინახა, საჩქაროდ მხარზე მოიგდო და წყაროსკენ ჩაფიქრებული წავიდა. გიული და ფარი გამოვიდნენ თუ არა ფარეხიდან და წყაროსკენ პირი ჰქმნეს, შორი-ახლოს მიმავალ მიტრუას თვალი მოჰქმდეს.

— აგრა, მიტრუაც, წყალზედ მიდის!.. — წამოიძახა ფარიმ და შემდეგ გიულის მიშმართა: „ წავიდეთ ჩქარა, იქნება დავეწიოთო“...

— რად გინდა, ჩემო ფარი, რომ მიტრუას დავეწიოთ? — გულ-ჩათხრობით დაეკითხა გიული ფარის.

გიული

— პოო, შენ არ იცნობ მიტრუას! იმოდენას მაცინებს ზოლმე, რომ... — ფარიმ აღარ იცოდა, როგორ დაეთავებინა თვისი სიტყვა და ამისთვის გიულის ხელი წაავლო და წინ გასწია:

— აბა ჩქარა წამოდი, შენ თითონ პნახავ, როგორ გვაცინებს...

გიულიმ ფეხი ააჩქარა. თითონაც არ იცოდა, რად ესია-მოვნა ფარის სიტყვები: „აბა ჩქარა წამოდი, შენ თითონ პნა-ხავ, როგორ გვაცინებსო“. უეცრივ მოაგონდა წინა ზამთარი. მოაგონდა მიტრუა, რომელიც ისე ემსახურებოდა და მართ-ლაც ბევრს აცინებდა. გიული ძალიან შეეჩერა მიტრუას. მისი ნახვა, მასთან მასხარაობა ყოველთვის სასიამოვნოდ ჰქონდა. მაგრამ მის თავში არც ერთხელ არ გაუვლია იმ აზრს, რომ მიტრუას შეყვარება შეიძლებოდა. პატარაობიდანვე ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა, რომ გათხოვება მხოლოდ მაჰმა-დიანზე შეიძლებოდა, და მიტრუა კი ქართველი იყო. არც მაჰ-მადიანზე ვისმეზე უფიქრია გათხოვება, თუმცა იგი თექვსმეტის წლის ქალი იყო. აზრად არ მოჰსელია გათხოვება. სახლში ძა-ლიან გათამამებული იყო. მის მამას შვალ ევერშვილში ის ერ-თი ქალი ჰყავანდა და ამისთვის თითქმის ყველანი მის ყოველ სურვილს ასრულებდნენ. თავის ნება იყო გიული. მას ძალას არავინ ატანდა, გაეკეთებინა რამ. თუ მოისურვებდა რისამეს გაკეთებას, აკეთებდა. ხმის გამცემი არავინ იყო. ხშირად მოი-ქიფიან ნებდა და რადენსამე ასს სულ ცხვარს ცალკე გაირეკ-და და ეტყოდა თავის მშობლებს: „ამეებს მე ვაძუებო“. მშობ-ლებიც სიმოვნებით ეტყოდნენ: „აძუე, ყაჩალანავო“. და ისიც დაირეკავდა ცხვარს. როდესაც საღამოოთ მოჰრეკდა ცხვარს, წაეჩხებდოდა ხოლმე ძმებს და მწყემსებს: „თქვენ ცხვარს სულ არ უვლით, არ აძუებთ!.. აი მე რანაირად დამიძღვები მოვ-ლალეო!..“ ისინიც ლრეჭით აძლევდნენ პასუხს: „შენი ცხვრე-ბი ერთი-ორად მეტს იწველიან, ვიდრე ჩეენებიო!“

— მაშ არა და?!.—ამაყად პასუხს აძლევდა გიული და აძაყადვე წამოწვებოდა ხოლმე მხარ-თეძოზე მამის გვერდით.

ყოველივე ეს მკაფიოდ მოაგონდა გიულის და გულს მოე-
შო: სახე გაუბრწყინდა, ტუჩები ლიმად გაეპო და... მაგრამ ამა-
ვე დროს თვალწინ წარმოუდგა ალიას ფარები, და ლიმად გა-
ჰობილი ტუჩები დაელრიჯა...

— ფარი, მიტროს დაუძახე, დაუძახე!.. — თითონაც არ
იცოდა გიულიმ, რად მიჰმართა ამ სიტყვებით ფარის.

— აი, აი, აი!.. — ხმამაღლივ დაიწყო ყვირილი ფარიმ...

მიტრუა კი უკან მოუხედავად გაჩქარებით მიდიოდა. ის-
ავიდა პატარა ბექობზე, დაეშვა კიდევაც. გიული მიტრუს ფე-
ხებს ვეღარც კი ჰელავს, რადგანაც ბექობის წერის მოეფა-
რა მუხლებამდის. მიტრუა მუხლებ ზევითაც ეფარება ბექობის
წვერს...

— დაუძახე, დაუძახე!.. — ხმის კანკალით და ტანის თრთო-
ლით ხელი მაგრად მოუჭირა ფარის.

— მიტრო, მიტრო! — ფარიმ უფრო ხმა-მაღლივ მორთო-
ყივილი, მაგრამ თავის ოცნებებში გართული მიტრუა ჩაეფარა
ბექობს. გიულიმ ნაბდის ქუდს-ლა მოჰკრა თვალი...

მოდუნდა გიული, როდესაც ნაბდის ქუდიც მის თვალს
გამოეცალა. მუხლები მოსწყდა და ძლივს მიათრევდა.

— წყარო ჯერ შორს არის. ორი ბექობი კიდევა აქვს გა-
დასავალი. მოვეწევით!.. — წამოიძახა ფარიმ და გიულის უფრო
ძლიერად გასწია წინ, ვიღრე პირველად, როდესაც გიული მუხ-
ლებ-მოკვეთილი თითქმის შესდგა.

— მოვეწევით?!.. — ნალვლინაც დაეკითხა გიული და შეს-
დგა.

— თუ არ მოვეწევით, იქიდან ხომ წინ შეგვხედება?! ვუთხ-
რათ, მოგვიცალოს!... გიული უეცრივ გონს მოიყვანა ფარის
სიტყვებმა.

— წავიდეთ! — წამოიძახა გიულიმ და ფარი თითქმის დაი-
თრია.

რად უნდოდა გიულის მიტრუასთან ლაპარაკი?!. თეითონაც
არ იცოდა. რომ გეეითხნათ, ვერას გიპასუხებდათ. იქნება თა-
ვის-თავისთევისაც ვერ ეპასუხნა. უყვარდა მიტრუა?!. არა!...

მიეჩეარება გიული. ფეხდაფეხ ფარი მისდევს. თვალ - წინ წარმოუდგა ცხვარი, რომელსაც იგი მწყემსიდა და ამ დროს წყაროდან მომავალა მიტრუა...

შეაფიოდ მოესმა თავისი სიტყვები: „ეი, წყალი დამალე-ვინე, ძალიან მწყურიანო!...“ ჰედავს ნათლად, მიტრუა რო-გორ მაშინვე მივიდა მასთან და საჩეაროდ კოკა იღლიაში ამო-იგდო; ჰედავს აგრეთვე, თვითონ როგორ მოჰყუდი პირი და ჭოკიდან ცალ მუხლზე დაჩიქილმა წყალი დალია.

ეს პირველი შენველრა იყო მიტრუასთან. მერე?... მერე თითქმის ყოველ-დღე ხვდებოდა, რადგანაც გიულის მამის ბინა ალიას ბინის შახლობლად იყო.

ბექმაბს შეუდგნენ გიული და ფარი. გიული თითქმის მირ-ბის. მხარ-და-მხარ ფარიც მისდევს. მისი უდარდელი ცხოვრების მოწიმე მიტრო იყო და იმასთან ლაპარაკით თითქოს დაუბრუნ-დებოდა წარსული, რომელმაც ასე უწყალოდ მოიშორა და ალიას ოჯახში ჩაგდო — ალიას შეკრდს მიაკრო...

— ჰედავ, გიული, მიტრუა როგორ დაგდებულა!... — წა-მოიძახა ფარიმ, როდესაც ბექმაბის წვეროდან ვიდაიხდეს.

მიტრუა მართლაც პირქვე დაგდებულიყო. კოკა კი იმის იქით გაგორებულიყო.

გიული უეცრივ შესდგა. კინალამ იქვე ჩაიკეცა უეცრივ, მუხლები ისე ძოეკეცა.

— უი, ხომ არა მოუვიდა-რა?!.— წამოიძახა საშინლად შე-წუხებულმა.

ფარის შეეშინ-და გიულის სიტყვებისა და ფერ-მიხდილმა მზერა დაუწყო შემკრთალს გიულის.

— გიული, რა მოუვიდოდა?!.— ხმის კანკალით დაეკითხა ფარი.

გიული გონს მოვიდა, როდესაც ფარის გაფითრებულ სა-ხეს თეალი მოჰკრა.

— წავიდეთ ჩეარა და ვნახავთ!.. — უპასუხა გიულიმ და თავი მოარიდა, რომ ფარის მისი სახის ცვლილება არ ჰშთაბე-ძდიყო...

ორივე ქალები სრიალით ჩაეიღნენ დაბლა და მიტრუს უეცრივ თავს წაადგნენ. მათი ფეხის მოძრაობა მწვანე ბალაზ-ზე ისე უხმო იყო, რომ მიტრუამ ვერ გაიგა ქალების მისვლა. რაკი მიტრუა არ გაინძრა მათ მისვლაზე, ჭარიმ უეცრივ ხელი დასტაცა და დაპერივლა:

— მიტრო!..

შემკრთალმა მიტრუამ ამ მოულოდნელ ხელის ტაცებაზე და დაკივლებაზე უეცრივ წამოიჩინქა და, რა გიული თავის წინ დაინახა, მოდამბლავდა, წელი მოსწყდა და უერ-მიხდილი გულ-ალმა გადაიქცა.

— რა მოგივიდა, მიტრო?!. — თითქმის ერთხმად დაეკითხ-ნენ შეშინებული ქალები...

— გული მიწუხდება!... — წამოილულლულა მიტრუამ.

— წყალი!.. — წამოიძახა გიულიმ.

ჭარიმ არც კი აცადა სიტყვის გათავება. მაშინვე ლიტ-რით წყაროსკენ გაქნდა და უკან ალარც კი იხედებოდა. გა-ულიმ კი საჩქარო ზურგზე მიკრული თულუხი მოიხსნა და დაა-გორა, რომელიც მიტრუს კუკის გვერდით შედგა.

— გიული!.. — გულის სილრმიდან ამოიკვნესა მიტრუამ, როდესაც გიული იმის გვერდით ჩაჯდა და შუბლზე ხელი გა-დუსვა, და წიმოჯდა.

— ალიას როგორ მისთხოვდი?!. — განაგრძო მიტრუამ და ნაზად ხელი შემოჰვია გიულის. მაგრამ გიულიმ ინსტიქტიუ-რიდ მიტრუს ხელი მოიშორა და თავი ჩაღუნა.

— ნუ თუ ალია გიყვარს, გიული?!. — ეკითხება თითქმის ჩურჩულით მიტრუა და ხელს მაინც არ აყენებს; ისევ ჰევევს.

გიული კი იშორებს მიტრუს ხელს; მაგრამ არ ემორჩი-ლებიან მას თავისი ხელები. ოდნავ უფაცუნებს მიტრუს ხე-ლებს, რომელიც ალერს უფრო ემგზავსებოდა, ვაღრე წინ ა-აღმდევობას. მიტრუამ შემოურკალა ხელები, თათქმის კალთა-ში ჩაისვა გიული და მთლად გულში ჩაიკრა...

— გიული, როგორ არ გებრალებოდა შენი სილამაზე, შენი სიყმაწეოდე, რომ ალიას კუთვნილებად გაჰსადე შენი თა-ვი?! — თან ეუბნება მიტრუა გიულის.

გიული

პირველ მიალერსებაზედვე გიულის უნდოდა ეპასუხნა მიტ-
რუასთვის, რომ იგი დამნაშავე არაა იმაში, რომ იგი მამამ
მიათხოვა, მაგრამ ხმის ამოლებას ვეღარ ახერხებდა. ამისათვის
თავი ჩაღუნა და უნდოდა როგორმე გული მოებრუნებინა, მაგ-
რამ მიტრუას ტკბილი ხმა, მისი ალერსი ცეცხლში ნავთს ას-
ხავდა. მას უფრო მოებჯინა ტირილი და, როდესაც მიტრუამ
გულში ჩაიკრა, ქვითინი წამოსკდა...

— გიული, გიული!.. — მეტს ვეღარას ახერხებდა და გაშ-
მაგებით ეკონებოდა მიტრუა გიულის თვალებს, ლოყებს, ტუ-
ჩებს, თითქოს ეს უებარი წამალი ყოფილიყოს გიულის დასამ-
შვიდებლად. გიულიც აღარ ეწინააღმდეგებოდა. თავის მხრივ
იგიც ეკვროდა, იმანაც ხელები შემოჰვია მიტრუას და, თით-
ქოს წვიმის შემდეგ მზემ დაფლეთილ ღრუბლებიდან გამოიჭვ-
რიტაო, მოლიმარი ცრემლისაგან მთლად დასველებული ტუ-
ჩები საკუცნელად გაუწოდა. გონება-დაბნეული მიტრუა დაკვ-
და მის ტუჩებს. აქნობამდის მიტრუას ეგონა, ძალდატანებით
ვკოცნიო, ვსარგებლობ ქალის სისუსტითა და მწუხარეობითო
და ამისთვის, ცოტა არ იყო, გული ეჩრჩილებოდა. ეხლა კი,
როდესაც გიულის გაწვდილი ტუჩები დაინახა, სიხარულით
აინთო და მთლად შეუერთა თავისი ტუჩები გიულის მთრთოლ-
არე ტუჩებს...

ჭარი კი გარბოდა, გარბოდა... აგერ გორაქს კიდევაც გა-
დაეფარა. მისი სურვილი იყო, დროით მოეტანა წყალი, რომ
მიტრუა განსაცდელისაგან დაეხსნა...

vii

ფარეხის წინ ძეძვით შემობაკილი იყო კარგა დიდი იდგი-
ლი, რომელსაც რამდენიმე ლასტის კარები ჰქონდა შებმული.
ყოველ კარებში ორ-ორი აღმიანი იყო ჩამომჯდარი დიდრო-
ნის ქვაბებით და ამ საღამოს გულ-მოდენედ სწელიდნენ
ცხვარს. პატარა ბავშვები ათას სულ ფარეხში გამომწყვდეულ
მეწველ ცხვარში დარბოლნენ და ხან ერთ კარებთან მიათრევ-

დნენ დედა-ცხვარს, და ხან კიდევ მეორე და მესამე კარებთან, სადაც ქვაბებზე უკანა ფეხით ალაჯებინ ებდონენ, ცურჩე ორივე ხელებს მაგრად უჭერდნენ და სწრაფის ნაკადულით რძეს ადენ-ლნენ, რომელიც ქვაბებში ჩხრიალით ჩაღიოდა და ქაფებოდა. ყველანი საქმეში იყენენ გართულნი. ოპანეზა კარავის გვერდით დადგმულ კოდთან *), რომელსაც პირზე რვა-კეცი ჭალაშა **) ჰქონდა გადაფარებული, დამკლავებული იდგა და ელოდა რძით სავსე ქვაბებს, რომელსაც მიტრუა მოეზიდებოდა. ქვაბები აიმ-სებოდა თუ არა, მაშინვე მშველელნი გამოიტანდნენ ცოტა აქეთ და მიტრუას გარდასცემდნენ, რომელიც საჩქაროდ მი-არბენინებდა კოდთან და, ოპანეზას მიშველებით, კოდში ას-ხამდა.

იეთარი და ლეიილას გარდა, რომლებიც ძროხებს სწევ-ლიდნენ და რძე ფარებში შეჰქონდათ, რომ შემდეგ არაუანი მოეხადნათ და შეედლებინათ, ყველანი ცხვარს სწევლიდნენ. ალია იჯდა მარტო უსაქმოდ. ის კარავის ახლოს დამჯდარიყონ და მოწიწებით თვალყურს ადევნებდა გიულის, რომელიც კა-რავის ახლოს ბაჟის კარებთან იჯდა და სწრაფად ანთავისუფ-ლებდა ცხვრებს... ჩამოწვევლილი ცხვრები, ხელიდან გაუწვებ-დნენ თუ არა, ფუნდრუკაობით მირბოდნენ და ფარებზე ცო-ტათი მოშორებით, სადაც რამდენიმე ბოთვერა—ყელ-ჩანგლი-ანი ძალით უდარდელად წამოწოლილიყო და გულიანად ხერი-ნავდა, გროვდებოდნენ...

გიულიმ გაავსო ქვაბი. სწრაფად წამოდგა და წელში მო-ხრილი სავსე ქვაბით ოპანეზასკენ მიძუგ-ძუგებდა. მიტრუა მაშინვე მიეგება და ქვაბის ჩამორთმევის დროს წასჩურ-ჩულა: „არ დაგავიწყდეს, ამაღამ ფარებს უკან გელიო!“ გიუ-ლი თავ-ჩალუნული შუა გზაში გაჩერდა. მიტრუამ სავსე ქვაბი ოპანეზას მიშველებით კოდში ჩაცალა და ცალიერა ქვაბი უკან წამოულო გიულის.

*) კოდი—ბოჩა.

**) ჭალაშა—სქელი ლეჩაქი, რომელსაც გასაწურავად ჰქმარობენ.

გიული

— გიული, უეჭველად გელი!... — კიდევ წასჩურჩულა და ქვაბის მიწვდის დროს ხელზე ხელი მაგრად მოუჭირა.

გიული კანკალით მივიდა ბაკის კარებთან და არეულად ცხვარს წველა დაუწყო. ალია კი მაინც გიულის თვალს არ აშორებდა და ჩაყითლებულ კბილებს გარედ ჰყირიდა...

გაათავეს თუ არა წველა, და ოპანეზამ უკანასკნელი ქვაბი კოდში ჩაწურა თუ არა, მაშინვე ათ-კეცი ჭალაშა მოპესნა კოდს, ჯერ ისევ თბილ რძეს, დედა მისცა და სუფთა კეტით დაურია. შემდევ ოპანეზამ ნაბადი გაღააფარა კოდს და სხვა-და-სხვა სიდიდის ხის ჯამები გადმოალაგა და ჩამწერივა. მიტ-რუამ კი ჭალაშა გარეცა და კარავზე გაფინა, რის შემდე-გაც კარავის წინ ოპანეზას გვერდით ჩამოჯდა, და ორივემ იქაურობას თვალ-ყურის დევნა დაუწყეს.

ლეილის და იქთარს მოეწველათ ძროხები. იმათი ადგილი ეხლა ხბორებს დაეჭირათ, რომლებიც შესჯდომოდნენ ქვეშ და დრო-გამოშვებით თავებით თავიანთ დედებს მუცელში უბრა-გუნებდნენ, რომ მათთვის მეტი რძე მოეცათ. ძროხები კი ზოგი ალერსიანად ჰლოკავდა თავიანთ ხბორებს, და ზოგი კი-დევ წარბ-შეუხრელად ხბორების ბრაგუნზე იდგნენ და თავიანთ-თვის იცოხნებოდნენ...

— ეგააა, აი, დედის ჯიგარი!... — დაიწყო ოპანეზამ და ჩიბუხის ტარი ტუჩებით გამოიტკაპუნა: „ხბორები ძალაზე უჯ-ლაგუნებენ თავებს, ისენი კიდევაც ჰლოკავენ...“

— ჩვენში ამბობენ, აღა: „ხელის გულზე შვილმა დედის გულისთვის ერბო-კვერცხიც რომ მოიწოს, მაინც დედის ამაგს ვერ გადიხდის“, — უპასუხა მიტრუამ.

— ერბო-კვერცხს კი არა და, ეხლანდელი შვილები დე-დის გულისთვის გახურებულ ზაფხულშიაც კი პირს არ შაიბა-ნენ ცივი წყლით, თუმცა ეს ცივი წყალი მათვე გააგრილებს... ოპანეზა და მიტრუა რომ ამ ბაასში იყვნენ, შორი ახლოდან მოისმა ბლავილი. ამ ბლავილზე ათასს სულამდის დაწველილი ცხვარი წამოიშალა და შექმნა თავის მხრივაც ბლავილი. გარშემო ბლავილის მეტი აღარა ისმოდა-რა. დედა ცხვარი და ბატკანი

სირბილით მიეგებნენ ერთმანეთს. მაინც ბლავილი კარგა ხნობა-
მდის არ შეწყვეტილა. დედა-ცხვარი ბლავილით თავის ბატქანს
დაეძებდა, ბატქანი კიდევ თავის დედას...

— აბა, მიტრო, ჩაიხედე კოდში, ხომ არ შეყველებულა? —
ამ ბლავილში მიჰმართა ოპანეზამ მიტრუა.

— შეყველებულა!.. — უპასუხა მიტრუამ, როდესაც კოდს
ნაბადი გადაჭხადა და შიგ ჩაიხედა.

— მაშ მოვაკვერეულოთ!.. — მძიმედ წამოიძახა ოპანეზამ
და დიდ ხის ჯამს ხელი წამოავლო...

viii

დაწყნარდა არე-მარე. ეხლა აღარც ცხვრისა და ბატქნის
ბლავილი მოისმოდა. ეს ორი კვირა მეტია ცხვარს მიწურ ფა-
რებში აღარ ერეკებიან, რაღანაც ფარებში მეტად სცხელო-
დათ. ცხვარი მთლად გარედ იყო, გარდა სამოცამდე დავარდ-
ნილი ცხვრისა. დანარჩენი ცხვარი კი: ჭრდელა, თოხლი, დედა-
ცხვარი და მოსაგები სულ ცალკ-ცალკე ჯგუფებად დაყოფილ-
ნი ცალკე ეყარნენ და ყველას გარს აქა-იქა მწყემსები შემოჰ-
წოლიყვნენ. მათთან ერთად ალის შვილებიც თავიანთ ცოლ-
შვილით გარედ იწვნენ და ტკბილი ძილისთვის მიეცათ თავი.
იეთარი, ლეილა და ფარი ფარების წინ იწვნენ ბაკში, სადაც
ორმოცამდის ძროხა და ცხენი იყო გამომწყედეული. იმათთან
ახლოს ერთი მწყემსთაგანიც იწვა. ალია კი ჯერ გარედ არა
წვებოდა, რაღანაც სიცივეს იმიზეზებდა და, რასაკირეველია,
გიულისაც თავისთან ფარებში იწვენდა. გიული ბევრჯერ ეწი-
ნააღმდევა, ბევრჯერ გამოექცა კიდევაც გარედ და ფარის ჩაუ-
გორდა, მაგრამ ალია მაინც არ ეშვებოდა. უეჭველად უნდა
თავის გვერდით დაეწვინა. გიულის გული უწუბესებოდა ფარე-
ბის სუნით, ზამთარში ისე შესამჩნევი არ იყო სუნი, როგორც
გაზაფხულით, როდესაც მთლად მინდორი მწეანის სუნით იყო
გაეღლენთილი და გულს ატკბობდა, ფარები კი მწვარის სუნით.

ამ ღამესაც გიულიმ გარედ მოინდობა დაწოლა, მაგრამ ალიამ ხელი წაავლო და გიული თრთოლით ფარებში შეიყვანა.

— არ გააციო, გიული, შენი ქმარი! — ჩვეულებრივად მიაძიხა იქთარმა გიულის ზიზლით ამ ღამესაც და ზიზლით თვალი გააყოლა ფარებში შემსელელთ.

ალიას ბრაზი ყელში მოაწვა, როგორც ყოველთვის, ერთ წამს გაიფიქრა კიდევაც: „მივალ და წავალრჩობ იმ საზიზლარსაო“, მაგრამ ვერ გაბედა თავის აზრის განხორციელება და ისევ ყური მოიყრუა. ვითომ არც კი გაუკონიაო, ისე შევიდა ფარებში, სადაც თრთონ უკვე დაემზადებინა ლოგინი და მხრითალავი ლამპარი. შესელის უმაღ კარები მიჯარა და გულში ჩაიკრა გიული...

გიული ინსტიქტიურად შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს, და დღე-მუდამ მასსში მატულობდა ზიზლი ალიასადმი. ამ ღამეს ხომ გიულის მეტი დაემართა. როდესაც ალიამ ჩაიკრა გულში და თრთოლა აუვარდა, ხელები ალიას ყელთან მიიტანა და შემოურეალა კიდევაც, რაც ალიას ესიამოვნა, უნდოდა მოეჭირა, ბრჭყალები შიგ გაეყარა და წაეხრჩო, მაგრამ უეცრივ მოაგონდა, რომ ამის გამო იმას ჯეარს აცმევენ, და ხელები აუკანკალდა, მოუდუნდა...

ჩაწენენ თრივენი ლოგინში. გიული ზღარბივით იკუნტებოდა, ბორგავდა ალიას ხელის შეხებაზე და ალერსზე და ნატრობდა მის მალე დაძინებას. მაგრამ ალია არა სცხრებოდა. ალიას კიდევ აუვარდა თრთოლვა, კიდევ გულში ჩაიკრა და მოდუნებული სხეული უფრო მოუდუნდა... შეუძლებელი-ღაიყო გიულის მხრივ მეტის მოთმენა. ის გამოუსხლტა ალიას და გარედ გავარდნას პირობდა, მაგრამ საუბედუროდ ფეხი საბანში გაეხლართა და იქავე პირქვე დაეცა.

— აი, ჩემია ჯეირანავ, გაქცევა გინდოდა?.. — დაიძიხა ალიამ და ისევ ლოგინში ჩაითრდა... გიულიმ ეხლა სხვა საშუალებას მიჰმართა. ჩქარა თავი მოიმძინარა და ალიას კითხვებზე ხმას არ იღებდა. რაკი ალიას გიული დაძინებული ევონა, ის უფრო მორიდებით უსვამდა სხეულზე ხელს, ხანდისხან კიდე-

ეაც შეაჩერებდა ხოლმე ხელს და ოდნავ-ლა უცაუუნებდა თი-
თებს.

ამდენმა მღელვარებამ ალია მითენთა; მერე იმ აზრმა, რომ
გიულიმ დაიძინაო, დამშვიდა და ძილი წამოაბურა.

ალია, რაც გიული ცოლად მოიყვანა, არ იძინებდა, ვიდ-
რემდის გიულის არ ჩაეძინებოდა. მხოლოდ როდესაც გიული
ჩაიძინებდა, მაშინ გულ-დამშვიდებით იძინებდა. ამ ლამესაც
ასე დაემართა...

ალიამ ხვრინეა ამოუშვა. გიულის კი ტანი უთროს. ალია
ჯერ კიდევ მღვიძარე ჰგონია. ალიამ ხვრინეას უფრო მოუმატა.
გულის ფანცქალით გიულიმ ალიას ხელს, რომელიც მის თე-
ძოზე იყო დაბჯენილი, მძიმედ ასწია და, რომ ალიას ხელის
ძირს დაშვება არ ეგრძნო, თავის თეძოს მაგიერად მუთაქის თა-
ვი შეუდგა ხელს.

გიული უმოძრაოდ იდგა რამდენისამე წუთს და ყურს ალი-
ას ხვრინეას უგდებდა. არ იცოდა როგორ გასულიყო გარედ-
კარებიდან გასულიყო, კარი ჭრიალს მორთავდა, და ალიას
უეპველად გამოელვიძებოდა. მაშ... გონება აღარ ემორჩილე-
ბოდა გიულის....

— გიულიპჲ!.. — თითქის შემთხვევითი ჰაერის რხეება არი-
სო, ისე შემოესმა გიულის ფარების ბოლოდან, სადაც სანათუ-
რი იყო. გიული ერთ წამს შეკრთა, თავი შეარხია და სწრაფ
ფეხ-აკრებით იქით გაექანა.

სხეს რომ ყური მოეკრა, გიულის გარდა, ამ დაძახების-
თვის, ყურადღებას არმიაქცევდა, მაგრამ გიული მაშინვე მიხვ-
და.

გზაში კინალამ ცხვრებს არ შეჰსდგა ზედ. ცხვრებმა ფრუ-
ტუნი მორთეს. გიულის ფერი ეცეალა. წამს შესდგა, ყური წა-
ხარა და, რაკი ალიას წყნარი ხვრინეა ისევ შემოესმა, სიფრ-
თხილით სანათურისკენ წავიდა.

— გიულლიპჲ!.. — იმავე კილოთი ჩამოისმა სანათურიდან
ხმა.

— მიტრო! — წყნარადვე, იმავე სიფრთხილით გასცა პასუნი ქვევიდან გიულიმ და ხელები სანთურში აყო...

IX

მიტრუაც დიდხანს წველისძლა კარავში. იგი ჩქარობდა. კვერეულს კვერეულზე სწრაფად სწურავდა; მაგრამ ოჰანეზა, რომელიც მძიმედ, აუჩქარებლივ ჩვილი ყველით თაეშებმულ ხის ჯამებს აბრუნებდა და თან აწვებოდა, ორივე ხელების თი-თებ-გაფარხხული, მალი-მალ წაუბზუკუნებდა: „კარგად მოწურე, დაძინებას მოესწრებია“ და ისევ ხელ-მეორედ უბრუნებდა კვერეულებს. მიტრუა შიშობდა: „ვაი, თუ გიული გამოვიდეს, მე რაკი ვერ მიპოვის ფარეხის უკან, უკანვე შებრუნდება და შემდეგ როგორლა გამოვიყვანოვო.“ მიტრუას ცალმ ყური გარედ ჰქონდა. გააფაჩუნებდა თუ არა რამე, მაშინვე თაბახს, რომელშიაც ხის ჯამებს სდგამდა ყველის მოწურვის დროს, დაავლებდა ხელს და გარედ მიარბენინებდა, რომ დაეთვალიერებინა, გიული ხომ გარედ არ გამოიდაო...

— ვა, რა მალი-მალ გაარბენინებ ე თაბახს?!.. — შეუტია ოჰანეზამ და შუბლი შეუკრა.

— მაშ, შრატს ნუ გავიტან?!. — წყრომითვე უმასუხა მიტრუამ.

— მამა-ცხონებულო, ყოველ წვეთს ცალკ-ცალკე ხომ არ გიიტან?!..

— თაბახი იქსება და შენ თითო წვეთს ეძახი?!

— რატომ მე არ მეესტება?

— შენ რა!... ჯერ ერთი კვერეულიც არ მოგიწურავს და მე აგერ მეხუთეს ვწურავ!..

ოჰანეზამ გადახედა კვერეულებს და შუბლ-შეკრულმა მიჰმართა მიტრუას:

— კარგადაც მოგიწურავს, შენმა მზემ!.. ვერა ჰქედავ, შენი თითები ზედვე ეტყობა! კვერეული ისე უნდა მოსწურო, რომ გამოჩარხულს ჰგვანდეს!...



— ენდე და, შენ გამოჩარხე!... — წყრომით უპასუხა მიტრუამ და თაბახი მიავდო.

მიტრუას თითო წამი სიცოცხლეს ერჩივნა. ჩქარობდა, როგორმე დღოით მოეშორებინა თავიდან ეს საქმე და აქ კი „გამოჩარხეას“ ეუბნებოდნენ...

— რასა სწყრები, შე კაი მამის შვილო, შენთვის გეუბნები? — დაყვავებით შეეხმაურა ოპანეზა, რაკი შეატყო, რომ მიტრუას გული ყელში მოებჯინა.

— მიტრო, შრატს რას უშერები?.. — ცოტა სიჩუმის შემდეგ შეეკითხი ოპანეზა.

— ძალლების გეჯაში ვცლი. — ცოტა მომზალად უპასუხა მიტრუამ.

მიტრუამ თავის მოწურულ კვერეულებს გადაჰედა და თითონვე დაირცხვინა. მართლაც ძალიან აჭიჭყნილი იყო კვერეულები. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ხელმეორედ გულმოდგინედ დაუწყო მოწურვა და მართლაც „გამოჩარხა“.

ოპანეზა კი, ამ დროს, ცალი თვალით უცქეროდა და ტუჩებზე სიაძოენების ღიმი უკრთოდა, რომ მიტრუას რიგიანად მუშაობა დააწყებინა...

— აპა, ეხლა კი დავიძინოთ!! — წამოიძახა ოპანეზამ, როდესაც კვერეულები მეორე კოდში ჩააწყეს და იქაურობაც მიალაგ-მოალაგეს.

ოპანეზამ იქვე კარავში გაიშალა ლოგინი; მიტრუამ კი გარედ გაიტანა თავისი...

— მიტრო, რატომ აქ არ წვები?

— გარედ დავწყები!

— შენი ნებაა.. ღილაზე წყალი კი არ დაგავიწყდეს!..

— არ დამავიწყდება.

ოპანეზას მაშინვე ჩიებინა. მიტრუამ კი ლოგინი კარავის მოშორებით გაიტანა, ვაშალა და მაშინვე გულაღმა მოსხეპით დაეცა.

წამის უველაფერი დავიწყდა, ისე გაიტაცა ცის კამარამ, რომელზედაც თითქოს მადლიან მფარცხავს უხვად მოუფანტ-

ნია თესლი ხნულშიო. მთლად ძირის-ძირობამდის მოჭედილი იყო ცა მოციმციმე ვარსკვლავებით. მიტრუა შესცეკროდა ცას და თვალები აქა-იქა დაურბოდა. ვერც ერთ ვარსკვლავზე ვერ გაეჩერებინა თავისი თვალები. დაეძებდა უმჯობესს, უფრო უპრცყვიალესს, მეტ მშუქროვანს, რომელსაც მიეზიდნა მისი არსება, შეებოჭნა იგი. მაგრამ... უეცრივ სხეული აუთრთოლდა, სწრაფად წამოდგა ფეხზე და გაშტერებით ფარებს მზერა დაუწყო. უეცრივ მოსხლტა ადგილიდან და ნიავსავით, უჩიუმრად მივიდა ფარეხის სანათურთან და წაპირქეავდა. მთლად სმენად გარდიქმნა...

წყნარად გულიანი ხერინვა შემოესმა ფარეხიდან. მიტრუა დაიბნიდა. ეფონა,——გიული ხერინავსო. უცბად გაუელვა თავში მიტრუას: „გიული გამოვიდა გარედ, მე ვერ მნახა და ისევ დასაძინებლად შევიდა ფარეხშიო“.

— გიულიჲჲ!—უეცრივ ამოსკვდა გულიდან მიტრუას, და ტანის თახთახით მოელოდა ფარეხიდან ფაჩუნსაც კი.

მის პასუხად ცხვრებმა ფრუტუნი შექმნეს. მათ ფრუტუნ-ში ხერინვაც მოესმა.

გულ-ჩაწყვეტილმა კიდევ ჩაიკვნესა. კიდევ ახსენა გიულის სახელი, თითქმის თვალ-ცრემლიანზა და ტანი ახარა ასადგომად, რომ ამ დროს სანათურიდან წყვილი მკლავი ამოცურდა...

მაშინვე იცნო, მიტრუამ, მკვლავები და მაგრად წაპკიდა ხელები, რომ უკანვე არ ჩაბრუნებულიყვნენ.

თვალის დახამხამებაზე ამოიტაცა გიული და გაშმაგებულის კოცნით ლოგინისკენ გააქანა...

დაბნელდა ცა. დამუნჯდა ბუნება. ყოველივე საგანმა მათ-თვის არსებობა დაპკარგა. ქვეშ ლოგინის არსებობასაც კი ველარა ჰერძნობენ... ტუჩებს გააშორებდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ იმავე წამს ამოსუნთქვის შემდეგ ისევ შეერთებინათ...

ასე გადახვეულები ისხდნენ და, დიდ ხანს იყვნენ თუ ცოტა ხანს, არა გაუგიათ-რა. გიული მისუსტდა და, როდესაც ტუჩები გააშორეს, მუთაქაზე თვალებ მილულული გადაესვენა. მიტრუას ამაზე უმშვენიერესი არა ენახა-რა. პერანგის ამარა,

გიული მოდუნებული, იყო მისვენებული ნეტარი გრძნობისგან მათენთილი. მისი მკერდი ოდნავ აღიოდ-დაღიოდა და ოდნავ არხევდა პერანგს, რომელიც ისე გადაჰფარებოდა, რომ სხეულის მოყვანილობა და მისი აღმართ-დაღმართი მკაფიოდ იხატებოდა.

აღტაცებაში მოდიოდა მიტრუა მისი მკერდის მოძრაობით. მაგრამ ერთი რამ აჩრდილებდა მის აღტაცებას: ეს პერანგი, რომელიც ჰფარავდა გიულის მკერდს... ვეღარ მოითმინა. პერანგის ბოლოს მოჰკიდა ორივე ხელები და სწრაფად გაჰქია. ბოლოდან თავამდის და, თითქოს თვალით შეჭმა უნდაო, ისე დააშრერდა, როდესაც გიულის ჩამწკრივებული მკერდი პერანგისაგან განთავისუფლდა.

გიული კი ისევ ისე უნძრევლიდ იყო და თვალებ მილულული ოდნავ ჰსუნთქავდა. თითქოს მისძინებიაო, ისე უმოძრაოდ იყო მისვენებული. მაგრამ გიულის არ ეძინა. მხოლოდ მოითენთა სიამოვნობით და განძრევა იღარ უნდოდა, რომ ოცნება, თუ სიამოვნება არ მოჰშორებოდა. მთელი ექვსი თვე იტანჯებოდა, ალიას ხელში, ზიზღით ითმენდა მისს ხელის სმას, მისი ცოლების, შვილების და რძლების დაცინვას, კიცხვას და ხშირად ლანძლებასაც, და ეხლა, ექვსი თვის შემდეგ წილად ხვდა იმისთანა კაცთან ყოფნა, რომლის ნახვაც, სიახლოვეცა და ხელის ხლებაც ესიამოვნებოდა. ბევრი ტანჯვის შემდეგ ცოტაოდენმა სიამოვნებამაც დაბნიდა და იმას ეშინოდა არ მოესპო ეს ცოტაოდენი სიამოვნებაც...

თავს მეხი დაეცა მიტრუას...

— ოოო!... მიტრო!..—გიულიმ მწეავედ წამოიკვნესა და თავის ბრჭყალები მაგრა ჩასჭიდა მიტრუას მკერდს.

გიულის ხმაზე იქვე ახლოს მძინარე ძალლი წამოყუნცდა წინა ფეხებზე. ყურები ცევიტა და რამდენჯერმე წამოიყეფა...

— არიქაა!—მეორე მხარიდან დაუძახა ძალლის ყეფაზე გამოლვიძებულმა მწყემსმა და გვერდი იცვალა.

ხუთმეტამდე ძალლმა ამ დაქსევაზე ყეფა ასტეხს და თვალების ბრიალი დაიწყეს, რადგანაც არ იცოდნენ, საით გაქანებულიყვნენ.

თითქმის ყველას გამოეღვიძა ძალების ყეფაზე, მაკრამ რაკი ძალებში ყეფა ჩქარა შესწყვიტეს, ისევ მიწვნენ და ხვრინვა დაიწყეს.

ძალების ალიაქოთი არც კი გაუგიათ. მიტრუა და ვიული შეხორცებულები ერთად იწვნენ და განძრევაც აღარ უნდოდათ, სხეული ისე მოელეშათ. მათი სურვილი იყო, ბოლო არ ჰქონდა ამ ნეტარ მდგომარეობას...

მაგრამ დრო არ იცდიდა. იქაეე ფარეხის ახლოს შამალ-მაც იყივლა. სულ ერთი წუთის მემდევ ფარეხის კარი გაქრიალდა და მკაფიოდ შემოესმა ალის სიტყვება:

— იქთარ, იქთარ,—გიული რა იქნაში?

— ალლაპმა ნუ იცის შენი თავი! — შეუტია იქთარმა და გაჯავრებულმა რილასიც ბუტბუტი დაიწყო.

შეძრწუნდნენ ორივენი და სწრაფად თითქმის ბობლით მიეიღნენ ფარეხის სანათურამდის.

— გიული, ერთი ორი კვირის შემდეგ, ჩეენ ვეღარავინ დაგვაშორებს! — ალგზნებით წამოაჩურჩულა მიტრუამ და გულში ჩაიკრა.

— შენ იცი! — გულ-ნაკლულიად, თვალ-ცრემლიანშა, გიულიმ წაუჩურჩულა და სანათურში ფეხები ჩაყო.

მიტრუამ ხელები დაუჭარა და მძიმედ ჩაუშო ფარეხში ძვირფასი განძი. მისი გული თან ჩაჰყვა...

ასტყდა ბატქინისა და დედა ცხვარის ბლავილი. მეცხვარეებმა დაარჩიეს ცხვარი ბატქინისაგან და საძოვრად გაირევეს, რომ დილით სადილობის დროს ისევ მოერევათ და დაეწველათ.

აღრა თითქმის ცხვრებშიც კი გიულს დაეძებდა. გაბრაზებული შევიდა ფარეხში, რომ ძარის-ძირობამდის დაევლო. აანთო ლამპარი და ალია განცვიფრდა, როდესაც გიული ლოგიში დაინახა.

— გიული..

— რა გინდა?

— სად იყავი?

— სად უნდა ვყოფილიყვავი?

— მე გეძებდი, გეძახდი...

— მერე რა?! შენ რომ გახვედი, ფარეხის ბოლოს ვიყავი.

— რატომ ხმა არ გამეცი, როდესაც ვიძახდი.

— „რატომ ხმა არ გამეცი, როდესაც მეძახდი“ — დააჯავ-
რა გიულიმ ალიას და შემდეგ განაგრძო: — იმისთვის არ გაგე-
ცი, რომ შენი წვალება მინდოდა.

— ი, შე ეშმაკო, შენა!.. — ღიმილით უთხრა ალიამ და
ლოგინში ჩაჯდა.

— დაწეჭი, რაღა, ჩემო ალი!...

ალია განცვიფრდა, ისე ალერსიანად უთხრა გიულიმ.
მთლიად გადარეული ალია მაშინვე ჩაწეა ლოგინში და სრესა
დაუწყო...

— ჩემო ალი!... — ღიმობიერად წამოიძახა გიულიმ და მის
წვერზე კოცნით განაგრძო უფრო მოშინბლავის კილოთი: — მე-
ძინება, გენაცვა, ნუ გამაღვიძებ...

ალია დაიბნიდა გიულის ალერსით. პირველად მიეალერ-
სა გიული იმ ღამეს ალიას, და იგი მზად იყო ამ ალერსის
გულისთვის თავი შეეწირა.

გიულიმ ხელის გული ყურის ქვეშ ამოიდო და ჩქარა ტკბი-
ლად ქშინვა დაიწყო. ღრმად, ღრმად ჩერინა მოქანცულ გი-
ულის, მხოლოდ ტუჩებზე სიამოვნების ღიმი უკრთოდა...

ალია კი განძრევასაც ერიდებოდა, რომ გიული არ გაე-
ღვიძებინა და მხოლოდ მის ქშენვით, მის სიახლოვით სტკბე-
ბოდა...

* * *

ის იყო მიტრუა მორჩა ყველაფერს: დარეცხა, დაასუფ-
ვა იქაურობა და კარავის ცოტა დაშორებით მყუდრო აღგი-
ლას მწვანეზე გადაგორდა. მაშინვე თავის მომავალზე დაიწყო
ფიქრი, თავის გაჭირვებულ გარემოებაზე. თუმცა პირველში
ძალიან აღვილად შეადგინა გეგმა, რომლის განხორციელება-
საც კიდევაც შეუდგა და სწორედ ეხლა შეეპარა ეპვები და

აგარ იცოდა, რანაირად მოეგვარებინა. ნატრობდა, რომ დროით შეღამებულიყო, რომ გიულისთან მოელაპარაკა და იმის რჩევათ და დახმარებით ესარგებლნა. მთელი დღეა, მუშაობის დროსაც კი, სულ ერთსა და იმავე საგანზე ფიქრობდა; და რაც მეტს უკვირდებოდა საგანს, მით უფრო იბნეოდა, იყარებოდა...

— იჱ, ღმერთო, ღმერთო!.. — წამოიძახა მიტრუამ და თვალები მაგრად ჩაიჭილიტა, თითქოს თავიდან სიმწვავე სულ უნდა გამოეჭილიტო.

— მიტრო!.. — შემოესმა უეცრივ ვიღისიც ხმა.

მიტრუა შეერეულდა ამ ხმაზე და სწრაფად წამოჯდა.

— ქერბალი, შენაა!!.. — უცნაურის ხმით შეეკითხა მიტრუა ქერბალაის, რომელიც თავს წამოსდგომოდა.

— მიტრო, ისე რა გავიჭირდა, რომ ეგრეგულ-ნატკენად ღმერთს შეჰდავლე?!.. — ღრეჭით დაეკითხა ქერბალაი და თვალები კი ისარივით გაუყარა.

მიტრუამ ვერ შეუძლო ქერბალაის თვალებს, გაწითლდა, თავი ძირს დახარა და ძლივს იმტყუნა:

— ისე!.. შინაურობა მომავონდა. დღეს ჩვენი დიღი-ოთხ-შაბათია. ამ ღამეს ჭიაკოცონიბას ვანთებთ და ზედა ვხტებით. მეც ბევრჯერ მიხტუნავია პატარაობაში. ის მომავონდა, მაშინ უდარდელი ვიყავი, მხიარული, დედ-მამა თავს დამტრიალებდა. ეხლა კი... ხომ ჰედავ, მოჯამავირე ვარ და სხვის წარბის მოძრაობას შეეცერი...

ქერბალი თითქმას რწმუნდებოდა მიტრუას სიტყვებით, ბოლოს და ბოლოს ისე გულ-წრფელიც ისროდა სიტყვებს. ქერბალის ეკონა, მატრუა მართლა მოგონებით იყო შეწუხებული. მაინც გადასწყვიტა ქერბალიმ პირდაპირ ლაპარაკი, რომ სამუდამოდ დარწმუნებულიყო მის უდანაშაულობაში.

— მიტრო, ხომ იცი, გული ეს ორი დღეა დაიკარგა?..

მიტრუა დაიბნა. სრულებით არ მოელოდა ამის იმის შემდეგ, რაც ზევათ იმტყუნა და ისე ხელოვნუ ჩად.

— ვიცი, ვიცი!.. მერე?! — დაბნევით უპასუხა ქერბალაის.

— მერე ისა, რომ გიული სადაც არის, შენ იცი!.. — მოს-
ხეპით უთხრა ქერბალიმ და უფრო დაფინებით ცქერა დაუწყო.

კიემა ოფლიმა დაასველა მიტრუა. „დავილუპე“... — უსიტ-
ყოდ წამოიძახა და მაინც სიცრუეს მიშმართა:

— ნეტავი ვიცოდე გიულის ბინა?!. მაშინ... ვეღარა მო-
ახერხა-რა და თავი უფრო დაბლა დახარა მიტრუამ, რომ მისი
სახის კრთომა ქერბალის არ შეემჩნია.

ქერბალია თითქმის დარწმუნდა, რომ გიული მიტრუას-
გან იყო გატაცებული, და ამისთვის, რომ მის თვის ნათელი ყო-
ფილიყო, უფრო მისახვედრად უთხრა:

— ეს არის ეტლა მამა-ჩემმა ყველა შვილები შეგვერიბა.
„საოჯახო შერცხვენაა“, — დაიწყო მამა-ჩემმა. — მართლაც სა-
ოჯახო შერცხვენაა, ჩემო მიტრო! ჩვენ ვერ მოვითმენთ ოჯა-
ხის შერცხვენას!.. ოჯახიდან ქალი მოგვტაცონ?!. ამაზე მეტი
თავზე ლაფის დასხმა-და გინდა?... თუმცა ყველა ჩვენის ოჯა-
ხის წევრნი მოხარულნი არიან, რომ მამა-ჩემს ასეთი მარცხი
დაემართა, მაინც საწყანოდ აქვთ ყველას. შეურაცხყოფა ოჯა-
ხისა...

— მართალს ამბობ, ჩემო ქერბალი, ოჯახის გალანძლვა
არის. — გააწყვეტინა ლაპარაკი ქერბალის მიტრუამ.

— ჩვენს ახლოს ბინა არა არის რა, — განაცრძო ქერბა-
ლიმ: — ჯერ გიულის დაკარგვა არავის გაუგია. ჩვენ გვინდა
გიული ისე მოვიყვანოთ, რომ არავინ იცოდეს...

— მერე, საიდან მოიყვანოთ?!. — განცვიფრებით დაეკითხა
მიტრუა.

— შენის საშუალებით. — გადაჭრით უთხრა ქერბალიმ და
განაცრძო: — ამაღამ შენ გიულისთან წახვალ; ჩვენ როგორებით
უკან, და, სადაც არის, ეიპოვით. თუ ძალას იხმარ, ჩვენც რამ-
დენიმე ძალას ვიხმართ და ძალით გაგანადგურებთ...

— საწყალი გიული!.. — უნებურად წამოიძახა მიტრუამ.

ეხლა კი დჭვის შეტანაც აღარ შეიძლებოდა. ქერბალიი
დარწმუნდა, მიტრუას რაც უნდა ეთქვა, ვეღარ გადაარწმუ-
ნებდა ქერბალის. მიტრუაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი შე-

გაუღია

უტყვიათ. საგონებელს მიეცა მიტრუა. ამიღამ რომ არ წისულიყო, გიული გაგიდებოდა; თუნდაც არ გადარეულიყო, მშიერა-მწყურვალი რას იჩამდა?!—გარედ ის ვერ გამოეიდოდა და თუ გამოეიდოდა, მაშინ ძნელი-ლა იყო იმისი დამალვა. მაშ რა ექმნა?!

მიტრუა ჩავარდა ამ წვალებაში და იღარ იცოდა რა ექ-
მნა. გულში იბრუნებდა ამ წვავე აზრებს და უფრო ჰქენჯ-
ნიდა. ქერბალაი მაინც აქ არ იჯდეს, რომ ჰაერისთვის მაინც
შეეჩინდა თავისი გარემოება. იქმნება, ცოტათი შემცირებუ-
ლიყო მისი ტანჯვა, ჰაერის სიოს შთაეგონებინა რამ. მაგრამ
ქერბალაი აქ იასაულივით იჯდა და პირში შეჭმსკერო-
და. ტუჩების განძრევასაც ვერ ახერხებდა. მიტრუა არ უც-
ქეროდა ქერბალაის, მაგრამ ჰგრძნობდა კიდ, რომ იგი თვალს
ადევნებდა.

მართლაც, ქერბალაი გაშტერებით ადევნებდა მიტრუას
სახის მოძრაობის თვალს და ტუჩებზე ლიმი უკრთოდა.

მიტრუას სუნთქვა შეუდგა. საჩქაროდ წამოდგა და წასვლა
დაპირა, რომ ცალკე თავის თავს გამოლაპარაკებოდა.

— მიტრო, მოიცა! — წამოიძახა ქერბალაიმ და ჩოხის კალ-
თა დაუჭირა.

— თავი დამანებე! — წყრომით უთხრა მიტრუამ და ჩოხის
კალთა ხელის დაქნევით გააშვებინა.

— მიტრო!... — წამოდგა ფეხზე ქერბალაი და მიუახლოე-
და.

— სულთა-მხუთავი ხომ არა ხარ, რა გინდა?!. — შეუტია
მიტრუამ და თვალებ-ანთებულმა ისე მზერა დაუწყო, თითქმის
ხელად ქერბალაის წალრჩობა უნდაო, რომ ერთი მტრით ნაკ-
ლები ყოფილიყო.

— ნუ მიწყრები, ჩემო მიტრო! — ტკბილად უთხრა ქერბა-
ლაიმ და მხარზე ხელი დაადო.

— მე არ გიწყრები!.. გასაწყრომი რა მაქვს?!. — უპასუხა-
ლულ-ლულით მიტრუამ და იმავე სახის გამომეტყველებით ელო-
და, რითი გათაედებოდა ქერბალაის საქციელი.

— ყველაფერი გითხარი. ეხლა რას აპირობდები?..

— რას მიედებ-მოედები, რა მითხარი?.. ან რას უნდა ვა-პარობდები?.. ვიული გაგექცათ, მე რა საჭმე მაქვსები?.. — ისე და-იწყო, ვითომც იმას სრულებით არ ეკითხება ვიულის საჭმე და არც რამე იცის ვიულის შესახებ.

— მიტრო, მოიგონე შენი სიტყვები: „ჩემს თავს ისე არ ვენდობი, როგორც შენაო“.

— მახსოვეს! მერე რა?!

— მერე ისა, რომ რატომ გულ-ახდით არ მეტყვი?..

— რა უნდა ვითხრა, როდესაც არა ვიცი-ჩა?!

— მაშ კარგი. მე გეტყვი: გახსოვს, პირველ დღეს ფლა-ვი რომ არ სჭავე და წყალზე წახველი. მერე წყალზედვე იე-თარმა ვიული გამოჰვანდა. ვიულის ჭარიც გამოჰყვა... მერე, მერე?! — უნებურად წამოიძახა მიტრუამ, და სი-

წითლე ყურებიდან შეეპარა.

უეცრივ თვალწინ წარმოუდგა პირველი ხვევნა და...

— მერე, მოითმინე და ყური დამიგდე: თქვენ რომ წახვე-ლით, ჩვენ მხიარულად ლანგრები დავლოკეთ. მხიარულადვე გა-რედ გამოველით და დამაძლრები ვმასლაათობდით. მე მამა-ჩემს თვალ-ყურს ეადევნებდი. ის თანდათან იღრუბლებოდა და წყა-როსკენ მაღი-მაღ კისერს იღრუცდა... „ბალარ, — დაუძახა ჩემ ცოლს მამა-ჩემა: „შენც რომ წყალი მოიტანო, არ მოგვექარ-ბებაო“. — უთხრა მამა-ჩემა და ისე გადუბრიალა თვალები, რომ უარს ვერ ეტყოდა ჩემი ცოლი. იყთარმა ღრეჭა დაიწყო, რამაც მამა-ჩემს გულ-მუცელი აუმღვრია. ბალარმა კი თულუხი გამოიტანა ფარეხიდან. მაშინვე მიეუხვდი მამა-ჩემს, წყალი რის. თეისაც უნდოდა. მაშინვე წამოვდექი და ჩემს ცოლს ხე-ლიდან თულუხი გამოვგლიჯე. „მე წავალ წყალზე, გავლა მინ-და-მეთქი“. — წამოვიძახე და წამოვდეი. ჩემი ცოლი ხეპრეა. ვიცოდი, ვიული შეგხვდებოდა. დიდი ხნის უნახავს გული აგი-ტოვდებოდა და ჩემი ცოლი კი თავის უგუნურობით ხელს შეგიშლიდა. ამისთვის მე წამოეელი. არც მოვტყუვდი. გადმოვ-დექ თუ არა პირველ ბექობს, შენ და ვიული გადახვეულები

იყავით. ფარი კი თავ-გადაგლეჯილი გარბოდა. ჩემი ცოლი რომ წამოსულიყო, თავს წამოგადგებოდათ თავის უგუნურობით და ხელს შეგიშლიდათ. მე კი მაშინვე გზა აგიქციეთ...“

მიტრუა მთლად გაწითლდა და თვალები აენოთ.

„მე ცოტა თქვენზე ადრე დავბრუნდი და მამა-ჩემი დავა-მშეიდე. იმას აღარავითარი ეჭვი აღარ, ჰქონდა, როცა თქვენ წყალი მოიტანეთ. იმ ღამეს შენ და გიული ერთად იყავით. ხომ გახსოვს?.. მე თქვენი მეთეალ-ყურე ვიყავი... შემდეგ აღა-რა ვიცი-რა. თავი მიგანებეთ...“

— მაშ, სულ შენ გამოგიქვეყნებია და ხელში მიგიცივარ! — ლაილრიალა მიტრუამ და მკლავი მაგრად დაუჭირა.

— გამოქვეყნება რომ მდომნოდა, მაშინვე გამოვაქვეყნებ-დი და არც მოგატაცებინებდი გიულის. მე თუ თვალ-ყურს ვა-დევნებდი, მხოლოდ იმისთვის, რომ თუ, ვინიცობაა, სხვაც და-გინახავდათ, მათთვის თვალი ამეხვია... შენი დაღუპვა რომ მდო-მნოდა, არც ასე გელაპარაკებოდა. შენთან არ მოვიდოდი და არ გეტყოდი, რომ თვალ-ყურს გადევნებთ-მეთქი...“

— ქერბალი, ქერბალი!.. — უეცრივ გონს მოვიდა მიტ-რუა და ქერბალის მხურვალედ გადაეხვია...“

— ეხლა მაინც მითხარი, რას აპირობ?! — დაეკითხა ქერბა-ლი, როდესაც მიტრუას მკლავებისგან განთავისუფლდა.

— ქერბალი, არ ვიცი, რას ვაპირობ, ტვინი ისე მაქვს არეული, რომ არ ვიცი, რას ჩავიდენ და რას არა. ამას კი გეტყვი, თუ ამაღამ გიული არ ვნახე, ის გადაირევა, მშეგრ-მწყურვალი მოკვდება.

— თუ ამაღამ წახეალ გიულისთან, დაიღუპებით ორივე-ნი. დღეს მამა-ჩემმა ყველას ერთად თავი მოვვიყარა და გვითხ-რა: „ჩვენი ოჯახი, მვონი მიტრუამ შეურაცყოვო. მოჰკალით, დააღრჩეთ, თუ მართლა ეგ არის ჩვენი ოჯახის შემარცხევნე-ლიო. თუ მე ცოლი მომტაცა, თქვენ დედა გაგიუპატიურათო. გიული თქვენი დედა არისო...“ ყველანი შეკინებულად სთვლიან ჩვენ ოჯახს იეთარის გარდა. იეთარს კადევაც უხარიან. მეც ისე ვაჩვენე მამა-ჩემს თავი, ვითამც გაბრაზებული ვარ...“

— ვის გაუცივარ, ვის?! — წამოიძახა მიტრუამ და კბილები გააკრაჭუნა.

— შგონი არაეის. ვამა-ჩემს ეჭერი ჰქონდა შენზე. როგორც დღეს ჩენ გვითხრა, ეშმაკურად გამოეყითხნა ოპანეზზასთვის. იმას ეთქვა: „წუხელს გარედ გაველ და მიტრუა სადღაც დაკარგულიყოვთ“. ოპანეზამ, მგონი, გიულის დაკარგვა არც კი იცის. თუ გვითხოს რამე, არა უთხრა-რა...

— მიტრო! — შეაწყვეტინა ლაპარაკი ოპანეზას ხმამ.

— შეილო მიტრო, — დაიწყო ოპანეზამ, როდესაც მიტრუა მივიდა იმასთან და ცალკე გავიღნენ... ქერბალაი კი გორაკს მოეფარა.

— შეილო მიტრო, — ისევ ამ სიტყვებით მიშმართა მიტრუას: — ეს არის ეხლა იეთარმა მიამბო გიულის დაკარგვა...

— შერე, მე რა?! — შეკახედ გააწყვეტინა სიტყვა მიტრუამ.

— კიდეც ეგ არის, რომ შენ რა, მაგრამ შენზე მოუტანიათ ეჭვი.

— ჩემზე?! — გაიკვირვა მიტრუამ.

— ჰო, შენზე და ამაღამვე ქალაქში უნდა წახვიდე. მაინც ყველები უნდა გამეგზავნა ხვალ სალამოთი და...

— ჰო და ხვალ სალამოთი წავიდებ!

— მოჰშორდი, თუ ღმერთი გწამ შარსა და შამაათსა. თათ-რების აშბავი ხომ იცი, რჯულამდის ჩაგყვებიან და მგონი სისხლიც გავიშრონ. შენ მაგივრად ლექსუა გამოგზავნე. შენ იქ დარჩი.

— ამაღამ არ წავალ!.. — გადაჭრით უპასუხა მიტრუამ და განაგრძო: — რა ვუყო, რომ მაგათ ეჭვი შემოიტანეს?! თუ კი მე უბრალო ვარ, მაგათ რაც უნდა იფიქრონ.

— გიოჩევ...

— ხვალ წავიდებ ყველებს.

— შენი ნებაა, მაგრამ...

შ. ათაგგისძირელი

(შემდეგი იქნება)

ვ ი რ ტ ე რ ი

თხზულება გატესი

(თარგმანი გერმანულიდან)

1-ლი ივლისი.

რა უნდა იყოს ლოტტა ავადმყოფისათვის, ამას ვკრძნობ ჩემს საკუთარ საბრალო გულზე, რომელიც უფრო ავად არის, ვიდრე ზოგიერთი სასწაულო ლოგინში სულთ-მობრძავი. ლოტტა რამდენიმე დღეს ქალაქში გაატარებს ერთ კეთილ მანდილოსანთან, რომელიც, ექიმების სიტყვით, სიკვდილს უახლოვ-დება და სურს ამ უკანასკნელ წამებში ლოტტა გვერდით ჰყავ-დეს. მე და ლოტტამ წარსულ კვირაში სტ...ს პასტორი ვინახულეთ, რომლის ბინაც ერთი საათის სავალზეა მოებში, ლოტტამ თან წამოიყვანა თავისი უმცროსი და. როცა ორი კაკლის ხით დაჩრდილულ ეზოში შევედით, კეთილი მოხუცებული პასტორი სახლის კარის წინ გრძელ სკამზე იჯდა. ლოტტას დანახვაზე, თითქო ხელახლი გამოცოცხლდათ, მას დაავიწყდა თავისი კორხლიანი ჯოხი და სტადა წამოდგომა მოსაგებებლად. ლოტტამ მიირბინა მასთან, ისევ დააჯდინა, თითონაც გვერდით მიუჯდა, გადასცა დიდი მოკითხვა თავისი მამისავან, დაუწყო ალერსი სულ უმცროს, საძაგელს და ჭუჭყიან ბავშვს, მო-სუცებული მამის ნუგეშს, უნდა გენახათ, როგორ ართობდა ლოტტა მოხუცს, როგორ იმაღლებდა ხოლმე ხმას, რათა პას-

*) იხ. „მოამბე“ № VIII.

ტორის ნახევრად სმენა დაკარგულ ყურებს გაეგონათ მისი ლაპარაკი; როგორ უამბობდა მას ახალგაზდა, ძალლობით საესე ადამიანთა უეცრად გარდაცალას, უყვებოდა კარლსბადის უპირატესობაზე და აქებდა მოხუცის გარდაწყვეტილებას იქ გამგზავრების შესახებ, არწმუნებდა, ახლა უკეთ, უფრო მხნედ გამოიხედები, ვიდრე ამას წინადაო. ამ დროს მე პასტორის მეუღლეს ვემუსაიფებოდი, როგორც ამას ზრდილობა მოითხოვდა. მოხუცებული სრულებით გამოცოცხლდა და ჩაკი მე დავუწეუ ქება კაკლის ხეებს, რომელნიც სასიამოვნოდ გვჩრდილავდნენ, ის მოჰყვა, თუმცა სიმძიმით კი, მათს ამბავს.

— უხუცესი კაკლის ხე,—დაიწყო მან,—არავინ იცის ვის-გან არი დარგული; ზოგი ერთ პასტორს ასახელებს, ზოგი მეორეს. ის უმცროსი კი ჩემი ცოლის ხნის არის, ოქტომბერში შეუსრულდება ორმოცდა ათი წელი. დილაზე რომ ის დაურგას ჩემს სიმამრს, საღამოზე ჩემი ცოლი დაბადებულა. ჩემი სიმამრი, ჩემი წინამოადგილე იყო სამსახურში და ძნელი წარმოსადგენია, როგორ უყვარდა ეს ხე; რა თქმა უნდა, არც ჩემთვის არის იგი ნაჯლებ ძვირფასი. ჩემი ცოლი ამ კაკლის ქვეშ იჯდა დირეზე და ჰქონდა, როცა მე დარიბი სტუდენტი ოცდა შვიდი წლის წინად პირელად მოვედი ამ ეზოში.

ლოტტამ მოიკითხა მისი ქალიშვილი.—„ბატონ შმიდტ-თან ერთად მუშებთან წავიდაო“,—მიიღო პასუხად და მოხუცმა განაგრძო თავისი ამბავი, თუ როგორ შეუყვარდა იგი თავის წინამოადგილეს და აგრეთვე მის ქალიშვილს, როგორ გახდა ჯერ მის თანაშემწედ და მერე მის მოადგილედაც.—მოთხრობის გათავება ჯერ შორს იყო, როცა ბაღში შემოვიდნენ პასტორის ქალიშვილი და ეგრედ წოდებული ბატონი შმიდტი. ქალმა გულმხერვალედ მოიკითხა ლოტტა, და უნდა გითხჩა, მე იგი მომეწონა. ის იყო ერთი ცოცხალი ტან იყრილი შევგვრემანი ქალი, რომელსაც სოფელში შეეძლებოდა ადამიანის გართობა. მისი საქმრო (შმიდტის მთელი ქცევა ამტკიცებდა, რომ იგი საქმრო იყო), ზრდილობიანი, მაგრამ ჩემი ადამიანია. იგი არ ერევოდა ჩვენს ბასში, თუმცა ლოტტა კი ცდილობდა, რომ მასაც

მონაწილეობა მიეღო საერთო ბასში. ამ გარემობაში მე იმან უფრო შემაწუხა, რომ მას ჩვენს ბასში მონაწილეობის მიღებას ჯიუტობა და ცუდი გუნება უფრო უშლიდა, ეს მას სახეზე ეტყობოდა, ვიდრე მისი ჰკუა-ნაკლებობა; შემდეგში სამწუხა-როდ ეს აზრი უფრო და უფრო მართლდებოდა. როცა ფრი-დერიკა ლოტტასთან სეირნობის დროს ერთხელ ჩემს გვერდი-თაც მოხედა, ბ-ნ შმიღერის ისედაც შავგვრემანი სახე ჩამობნელ-და, რომ ლოტტამ საჭიროდ დაინახა კალთა ჩამოეწია ჩემთვის და ენიშნებინა, ფრიდერიკას ნაკლები ყურადღება მიაქციეო. მე საშინლად ვძრაზდები ხოლმე, როცა ვხედავ, რომ ადამიანები ერთმანერთს სტანჯავენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამას ისინი სჩადიან ახალგაზღობის დროს; როცა მათი ცხოვრება უნდა ჰყეაოდეს და მათი გული ღია უნდა იყოს ყოველ სიხარული-სათვის, ესენი ერთმანერთს უწამლავენ ორიოდე ტკბილ წამს, რომელთ დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია; მე ეს არ მისვე-ნებდა. როცა საღამოზე პასტორისას დაებრუნდით და ერთ სუფრაზე რძეს შევექცეოდით, ბაასი შეეხო წუთისოფლიურ სიხარულსა და ტანჯვას. მე არ შემეძლო არ დაძეწყო გულ-წრფელი ლაპარაკი ივგუნებიანობაზე.

— ადამიანი ხშირად ჩივის, რომ მის ცხოვრებაში ბედნი-ერი დღე იშვიათია, უბედური კი ბევრი. მგონია, რომ ეს ჩი-ვილი უმეტეს წილად უსამართლოა. გული რომ ყოველთვის ღია გვქონდეს იმ კეთილის მისაღებად, რომელსაც ღმერთი ყოველ დღე გვიმზადებს, მაშინ ცუდის ასატანადაც საქმაო ძა-ლი გვექმნებოდა.

— მაგრამ ჩვენი გუნება ჩვენს ხელთ არ არის, — ჩაერია ლაპარაკში პასტორის ცოლი, — ბევრი რამ ჯანმრთელობისაგა-ნაც არის დამოკიდებული! ვინც ავად არის, ის ცუდ გუნება-ზედაც არის.

— მართალია, მაგრამ მაშინ ამას უნდა ვუცქიროთ, რო-გორც სნეულებას, — განვაგრძე მე, — და ვნახოთ, არის თუ არა რამე წამალი მის წინააღმდეგ.

— გნახოთ,—სთქვა ლოტტაზ,—მგონია ბევრი რამ თვით ჩვენგან არის დამოკიდებული. ეს მე ჩემს თავზე გამომიცდია. თუ რამე მაჯავრებს და მაწუხებს, მაშინვე წამოვსტები, რამ-დენჯერმე გავივლი ბაღში *contre-danse*'-ის მღერით და ყველა-ფერი უცრად ჰქონდა.

— სწორედ მაგისი თქმა შინდოდა მეც.—ეუპასუხე მე,— აეი გუნების საქმე იგივეა, რაც სიზარმაცისა, რადგან ავი გუნებაც სიზარმაცის ერთი დარკია. ადამიანი ბუნებით ზარმაცია, მაგრამ თუ ერთხელვე გამწნევდათ და თავს დავსძლიეთ, საქმე ცოცხლად და კარგად მიუის და ჩვენ ვპოულობთ შრომაში ჭრებარიც სიამოვნებას.

ფრიდერიკა სიამოვნებით გვისმენდა. მისმა საქმრომ კი ჩემ ნათქვამზე მიპასუხა, რომ ადამიანი თავის თავის მბრძანებელი არ არისო და განსაკუთრებით თავისს გრძნობებზე ბატონობა არ შეუძლიაო.

— აქ ლაპარაკი უსიამოვნო გრძნობაზეა და მისი თავი-დან მოშორება ხომ ყველას ჰსურს, — ვუთხარი მე,— რაც შეეხება ჩვენს ძალას, ჩვენ მას ვერ ვიცნობთ, სანამ იგი საქმეში არ გამოგვიცდია.

სნეული ხომ ყველა ექიმებს ეკითხება და სრულის მორჩილებით დებულობს უმწარეს წამლობასაც კი, ოლონდ სანატრრელი ჯანმრთელობა დაბიბუნოს, განა ამ შემთხვევაშიც ეგრე არ უნდა მოიქცნენ. მე შევამჩნიე, რომ პატიო-სანი მოხუცი თავისს სმენას ძალას ატანდა, რათა ბაასში მონაწილეობის მიღება შესძლებიყო. მე ხმა ავიმაღლე და სიტყვა მისკენ მივმართე. ყოველ გვარ ბიწიერების წინააღმდეგ უქადაგნიათ, — განვაგრძე მე,— და მე თავის დღეში არ გამიგონია, რომ ეკკლესიაში ავ-გუნებიანობის წინააღმდეგ ეთქვათ რამე*),

— ეს ქალაქის პასტორების საქმეა, გლეხშა არც კი იცის ავი გუნება რას ჰქვია. — სთქვა მოხუცმა: — თუმცა ასეთი ქადა-

*) ჩვენ გვაქვს ახლა საუცხოვო ქადაგება ლაფაცერისა ამ კითხვის შესახებ და სხვათა შორის ქადაგება იონას წიგნზე.

გება ხანდისხან არც აქაურებს აწყენდა; მაგალითად ჩემს ცოლსა და მოსამართლეს.

დამსწრე საზოგადოებას სიცილი შესქდა, გულიანად იცი-
ნოდა თვით პასტორიც, სანაც ხველა არ აუტყდა, რომელმაც
ჩვენი კამათი ცოტა ხნით შესწყვიტა. მერე კი ისევე შმიდტმა
დაიწყო.

— თქვენ ავკუნებიანობას ბიჭიერება უწოდეთ. მე მგონია
ეს გადაჭარბებაა.

— სულაც არა, — ვუპასუხე მე, — ის თვისება, რითიც ადა-
მიანი თავსაც აენებს და მოყვარესაც ამ სახელის ღირსია. განა
ის არ კმარა, რომ ერთმანერთის გაბედნიერება არ შეგვიძლია?
რად უნდა მოკტაცით ერთმანერთს ის სიამოვნებაც, რომელ-
საც ხან-და-ხან გული თეთოონ თავისითვის ჰპოულობს. აბა და-
მისახელეთ ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ავგუნებაზეა და
ამასთანავე იმდენად ერევა თავის თავს, რომ თავის ავგუნებას
მალავს და მარტო იტანს მას გარშემო მყოფთა სიხარულის
დაურღვეველად! ავგუნებიანობა უფრო ჩვენივე უვარევისობით
გამოწვეული შინაგანი უკმაყოფილებაა, იგი ჩვენივე თავისადმი
მიმართული ჯავრობაა, რომელიც მუდამ შურთან არის შეერ-
თებული. შური კი ყოველთვის უგუნური ამაოების შედეგია:
ვხედავთ ბედნიერ ადამიანს, რომელსაც ჩვენ არ ვაბედნიერებთ,
და ეს ჩვენთვის აუტანელია.

ლოტტა შემომლიმოდა, რადგან ხედავდა, თუ რა მღელ-
ეარებით ვლაპარაკობდი; ფრიდერიკას თვალზე დანახულმა კურ-
ცხალმა კიდევ უფრო წამაქეზა ლაპარაკის გასაგრძელებლად.

— ვაი მას, ვინც ცუდად ხმარობს იმ გავლენის, რომელიც
მას სხეის გულზე მოუპოვებია: სტაცებს მას იმ უბრალო და
პატარა სიხარულს, რომელიც გულს თავისავე სიღრმიდან იღ-
მოუცენებია. ვერავითარი საჩუქარი, ვერავითარი თავაზი ქვე-
ყანაზე ერთი წამითაც ვერ აღვიზდავს იმ სიამოვნებას, რო-
მელსაც ჩვენი მტარვალის შურიანი ჯავრობა გვიწამლავს.

მთელი ჩემი გული ამ წამში სავსე იყო ზოგი რამ წარ-
სულის მოგონებით და თვალებზე ცრემლები მომადგა. მე გან-

ვაგრძე. ყოველ დღე უნდა ეუბნებოდეს ადამიანი თავისს თავს,— ნუ მოსტაცებ მეგობარს, რისიც გარდახდა არ შეგიძლია და შენ კი არ ძალგის არგო გას სხვანაირად, თუ არა იმითი, რომ დაუტოვო მას მისი სიხარული და უმატო მის ბედნიერებას ამ სიხარულში მონაწილეობის მიღებით. შეგიძლია განა მიანიჭო მას თუნდ ერთი წვეთი შეება, როცა მისი გული დასერილია მწვავი გულის თქმით და სავსეა მწარე ნაღველით?

და როცა უკანასკნელი და მაშასადამე უსაშინელესი სნეულება ეწვევა იმ ქმნილებას, რომელსაც ახალგაზღობა მოუწამდე და წევს იგი საბრალოდ ღონე-მიხდილი ზეცისკენ მიმართულ უგრძნობო თვალებით, მომაკვდავის ოფლით გაფითრებულ შუბლზე, შენ დგეხარ მის ლოგინის წინ, როგორც შეჩვენებული და მთელის შენის არსებით ჰგრძნობ, რომ ვერაფერს გააწყობ. შინაგანი შიში ზარსა გცემს, მზათა ხარ გაიღო ყველაფერი, რომ შეგეძლოს შთააპულო მომაკვდავს ერთი წვეთი ღონისა, ერთი ნაპერწკალი იმედისა.

ამას რომ ვამბობდი, მომაგონდა ერთი ამგეარი სცენა, რომელსაც მე თვითონ დაუსწარი, და ამ მოგონებამ შეიპყრო მთელი ჩემი არსება. მივიფარე თვალებზე ხელ-მანდილი და დავტოვე საზოგადოება. მხოლოდ ლოტტას ხმამ „წახვლის დრო არისო“ მომიყვანა გონზე.—როგორ გულმტკიცნეულიდ მკიცხავდა გზაში ლოტტა, „რისთვის ლებულობ ასეთ მხურვალე მონაწილეობას ყველაფერშიო, ეს შენ დაგლუბავსო, თავს უნდა მოუაროვო“. ოო, ანგელოზო! შენი გულისათვის ვიცოცხლებ!

6 ივლისი.

ის სულ თავისს მომაკვდავ შეგობარ ქალთან არის, მუდამ იგივე, ყოველთვის მადლიანი ქმნილება, რომელიც, საითაც მიიხედავს, ყველგან ტკიფილს აცხრობს და ბედნიერებას ამყარებს. გუშინ ის მარიანასთან და პატარა მალოსთან ერთად ხასეირნოდ წავიდა. მე ეს ვიცოდი, წინ შევხვდი მათ და ერთად წავედით. საათნახევრის მანძილი რომ გაეიარეთ, მიეცით ქა-

ლაქის ახლოს წყაროსთან, რომელიც ისე ძვირფასი იყო ჩემ-
თვის და ახლა თასჯერ უფრო ძვირფასია. ლოტტა პატარა
წყაროს კედელზე ჩამოჯდა, ჩვენ კი მის წინ ვიდექით. მე თვა-
ლი მოვავლე იქაურობას და დრო ჩემი გულის მარტოობისა კვლავ
ცოცხლად წარმომიდგა თვალ წინ. „ძვირფასო წყაროვ, —ვთქვი
მე, —მას აქეთ შენს სიგრილეში იღარ განმისვენებია, და
თუ ხანდახან საჩქაროდ გვერდი ამივლია, არც კი მომიხე-
დავს შენკენ“. მე ჩავიხდე ჭვეით და დაენიახე პატარა მაღლ
სავსე ჭიქით ხელში ზევით მოდიოდა. —შევხედე ლოტტას და
სავსებით ვიგრძენი, თუ რა არის იგი ჩემთვის. —ამასობაში ამო-
ვიდა პატარა მაღლო. მარინას უნდოდა ჭიქის ჩამორთმევა.

— არა, —დაიძახა ბავშვმა უტკბილესის ხმით, —არა, ლოტ-
ტა, ჯერ შენ უნდა დალიო!

გულწრფელობამ და გულკეთილობამ, რომლითაც ბავ-
შვმა ეს დაიძახა, ისეთ იღტაცებაში მომიყვანეს, რომ ბავშვს
ხელი დავავლე და მხურვალედ დავკოცნე, ბავშვმა ტირილი
მორთო.

— ეს ცუდი მოგივიდათ, —მითხრა ლოტტამ.

მე გაეოცდი.

— გოდა, მაღლო, გრილი წყაროთი მოიბანე, ჩქარა, ჩქარა
და აღარა გიკირს-რა, წვერი იღარ ამოგივა, —უთხრა ბავშვს
ლოტტამ, მოჰკიდა ხელი და ჩაიყვანა ძირს.

რა ბეჯითად იხეხდა ლოყებს ბავშვი თავისი პაწაწინა ხე-
ლებით, რა დარწმუნებული იყო, რომ ეს სასწაულ-მომქმედი
წყარო მოსწმენდა ყოველ მწიკელს და გააქრობდა საძაგე-
ლი წვერულვაშის შეხებით მიყენებულ სირცხვილს და თუმცა
ლოტტამ უთხრა, კმარაო, ის მაინც გულმოღინედ იბანდა და
იბანდა, თოთქო ბეერ ბანას მეტი შესძლებიყო, ვიდრე ცოტას...
უნდა გითხრა ვიღმევლმ, რომ არასოდეს ასეთის მოწიწებით
ნათვლას არ დაესწრებივარ, —და როცა ლოტტა ზევით ამო-
ვიდა, მე მზად ვიყავი მის წინ მუხლი მომეყარა ვითარცა წი-
ნაშე წინასწარმეტყველისა, რომელმაც ერი ცოდვებისაგან
განბანა.

მეტის სიხარულისაგან ვეღარ მოვითმინე და ეს შემთხვევა ვუამბე ერთ კაცს, რომელშიაც, როგორც გონიერ აღა-
მიანში, ადამიანური გრძნობა მეგულებოდა, მაგრამ როგორ
შევცდი!

— ლოტტა ცუდად მოქცეულაო,—სთქვა მან,—ბავშვს ამ
გვარი არაფერი არ უნდა შთააგონოვო, ეს არის მიზეზი ყო-
ველის შეცდომისა და კრუმორწმუნეობისა, რომელთაგანაც
ბავშვები თავიდანვე უნდა დაიფაროვო.

მაშინ მომაგონდა რომ ამ კაცს ჩვეა დღის წინად ნათ-
ლობა ჰქონდა, ამიტომ მისი შენიშვნა უყურადღებოდ დატო-
ვე და გულში დავრჩი ერთგული ამ კეშმარიტებისა: ჩვენ უნდა
ვექცეოდეთ ბავშვებს ისე, როგორც ჩვენ გვექცევა ღმერთი:
ის ბედნიერად გვხდის მაშინ, როცა ტკბილ ილლიუზია გვა-
რარებს.

8 ივლისი.

— ღმერთო, რა ბავშვია ადამიანი! რა ძეირფასია მისთვის
ერთი შემოხედვა! რა ბავშვია ადამიანი! — ჩვენ ვალპიმში წავე-
დით. ქალები ეტლით წავიდნენ. სეირნობის დროს მე მეგონა,
რომ ლოტტას შავ თვალებში... სულელი ვარ! ბოდიშ ვიხდი
შენთან! უნდა გენახა ის თვალები! — მოკლედ გწერ, რადგანაც
ძილისაგან თვალები მეხუჭება... ქალები ისევ ჩასხდნენ ეტლ-
ში; ეტლთან ვიდექით ახალგაზდა ვ... ზელმშტადტი, ოდრანი
და მე. ქალები ეტლიდან ელაპარაკებოდნენ იმ კაცუნებს, რო-
მელნიც, თქმა არ უნდა, ძალიან გონება-მახვილნი და მხიარულ-
ნი არიან. — მე ლოტტას თვალებს ვეძებდი; ახ, ისინი ერთიდან
მეორეზე გადადიოდნენ! ჩემზე კი? ჩემზე? ჩემზე, რომელიც სულ
ერთიანი იმაზე ფიქრით ვიყავი შეპყრობილი, — არა! ჩემი გული
ეუბნებოდა მას ათასს „მშვიდობით“-ს, მან კი მაინც არ გად-
მომხედა! ეტლმა ჩაიარა და თვალებზე ცრემლი მომადგა. მე
თვალი გადავავლე ეტლს, რომლიდანაც ლოტტამ თავი გამო-
ჰყო და მოიხედა. ჩემკენ? — ძეირფასო! ამ ეჭვში ვარ; ეს არის

ჩემი ნუგეში: იქნება მან ჩემსკენ მოიხედა! იქნება! ლამე მშვილობისა! ოოჭ, რა ბავშვი ვარ!

10 იფლისი.

უნდა მნახო, რა სასაცილო ვარ, როცა საზოგადოებაში ლოტტაზე ლაპარაკობენ! განსაკუთრებით მაშინ, როცა მკითხაენ, როგორ მოგწონს. „მოგწონს“! — ეს სიტყვა სიკულილივით მეჯავრება. რა კაცი უნდა იყოს ის, ვისაც ლოტტა არ მოსწონს, ვისაც იგი არ აღუგსებს ყოველს ფიქრს, ყოველს გრძნობას! მოგწონსო! ამას წინად მკითხა ვიღამაც, თხსიანი როგორ მოგწონსო!

11 იფილის.

ქალბატონი მ... ძალიან ცუდად არის. მე ვლოცულობ მისთვის, რადგან ლოტტას მწუხარება მეც მაწუხებს. ხან-და-ხან ჩვენ ერთმანერთს ეხედავდით ერთ მის მეგობარ ქალთან და დღეს მან მიაშბო ერთი საკვირველი ამბავი. მოხუცი მ... ერთი ხელ-მოჭერილი ძუნწი ადამიანია, რომელიც თავისს ცოლს მთელი სიცოცხლე აწვალებდა და ავიწროებდა. ცოლი კი, თუმცა გაჭირებით, მაგრამ მაინც ახერხებდა ოჯახის საქმის გაძლილას. რამდენიმე დღის წინად, როცა ექიმმა მისი სიცოცხლის წამები დათვალია, ავადმყოფმა მოიხმო ქმარი. — ლოტტა იმ დროს იქ იყო. — ცოლმა მიჰმართა ქმარს შემდეგის სიტყვებით: მე უნდა გამოგიტყდე შენ ერთს საქმეში, რომელსაც ჩემი სიკვდილის უკან არეულობისა და უსიამონების გამოწვევა შეუძლია. მე ამოდენი ხანი ემართე თავისი შეძლებისამებრ წესიერად და მომჭირნეობით: მხოლოდ მომიტევე, რომ ამ თკიდა თთი წლის განმავლობაში გატყუებდი. ჩვენ დაქორწინებასთანავე შენ დამინიშნე მცირე თანხა სამზარეულო და სხვა შინაური ხარჯის გასაწევად. როცა ჩვენი საქმე უკეთ წავიდა და ჩვენ გავმდიდრდით, შენ მაინც ვერ დაგიყოლიე ყოველ კვირეულ თანხის მომატებაზე გარემოებათა მიხედვით. ერთი სიტყვით, როცა ჩვენი მდგომარეობა საუკეთესოდ მოეწ-

ყო, შენ მაშინაც ითხოვდი, რომ კეირაში შეიდი გულდენი მექაროს; მე სიტყვის შეუბრუნებლად დაგმორჩილდი და გადამეტებულ ხარჯს შენივე თანხიდან გაესცდი და ვინ ითიქ-რებდა ცოლი ქმარს სალაროდან ფულს ჰპარავსო. მე არაფერი გამითლანგავს და შემეძლო უამიღსარებოდაც თამამად შევხ-ვედროდი უკუნოებას, მაგრამ სახეში მყავდა ის, ვინც ჩემს შემდეგ დაიწყებდა დიასახლისობას. მას არ ეცოდინებოდა, საიდან მოქმართა ხელი, როცა შენ დაუკინებდი, პირველი ცოლი ცოტას იმყოფინებდა ხოლმეო.

მე ველაპარაკე ლოტტას ადამიანის გონების ასეთ დაუჯერებელ დაბრმავებაზე; როგორ ვერ მიხვდა კაცი, რომ რაღაც ამბავია, როცა თეითონ შეიდი გულდენს იძლევა და ცოლი კი 14 გულდენის საქმეს ახვედრებს სახლში; მაგრამ მე მინახავს ხშირად ისეთი ადამიანიც, რომელსაც არ გაუკვირდებოდა, თავის სახლში რომ წინასწარმეტყველის გამოულეველი ზეთის ჭურჭელი ენახოს.

13 ივლისი.

არა, მე არ ვტყუვდები! მის შავ თვალებში ვკითხულობ ჭეშმარიტ თანაგრძნობას ჩემდამი და ჩემის ხვედრისადმი. ვგრძნობ და შემიძლია ამაში ჩემს გულს ვენდო, ვგრძნობ, რომ მას... ოჲ, როგორ გავმეცო, როგორ შევსძლო ციურ ბელნიერების ხიტყვებით გამოთქმა! მე მას ვუყვარვარ!

ვუყვარვარ! — რა ძვირფასი შევიქენი ჩემი თავისთვის, როგორ... (შემიძლია ეს გითხრა შენ, რადგან გრძნობა გაქვს და გაიგებ) — როგორ ვაღმერთებ ჩემსავე თავს მას შემდეგ, რაც ლოტტას ვუყვარვარ.

კადნიერებაა ეს, თუ ჭეშმარიტ ნამდვილად არსებულ დამოკიდებულების შეგნება? მე მეტოქე არ მყავს ლოტტას გულში, მაგრამ მაინც, როცა იგი თავისს საქმროზე ასეთის გრძნობით, ასეთის სიყვარულით ლაპარაკობს, მე იგივე მემართება, რაც იმ კაცს, რომელსაც ყოველ ღირსებას და პატივსა ხდიან და ხმალს არ თმევენ.

16 ივლისი.

ახ, როგორი ერუანტელი დამირბენს ხოლმე მთელს სხეულში, როცა ჩემი თითები უნებურად მისას მოხვდება, როცა მაგიდის ქვეშ ჩვენი ფეხები ერთმანერთს შეხვდებიან! როგორც ცეცხლიდან დამწვარი, უკან დავიწევი, მაგრამ რაღაც იღუმალი ძალა მაინც ისევ წინ მწევს — თავბრუ მესხმება და გონებას ვყარგავ. ოჯ! მისი უმანკო, მისი წრფელი გული კი ვერ ჰგრძნობს, თუ როგორ მტანჯავს ხოლმე ეს წვრილმანი მეგობრული ალერსი. — როცა ის მუსათის დროს თავისს ხელს ჩემსახე ადებს ან ბასით გატაცებული ისე მომიახლოვდება, რომ მის ბაგეთა ზეციერი სულ-თქმა ჩემამდინ აღწევს... მე სრულებით ვყარგავ გონებას, როგორც მეს დაცემული. — ვილჟელმ! თუ ოდესმე გავძედე ამ ზეცით, ამ ნდობით... გესმის ხომ. არა, ჩემი გული ასე გაფუჭებული არ არის! სუსტი კია, საკმაოდ სუსტი და ეს ხომ გაფუჭებულობა არის?

ლოტტა წმიდაა ჩემთვის. მასთან ყოფნის დროს მიცხრება ყოველი წალილი. ვერასოდეს ვერ გამიგია რა მემართება, როცა მასთან ვარ. ისე ვერძნობ თავს, თითქო სული ჩემი ყოველ ნერგში მიმოტრიალობდეს. მან ერთი მელოდია იცის, რომელსაც პიანინოზე უკრავს ხოლმე ანგელოზის ძლიერებით, მარტოეად და სულგულიანად. ის მისი საყვარელი მელოდიაა და როგორც კი აიღებს იგი პირველ ნოტს ამ სიმღერისას, მე მყის მავიწყდება ყოველი ტანჯვა, ვაება და სულის კვეთება.

არც ერთი სიტყვა ძველებისა მუსიკის ჯადოსნურ ძალის შესახებ დაუჯერებლად აღარ მიმაჩნია, რაკი უბრალო მელოდია ასე ღრმად მოქმედობს ჩემზე. მერე მაშინ იცის ხოლმე მისი მღერა, როცა მე, მზადა ვარ შუბლში ტყვია ვიკრა აღელვებული გული ცხრება, სიბნელე იფანტება და მე სულს ვითქვამ კვლავ თავისუფლად.

18 ივლისი.

რა იქნებოდა ქვეყანა უსიყვარულოდ! რა არის თილის-მური ფარანი უსინათლოდ! მაგრამ აანთებ თუ არა შიგ პატა-

რა ლამპარს, კედელზე შენს თვალშინ იხატებიან ნაირ-ნაირი სურათები! და თუ ქვეყანა მართლა წარმავალი ფანტომია და სხვა არაფერი, რა გვენალვლება! ჩვენ ხომ მითაც ბედნიერი ვართ, რომ ბავშვებივით ვდგავართ მის წინ და აღტაცებაში მოვდივართ მის სასწაულებრივ მოვლენებით. დღეს ველარ წავედი ლოტტასთან, ერთმა მიუცილებელმა გარემოებამ დამაკავა. რა უნდა მექნა? გავგზავნე მასთან ჩემი მსახური, რათავინმე მყოლებოდა ჩემთან მისი დამნახველი. რა მოუთმენლად ველოდი მას, რა სიხარულით მივეგებე! სიამოვნებით მოვეცვეოდი მას და ვაკოცებდი, რომ არ შემჩრცვენოდა.

ამბობენ ბონონის ქვა, მზეზე გადგმული, მზის სხივებს იზიდავს და ღამით რამდენიმე ხანს ანათებსო. ჩემ მსახურსაც ეკრე მოსვლოდა. ის ფიქრი, რომ ლოტტას შეუხედავს მისი სახისათვის, ღილებისათვის, საყელოსათვის, ქმნიდა მას ჩემთვის ძვირფასად. მე მას ათასი ტალერისთვის არ შეველეოდი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ შენ ამისათვის დამკინო, ვილჟელმ. თუ ეს ფანტომი მოჩვენებაა, რა ვუყოთ მერე: მე მით ბედნიერი ვარ!

19 ივლისი.

მე ვნახავ მას! გავიძახი ხოლმე დილით, როცა თაეს ვამხნევებ და მხიარულად შეეყურებ მზეს. „მე ვნახავ მას!“ და მთელი დღისთვის სხვა სურვილი აღარა მაქვს-რა! ყველაფერი, ყველაფერი ჰქონება ამ სურვილისა და იმედის წინ.

20 ივლისი.

მე ვერ ვეთანხმები თქვენ აზრს შესახებ ელჩიან ში წასვლისა. მე არც აგრე ძალიან მიყვარს მორჩილება და ამას გარდა ისიც ყველამ ვიცით, რომ ის კაცი კარგი ადამიანი არ არის. შენ,—მწერს დედა-ჩემი,—უნდა რასმე აკეთებდეო; სასაცილოა, ღმერთმანი! როგორ? ახლა კი არაფერს ვაკეთებზე ღმერთო ჩემო, განა სულ ერთი არ არის მუხუდოს ვითვლი თუ ცერცეს? ამ ქვეყნად ყველაფერი ამაოა და იდამიანი, რომელიც ქონებისათვის, პატივი სათვის ან სხვა რამესათვის მუშაობს ისე,

გერტერი

რომ ეს მის წადილს, მის მოთხოვნილებას არ შეაღენს, ასეთი აღამიანი სულელია.

24 ივლისი.

რაღვან შენ ძალიან გსურს, რომ ჩემი მხატვრობა არ მივივიწყო, ამიტომ მერჩია ამ საგანზე ხმა არ ამომელო; უნდა გამოგორუდე, რომ დიდი ხანია თითქმის არა გამიკეთებია რა.

ჯერ არაოდეს არ ყოფილვარ ასე ბეღნიერი, არაოდეს ჩემი გრძნობა და შეენება ბუნებისა, უმცრეს კენჭამდინ, ბალ ახამდინ, ასე ღრმა და სავსე არა ყოფილა და მაინც... არ ვიცი როგორ გამოვთქვა, ჩემი შემოქმედებითი ძალა ის დასუსტებულია, ყველაფერი ისე ცურავს და ირხევა ჩემ თვალშინ, რომ ორი ხაზის გასმაც კი არ ძალიძის. თავს მით ვინუგეშებ, რომ ვფიქრობ—ქანდაკებას რომ ხელი მივყო, უთუოდ რასმე გამოვსახვდი. თუ დიდხანს გაგრძელდა ასე, ავიღებ თხას, დავზელ და თუნდა იქიდან ლავაში გამოვიდეს!

სამჯერ დავიწყე ლოტტას სურათი და სამჯერვე შევრცხ. ვი; ეს მით უფრო მწყინს, რომ ეს ერთი ხანია ვახერხებ მიმზადებას; ბოლოს მისი სილუეტი მოვხახე და ჯერ ამით უნდა დავკმაყოფილდე.

25 ივლისი.

დიალ, საყვარელო ლოტტა, ყველაფერს მოვაწყობ, ყველაფერს დავამზადებინებ; მხოლოდ რაც შეიძლება მეტი საქმე გამანდე და ხშირად, უფრო ხშირად. ერთს რასმე კი გთხოვთ ბარათზე სილას ნულარ მოყრით ხოლმე: დღეს თქვენი ბარათი სწრაფად ტუჩებისაკენ გავაქანე და კბილებსა და კბილებს შეუა სილას გახრამუნებ.

26 ივლისი.

რამდენჯერ დავაპირე მისი უფრო იშვიათად ნახვა! მაგრამ ვინ მოითმენდა! ყოველ დღე განსაცდელში ვვარდები. საღამოს ალთქმას დავდებ ხოლმე: ხეალ ერთხელ მაინც უთუოდ

შინ დავრჩები. მაგრამ როცა თენდება, მე ისევ რაიმე მიუკი-
ლებელ მიზეზს ვჰოულობ და სანამ მოეიფიქრებდე, უკვე ლოტ-
ტასთანა ვარ. ან, მაგალითად, თვითონ ლოტტა გკითხავს სა-
ლამოს: ხვალ ხომ ენახავთ ერთმანერთსაო? და, აბა, ვის შეუძ-
ლიან არ წავიდეს? ან-და რამე მონდობილობას მაძლევს და
უფრო მოხერხებულად მიმაჩინა პასუხი პირადად გადავცე; ან-
და დღე მეტად მშვენიერია, მე მივდივარ ვალაპიმში და იქიდან
ხომ ლოტტას სახლიამდის ნახევარი საათის სავალია! ნამეტანი
ახლოსა ეარ მისს ატმოსფერასთან... და ერთ წამში იქა ვჩნდე-
ბი. ბებია-ჩემმა ერთი ზღაპარი იცოდა ანდამანტის მთის შესა-
ხებ: როგორც კი მას მიუხასლოვდებოდა, რაც კი რამ რკინეუ-
ლი მოიპოვებოდა გემზე, მთისკენ გაფრინდებოდნენ და საბრა-
ლო ზღვაოსნები იღუპებოდნენ დაშლილ და დარღვეულ ფიც-
რებს შუა.

30 ივლისი.

ალბერტი მოვიდა და მე უნდა წავიდე! თუნდა ის საუკე-
თესო, უკეთილშობილესი ადამიანი იყოს, მე ყველაფრით მჯობ-
დეს, მაინც არ შემიძლაან ავიტანო, იგი ასეთ საუნჯეს ფლობ-
დეს, კმარა, ვილჰელმ — საქმრო აქ არი! — ერთი ჩინებული,
გულწრფელი და ყოჩალი ახალგაზდა კაცი, რომელიც ლირ-
სია სიყვარულისა. საბეჭდიეროდ მათს შეხვედრას არ დავს-
წრებივარ. ეს მე გულს გამიგმირავდა. გარდა აზისა ის იმდე-
ნად პატიოსანი ადამიანია, რომ ჩემთან მას ლოტტასთვის ერთ-
ხელაც არ უკოცნია! ლმერთმა მიუზღოს სამაგიერო! ის ლო-
ტტას დიდ პატივსა სცემს და ამისათვის უნდა მიყვარდეს იგი.
მასაც მოვწონვარ და, მგონია, ეს ლოტტას საქე უფრო არის,
ვიდრე ალბერტის საკუთარ გრძნობისა; ამისთანებში ქალები
დახელოენებულნი არიან და კარგსაც შვრებიან: თუ ქალს ორი
მოტრფიალე ჰყავს და ისინი ერთმანერთან კარგ განწყობი-
ლებაში არიან, ეს ხომ მისთვის კარგი სასარგებლო საქმეა,
თუმცა ყოველთვის არ ხერხდება ეს.

ალბერტს ვერ მოვაკლებ ჩემს პატივისცემას. მისი მშვიდი და წყნარი ხასიათი წარმოადგენს სრულს კონტრასტს ჩემი ხასიათის მოუსვენარობისას. მას ბევრი გრძნობა აქვს და იცის, რა ძეირფასი საუნჯეა მისთვის ლოტტა. როგორც ეტყობა, ის არ არის ავგუნებიანი და შენ ხომ იცი, რომ ადამიანის ისე არა მეჯავრება-რა, როგორც ავგუნებიანობა.

ალბერტი გონიერ ადამიანად მთელის და ჩემი სიყვარული ლოტტასადმი, ჩემი სიმპატია და თანავრცნობა ყველაფრისა, რაც კი ლოტტას ეხება, ალბერტის ტრიუმფს, გამარჯვებას აძლიერებს და მას ლოტტა მით უფრო უყვარს. გრძნობს თუ არა იგი ხანდახან პატარა იჭერანობას მაინც? არ ვიცი. მე სწორედ მის ადგილას ამ მაცდურს თავს ვერ დავახშვევდი!

ის, როგორც უნდა, ისე იყოს! მე კი მომესპონ სიხარული ლოტტასთან ყოფნისა რა ვუწოდო ამას, სიგიერ თუ სიბრძავე? ან რა საჭიროა სახელი, როცა თვითონ საგანი ლაპარაკობს! მე ალბერტის მოსვლამდინაც ვიცოდი ყველაფერი, რაც ახლა ვიცი, ვიცოდი, რომ მე ლოტტაზე არავითარი უფლება არა მაქვს და არც მითქვამს, რომ ჩაქვს, იმდენად, რამდენადც შესაძლებელია ადამიანმა ასეთ გულის წარმტაც არსების წინ ყოველი წადილი ჩაიჩუმო, — და ეხლა კი ბრიყვი თვალებსა ვპყეტ და ვოცდები როცა მოდის მეორე და ხელიდან სატრფოს მაცლის!

ტუჩებს ვიკვნეტ, კბილებს ვაღრჭიალებ და თან დავცინი ჩემს სისაწყლეს და იმას ორჯერ-სამჯერ უფრო დავცეინებდი, ეინც მეტყოდა, — უნდა დაემორჩილო ბედს, რადგანაც საქმე სხვაგვარად არ მოეწყობაო...

მომაშორეთ თავიდან ეს სიბრძნის გუდები!.. ტყეებში დავრბივარ და როცა ლოტტასთან მივდივარ და მას ვნახულობ ბალში ჩრდილს ქვეშ ალბერტთან ერთად, მეტს ველარ ვითმენ, ვიწყებ გიუურ მხიარულებას, მასხარაობას და თამაშს; ბავშვები მეტად მხიარულნი არ არიან და მე კი არ ვიცი, რასა ვბოდავ!.



— თუ ღმერთი გწამთ, — მითხრა ლოტტამ დღეს, — გუშინ-დელს სკენას ნულარ გაიმეორებთ; მე მეშინია, როცა ისე მხი-არულსა გხედავთ!

ჩვენ შორის იყოს და, მე დროს შეეირჩევ ხოლმე, როცა აღმართოს საქმე აქვს. — სკუპ! მე ლოტტასთანა ვარ და ყოველ-თვის ბედნიერად ვგრძნობ თავს, როცა ის მარტო მხვდება.

8 აგვისტო.

ძეირფასო ვილჰელმ! ნუ მიწყრები; მე ხომ შენზე არ ვლა-პარაკობდი: მე იმ ადამიანებს ვკიცხავდი, რომელნიც ჩვენგან გარდუვალის ბედის მორჩილებას თხოულობენ. ჭრიშმარიტად, მე იმ დროს არ ვფიქრობდი, თუ შენც იმავე აზრის იყავი. საქ-მეს რომ ჩავუკვირდეთ, შენ მართალი ხარ. მხოლოდ ერთს კი გეტყვი, ჩემო ძეირფასო! ქვეყანაზე იშვიათად რამე გაკეთებულა „ან-ან“ = ობით. ადამიანის გრძნობასა და მოქმედებაში იმ-დენი სხვა-და-სხვაობაა, რამდენიც ცხვირების მოყვანილობაში არწივის მოხრილ ცხვირიდან დაწყებული ჩაჭერის ცხვირამ-დის.

მაშ, ნუ გეწყინება, თუ ყველა შენს საბუთებს განზე გა-დავდებ და ვეცდები „ანუ“-სა და „ანუ“-ს შუა გავძრე.

შენ მეუბნები: „ან იმედი გაქვს ლოტტასი, ან არა გაქვს. ძალიან კარგი! პირველ შემთხვევაში ეცადე განიხორციელო იმედი, გულში ჩაიკრა შენი გრძნობისა და სურვილის სა-განი; მეორე შემთხვევაში, გამხნევდი, იყავ ვაუკაცი და ეცადე თავიდან მოიშორო ეგ უბედური გრძნობა, რომელიც ანადგუ-რებს ყველა შენს ძალებს.“

— ძეირფასო! ეს კარგად და... აჩქარებულად ნათქვამია. განა შეგიძლიან, მოსთხოვო უბედურს, რომელსაც ახმობს და სიცოცხლეს უსპობს ნელნელა უკურნებელი მტანჯავი სენი ერთხაშად ხანჯლით ბოლო მოუღოს თავის სატანჯელს? ნუ თუ არ გესმის რომ ის სენი, რომელიც ადამიანს ძალას ართ-მევს, იმავე დროს უკარგავს გამბედაობასაც, ამ გვარად განთა-ვისუფლდეს მისგან.

გერტერი

რასაკვირველია, შენც შეგიძლიან შედარებით მიპასუხოს: „ვინ არ გაიმეტებს მოსაჭრელიდ ხელს, როცა ცხადია, რომ ყოყმანითა და დაგვიანებით მთელი სიცოცხლე საფრთხეში ვარ-დება?“ არ ეიცი! და მაგრამ დავანებოთ თავი ამ მეტაფორებსს კითხა.... ჩემო ვილჰელმ, ხანდახან, ერთის წამით მომივლის ხოლმე გონების დამზნევი, ველური გამბედაობა და მაშინ რომ ვიცოდე საით, სწორედ წავიდოდი.

საღამოს.

ლღეს ხელში ჩამივარდა ჩემი დღიური, რომელიც რამდენი ხანია მივიწყებული მქონდა და გვოცდი, როგორ თანდათან, შეგნებულად ჩავვარდნილვარ ამ მდგომარეობაში, რა ნათლად ეხედავდი ამ მდგომარეობას და რა ბავშურად ვიქცეოდი მაინც; ახლაც ცხადავ ვხედავ ყველაფერს და მდგომარეობის გაუმჯობესობის ნიშანი კი არა ჩანს.

10 აგვისტო.

შემეძლო მეტად კარგი და ბედნიერი ცხოვრება მქონდა, რომ გიერ არ ვიყო. იშვიათი მოვლენაა, რომ ადამიანი ისეთ ბედნიერ პირობებში ცხოვრობდეს, როგორც მე. ცხადია, რომ ჩვენგვანება დამოკიდებული ჩვენი ბედნიერება. კაცი საყვარელ ოჯახის წევრად ითვლებოდე, მოხუცს უყვარდე, როგორც შვილი, ბავშვებს, როგორც მამა და ლოტტას!.. და მერე პატიოსანი ალბერტი, რომელიც ავგუნებიანობით არ არვევს ჩემს ბედნიერებას; რომელიც გულითადის მეგობრობით მექცევა და რომ-ლისთვისაც ლოტტას შემდეგ მე ვარ მთელ ქვეყანაზე უძირფასესი!.. ვილჰელმ, სწორედ სამურია ჩვენი სმენა, როცა ერთად ვსეირნობთ და ლოტტაზე ემუსაიფობთ: ქვეყანაზე არა გავონილა-რა ამ ჩეენ დამოკიდებულებაზე უფრო სასაცილო, მაგრამ მე მაინც მეტირება.

როცა ალბერტი მომიყვება ხოლმე ლოტტას პატიოსან დედაზე: როგორ გადასცა ლოტტას თავის სიკვდილის წინ ოჯახი და ბავშვები ჩააბარა; როგორ სულ სხვა სიცოცხლე ჩაინ-

თო ლოტტის სულში; როგორ გახდა ის ნამდვილი დედა ოჯახისათვის, როგორ იტარებდა იგი ყოველ წამს ზრუნვაში და მაინც თავისი სიმხიარულე, თავისი ცოცხალი ხასიათი არ დაჰკარგა.—მე მივდივარ ილბერტის გვერდით, გულმოლენინე ვკრებ გზაში ყვავილებს, ვაკეთებ იმათვან პატარა თაიგულს და... ვისერი მათ იქავე მიმდინარე წყალში და თვალს ვადგვნებ, როგორ მიაქვთ წყნარა ისინი ტალღებს.—არ ვიცი, მოგწერე თუ არა, რომ ილბერტი აქ რჩება და კარგ ჯამაგირიან ადგილს ელის სასახლეში, სადაც ის ძალიან უყვართ. საქმიანობაში და ბეჯითობაში მე ცოტა მინახავს მისი ბადალი.

12 აგვისტო.

თქმა არ უნდა, ილბერტი საუკეთესო კაცია ცის ქვეშეთში. გუშინ წინ საოცარი საუბარი მქონდა მასთან. გამოსათხოვებლად მივედი, რადგან მთებში ხეტიალის სურვილმა მომიარო (წერილს იქიდან გწერ). როცა მის ოთახში ბოლთასა ვცემდი, თვალი მოვკარი დამბაჩებს.

— ეს დამბაჩები მათხოვე სამგზავროთ, — ვუთხარი ილბერტს.

— სიამოენებით, მავრამ თითონ უნდა გაისარჯო და გატენო ისინი, რადგანაც მხოლოდ pro forma ენიანვ მათ ჩემს ოთახში.

მე ჩამოვიდე ერთი მათვანი, ილბერტმა განაცრძო:

— მას აქეთ, რაც ჩემმა „სიფრთხილემ“ ერთ ხათაბალის გადამკიდა, იარაღს ალარ ვიკარებ.

მე ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და მინდოდა ეს ამბავი შემეტყო.

— ამას წინედ სოფლიდ წავედი ერთ მეგობართან; დაუტენელი დამბაჩებიც თან მქონდა და მოსევენებით მეძინა.

ერთხელ, ერთ წვიმიან ნაშუადლევს, უსაქმოდ ვიჯერი და არ ვიცი როგორ, მომივიდა აზრი: „შეიძლება თავს დაგვესხენ და დამბაჩემი დაგვეირდეს და...“ ხომ იცი ასე ამ რიგად. მაშინვე მივეცი ისინი მოსამსახურეს გასაწმენდად და დასატენად.

მან დაუწყო გოგოებს ხუმრობა, უნდოდა მათი შეშინება და ღმერთმა იცის როგორ, დამბაჩა უეცრად გაეარდა და ზუმბა, რომელიც ლულაში იყო, მოხვდა ერთ გოგოს მარჯვენა ხელში და ცერი მოჰველიჯა. მაშინ ატყდა ერთი დაეი-დარაბა, სამკურ. ნალო ფულიც გადავიხადე და მას აქეთ ყოველთვის იარაღს გა- უტენელსა ვტოვებ. ესეც შენი სიფრთხილე! უბედური შემთხვევა, ფათერაკი შესწავლას არ ემორჩილება. თუმცა „... ძალიან მი- ცვარს ალბერტი მისს „თუმცა“-ამდინ, —განა თავისთავად არ იგუ- ლისხმება, რომ „ყოველ ზოგად წესს თავისი გამოკლებაც აქვს? მაგრამ იგი მეტად „სინიდისიერი“ მოაზრეა! როცა ჰელია, რომ რამე შოუფიქრებელი, ზოგადი, ნახვრად მართალი ვთქვიო, მოჰვება თქმულის განსაზღვრას, შეცვლის, მიმატება-მოკლე- ბას, სანამ მისგან სულ აღარა დარჩება-რა. ალბერტი შეუდგა თავის „ტექსტის“ შესწორებას. მე ყურს აღარ ვუგდებდი, ჩა- ვვარდი ოცნებაში და უცცარის მოძრაობით მივიდევი დამბა- ჩის ლულა შუბლზე, მარჯვენა თეალის ზევით.

— ფუი! — შემომძახა ალბერტმა და ჩამომართვა დამბაჩა, — რას ჩადიხარ?

— გაუტენელია. — ვუპასუხე მე.

— თუნდა აგრძც იყოს, ეს მაინც რახა ჰეგეს? ვერ წარ- მომიდგენია, როგორ უნდა გავიუდეს აღამიანი ისე, რომ თავი მოიკლას. ამისი უბრალო წარმოდგენაც კი მაჯავრებს.

— ადამიანნო! — დავიძახე მე, — თქვენ, „გონიერებს“, რა- მე საგნის განსჯის დროს, ყოველთვის მზად გაქვთ განაჩენის ეს სისულელეა, ის გონიერებაა, ეს კარგია, ის ცუდია! მერე- და საბუთი არ უნდა განაჩენის დადებას? ასეთ მსჯავრის და- სადგენად გამოიკვლიეთ შინაგანი პირობანი რომელიმე მოქმე- დებისა? შეგიძლიათ შეგნებულიდ გახსნათ ნასკვი მიზეზებისა, რომელთა ძალითაც მოხდა და უთუოდ უნდა მომხდარიყო რო- მელიმე მოქმედება? ეს რომ შეგძლებოდათ, მაშინ აღარ დაა- დგენდით ასე აჩქარებულიდ თქვენ განაჩენს.

— დამეთანხმები, რომ ზოგიერთი საქციელი ყოველთვის ცუდია და გასაკიცხი, რა მიზეზებითაც უნდა იყოს იგი გა- მოწვეული. — მითხრა ალბერტმა.



— გეთანხმები, — ეუპასუხე მე და მხრები ავიწიე. — მაგრამ, ჩემო ძვირფასო, აქაც არიან გამოკლებანი. ქურდობა, რასაკვირელია, ცუდ-კაცობაა, მაგრამ მითხარი, აღამიანი, რომელიც ქურდობს ოჯახის, ცოლ-შვილის შიმშილით სიკვდილისაგან გადასარჩენად, შებრალების ღირსია, თუ სასჯელისა? ვინ აიღებს პირველ ქვას იმ ქმრის ჩასაქოლავად, რომელმაც სამართლიანის გულის წყრომის გავლენის ქვეშ ბოლო მოუღო, როგორც თავისს მოლალატე ცოლს, ისე მის შემცდენელსაც? ან და იმ ახალგაზდა ქალის წინააღმდეგ, რომელმაც ძლევა-მოსილ სიყვარულის გატაცების დროს სანეტარო დაეიწყებას მისცა თავი. თვით ჩვენი კანონმდებელნიც, ეს გულგრილი პედანტებიც, მოლბებიან ხოლმე და ნაკლების სისასტიკით სჯიან.

— ეს სულ სხვა საქმეა, — მიპასუხა ალბერტმა. — აღამიანს, რომელსაც გულის თქმა იმდენად იტაცებს, რომ იგი ჰკარგავს ყოველ მოსაზრებით ძალას, ვუყურებთ ჩვენ ვითარცა გონიერება-მთვრალს და გირს.

— ახ, თქვე ფხიზელნო და გონიერნო! — ვთქვი მე ღი-მილით, — გულისთქმა! სიმთვრალე! გიუობა! თქვენ განზე დგანართ, თავისუფლად, უმონაწილეობოდ, თქვე კეთილზნიანნო ადამიანნი! ჰკიცხათ ლოთს, გეზიზლებათ შეშლილი. გვერდს უფლით მათ, ვითარცა მღვდელი და მაღლობას სწირავთ ღმერთს, ვითარცა ფარისეველნი, რომ მან თქვენც არ შეკვენათ ისეთი, როგორც ერთი ამ უბედურთაგანია. არა ერთხელ ყოფილვარ მთვრალი და გრძნობები ჩემი შორს არ ყოფილან შეშლილობისაგან და არც ერთა არ მენანება: ჩადგან შევიგენი, რომ დასაბამიდანვე ყოველ არა ჩვეულებრივ აღამიანს, რომელიც კი რასმე დიადს და შეუძლებელად მიჩნეულს მოიმოქმედებდა, მთვრალსა და შეშლილს ეძახდნენ.

ჩვეულებრივ ცხოვრებაშიაც სწორედ აუტანელია, როცა თითქმის ყოველ კაცს, რომელიც კი აღგია თავისუფალ კე-თილშობილ არა ჩვეულებრივ მოქმედების გზას, მისძახებენ ხოლ-

გერტერი

მე: „ეს კაცი მოვრალია, ეს კაცი გიფია!“ გრძელებულ დღეთ, თქვენ, ფხიზელნო, გრძელებულ დღეთ ბრძნონ!

— ეს ისევ შენი ჩვეული უკიდურესობაა, — სთქვა ალბერტ-მა, — შენ ყველაფერს აზიადებ და დამეთანხმე, რომ ამ კითხვაში მაინც შემცდარი ხარ, რადგან თავის მოკვლას დიდებულ საქმეებს ადარებ მაშინ, როცა იგი მხოლოდ სისუსტედ უნდა ჩაითვალოს: ბევრად ადვილია სიკვდილი, ვიდრე ტანჯულ სიკოცხლის მტკიცედ ატანა.

მე მინდოდა გამეწყვეტინებინა მისთვის სიტყვა, რადგან ისე არა გამომიყენას-რა მოთმინებიდან, როგორც მოპირდაპირის უმნიშვნელო ზოგად ფრაზებით ლაპარაკი, როცა მე მოქლის ჩემის სულით და გულით ვლაპარაკობ. მაგრამ თავი შევიყავე, რადგან ასეთი ლაპარაკი ხშირადა მსმენია მისგან და ხშირადაც გავჯავრებულეარ; მე მაინც ვუპასუხე ცოტა არ იყოს ფიცხად:

— შენ ამას სისუსტეს ეძახი! გთხოვ გარეგნობით ნუ მოტყუვდები. შეგიძლიან სუსტი უწოდო ხალხს, რომელიც მტარეალის უდელ ქვეშ კვნესის და ბოლოს მოთმინებიდან გამოსული აჯანყდება და ამსხვრევს მონობის ჯაჭვებს? სუსტად აღიარებ იმ ადამიანს, რომელიც როცა მის სახლს ცეცხლი გაუჩნდა, მთელს თავის ძალლონეს იკრებს და ისეთ ტეირთს ეზიდება სახლიდან, რომელსაც დამშვიდებულ მდგომარეობაში მყოფი ვერც კი დასძრავდა ადგილიდან? ან და იმ ადამიანს, რომელიც შეურაცხყოფით განრისხებული ექვს უმკლავდება და ამარცხებს მათ? და ჩემო კარგო, თუ საზოგადოდ ძალლონის მოკრება და მოხმარება ძლიერებაა, რისთვის ეძახი სისუსტეს უაღრეს ხარისხის ძალლონის მოკრებას.

ალბერტმა შემომხედა და მითხრა:

— ნუ მიწყენ და ის მაგალითები, რომელნიც აქ მოიყვანე, მოსატანი არ იყენენ.

— შეგიძლება, — ვუპასუხე მე, — წინადაც უსაყვდურებიათ ჩემთვის, ვითომ ჩემი მსჯელობა და დასკვნა ხშირად შეუფე-

რეგელნი იყვნენ. აბა ვნახოთ, იქნება, სხვა შერივ მოვუაროთ კითხვას; ვსუადოთ, გავიგოთ იმ აღამიანის სულის-კვეთება, რომელსაც გადაუწყეტია მოიშოროს სიცოცხლის ტეირით, სხვა შემთხვევაში მისთვის ასე სასიამოვნო. ჩვენ ხომ იმდენად შეგვიძლია საგანზე ბასი, რამდენადც ჩვენ მას ვიცნობთ და გაგვიგია.

აღამიანის ბუნებას თავის საზღვარი აქვს. მას შეუძლიან აიტანოს სიხარული, ტანჯვა, ტკივილი მხოლოდ განსაზღვრულ ზომამდე და მარცხდება, როგორც კი ესენი ამ ზომას გადასცილდებიან. მაშასადმე აქ ის კი არ უნდა ვიკრთხოთ, ვინ არის ძლიერი და ვინ სუსტი? არამედ ის, გაუძლებს კაცი თავის სატანჯველთა სიმძიმეს თუ ვერა? ეს სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს ეს სატანჯველი, ზნეობრივი თუ ხორციელი; მე მაინც ვერ გამიგია, როგორ შეიძლება იმის თქმა, ის აღამიანი მხდალია, რადგან თვითონვე სიცოცხლეს ისპობსო; მაშ მასაც მხდალი უნდა ვუწოდო, ვინც აეთვისებიან ციებისაგან კვდება.

— პარადოქსია, დიდი პარადოქსი! — დაიძახა ალბერტმა.

— არც აგრე დიდი, როგორც შენ გგონია, — მივუგე მე, — დამეთანხმები, რომ სასიკვდილოს იმ სენს ვუწოდებთ, რომელიც ისე ჩაეჭიდება აღამიანის ბუნებას, რომ ანალგურებს სრულებით მის ძალებს, ართმევს მოქმედების უნარს და მას აღარ შეუძლიან თავს უშეველოს, აღარ შეუძლიან აღადგინოს ჩვეულებრივი მიმდინარეობა სიცოცხლისა. ახლა, ჩემო კარგო, იგივე მოსაზრება მოვიხმაროთ სულის შესახებაც. შეხედე აღამიანს, როგორ მოქმედებენ მაზე შთაბეჭდილებანი, როგორ იკიდებენ ფეხს მაში სხვა-და-სხვა იდეები, სანამ ერთი ძლიერი გულისთქმა არ მოსტაცებს მას მის მშეიდ ძალას გრძნობა-გონებისას და ბოლოს არ ულებს მას.

ამაოდ სცდილობს აღუშფოთებელი, კეთილგონიერი აღამიანი იმ უბედურის ჭეუის დარიგებას და ფეხზე წამოყენებას! ის ჰგავს იმ ჯანმთელ კაცს, რომელიც ავათმყოფის ლოგინთან დგას და არ შეუძლიან გადასცეს სწეულს მცირეოდენი ნაწილი მაინც თავის ძალლონისა.

ალბერტისათვის ეს მეტად განყენებული საუბარი იყო. ამიტომ მე მოვავონე მას ერთი ახალგაზდა ქალი, რომელიც რამდენიმე წელის შინად წყალში ენახათ დამხრჩალი და გაფუ-შეორე მისი ამბავი: ის იყო ერთი ახალგაზდა კეთილი ქმნი. ლება, რომელიც ცხოვრებას დღიურ მუშაობაში ატარებდა; მისთვის სხვა სიამოვნება არა იყო-რა გარდა იმისა, რომ კვი-რაობით გამოდიოდა სასეირნოდ თავის ტოლ-ამხანაგებთან ერ-თად, დიდის წყალებით ნაშოვნ მორთულობაში გამოწყობილი, ხანდახან, დიდ უქმეებზე, თამაშობდა კიდეც, ან მეგობრებთან ლაყბობდა და ჭორიკანაობდა. ერთ დღეს მისი მხურვალე ბუ-ნება იღვიძებს და იგი გრძნობს რაღაც მშვიდობის დამარტვე-ველ სურვილებს, რომელიც მამაკაცთა ქათინაურით და ალერ-სით უფრო ძლიერდებიან; ყოველი წინანდელი სიხარული მას ახლა თანდათან უფრო უგეგმურად ეჩვენება; ბოლოს იგი შეხვდება ერთ ადამიანს, რომელიც რაღაც უცნობის, უძლე-ველის ძალით იზიდავს მას. ამ ადამიანზე ამყარებს იგი ყა-ველ თავის იმედს, ივიწყებს გარშემო ქვეყანას, აღარა ესმის-რა, ვეღარას გრძნობს, ვეღარას ხედავს, გარდა იმ ერთად-ერთი ადამიანისა; ის ეინტერესება, მხოლოდ ის! იგი ბუნების დაუმახინჯებელი შეილია, ამიტომ მისი სურვილები პირდაპირ მიზნისაკენ მიაქანებენ მას; მისი წადილია გახდეს იმ ადამიანი-სა, მას სურს საუკუნო კავშირში ჰპოვოს ბედნიერება, რომე-ლიც აკლია, სურს დატკბეს მთელი იმ სიხარულით, რომელ-საც ასე ნატრობდა მისი გული. სატრაფოს მრავალკული იღ-თქმა და ფიცი ფრთებს ასხამს იმედებს, მისი თამამი ალერსი წადილს უზივადებს და იპყრობს მთელ მის არსებას; კონების მხედველობას ბინდი ეფინება; იგი წინად გრძნობს ათას სიხა-რულს, მთელი მისი არსება უკიდურეს ზომამდე მოზიდულია; ბოლოს იგი სწვდის ხელებს, რომ კყელა თავისი ნატვრები გულ-ში ჩაიკრას... და სატრაფო მისი სტოვებს მას... თავზარდაცე-მული, გრძნობა-გონება დაბნეული, დგას იგი უფსკრულის წინ; მის გარშემო წყვდიადია, არავითარი იმედი, არავითარი აზრი. დასტოვა მან, რომელიც მისთვის ყველაფერი იყო. იგი ვეღარ

ხედავს ფართო, ვრცელ ქვეყანას, რომელიც გადაშლილია შის წინ, ვეღარ ხედავს მათ, რომელიც მზად არიან გაუწიონ მას დაკარგულის მაგიერობა; ის გრძნობს თავს მარტოდ, მთელი ქვეყნისაგან მიტოვებულად; და საბრალო ვერ იტანს დაობლებულ გულის საშინელ წამებას და ვარდება შიგ უფსკრულში, რათა იქ მსუფევ სიკედილში ბოლო მოუღას მას.

ალბერტ ეს ერთი ადამიანის თავგადასავალი როდია; ამ გვარი შემთხვევები არც ისე იშვიათია, და ერთი მითხარი, ნუ თუ ეს ნამდვილი სნეულება არ არის? ბუნება ვეღარ პოულობს გამოსავალს არეულ და აბობოქრებულ ძალთა ლაპერინტიდან და ადამიანი კვდება.

ვაი მას, ვისაც შეუძლია გულგრალად უცქიროს ამ გვარ მოვლენას და სთქვის: სულელი ქალი! რომ დაეცადა და დრო-სათვის მიენებებია მოქმედება, სასოწარკვეთილება მისი დაცხ-რებოდა და ვინმე სხვა წინანდელზე უკეთესი ანუგეშებდა მას. ეს სწორედ იმის ემგვანებოდა, რომ ვისმე ეთქვა: „სულელი ესა და ეს—ციებისაგან რად მოკვდა; რომ დაეცადა, სანამ მისი ძალები შეისვენებდენ, სანამ სისხლის შფოთი დაცხრებოდა, ყველაფერი კარგად გათავდებოდა და აქამდეც ცოცხალი იქნებოდა“.

ალბერტმა, რომლისთვისაც ეს შედარება უსაფუძლო იყო, რაღაცაები მიპასუხა და სხვათა შორის ესეც შეგნიშნა:—შენ ლაპარაკობ ერთ განუვითარებელ მოსამსახურებე; და მე კი ვერ გამიგია, როგორ უნდა ეპატიოს თავის მოკვლა ადამიანს უფრო გონიერს, რომელიც ხედავს და იცნობს სინამდვილეს, შეგნებული აქვს ათასგვარი დამოკიდებულებანი.

— ჩემი მეკობარო.—შეეძახე მე.—ადამიანი ადამიანია და ის ერთი ბეწო გონება, რომელიც მას აქვს, მხედველობაში მისაღები არ არის, როცა გულის თქმა ხელდება და ჩვენი ეიწროდ შეზღუდული არსება ვერ იტევს მას. უფრო... მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ,—ვთქვი მე და ჩემს ქუდს დავაფლე ხელი. ოჯ, ჩემი გული ასე სავსე იყო!—ჩვენ განვშორდით

ე հոმანერთს ერთმანერთის გაუგებრად! და განა შესაძლებელია ამ ქვეყანაზე ერთმა მეორის გაიგოს?!.

15 აგვისტო.

ცხადია, რომ თუ ვისმეს ჩვენი ხშირი ნახვა ჰსურს, ამის მიხეზი სიყვარულია. მე ვკრძნობ, რომ ლოტტა აღვილად ვერ შემელევოდა და ბავშვებსაც ვერ წარმოუდგენია, რომ მე მათთან არ ვიარო. დღეს წავედი ლოტტას პიანინოს მოსაწყობად, მაგრამ ამისათვის ვერ მოვიცალე, რადგან ბავშვები ჩამციებოდნენ, ზღაპარი გვითხარიო; თვითონ ლოტტამაც მათი მხარე დაიჭირა. ჯერ მე მოვუპერი მათ სავანშემო პური, რომელსაც ჩემები თითქმის ისეთისავე სიამოვნებით იღებდნენ, როგორც ლოტტასაგან, და მოვუყევი ამბავს ერთ „მხეთ-უნახავზე“. გარწმუნებ, მე თვითონ ბევრსა ვსწავლობ ამ დროს და მიკვირს, რა ლრმა შთაბეჭდილებას ახდენს ეს მათზე. რაღვან ხანდახან იძულებული ვარ ზღაპარში ჩემი მოვონილი რამ ჩავურიო და გამეორების დროს კი მავიწყდება, ეს ბავშვები, მაშინვე მაწყვეტინებენ და მეუბნებიან, პირველად რომ მოგვიყევი, ეს ასე არ ყოფილო. იქედან ის დასკვნა გამომყავს, რომ ავტორი ძალიან ავნებს თავისს წიგნს მოთხრობის შეცელილ გამოცემით, თუნდა ახლა იკი გარეგნად უფრო პოეტური და კარგიც იყოს. პირველი შთაბეჭდილება უფრო მიმღებოვანად ჰპოულობს ჩენებს ბუნებას და ადამიანი ისე გაჩენილია, რომ თვით ყოვლად შეუძლებელშიაც კი დაარწმუნებ მას. ეს ისე მტკიცედ გაუჯდება ხოლმე სულში და გულში, რომ, ვით იმას, ვინც მოინდომებს მის კვლავ აღმოფხერას.

18 აგვისტო.

რად არის, რომ ის, რაც ადამიანის ბედნიერებას შეადგენს, მისი უბედურების წყაროც ხდება?

ცოცხალი ბუნების სრული შეგნება და ვრძნობა, ვრძნობა, რომელიც ასეთი ნეტარებით მავსებდა, რომელიც ჩემს გარშემო ქვეყანას სამოთხედ ჰქმნიდა, ახლა აუტანელ ტანჯვად

და ჯოჯოხეთის მაწამებელ სულივით ყველგან თანამდევს. მა-
ლალ კლდეზე მდგარი დავსცერი მდინარის გაღმა სერებამდე-
გადაშლილ ნაყოფიერ მინდვრებს. ჩემს გარშემო ყველგან ზრდა-
სა და ოღონცენებას ვხედავ; ვხედავ მთებს ძირიდან მწვერფა-
ლებამდე დიდ მაღალ ხეებით შემოსილთ, ათასგვარად მიმოხვე-
ულს და საყვარელ ტყეებით დაჩრდილულ ველებს; წყნარს,
მოჩურჩულე ლერწმებში მოდინარე წყალს, რომელშიაც სჩანან
საღამოს წყნარი ნიაეისაგან ამოძრავებული ღრუბლები; გარე-
შემო ტყეს ფრინველები სიცოცხლით ავსებენ და ურიცხვ
მწერთა გუნდები მზის უკანასკნელ წითელ სხივებზე თამაშო-
ბენ; ბუნების ეს ხმები და მოძრაობა მიაქცევს ჩემს ყურადღე-
ბას დედამიწას, სადაც ხავის საზრდოს ართმევს ჩემს ხმელ კლდეს,
ბუჩქებს, რომელნიც ქვიშიან სერჩე ამოსულიან და მე ვგრძნობ,
ვიგნებ, ბუნების შინაგან მხურვალე და წმინდა სიცოცხლის
განვითარებას, რომელიც ჩემ თვალ წინ ხდება; მე ვათავსებ
მას ჩემ აღტაცებულ გულში და ასე ბუნებით აღსავსე გაღმერ-
თებულსავთ ვარ; და უსაზღვრო ქმნილების ბრწყინვალე სუ-
რათები ცოცხლად მიდგანან გონების თვალ-წინ. გარს მარტყია
უზარ-მაზარი მოვგი, ჩემს წინ სჩანან ბნელი უფსკრული, იქ
ვარდებიან აქაფებული და ახმიანებული ჩანჩქერები; მდინარეე-
ბი მიღელავენ, მთები და ტყე მათ ხმას აძლევს; დედა-მიწის-
სიღრმეში ვხედავ ყველა მიუწდომელ ძალთა საერთო შემოქ-
მედებას; ცაში და მიწაზედ, ყველგან ფუსფუსებენ ურიცხვ და
მრავალ გვარ არსებათა გროვანი; ადამიანი კი ამ დროს თავის
ვიწრო სახლში უზრუნველად ჩაბუდებულა და თავის ფიქრში
მთელს ვრცელ ქვეყანასა ფლობს. საბრალო გიე, რომელსაც
ყველაფერი პატარა ჰეგონია, რადგან თითონ ასე მცირე!

დაწყებული მიუკარებელ მთებიდან, რომელთაც ადამიანის
ფეხი არ შეჭებია, უცნობ ოკეანების ნაპირებამდე მიმოჰქრის
სული მარად შემოქმედისა და ხარობს ყოველ უმცირეს საგ-
ნითაც კი, რომელიც მას უსმენს და მის მიერ ცხოვრობს.

ას, რამდ ენჯერ მინატრია შორს მიმტრინავ წეროს ფრთე-
ბი განუზომელ ზღვის ნაპირისკენ გადასაფრენად, რათა განუ-

გერტერი

საზღვრელ შემოქმედის აღქაფებულ თასიდან შემესვა მღელვარე სიტყბოება სიცოცხლისა და ერთი წამითაც არის მეგრძნო ჩემს უძლურ გულში ერთი წვეთი იმ არსების უაღრეს ნეტარებისა, რომელიც უველაფერს თავისში და თავისით ჰქმნის.

მათ, მარტი მოგონება იმ წამებისა ნუკეშ მგვრის მე-
თვით ეს ცდა იმ საუცხოვო გრძნობათა კვლავ აღდგენისა, გა-
მოთქმისა, ჩემ თავზე მაღლა მაყენებს მე და მასთანეე ჩემი
ახლანდელ მდგომარეობის სიმწარეს ორკეცად მაგრძნო-
ბინებს. ჩემს თვალწინ ფარდა აიხადა და დაუსრულებელ სი-
ცოცხლის სურათები მარად გახსნილ სამარის უფსკრუ-
ლად შეიცეალა. შეგიძლია სოქვა „ეს არის“, რაკი უველა-
ფერი წარმავალია? რაკი უველაფერი გრიგოლისებურს სისწრა-
ფათ მისრბოლავს და თითქმის არავის დასტალებია თავის
არსებობის მთელის ძალის გამომჯღავნება? ნიალვრისაგან გა-
ტაცებული იძირები ტალღებში და ბოლოს შეასკდები კლდეს.
ერთი წამიც კი არ გაივლის ისე, რომ არა დაგაკლოს რა შენ და
შენიანებს; არც ერთი წამი არ გაივლის ისე, რომ შენ არ გა-
გხადოს სხვის გამანადგურებლად; სულ უმანკო შენი სეირნობა
ათას საწყალ ჭიას სიცოცხლის ფასად უჯდები, შენი ერთი ნა-
ბიჯი ანგრევს ნაწვალებ-ნაჯაბირებ შენობებს ჭიანჭველებისას
და სამარეს უთხრის ხოლმე მთელ პატარა მსოფლიოს! ჰა! მე
არ მაკრთობენ უსაშინელესი უბედურებანი ჭვეულისა, არც
მთელ სოფლების წამლეკავი ნიალვარნი, არც ქალაქთა მშთან-
თქავი მიწის-ძრანი; ჩემის გულის სასოების წარმკვეთი არის
ის გამანადგურებელი ძალა, რომელიც იფარება მთელს ბუნე-
ბაში, რომელიც არასფერს ჰქმნის ისეთს, რაც სიცოცხლეს
არ უსპობდეს მეზობელსაც და თავის თავსაც. სასოწარკვეთი-
ლი და დაღანქებული დავიარები, გარს მარტყია ზეცისა და
დედა-მიწის, ეს ძალები და მე ვერას ვხედავ, გარდა მარად მშთა-
ნოქმელ და მარად აღმომცოხნავ საშინელებისა.

21 აგვისტო.

ამთაღ ვიწვდი ხელს იმისაკენ დილ-დილაობით, როცა
შძიმე სიზმრიდან ცოტათი ვფხილდები; ამაოდ ვეძებ მას ლამ-
ლამეობით ჩემს ლოგინში, როცა საბედნიერო უმანკო სიზმარი
ჩატყუფს ხოლმც, ვითომ ვიჯევი მასთან ერთად სერზე, მისი
ხელი ხელში მეჭირა და ნეტარებით ვეამბორებოდი. როცა
ჯერ კიდევ ნახევრად მძინარე იმედით ვეძებ მას ლოგინში—
ჩემს მიწურულ გულიდან აღმოსკდება ხოლმე ცრემლთა ნიაღ-
ვარი, და უნუგეშო ტირილით ვევებები ბნელს მომა-
ვალს.

22 აგვისტო.

ეს უბედურებაა, ვილპელმ! ჩემი მომქმედი ძალები მო-
დუნდნენ. არ შემძლია არც უსაქმობა, არც რისამე კეთება. მე
მე აღარა მაქეს არც წარმოდგენითი ძალა, არც გრძნობა ბუ-
ნებისადმი და წიგნები ხომ დასანახადაც მცჯავრებიან. თუ
ჩენ ჩევნი თავი გვაკლია, ხომ უცელაფერი გვაკლია. გვაციცები
არა ერთხელ მინატრია დღიურ მუშად ყოფნა, რათა გამოდვა-
ძებისას მცოდნოდა, თუ რას გვაკეთებ, რა მიზანი და რის
იმედი მაქეს. ხშირად უცნატრი ალბერტს, როცა მას ყელამ-
დის აქტებში ჩაფლულს ვხედავ და მგონია, რომ ბედნიე-
რი ვიქმნებოდი მის ადგილას. უკვე რა მდევჯერმე მომი-
არა სურვილმა, მომეწერა ჟენოვის და მინისტრისათვისაც შე-
სახებ იმ ადგილისა საელჩოში, რომელსაც, როგორც შენ მარ-
შმუნებ, უთვოდ მომცემენ. მეც ეგრე გვონია. მინისტრს დიდი
ხანია ვუყვარვარ და მირჩევდა კიდეც რაიმე საქმისათვის მომე-
კიდნა ხელი. არის ასეთი წამები, როცა გარდაწყვეტილი მაქეს
ს ამსახურში შევიდე; მაგრამ შემდეგ კი ყოველთვის მომავონ-
დება ხოლმე იმ ცხენის არაკი, რომელსაც მოსწყენოდა თავისუ-
ფლება, ადამიანის მონად ყოფნა აერჩია და რომელიც ჭენებით
სულის ამოხდენამდე მიეყვანათ; როგორ მოვიქცე, არ ვიცი!
იქნება ეს ჩემი ნატერა მდგომარეობის გამოცვლისა არის მხა-

ლოდ შინაგანი ფარული და ორ მომქანცველი უმწეობა, რომელიც შემდეგისთვისაც არ მომშორდება.

28 აგვისტო.

კეშმარიტად, მე რომ მოსარჩენი ვიყო, ეს ხალხი მიშვეღიდა. დღეს ჩემი დაბადების დღე; დილით აღრე აღბერტი-საგან მივიღე ამანათი. გაეხსენი თუ არა, მაშინათვე თვალში შეუა ის მერთალ-წითელი განტი, რომელსაც ლოტტა ატარებდა, როცა იგი პირველად გავიცანი და რომელიც მისთვის რამდენჯერმე მრთხოვნია. იქვე იყო ორი წიგნაკი, ვეტშტაინის გამოცემული ჰომინოსი, რომელსაც დიდხანს ვეძებდი, რადგანაც ერნესტის გამოცემულის ჰომინოსის თრედა სეირნობის დროს არ მეტერხებოდა. დახუ, ვილჭელმ, როგორ ცდილობენ დააკმაყოფილონ ჩემი სურეილი, როგორ ეძებენ შემთხვევას დამიტკიციუნ თავიანთი მეგობრობა. მათი უბრალო საჩუქარი ათას-ჯერ ძეირფასია იმ ბრწყინვალე საჩუქრებზე, რომლებიც თაც გვამცირებს ხოლმე მწყალობელთა ამაოება. ათასჯერ ვკოცნი იმ ბანტს და ყოველ გულის-ცემაზე ვიგემებ იმ დაუსრულებელს ნეტარებას, რომელიც იმ მოკლე, მაგრამ ბელნიერმა დღეებმა მარგუნდს. მე მაინც არ გჩიდი: ცხოვრების ყვავილები მოჩვენებაა! რამდენი მათგანი ქრება ისე, რომ თავისს უკან კვალს ის სტოვებს, რა ცოტანი იდებენ ნაყოფს და ამ ნაყოფთაგან რა ცოტა მწიფდება! მაგრამ, განა ეს ცოტაც საკმარისი არ არის? ნუთუ არ უნდა დავაფასოთ ის, რაც დამწიფებულა და... უყურადღებოდ, უგემებლად ავუაროთ გვერდი?

შვეიცარი! მშვენიერი ზაფხულია; ხშირად ვზიგარ ლოტტას ბალში ხეზე, ხელში მიკირავს გრძელი, ხილის მოსაკრეფი ჯოხი, ვკრეფ მსხალს და ძირს ლოტტას ვაწვდი.

30 აგვისტო.

უბედურო! გიუ არა ხარ? თეითონ არ იტყვილებ თავს? რას ნიშნავს ეს აზეირთებული და დაუსრულებელი გულის-თქმა? მე იმას-ლა ვლოცულობ; ჩემს ოცნებას მისი სახე-ლა ეჩვენება

და უველაფერს ქვეყანაზე ჩემს გარეშემო ვხედავ იმოდენად, რამდენიდაც ეს ლოტტას შეეხება. ეს მახარებს და მაგემებს ბედნიერ წამებს, სანამ არა ვშორდები მას. ახ, ვილჰელმ! რას ელტვის ჩემი გული? როცა მასთან ორი-სამი საათი ვზივარ და მისი სახით, მიმოხვრით, მისის სიტყვების ციური ჰანგებით ვტკბები და ჩემი გრძნობანი უფრო და უფრო ძლიერდებიან, თვალთ მიბნელდება, თითქმის არა მესმის-რა და სულთქმა მიკირს, თითქოს ვინმე მახრიბდეს. ჩემი გული გაშმაგებულის ცემით სცდილობს გზა მისცეს შეხუთულ გრძნობებს და უფრო აშფოთებს მათ... ვილჰელმ, ხშირად აღარ ვიკი, ვარ თუ არა ამ ქვეყანაზე.—კარგია კიდევ თუ ხან-და-ხან სულის ვაება ვერა მჯობნის და ლოტტა სანუგეშებლად მაძლევს ნებას იმის ხელებზე ამოვიტირო ჩემი ნალველი; თუ არა და გავრჩივარ შორს მინდორში და ამ დროს ჩემთვის სიამოვნებაა პირლაპირ ამართულ მთაზე აფორთხება, უგზო-უკვლილ ტყის გადალახვა, მკაწრავ ბუჩქებსა და მჩხვლეტ ეკლებს შორის რბენა! მაშინ ცოტათი უკეთა ვერძნობ თავს! ცოტათი! დაქან-ცული, მწყურვალე, ვეცემი გზაზედ, სავსე მოვარე თავს დამუშრებს, განმარტუებულ ტყეში რომელიმე მრუდედ ასულ ხეზე ვჯდები, რათა დაკაწრული ფეხები ცოტათი მაინც მოვა-სვენო, და ძალზედ დაქან-ცული თვლემას ვიწყებ! ო, ვილჰელმ! განმარტოებული ბინა სენაკში, ძუის ტანსაცმელი და ეკლიანი სარტყელი ენატრება ჩემ სულს. მშვიდობით! მხოლოდ სამარეა ამ უბედურების ბოლო!

3 სექტემბერი.

უნდა მოვშორდე! გმადლობ, ვილჰელმ, რომ ჩემს ყოყ-მანს ბოლო მოუღე. უკვე ორი კეირაა ვფიქრობ მის დატოვებას. უნდა მოვშორდე. ის ისევ ქალაქშია თავისს მეგობარ ქალთან. და ალბერტი... შორს, შორს აქედან!

10 სექტემბერი.

რა ლამე იყო, ვილჭელში! ახლა ყველაფერს ავიტან, მე მას ვეღარ ვნახავ! ოჯ, ჩემთ ძვირფასო მეგობარო, რატომ არ შემიძლია ყელზე მოგეხვიოდა გაგიზიარო ტირილით და თან აღტაცებით ის გრძნობანი, რომელნიც ჩემს გულში შეგუბებულან! ხან ჩამოვჯდები, ხან ფეხზე ვდგევარ, ასე მგონია სასუნთქი ჰაერი მაკლდეს; თან ვცდილობ დამშვიდე, ველი დილას. მზის ამოსვლისას ცხენები მზად იქნებიან.

ახ, იმას მშვიდად სძინავს და აზრადაც არ მოსდის რომ თავის დღეში ვეღარ მნახავს. მე მოვშორდი მას და იმდენი მხნეობა გამოვიჩინე, რომ ჩემი განზრახვა არ გავუშელავნე, თუმცა მოელი ორი საათი ვლაპარაკობდით! ღმერთო ჩემთ, რა ლაპარაკი იყო!

ალბერტი შემპირდა, ვახშის უკანმე და ლოტტა ბალში გამოვალთო. მე ტერრასაზე ვიდექი წაბლის ხეების ქვეშ და შევყურებდი ჩამავალ მზეს, რომელიც უკანასკნელად მინათებდა იმ საყვარელ ველს და წყნარ მდინარეს. რა ხშირად ვმდგარვარ აქ ლოტტასთან და მიუურებია საუცხოვო სანახავისათვის და ეხლა... მე დავსეირნობდი ხეივანში, რომელიც ჩემთვის ასე ძვირფასი იყო; წინადაც, სანამდის ლოტტას გავიცნობდი, ამ ადგილს ჩემთვის რაღაც იდუმალი მიმზიდველი თვისება ჰქონდა. და შემდეგ ორივეს გვიხაროდა, როცა აღმოვაჩინეთ ერთომეორის მიზიდულება ამ ადგილისადმი, რომელიც კეშმარიტად, უფრო რომანტიულია, ვიდრე ოდესშე ხელოვნებისაგან შექმნილი რამ მინახავს.

ერთ მხარეს წაბლის ხეების დაუსრულებელი და მეტად ლაშაზი ხეივანია... მეორე მხარეს ორივეს მხრით კედლებივით ამართულან უშეელებელი წიფლის ხეები—მაგონდება, ამაზედ წინედაც მომიწერია შენთვის,—ეს ხეივანი, რაც შორს მიდის, უფრო და უფრო ბნელება, სანამ ბოლოს არ თავდება პატა. რა ფანჩატურით, სადაც მეფობს შემაკრთობელი განმარტოებულება. მე მგონია, ეხლაც იმავ იდუმალ გრძნობით გავიმსჭვა-

ლე, რომელიც პირველი აქ მოსვლისას განვიცადე. რაღაც გამოურკვეველი წინადგრძნობა მეუბნებოდა, რომ ეს ადგილი გახდებოდა ჩემთვის დიდ ნეტარებათა და მწუხარებათა ასპარეზად.

ნახევარ საათამდე ვიდექი და ვერთობოდი წარსულის ტკბილ შოგონებით. ამ დროს დაეინახე, რომ ისინი კიბეზე ჩამოდიოდნენ. სირბილით მივეგებდე მათ, ურჯოლით გამოვართვი ხელი ლოტტას და ვაკოცე. შევედიო თუ არა ხეივანში, ბუჩქნარიან გორაკის იქით ამოვადა მთვარე; ჩვენ სხვა და-სხვა რაეზე ლაპარაკით შეუმჩნევლად მივუახლოვდით იმ ჩამობნელებულ ფან-ჩატურს. ლოტტა შევიდა და დაჯდა. ალბერტიც გვერდს მოუჯდა, აგრეთვე მეც, მაგრამ ჩემმა შლელვარებამ დიღხანს არ მომასევნა ერთ ადგილზე. ავდექი, გავითარ-გამოვიარე და ისევ დავჯექი; საშინელი იყო ჩემი მდგომარეობა. ლოტტამ ჩვენი ყურადღება მიაქცია ტერტასას, რომელიც საუცხოეოდ გაენათებინა მთვარეს: მართლა შშვენიერი სანახავი იყო, მით უფრო, რომ ჩვენ გარშემო ყველგან ღრმა სიბრუნვე ჰსუფუფდა. ერთხანს გაჩუმებული ვიყავით. მერე ლოტტამ დაიწყო:

— თვის დღეში მთვარიან ღამეს არ წავსულვარ სასეირნოდ ისე, რომ ჩემი მიცვალებულები არ მოგონებოდნენ, რომ არ შევეპყრა ფიქრს სიკვდილზე, მომავალზე. ჩვენ ვიქნებით! — განაგრძო მან ტურფა-გრძნობიანის ხმით: — მაგრამ, ვერტერ, ვნახავთ კი ერთმმანერთს? ვიცნობთ ისევ ერთმანერთს? რას იტყვით?..

— ლოტტა! — ვუთხარი მე, ხელი გამოვართვი და თვალები ცრემლით ამევსო. — ლოტტა, ჩვენ კელავ ვნახავთ ერთმანერთს, კვლავ ვნახავთ, აქაც და იქაც!... — მეტი ლაპარაკი აღარ შემეძლო. — ეილპელმ, რა არის, რომ ეს კითხვა მაშინ მომცა, როცა გულში საშინელ განშორებაზე ვფიქრობდი!

— ნეტავი ძვირფას მიცვალებულთ თუ იციან რამ ჩვენზე, — განაგრძო ლოტტამ, — თუ ჰგრძნობენ, რომ ჩვენ კარგადა გართ, რომ მათ წრეფელის სიყვარულით ვიგონებო? ომ! დედაჩემის აჩრდილი გარს მევლება ხოლმე ყოველთვის, როცა სა-

გერტერი

ღამოობით მის ბავშვებს შორის, ჩემ ბავშვებს შორის, ვზიდარ და ისინი ჩემს გარშემო გროვდებიან, როგორც დედის გარ-
შემო გროვდებოდნენ ხოლმე. მერე ზეცისაკენ მივაპყრობ ხოლ-
მე თვალს და ვნატრობ, ერთის წუთით მაინც გადმოგეხედოს
და დაინახოს, თუ როგორ ვასრულებ ჩემს სიტყვას, რომელიც
მას სიკვდილის უამს მივეცი, შენს ბავშვებს დედად გავუხდები-
თქო. როგორი გრძნობით ვიძეხი ხოლმე: შემინდევ, უძვირფა-
სესო, თუ შენი მაგიერობა ერ გავუწიე მათ. ახ! მე ვშერები,
რაც შემიძლიან; მათ არ სცივათ, არ შიანთ და, რაც კიდე უკე-
თესია, ვუვლი და მიყეარან. რომ შეგვძლის, ჩემი წმიდაო,
ჩენი საყვარელ ურთიერთობის დანახეთ, უმხურვალეს მიღლო-
ბით თაყვანსა სცემდი ღმერთს, რომელსაც უკანასკნელ წამში
ცხარე ცრემლით ევდორებოდი შენის ბავშვების ბედნიერებაზე.

ეს სთქვა ლოტტამ! ო, ვილპელმ, ვინ გიმეორებს, რაც
მან სთქვა! ცივს, მკვდარ ასოებს როგორ შეუძლიანთ გამო-
ხატონ ის ზეციური ყვავილი სულისა! ალბერტი წყნარად ჩაე-
რია მის ღაპარაკში:

— ეს მოგონება მეტად გაღელვებს, საყვარელო ლოტტა!
ვიცი, რომ ეს ფიქრი გიზიდავს, მაგრამ მაინც მე თქვენ გთხოვთ...

— ალბერტ, — უპასუვა ლოტტამ, — ვიცი არ დაგვიწყებია
ის საღამოები, როცა მამა შინ არ იყო ხოლმე, ბავშვებს მი-
ვაძინებდით და ჩვენ ერთად მოვუსხდებოდით ხოლმე პატარა
რგვალ მაგიდას. შენ ხშირად გქონია ამ დროს ხელში კარგი
წიგნი, მაგრამ ისე იშვიათად კითხულობდი... რა სჯობდა იმ
საუცხოვო სულის, იმ მშვენიერის, წყნარის, მხიარულის და
მუდამ მომქმედი დედაკაცის ქცევას! ღმერთმა იცის მხოლოდ,
რავდენი ცხარე ცრემლი მიღვრია და შევვედრებივარ მას, რომ
გაწადოს მისი მზვაცია.

— ლოტტა! — შევძახე მე, დავეცი მის წინ, გამოვართვი
ხელი და მასზე ათასი ცრემლი დავლვარე, — ლოტტა! კურ-
თხევა უფლისა და დედაშენისა იყოს შენი მფარველი.

— ოჟ! რად არ იცნობდით მას! — მითხარა ლოტტამ და ხე-
ლი ხელს მომიჭირა. — ის ღირსი იყო თქვენის ცნობისა!

მე გონიერის ვკარგავდი. არასოდეს არ ყოფილა ჩემზე თქმული ამაზე უფრო მაღალი, უფრო თავმოსაწონი სიტყვა.

ლოტტამ განაცრძო:

— და ის ქალი გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზდა, როცა მისი უმცროსი შვილი სულ შვილი-ექვსი თვისა იყო! მისი ავადმყოფობა დიდხანს არ გაგრძელებულა; ის იყო დამშვიდებული, მორჩილი; მხოლოდ ბავშვების მდგომარეობა აწუხებდა, განსაკუთრებით უმცროსისა. როცა იგრძნო თავის აღსასრულის მოახლოება, ბავშვები ამომაყვანინა. უმცროსებს არ ესმოდათ, რა ამბავი ხდებოდა და უფროსებიც უაზროდ იდგნენ დედის ლოგინთან. დედა მაღლა ხელ-ალპყრობით ლოცულობდა მათვის. მერე ყეველა ბავშვები გადაჭყოცნა, გამაყვანინა კარში და მითხრა: „ეყავ მათ დედალო!“ მე ეს აღვუთქვი.— „შენ ბევრს მჰირდები, შვილო“, — მითხრა მან, — დედის გულსა და დედის თვალს! ხშირად შემიმჩნევია შენს მაღლიერ ცრემლებზე, რომ შენ გრძნობ, თუ რას ნიშნავს ეს. იქნიო გული და თვალი შენის ღა-ძმათათვის. იყავ მორჩილი და ერთგული მამისა როგორც მე ვიყავი. ანუგეშე იგი“. — მერე მოიკითხა მამა-ჩემი: ის კარში გასულიყო, რათა დაეფარა ის აუტანელი მწუხარება, რომლითაც გული მისი საშინლად იტანჯებოდა. ალბერტ, შენ მაშინ იმ ოთახში იყავი. ავადმყოფმა გაიგონა ფეხის ხმა, გიკითხა შენ და მიგიხმო თავისთან, — როგორი ნუგეშემული, დამშვიდებული თვალებით შემოგვხედა მე და შენ, რაღაც ჰერძნობდა, რომ ჩვენ ერთად ბედნიერი ვიქნებოდით...

ალბერტი მოეცვია ლოტტას ყელზე, აკოცა და შესძახა: პედნიერი ვართ, ბედნიერი ვიქნებით! უაველთვის მშევდი ალბერტი სრულებით აირია, და მე არ ვიცოდი რა მემართებოდა.

— ვერტერ, — დაიწყო ლოტტამ, — ასეთი ქალი უნდა გარდაცვლილიყო! — ლმერთო! რა საშინელებაა, რომ ხან-და-ხან იძულებულნი ვართ უძვირფასესი არსება სახლიდან გავიტანოთ! ამას ისე მწარედ ვერავინ ვერა ჰერძნობს, როგორც ბავშვები, რომელნიც კიდევ დიდხანს სჩიოდნენ, — შავმა კაცებმა წაიღეს დედაო.

ლოტტა ადგა, მე გამოვთხიზლდი და თავზარ-დაცემული ვიჯექი და მისი ხელი ხელში მეჭირა.

— უნდა წაეიღეთ,—სთქვა მან,—დრო არის.— უნდოდა ხელი წაერთვა, მაგრამ მე ხელი უფრო მაგრად მოვუჭირე.

— ჩვენ კვლავ ვნახავთ ერთმანერთს,—შევსძახე მე,— ჩვენ კვლავ შევხვდებით და, რა სახეც უნდა გვექნეს, კვლავ ვიცნობთ ერთმანერთს. მე მივდივარ, მივდივარ ჩემის ნებით და რომ მეთქვა „საუკუნოდ“-თქო, ამას ვერ ავიტანდი. მშვიდობით ლოტტა! მშვიდობით ალბერტ! კვლავ ვნახავთ ერთმანერთს...

— ხვალ,—მგონია,—იხუმრა ლოტტამ.

მე ეიგრძენი ეს „ხვალ!“ ახ, როცა თავისი ხელი წამართო, მან არ იცოდა... ისინი გავიდნენ ხეივანიდან, მე ვიდექი, ვუყურებდი მათ მოვარის შუქზე, მერე დავვარდი მიწაზე, წამოეხტი, ავირბინე ტერჩასა და კიდევ დავინახე ქვეით მაღალ ცაცხვთა ჩრდილში მისი თეთრი კაბის ციმციმი; ის მიღიოდა ბალის კარისკენ, მე გავიშვირე მისკენ ხელები და ისიც გაჰქრა.

○—6

(შემდეგი იქნება)

ორ ზღვას შეა...

ორ ზღვას შეა გაზრდილი ჟარ,
მიევარს ჩემი ტექ და ჭალა,
არც ბატონად მომაქვს თავი,
არც ჟარ სხვისი მახანხადა.

განც მიმოუკრებს — მეც უუმოუკრებ,
ვინც მიმტერებს — ჟარ მის ბედს:
ძვალსა და რბილს გავუერთებ,
დავანაცრებ, ვითა აბედს.

და თუ ვინმე წრფელის გულით
სამეზობლოდ მიგადრებს მეც,
მაშინ მისი გულითადი
ძმაცა ჟარ და მოჯალაბეც...

მონბას კი, უკაცრავად,
არ სჩეკება ჩემი გერი
და მეც უმობას ვერგის ვუზამ,
განდ გასწორდეს მთა და ბარი.

აბა, ერთი წასცდეს ვისმე
და სთქვას ჩემი მონა სარა-ო,
თეშთა პირშა შემაჩერენს,
თუ ის ერთ წუთს გაფახარო!

იქვე ჩავჭავა... სისხლს გამოუსწოვ...
ეთრანივით ამოვგლებ გულს...
ფეხით გავსრეს... და ამ რიგად
შევანიშებ ბრივულად თქმულს!

განდეგალი



ნუ მასმი ნექტირს...

ნუ მასმევ ნექტარს,
 დექ, მან შესვას,
 გისაც ნამდვილად ენექტარება;
 ნუ მცხებ მაღამთს,
 ოთმ დამამთს:
 გულს ნაღველ-ნაწეთს არ ექარება.
 ნურცა მცემ თაუფანს,
 ტროფისა საგანს
 ჩემთვის დაკარგულს ნუ მომაგონებ;
 ნუ მიმდერ ტყბილ ჭანგს,
 გულს მოდებულ ჟანგს
 ასე აღვილად გერ მომაშარებ.
 ნუ მაღგამ გვირგვინს:
 თავ-მომწონე გმირს
 არ ექადრება მით ამაულდეს;
 სხეს მიეც, არ შეურს:
 მე მსოლოდ ის მსურს,
 ოთმ უგვირგვინოდ თავი მამებდეს.
 სომ სედავ ამ გულს,
 მუდამ დახურულს,
 აქ მაქვს ნექტარი, აქ მაქვს სამსალა:
 ცამ შირნათელმა,
 ჭურღმულმა ბნელმა
 აქ ჩააბუდეს თავ-თავის ძალა.

და არ გთხოვ ნექტრარს...
 უბშდავების ცეარს
 მეგე დავაფრქვევ, თუ ვნახავ უძლურს...
 ნუ აჟღერებ ჩანგს!..
 გულს მოდებულ ჟანგს
 სხვა ვერ გადამრეცხს... არც ნექტრარი მსურს!..

განდეგილი

15 ენკენისთვე 1900 წ.



ასული ისრაელისა

ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია *)

მომცემება მიოთხვა

სცენა შირგელი

(ბანაკი ბაბილონელთა. ოლომფრეს ოქროს კარავი, მორიაული დიდებული სამხედრო მოწყობილობით. ასევენა აქ კერძი ბაალისა, ასურისა, ასტარტასი, ბაბილონელთა და ასურთა ღმერთებისა და მათს თავს ნაბუქადონოსორის სახე ღმერთად მოჰკედილი.)

თადამფრე. (სამხედრო ტანისამოსით. შეპხედავს ნაბუქადონოსორისა, ბაალისა, ასტარტასი და ასურის ქანდაკებს). ნაბუქადონოსორ ღმერთია! და თქვენ, ასტარტავ და ბაალ, ღმერთინო, ქვეყნად ნაყოფიერებისა მომფენნო, და შენ ასურ, ძლიერის ასურის ერის ღმერთო, — უკეთუ მართლა ხართ ღმერთნი, — უთმენთ მის ნაბუქადონოსორს?! (გაიხედავს სარკეში) შემოგვედონ მეცა და მაგასაც. სახიჩარი, მხეცის სახე ნაბუქადონოსორ—ღმერთი!.. ღმერთი — ვისით? (იჩვენება მელავზე და თავზე) აი, ამათით. და მე?—მე მონა, მოსამსახურე მისი, შემსრულებელი ყოველი მისი საზიზლარი სურვილისა და წყურვილისა!.. მე უნდა სისხლსა ვღვრიდე, ვიპყრობდე ქვეყანას, ეგ კი მეფობდეს და ღმერთობდეს! ღმერთაბდეს კაცი, რომელსაც იქამდის ვერ

*) იხ. „მრავბე“ 1900 წ., № 8.

გაურჩევია თავისი თავი: კაცია თუ პირუტყვი, დაუკარგავს გონი და მისცემია მესიზმრეთა, მემისნეთა, მოგვთა და ქალდეველთა *) ხელში; მისცემია ეზრა-ელთა ყრმათა წინასწარმეტყველებას. საიდან, საიდან შესდგა ძალა ამა, ყოველს დიდებულს ბუნებას მოკლებული, კაცისა?... ოო, ერნო, ოო, კაცის ბუნებავ! მცირე გაბედულება, მცირე თავს მოქცევა შეწედ, მრისხანე სახე და შეუბრალებლობა შენი, და შენ თვითონ ჰედი ხშირად თვით უბრალო აღტაცებული გონის კაცთა ღმერთად... მთელს სულგმულთა შო. რის მარტო შენა ხარ, კაცო, რომელიც ძალათი ჰყოფ თავს სახრჩობელაში, ეძებ მტარვალთა, რათა ამონო თავი და მისცე შენი სიცოცხლის ძაფები ხელში შენდა საკვდავად და საწამებლად... კაცი, რომელიც იქნება შენი ნაკლით სავსე, რომელიც შეუწყობს შენს ნაკლს ხელს, დადგება შენს ზნეზედ, — ხდება შენი ღმერთი, შენი სალოცავი!.. გაღმერთებულა ნაბუქიდონოსორ! ნაბუქადონოსორ პირუტყვა, ნაბუქადონოსორ ოთხზედ მავალი, ნაბუქადონოსორ აღტაცებული, რომლისაც ერთად-ერთი ღირსება არის ისა, რომ მოჰშიდა ბაბილონს მთელი ქვეყნის სიმდიდრე, მოიყვანა ქვეყნის ტყვენი, შეჰკრიბა ქვეყნის მეცნიერნი, ქვეყნად უნიჭიერესნი და ხელოვანნი კაცნი, და ყველა ესენი შეუყენა ბაბილონის აბალლებას, თავისი ტახტის დამკვიდრებას, თავისი სახელის გადიდებას. (გასდგება განზედ და შესცეკრის კიდევ ნაბუქადონოსორის ქანდაკს). აღიარეს ქურუმთა ნაბუქადონოსორ ღმერთად.—რადა? მეფეთა ღმერთად აღიარება მისცემს მათ ძალას, რომ სამი წილი სამეფოთა ქონებისა ეჭიროთ ხელთ, სპამონ და არა ჰყვანდეთ წინააღმდეგი, რადგან ერი თავის ასე უწყალოდ ყვლეფას არ მოუთმენს მეფეს-კაცს, და მეფეს ღმერთს კი

*) ქალდეველთ—მეცნიერთაც ეძახდნენ მაშინ.

ასული ისრაელისა

ვერ შეჰქედავს ვერაფერს. ნებოლიდ, უღრმესმა მეცნიერმა ალიარა ნაბუქადონოსორ ღმერთად,—რადა? იმიტომ, რომ ალიარებენ ქურუმი, რომელიც არიან მტრები მეცნიერებისა, და უკეთუ მეცნიერებამ იგი უარისყო, ქურუმთ მიეცემათ ძალა შეჰმუსრონ მეცნიერება და მეცნიერნი. (დაფიქრდება) მაშ ვის გკუთვნის მეფობაცა და ღმერთობაც? (დაფიქრდება) ზოგნი მესიზმრენი და წინასწარმეტყველნი წარმოსთქმიან ჩემს ჩუმად, რომ ნებოლიდს ელისო მეფობა... (დაფიქრდება) ნუთუ მართლა? არა, ის არის მშვიდი, რისხვა უჩენელი, გულჩილი, მხოლოდ სამუცნიერო საქმეთა მიმდევარი... ის ვერ გახდება ჩემი მოცილე... მეფობა არის ხელთა მახვილოსანთა, და არა საეტლოთა აღმომკითხველთა... არის მოცილე ჩემი კიდევ ევილმეროლოს. ის არის ვკელი, ჰეიბლავს ნაბუქადონოსორს და პეტელავს ყოველთა მოცილეთა თვისთა. მაგრამ იმას არ შესწევს არც რიხი, არც ახოენება, არც გმირობა... მისი დღენი ხელთა ჩემთა: მავალ თუ არა ბაბილონს... (დაფიქრდება) დიალ, ალიარეს ღმერთად ნაბუქადონოსორ არა იმიტომ, რომ მასში მართლა ღვთაებრივი რამე მოიპოვებოდეს, არამედ თვისთა საქმეთა წარსამართვად. რა ჰსურს მეცნიერებას? გაუქმება ღმერთთა, და თვით მათი ადგილის დაჭერა. რა ჰსურთ ქურუმთა? სიბრმავე ერთა და მეფობა მის ბრძანებაზე, რათა იგი ხელსა და გონს გაუნძრევლად ჩაძვრეს შესაჭმელად მათს გაუმაძლარს მუცელში... დავიკურა ისრაილიც, და მაშინ ვნახოთ, ვინ არის ღმერთობის ღირსი, ვინ არის ცის ქვეშეთ პირველი!.. ო, ბეთოლ! ო, ოზიავ! თქვენ-ლა ხართ ბორკილი ჩემი პირველობისა ცის ქვეშეთ, ჩემი გულის წყურვილის შესრულებისა... ნუ თუ უნდა შესრულდეს სიტუაცია მოვატთა მთავრის ახიორისა და ბეთოლი არ იქნეს განართხულ ფერთა ქვეშე ჩემთა?

არა! მთელს ჩემს მხედრობას, მთელს ჩემს ნიჭს, ჩემს გონიერებას ჩემს თავს შევაკლავ და, იუდავ, არ შევს-ჭამ შენს ჯავრს, და მაშინ, ვაი შენდა ბეთოლო, ვაი შენ ოზიავ! ვაი შენდა მთლად ერო ისრაილისავ! ფერფლი, ფერფლი რა არის, ფერფლიც აღარ გაუშვა არცა თქვენგან და აღარცა თქვენთა საცხოვრებელთაგან!!. (შემოდის ვალაი).

გალა. ღიღებულო მხედარომიაერო და ღმერთთათანადარო, თვით უძლიერესნი ღმერთნი უძლვიან ძლიერებასა და საქმეთა შენთა: ჰეწავნიან შენდა უმალლესსა წყალობასა თვისსა. ეს არის ებლა მოვიდა ბეთოლიდან ერთი გამოქცეული დედაკაცი თავისის მხევლით. ცხარე ცრემლით იხვეწება შეწყნარებას და თხოულობს, მოვიყენოთ შენთან, რათა შეგაბრალოს თავი თვისი და გამხილოთ მრავალი საქმენი თვისი ქვეყნისა. დიალ, დედაკაცი, თუ ეთქმის დედაკაცობა მას, რომელიც მშვენებით, ახოვნებით და ღიღებული სანახაობით სჭარბობს თვით მშვენებათა ღმერთს, ასტარტას.

თღომფრე. საჭურისთა თვალში ის დედაკაცნი არიან მშვენიერნი, რომელნიც მოსწონს დედაკაცისავე თვალს და არა მამაკაცს... მოვიდეს: ვნახოთ ერთი შენი მოწონებული მშვენების დედაკაცი.

გალა. მე ვამბობ შენს გემოვნებაზე, და ჩემთვის ხომ ყოველი სახე დედაკაცისა დაკარგულია. (გადის).

თღომფრე. (მარტო) ჯერ არც ერთს ებრაელის ასულს არ მოუზიდნია გული და თვალი ჩემი. ცხადია თავისი საჭურისის თვალით ჰენახავდა ეისმე ულვაშ შესხმულს დედაკაცს, ბოხის ხმით, ტლანქი ჭანით, სხვილი წხარბეჭით და გაიტაცებდა მას მისი მშვენება. იმ მშვენებათა ღმერთს მივცემ მე მაგასვე მისი გემოვნების დასატკბობელად.

ასული ისრაელისა

(შემოდის ვალაი, თან შემოსდევენ ივდით და მხევალი ივდითისა აბრი. ივდით არის მორთული მშვენივრად, მდიდრულად, შემკული თვალმარგალიტით. თავს ადგია ჯილა, აგრეთვე თვალმარგალიტით მოჭედილი. ტანს ასხია ოქროთი მოქარგული და ძვირფასი თვლებით შემკული ქლამიდი, ფერწო აცვია ძვირფასად ნაკერი ხამლები.)

თლომფრე. (თავისთვის) ასული, ხშირი სტუმარი ჩემი ოცნებისა... ეს, სწორედ ეს არის, რომელიც სიზმრად ასრე უწყალოდ ჰქიბლავდა ჩემს გულს, და ცხადად კი ვერსად, მთელი ცის ქვეშეთ ძებნის შემდგომ, ვერა ვპოვე.

ივდათ. ოლომფრე, დიდებულო და უძლეველო მთავარო, ცის ქვეშეთისა დამცყრობო და ზარის დამცემო! ასული ისრაელისა, პატრონი მრავლისა საცხოვრებლისა, ჩვეული დიდსა ნებიერსა და ფუფუნებით ცხოვრებას, დღეს, შეიწრებული უწყლობით, შევფარებივარ დიდსა და ძლიერსა საფარველსა შენსა. მოდის კვალად დიდძალი მხედრობა ბეთილის სახსნელად, ჰსფრთ წყალი წარიტაცონ ხელიდან მაგრამ მე, მღვოვმოვლენილნი ძილის შინანი მარწმუნებენ, რომ არა აქვს ღსნა ბეთილს. ღმერთი ებრაელთა, დიდებული ეგოვა, ჩვენი დიდებული წინასწარმეტყველი იერემიას პირით გვიბრძანებდა მორჩილებასა და ერთგულებასა თქვენსა. ამასვე სიზმრივ თუ ცხადის შთაგონებით შევვასმენდა მე და მრავალთა სხვათა ღმერთი იგი ძლიერი.

თლ ამფრე. მსმენია ეგე თქვენსავე ებრაელთავან, მშვენიერო, ცით მოელენილო ახალო ასტარტავ, და ვიცი კიდეც. მაგრამ ვერ ვარწმუნე ამაზე ახიორ, მეფე მთავიტთა, რომელიც ამის დასარწმუნებლად გამოვზიანე თქვენთან, რომ დაესწროს იქ, როდესაც დაეცემა ბეთილი და მოჰყვეს თვით მის ნანგრევთა ქვეშე თავისი თავსედური ახირებისათვის, რომ ბეთილი არის უძლეველიო! ბრძანე! მშვენიერო ასულო.



იყდოთ. ერთ სდგას საბაოთ ღმერთის ბრძანებაზე, მაგრამ არა აქვს ხსნა სამლელელოთაგან, არა აქვს ხსნა მხედართ-მთაეპოთაგან, რომელთაც სხვა ღმერთის აღიარებით და სხვა მეფის მორჩილებით მოაკლდებათ დიდება, მუქთი ცხოვრება, ძალაობით შეძენილი სარჩო. მღვ-დელნი და მხედართმთაგარნი ძალაობენ და არ აძლევენ ნებას, რომ გაგილონ ციხის კარი და შემოსწირონ თავი დიდებასა შენსა...

თაღომფრე. (გასცემის შუბლებები და თანდათან უფრო ენთება თვალები) ბრძანე, ბრძანე მშევნებათა ღმერთო, ღირსო ღმერთთათანა დიდებისა და ცის ქვეშეთისა დედოფლობისა.

იყდოთ. და აი, ბეთილის ერმა, რომელსაც დიდი ხანია ჰესურს დასდგეს თავისი ღმერთის ეგოვას ბრძანებაზე, მომანდო მე საიდუმლოდ გხლებოდი შენ და მესწავლებინა გზანი ბეთილის დასაპყრობად. მეცა ვუსმინე ერის ვეღრებას და დავემორჩილე ჩვენი ღმერთის ეგოვას ბრძანებას, გიახელ შენ, და დღეს უნდა აღსრულდეს ბრძანება უფლისა ჩვენისა... ამას ბრძანებს საბაოთ ღმერთი; ამას ჰესაჭიროებს განწირული ერი ისრაილისა...

თაღომფრე. ქალწულთა მშვენებავ, ისრაელისა ასულთა გვირგვინო! უკეთეს მოციქულს და შუაკაცს ვერ გამოჰგზავნიდა ბეთილი ჩემთან. სწორედ უბრძანებია ღმერთსა თქვენსა, რომ ჩვენი მხედრობა არის უძლეველი. ძლევა მისი არც ღმერთთა და არც კაცის ხელთ არ არის! ვაი მას, ვინც გაპბედავს ამ მხედრობაზე ხელის შემართვას!.. და, რამდენიც უფრო მტკიცედ იდგება იუდა თავის თავხედობაზე, იმდენი უფრო მოელის მას შეუბრალებელი რისხვა ჩემი. გაჩენის წიგნთა შინა ამოიშლება სახელი, ისრაელისა... უკეთუ ბეთილი თავის ნებით გაშილებს კარს და ჩამაბარებს ციხის გასაღებს, გამიხსნის ამითი მთელი ისრაელის

გზას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეუძლიან ელოდეს ჩემგან შეწყალებას... და შენ, დიდებულო სახეო, მაგ შენი საშახურისთვის მიიღებ უმაღლესსა დიდებასა, განდები უდიდებულესი და უბედინერესი ასულთა შორის ყოვლისა ქვეყნისა.

თვედით. დიდებულო მთავარო, რომელსა არა გყავს დარი არცა მთავართა, არცა მეფეთა შორის, რომელსა გელის გვირგვინი ცათა ქვეშთის მეუფებისა, უსმინე ივ-ლითს, ღვთივ შთაგონებულს ასულსა ისრაელისას, რომელსა ძილის შინათა ხშირად ესაუბრების ღმერთი მომავალსა კაცთა ცხოვრებაზე. ბრძანებს საბაოთ ღმერთი: დაჯდეს საყდართა ზედან ქვეყნის მფლობელობისა მეუფე ახალი, მზისა უბრწყინვალესი გვირგვინით შემკული და შეიმუსროს ძველი, ოდეს აღიმართოს დეირას ველსა ზედან ხატი უდიდებულესი და დასცეს უძლეველმან მთავარმან ბაბილონელთა ისრაელი.

ოდიმფრე. (თავისთვის) სწორედ ეს არის ის, სიზმართა და ცნობათა ჩემთა ღმერთი, რომელი შატკბობდა ტკბილისა საუბრითა, ციური ალერსით, ციური გალობით, ნეტართა საკრავთა ხმებით... სწორედ ამ სახით იყო ძინთ მოწოდებული ქალწული, რომელსაც ეჭირა ცის მნათობთა უბრწყინვალესი გვირგვინი, მაღვამდა თავზე და მეუბნებოდა: შენა ხარ მეუფე ცის ქვეშთისაო... და აი, სწორედ ის, ცით მოვლენილი სახე, ახლა მიხსნის გზას და მაძლევს ძალას დაეიპყრა ისრაილიც და მაშინ!!.. (ივლითს) დიალ! ბრძანე ცით მოვლენილო, ღვთაებისა ნაწილო.

თვედით. და ისრაელის დაპყრობით სრულდება ბრძანება იგი ისრაელთა საბაოთ ღმერთისა... და შენ, უფალო და მფლობელო სულთა ჩვენთა, უბრძანე მხედრობასა შენსა, რომ არ დამიშალონ შენს თეალ-ვალუწდომელს ბანაკში თავისუფლად სიარული არცა დღე,

არცა ლამე; არ დამიშალონ სიარული მდინარისაკენ, რომ იქ მეონდეს დრო ჩვენი წესისამებრ ლოცვისა და ჩემთან შეთქმულთა მეონდეს დრო საიდუმლო ლაპარაკისა ციხეზე მისასვლელად და ციხის კარის გასატეხად. უნდა ეს მოხდეს იმ დრომდის, ვიდრემ მოვა ახალი მხედრობა ისრაელისა ბეთილის სახსნელად... ახლა კი ნება მიბოძე წასვლისა და ბინა, რომ ამოდენა ღელვისაგან მივცე თავი მურე მოსვენებას... ალომფრე. ყოველივე შენი სურვილი შესრულდება, როგორც უმაღლესი ბრძანება.

გადაი. (გამოდის კარვის მეორე სართულიდან) ეახლავარ მეუფესა ჩემსა უძლეველსა ოლომფრეს.

ალომფრე. უბრძანე დაუდგან ამ ჩვენს ცით მოვლენილს სტუმარს ოქროს ქსოვილი კარავი, შეაძյონ ყოვლითა დიდებითა, როგორც მეფეთა თანასწორს, როგორც თქვენს დიდებულს მზრძანებელს. გაეცი ბრძანება მთელს ჩვენს ბანაკში, რომ არავინ გაპბედოს დაუშალოს ამით თავისუფლად სიარული ჩვენს ბანაკსა თუ ბანაკს გარეთ, და შეასრულონ ყველამ ყოველივე ამისი სურვილი და ბრძანება. ახლა იახელ და მოასვენე ნებისამებრ, მისისა. მინამ ესენი მოისურვებენ, უბრძანე მოამზადონ სერობა დიდებული. მოიწვიე სერობაზე უკეთესნი ჩვენნი მხედართმთავარნი, ყოველნი მეფები და მთავარნი, რომელნიც იმყოფებიან ჩემს მხედრობაში. იმედია ესე უმაღლესი სტუმარი ჩვენი არ გვეტყვის უარს, დაამშვენოს ჩვენი სერობა, რომელიც იმართება მაგის სადიდებლად და იმა დიდი საქმისათვის, რომელიც მაგას ჰქონია მონდობილი.

ივდით. უფლისა ჩვენისა ეგოვას ბრძანებით მოვსულვარ შენდა მსახურად, და ვითარ ძალმის უარი ჯერ ღვთისა და მემრე მეუფისა ჩემისა ბრძანებისა. (გადის ივდით და გასდევს თან აბრი).

გადა. (ოლომფრე) თურქე საჭურისთა თვალნი არა ყოფილან
მოკლებულნი ძალის, გაარჩიონ მზის სხივი ღამის
წყვდიადისაგან... ოლომფრე! მოკლეთ ძლევამოსი-
ლებითა მე და შენ პირი ყოვლისა ქვეყნისა, მაგრამ
არც ჩემსას და არც შენს თვალს არ უნახავს მაგის
მშვენებისა და დიდების ასული... მაგრამ... რაღაც
ზარი და რისხვა ისახება მაგის ღვთიურს თვალებში.

ოდამფრე. ისახება სამღრთო ალი და დიდება ქვეყნის დედოფ-
ლობისა. მაგას ელის დიდება, რომლისა მსგავსი არ
მოკლენია არა ასულია კაცისასა... მეფეური, მღვთი-
ური სამსახური უნდა გაუწიოთ მაგას...

გადა. ოლომფრე! ეგ დედა-კაცი გახდება ან აღმდგენი სამე-
ფოთა, ან დამმხობი უძლეველთა... ყოველსავე მაგის
სახის მოძრაობაში ისახება რაღაცა რამ უკრაური...
შევეკითხნეთ მემსნეთა, მეტლეთა, მესტროლაბეთა,
მსახრავთა და ქალდეველთა აგვისნან, თუ რას მოას-
წივებს დედაკაცი ეგე მისი მღვთიური მშვენებით და
მღვთიურისავე რისხვით თვალებში.

ოდამფრე. ეგ არის საჭმე საჭურისთა და მათი, ვისაც ეტლი
თავისი არ უპყრიათ ხელთა თვისთა. შენ მოუმზა-
დე მაგას ყოველი ღირსეული პატივი, და რასაც
მოასწავებს ეგ დედაკაცაცი, გაიგებ მაშინ, როდესაც
იხილავ მაგას იმ დიდებით, რომელიც შენ სიზმრა-
დაც არა გჩვენებია. (ოლომფრე გადის კარვის სხვა სარ-
თულშია).

გადა. (მარტ) რად, რა,დ ღმერთნო, უკეთუ განაჩინეთ სახიჩ-
ჩება ჩვენი, რად შეგვაჩჩინეთ სურვილი მშვენიერთა
ასულთა?! რად არ აღკვეთეთ ჩვენს გულში ძალა
ტრიფიალებისა?!. ოო, ასულო ისრაელისა! ვერავინ,
ვერავინ, თვით ღმერთი ბელლა-მაროდოხე ვერ გა-
მამწირავდა შენს თავს, რომ მტრობასა და კაცთა
შეუბრალებლობას არ მივეცი მე საშინელისა და კაც-
თა და ღვთის გარეგანსა სახიჩჩებასა... მაგრამ... რას

მოასწავებს, ქვეყნის მშვენებისა და დიდების ასულო შენი ელგა თვალთა, დაფარული ცეცხლი შენი სახისა, როდესაც გაჰყურებდი შუბლქვეშ ოლომფრეს?! ნუ თუ ტრფობას?! მონობას?! ანუ იცან შენი მშვენების შემაგინებელი ცეცხლი, ოლომფრეს გულს ანთებული, და ამის ზიზღს და სიძულვილს გამოსთქვამდნენ სახე და თეალები შენნი?! ძლიერ ხარ დედაკაცთა შორის, და ფარულ საქმენი და განზრახვანი შენნი... შენი სახე არ ამბობს, რომ იყო გამცემი შენი ერისა. ქვეყნის გამცემთ ადგვთ სხვა ფერი, სხვა ბეჭედი, რომელნიც უნებურად აღძრავენ კაცის გულში ზიზღსა და სიძულვილს... (შემოდის ისევ ოლომფრე).

ოლომფრე. ვაღაი! მაგ ბშვენების ქალს ცხადია ეცოდინება საკოავთა ხმარებაც, ეცოდინება გალობაც. სამღრთო გალობა ეძრაელთა ასულთა განთქმულია ქვეყნად. უნდა დავაკვრევინოთ ქნარი და ვაგალობოთ დიდება სიონისა.

გაღაი. ქნარიც ოქროსი თანა აქვს. მაგისი ვერცხლებრივ მოწკრიალე ხმა, გამყოლი კილო ცხადად ამტკიცებენ, რომ უნდა იყვეს ჩინებული მგალობელი. ყოველივე შენი ნება შესრულდება. (გადის)

ოლომორე. (მარტო) დიაღ! სწორედ ევ არის უფალი ჩემთა სიზმართა, მფლობელი ჩემი გულის თქმათა... და ესე სიზმარნი იყენენ ისჩე ძლიერნი და ცხოველნი, რომ ცხადლივაც ხშირად მელანდებოდა სახე მაგისი. ამ სიზმარმა გააქრო ჩემს გულში სახე ყოვლისა მშვენებისა. ყველა ჩემი ცოლები, მშვენება ცის ქვეშეთ მყოფთა ასულთა, რომელნიც მე ამრკრეფია ხარკად დამონავებულთა ქვეყანათაგან, ამ სიზმართა შემდგომ თითქო ამოაქრენ ჩემი გულიდან და სახე მათი, თუ არ ნახვით, ალარ ევლინებოდა თვალთა და გონებასა ჩემთა... ო, ასულთ ისრაელისა! შენ, შენ გა-

ჩენილხარ ქვეყნის დედოფლად, და მე დაგადგამ შენ ქვეყნის დედოფლობის გვირგვინს, გაუფლებ ჩემს გულზე, ყოველს ცის ქვეშეთზე, ყოველთა ერთა ზე-და, რომელნიც კი გაუჩენია გამჩენს... ო, დიდებუ-ლო ღმერთო, ასტარტა! შენ იყავ მუდამ ჩემი მწყა-ლობელი, უკეთესთა მშვენების ასულთა ჰედიდი მო-ნად ჩემთა წალილთა, და დღეს მომივლინე უკეთესი წყალობა შენი... (შემოდიან რავდენიმე მხედართმთავარნი).

უკელანი. უიდებულს ოლომფრეს, მეფეთა უძლიერეს და უძლე-ველს მხედართმთავარს მშვიდობა და გამარჯვება ყო-ველთა მტერთაზედა.

თულმფრე. მობრძანდით, ქალდეველთა მხედრობისა დიდებანო! დღევანდელმა დღემ მოგვიტანა ახალი და სასიამოვ-ნო აშბავი, რომელიც გამოგვიგზავნა ნაყოფიერება-თა და მშვენებათა ღმერთმა, ასტარტამ, სამოთხის გაუფურთქნავი ყვავილის სახით... ერთი დღეც და ბეთილიც და მასთან მთელი ისრაელი, სამარია და მე-ზობელი და ებრაელთა მოკავშირე ქვეყნები იქნე-ბიან ჩვენს ხელთ. ამის გამო ჩვენ უნდა დღეს მოვე-ცე ღირსეულს ლხინსა და განცხრომას. უნდა უბრ-ძანოთ, რომ მთელს ჩვენს მხედრობას მისცენ ახალი სანუგბარი, რათა ილხინოს იმანაც ჩვენთან. მიზეზი ამა დიდისა ნადიმისა, ასული, რომლისა მსგავსი არ უნახავს არავის თქვენებანს სიზმრადაც კი, გვეყოლე-ბა აქ, დაუკრავს ქნარს და გვიგალობებს ფსალ-მუნთა, რომელსაც ქალწულნი სიონისანი უგალო-ბებენ ეღოვას და სიონს.

გადათ. მეფენი, მთავარნი და დიდებულნი, ბრძანებისამებრ, შე-ნისა, გიახლებიან. ყოველი ნუზლი და სანუგბარი სე-რობისა არის მზად. ასული ებრაელისა ჰმართავს ქნარს და ემზადება სერისათვის.

თდომფრე. მაშ დასდგან ტაბლანი. მოიხმეთ მუტრიბნი, მეფ-
სალმუნენი და მოსაკრავენი. (შემოდიან მეფენი, მთავარ-
ნი და მხედართმთავარნი).

მეფე ამაღიკელთა. ნადიმი ესე უთუოდ ნიშანია ბეთილის და-
ცემისა, ისრაილის სამფდამოდ დამზობისა. დადის ხშა:
ბეთილი გვიღებს კარსაო. ღმერთთან თანადარო
ოლომფრე! ძლევა ისრაილისა აღგამაღლებს უმაღ-
ლეს ყოველთა მეფეთა, რომელნიც კი მთავრობენ
ქვეყნად... დიდებულს და უძლეველს, მთელი ქალ-
დუს უფალს ოლომფრეს გაუმარჯოს!!.

უკავანი. (შექმართვენ მახვილს და ჰყვირიან) გაუმარჯოს!!.

თდომფრე. გამარჯვება ჩემი—არის გამარჯვება თქვენი. ჩემს
ერთგულთ, ჩემს მარჯვენა ხელს მეფეთა, მთავართა
მხედართ-მთაეპართა და დიდებულთა გაუმარჯოს!!..
(ვალაის). ვალა! მოიყვანე იგი დიდებული ასული ის-
რაელისა, რომელმან უნდა ცათამდი აღსული და
თვით ციური მხიარულება მიაყენოს ჩვენს, სისხლის
და ბრძოლისაგან დაუანგებულს გულს... მოიტანოს
თან ქნარი თვისი და იახლოს მხევალი თვისი.

გადაი. სრულ იყვეს ნება შენი, დიდებავ ბაბილონისა (გადის).

(შემოდიან მეფსალმუნენი, მუტრიბნი, მგალობელნი და მოსაკრა-
ვენი. ჰყალობენ).

ბელლა-მაროდეს და ასტარტავ, ნაყოფთა ღმერთნო,
თვით თქვენი ხორცით, თქვენი სულით შეჰქმენით თქვენა
ქვეყნის დიდება და გვირგვინი—ოლომფრე დიდი,
მიტომ ღმრთაებად ქვეყანასა ის მოჰკვლენია.
მისეა დიდებას, მისეა ძალას, მისეა გონებას
ცა და ქვეყანა, მზე და მთვარე, ყველა სულზგმული,
ლვთაებრივისა დიდებითა მას შეამკობენ.
არ არის ქვეყნად მისი დარი, მისი მძლეველი.

თდომფრე. კრარა! განამზადეთ ახლა გალობა და მუსიკა თქვე-
ნი სადიდებლად იმა ისრაილის ასულისა, რომელიც



მოვა ეხლა აქ და რომელიცა შეგვძენს ჩვენ დიდე-
ბასა მოულოდნელსა.

(შემოდის ივლით, შემოსდევნ ვაღაი და აბრი, რომელსაც უჭი-
რავს ხელთ ქნარი ივლითისა).

თადომფრე. გალობა, სადიდებელი უდიდებულესის და უმშვე-
ნიერესი სტუმრისა. (მეფსალმუნენი და მგალობელი ჰგა-
ლობენ, მესაკრავენი მიაყოლებენ საკრავთა ხმას).

მობრძანდა მთისა ყვავილი, ბეთილის მთათა შვენება,
თან მოიტანა ედემის სურნელება და ნათელი,
რათა დაატკბოს, აღავსოს ოლომფრეს, ლმერთთა დარისა,
გულისა ნდომა, წყურვილი. იდიდოს ესე ასული...

თადომფრე. დიდებულო ასულო ისრაელისა! შენდა სადიდებე-
ლად და შესამკობლად მომიწვევია მეფენი და დი-
დებული ქვეყნისანი. იმედი გვაქვს, რომ პატივსა-
სცემ ჩვენს თხოვნას და ამ სერობაზედ გაგვაგონებ
გალობასა შენსა თქვენის სახელოვანის მეფესალმუნე
მეფის დავითის ქნარით.

იფდითა. ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა გონება ჩემი, რომ მე,
ასული იმა ერისა, რომელიც აღმოუჩნდა მტრად ქვეყ-
ნის მძლეველსა და მეუფეს, ცის ქვეშეთის დამპუ-
რობს,—ოლომფრეს,—ვიქმნებოდი ასრეთი პატივითა
და დიდებით მისგან შილებული.... ვაი, თუ პატივი
ესე იყვეს უკანასკნელი სალამი ჩემის სიცოცხლისა.
ვაი თუ, ჩვეულებრისამებრ ბაალისა და ასტარტას მა-
ლიარებელთა, მე ვიყვე განწირული მსხვერპლად ამა
ლმერთთა, რათა ამისთვის მისცენ იმათ ნაყოფიერე-
ბა ქვეყნისა შუამდინარისასა. თუ არ ეს, ვერ მისწვ-
დომია გონება ჩემი, რით დაიმსახურა უბრალო ასუ-
ლმა ისრაელისამ ესოდენა დიდება კაცისა, რომელიც
მოვლენილა ნათლად ქვეყანასა და მეუფე დცის ქვე-
შეთისა.... თუნდაც ვიყვე განწირული შესაწირავად,
შემიწირავს ჩემი სიცოცხლე: ბეთილის სიცოცხლეს,
ლვთისა და ჩეენთა წინასწარმეტყველთა ბრძანების

დარღვევას, მე მიჩიენიან სიკედილი,—სიკედილი იმა ხელით, რომელიც თვით ღმერთის ეგოვასაგან არჩეული არის -ცისა და ქვეშეთის მფლობელად და მეუფედ.

თდომფრე. ჯერ არ მოკედილა მახვილი იგი, რომელიც შეპ-ბედავს აღიმართოს იმ თავზედ, რომლისაც ალაგი არის არა სამსხვერპლო, არამედ სამეუფეო საყდარი და გვირგვინი... მობრძანდი, დაბრძანდი ასულთა შორის უმშვენიერესო და უდიდებულესო. (დაპსვამს ივ-დითს ძვირფასის თვალითა და მარგალიტით შემკულს სავარძელზე, რომელიც უფრო სამეფო საჯდომისა ჰგავს). დაბრძანდით, მეფენო და დიდებულნო. (ჯდება თვითონაცა ივ-დითის პირდაპირ).

(ყველა სტუმრები სხდებიან. ივდითის გვერდით ჯდება ვალაი. ივდითის სავარძლის უკან დგება მხევალი მისი აბრი).

თდომფრე. შეექეცით, ძვირფასნო სტუმარნო. შეექეცი უძირფასესო, დედოფალთა ულირსესო—ივდით.

თვდით. ეგ ულირსი მიგებება ჩემი მაძლევს იმედს, რომ შემასრულებინებთ ჩემს ღმრთიულს მოვალეობას, ჩემი ერის სჯულს! ნება მიბოძეთ ვსვა და ვჭამო იგი, რისაც მხოლოდ წება მაქვს ჩვენის საღმრთო დაწესებულებით. აქ ყველა ჩემი სანოვაგვ თანა მაქვს წამოლებული.

თდომფრე. აქ ყევლანი ვართ მორჩილი შენის სურვილისა.

თვდით. აბრი! აღვზრდელო ჩემო, მომიტანე საჭელი და სას-მელი ჩემი.

აბრი. გაახლებ, უბიწოვო ასულო და დიდებავ ისრაელისა!..
(გადის)

თდომფრე. (მელვინეს) გაავსე ფიალნი ედემის ბალთა ღეინით. (სტუმარ) ანუ იქნება .ინებოთ ღვინო ბალთაგან სე. მირამიდისა, ანუ ღვინო ხეტეველთა და ურარტთა, ან მოშოხთა და თუბალთა ქვეყნებიდან მოტანილი. (მელვინე უცხებს ყველას ფიალს.)

(შემოდის აბრი, შემოაქვს სუბრთა პაწაწა კიჭილას მსგავსი ჭურ-
ჭლით ღვინო; პაწაწა სუფრთა ხელოვნების ფიალებით სხვა-და-სხვა
საჭმელი და სანუგბარი. ყველა ესე უწყვია პაწია მშვენიერი ხე-
ლოვნების ვერცხლის ტაბაკზე და სდგამს ივდითის წინ).

აბრი. ჯერ მიირთვი, დედოფალო ჩემო, ეს სასმელი, და უძვირ-
ფასეს სასმელს, რომელსაც გვიწერს ჩვენ სჯული
ჩვენი, მოგართმევ სერის გათავებისას.

ივდით. გაავსე ჩემი ფიალიც. ცხადია, უდიდებულესი და შეუ-
დარებელი ჩვენი მასპინძელი, მშვენება და დიდება
მთელი ბაბილონისა, მალლად მდგომი ყოველთა მცხო-
ვრებთა შორის, მიირთმევს სადღეგრძელოს ღმერ-
თად აღიარებულის მეფის ნაბუქადონისორისას.

ოდამფრე. პირველსავე გამოლაპარაკებაზე შეგნიშნე, გულთ-
მხილაობა, მშვენიერო ასულო ისრაილისა. იმედია,
ეხლაც არ დაემალება შენს მაღალს გონებას და
უგრძნობიერებს გულს ყოველი ჩემი ძარღვის ცემა,
ყოველი მოძრაობა ჩემი გულისა და გონებისა. თუმ-
ცა ისიც საფიქრელია, რომ შეიძლებოდა პირველად
სხვა სადღეგრძელო დალეულიყო.... მაგრამ წესი და
მორჩილება თხოულობს სხვას. (დგება. ამართავს მაღლა
სავსე ფიალს). შეამდინარისა და ცის ქვეშეთისა მეფე-
ნო, მთავარნო და დიდებულნო! დღეს ნაბუქადო-
ნისორს ჰმორჩილებს ყოველი სულდგმული. ჩვენ,
თქვენ, თქვენი ერნი, ჩვენი ცოლ-შვილი, ჩვენი სა-
ცხოვრებელი თუ არ აღვილა ქვეყნის პირიდან ცე-
ცხლითა და მახვილითა, ეგ მიტომ, რომ შევსწირეთ
ამ უძლიერებს მეფეს ყოველი ჩვენი ძალი, ჩვენი ნი-
კი, ჩვენი თავი, და შევუერთდით მას ჩვენი მხედრუ-
ბით მის ძალისა და ტახტის გასაძლიერებლად. უკა-
თუ ნაბუქადონისორ გაღმერთდა დღეს ქვეყნად და
ყოველთა ერთა აღიარეს ის თავის ღმერთად, ეგ
თქვენით, ჩვენით, ჩვენი მკლავით, ჩვენი ნიჭით, ჩვე-
ნი ძალით. ჩვენ ვსცოცხლობთ მისით. იგი ძლირდე-

ბა ჩეენით. მაშ გაუმარჯოს ახალს ღმრთაებას, ჩეენი სიცოცხლისა და სიკვდილისა ხელთა მჟერს მეფეს, ნაბუქადონოსორს!!.

გვედანი. (წამოდგებიან და შემართვენ მაღლა ფიალსა). ქვეყნის ახალსა ღმრთაებას, ცის ქვეშეთისა მფლობელს, ჩეენი სულისა დი ხორცის გამგეს, უძლიერესს მეფეს ნაბუქადონოსორს გაუმარჯოს!!. (ჰსმენ სავსე ფიალებს).

იგდით. (აღგება და შემართავს მაღლა ფიალს). იმედი მაქვს ამ ერთს სადლეგრძელოსაც დაუთმობს თავის ულირსს სტუმრის უდიდებულესი პირსა ყოვლისა ცის ქვეშეთისა მასპინძელი ჩეენი და ამ ჩემს წინასწრებას არ მიიღებს კადნიერებად... გადააკლეთ მეფენო, მთავარნო და დიდებულნო ქვეყნისანო თვალნი და ასწონეთ გონითა თქვენითა: დღიდან დიდებული ეკვიფონოსის დაცემისა და უძლიერესის არტაფსა-ქის შემუსავრისა დღევანდელს ბეთილის შემუსრვებდის, —ვის ეკუთვნის იგი უდიდებულესნი ძლევანი, რომლისა მსგავსნი დღევანდელს დღემდის არ უნახაეს არცა დღისა ნათელსა და არცა ლამისა წყვდი-ადსა?! ვისით აღმაღლდა ცათამდის ბაბილონი, დაე-ცა უძლიერესი ასურ და ამაღლდა ქალდუ?! ვისი მახვილის წინაშე ძრწიან მეფენი, მთავარნი და ერ-ნი მთელი ცის ქვეშეთისა?! ვინ შეჭრახ ზღვანი და ხმელნი?! ვისმან გონებაშან შეჭრა ცათამდის აღწე-ულნი გოდოლნი ვარსკვლავთ მრიცხველთა, ზღვა-თდარნი ნავთხავალნი ტბანი და მდინარენი უწყლო-სა ადგილსა?! აქცია სამოთხედ მწირნი უდაბურნი ხრიოკნი და ქვიშნარნი?! ვინ არის, რომელიც ახოვ-ნებითა თვისითა, რისითა, ნაკვთიერებითა, სატოვნე-ბითა, ზარის გამხდელი რისხეის შბრძანებლობით ალ-ძრაეს მღვთიურსა თაყვანებასა ყოველთა უფალთა, მეფეთა და ერთა შორის?! გაუმარჯოს უძლეველსა ძალას, ქვეყნის ახალსა მნათობს, ქვეყნის იმედს,

ქვეყნის მშვენებას, დიდებულს ოლომფრეს, რომელ-
ზედაც ხშირად მესაუბროდა ჩემთა ძილის შინათა
ეგოვა, ღმერთი ჩვენი და მეტყოდა: ეძიე იგი, მას
ელის ლეთაებრივი დიდება, იგი უნდა გახდეს მეუ-
ფედ ცის ქვეშეთისა, ასრეა ჩემი ბრძანებაო. იკო-
ხლე დღეთა დალევამდე, დიდებულო სახევ ლმრთაე-
ბისაო! (ჰსგამს ფიალს).

გველაზი. (დაიგრიალებენ). გაუმარჯოს!! ოლომფრეს, დიდებულს
ოლომფრეს, მნათობსა ქვეყნისასა, ძალასა უძლე-
ველს—გაუმარჯოს!! (ჰსმენ სავსე ფიალებს).

თადამფრე. (რომელიც ივდითის ლაპარაკის დროს გაჰყურებს ივდითს
აღტაცებული სახით). აშ! არა მარტო გულთა მხილაო,
არამედ გულთა მხიბლავო და დამატყვევარო, ივდით!
შენ ასხავ გონებასა და ცნობიერებასა ჩემსა უცნა-
ურსა და უტკბესს სალმუნს, აჩენ ჩემს გულში აქამ-
დის ჩემთვის უცნობს ნეტარებას, აღძრავ ძალას ძარ-
ლვთა ჩემთა, რომელიც აქამდის მე არ მიგრძენია....
თვით ღმერთთ განუგიათ საქმენი ჩვენნი... შენ გი-
ნახავს ძილის შორის ჩემზე იგი, რაც მე შენზე...
შენ იყავ ხშირი სტუმარი ჩემი სიზმრებისა... სიზ-
მრითვე დაატყვევე გული ჩემი... და აი, ღმერთთთა
ცხადლივაც მომივლინეს თავი შენი, ახდნენ ცხად-
ლივ ჩემი ძილის შინანი, მისრულდება გონებისა და
გულისა წყურვილი... გიძლენი მაღლობსა სადლეგრ-
ძელოსათვის... გმაღლობთ თქვენცა, მეფენო და დი-
დებულნო!! მე თქვენგან მომცემია ძალა, და თქვენ
ჩემგან ელოდეთ თქენთვის და თქვენთა ერთათვის
თავის გაწირებას... უკეთუ სრული ძალა იქმნებოდა
ჩემს ხელთ, ნაშოვარი, ნადავლი და მონაგები ბრძო-
ლისა, თქვენი მკლავითა და საჭურველით შეძენილი,
არ წავიდოდა ბაბილონს, იქმნებოდა თქვენი და არ
გეყოლებოდათ მოცილე და მოზიარე... მომეცით ძა-

ლა და ელოდეთ ჩემგანაც ძალის მოცემას!.. (ჰავაშს საესე ფიალს).

გადახი. (გაცემერის ივლითს დაკვირვებით თავისთვის.) არა! ეს ქალი არ არის ამ ქვეყნისა: ან არის მოგზავნილი ზეცით ჩვენდა მოსახიბლავად, ან ქვესკენეთით ჩვენდა დასამხობელად. ოლომფრე, ოლომფრე! ან იღიმართვი ცათამდის, უმაღლეს ნაბუქადონოსორისა, რომელმანც არარაობიდან გაქცია შენ კაცად და გაგხადა თავის ტოლად, ან შენი განჩინების წიგნი შთავარდნილი ამა უცნაური დედაკაცის ხელთა. მე ვკრძნობ ამას... ერთი სხეულის სახიჩრებას მოსდევს გაძლიერება სხვა კაცის ნიჭიერებისა. ჩემიმა დასახიჩრებამ გაძლიერა მგრძნობიარება ჩემი გულისა. ამ ქალზე რაღასაც უცნაურს მითხრობს ჩემი გული.

თაღომფრე. იმედი მაქვს, ჩვენი ციური სტუმარი იმ მშვენიერს შესხმასთან, რომლითაც შეამკო ჩემი სადლეგრძელო, გაგვაგონებს ჩვენდა დასატკბობად თავის ციურს ხმასაც და გვიგალობებს ფსალმუნს; რომლითაც ასე განთქმულნი ირიან ქვეყნად ებრაელნი.

აბრი. (მოუტანს ივლითს ქნარს.) უგალობე, ისრაელისა დიდებავ, ახალსა ქვეყნის მხეს ფსალმუნი, რომელსა ჰგალობდი სიონისა კარს სიონის ქალწულობის დროს.

დფდითი. (გამოართმევს ქნარს და ჰგალობს ფსალმუნს).

„ნუ მიპაპავ აეაზაკთა, ნუ გშურს უსჯულეპანი მათნი, რამეთუ იგინი ვითარუა თივა, ვითარუა ღვარძლი მგესლავი მოიწვიან მზისა სივთაგან, გაპეშებიან და იქცევიან მტვრად.

„დასცხერ მრისხანებისგან, შეაყენე ბოროტებანი შენნი, რამეთუ ბოროტის მომქმედნი აღიხოცვიან.

ცოტა ხანიც და გაპეშებიან იგინი სამუღმოდ, შეპედავ და ველარ ჰპოვებ თვით ნაალაგეესა მათსა.

„მხოლოდ მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა და ჰპოვონ ქვეყნად სასუფეველი.

„ცოდეილი შექმართვენ მახვილთა და მოჭიდვენ შვილდთა,
რათა მოჰსრან მართალთა გზათა მავალნი.

მხოლოდ მახვილი მოჰსრავს თავსა მათსა
და ისარი მათი მშვილდისა დაესმის გულსა მათსა! (გათავებს).

თლომფრე. (რომელიც ამ სიმღერის დროს არის სმენად გადაქვეული და
ვერ აშარებს იყდითს თვალს) ოჯახ, ცით მოვლენილო!
შენი ხმა არ არის ხმა ამ ქვეყნისა, საკალობელი
შენნი წარმოითქმან ბაგეთაგან ღმერთთა. შენ გაუ-
ჩერიხარ ცას ქვეყნის მეუფედ. შენია გვირგვინი ქვეყ-
ნისა. (მეღვინეს) მოიტა უდიდესი ფიალნი, რომელ-
ნიც მე შევიძინე სარდანაპალ მეფის საჭურჭლეთა-
გან. მოიტა ღვინო თუბალ მოსოხთა ქვეყნით მოტა-
ნილი, ღვინო უძველესი და უძლიერესი, რომელიც
შეონდა შენახული ნაბუქადონოსორის დასახვედრიდ,
როდესაც შეიმუსრებოდა ჩერთა ფერხთა ქვეშე ის-
რაელი.

(მეღვინეს მაჟვეს დიდრონი უმშვენიერესი ხელოვნების ფიალ-
ნი, მოჭედილი ძვირფასი თვლებითა. ავსებს ღვინით და უდგამს
ყველას წინ).

ვადაა. ვერავან თქვენგანი ვერ შეუძლებს მიგ ფიალებით ამ
უძლიერესსა და უსურნელესსა ღვინოსა.

თლომფრე. როდესაც ჩვენც შენსავით ღმერთთა რისხვა გვეხ-
წევა და სისხლის უძლურება გახდება ჩვენი ხელის
მძღვანელი,—ჩვენც, არაც თუ ეს ფიალნი და ეს
ღმინო, თვით ბეთილის მთის წყარონიც მოგვერე-
ვიან. მაგრამ ჩვენ, რომელთაც სისხლი ვვწყვევია აღ-
გზებულ ცეცხლად, რომელთაც ვეწვევია თვით ასუ-
ლი მზისა, რომელიც თვით ბელლა-მაროდაზესაც
ააღებინებდა ხელს თვის ასტარტაზე, ვერ შევვაში-
ნებენ ვერც ეს ფიალნი და ვერც ეს ღვინო გოგმა-
გოვთა ანუ თუბალმოსოხთა მთის ძირობებიდან მოტა-
ნილი. (აიღებს საესე ფიალას და ადგება) მეფენო და დი-
დებულნო! დღეს ჩვენ ასურისა და ბაბილონისა

ღმერთთა მოგვიცლინეს არამც თუ მშვენება და დი-
დება ისრაელისა, არამედ მთელი ასრაელი. მაგრამ,
ევ მერე... ჩვენ მოგვევლინა ასული, რომლისაც
მსგავსი მშვენება არც ისრაელს, არც ელინს, არც
თვით ცათამდის შემართულთ თებალმოსოხთა მთათა,
სადა სადგურობენ უმშვენიერესნი ქვეყნად ქალწულ-
ნი, არ უშობნიათ. მაშ დავლიოთ სადლეგრძელო
მშვენიერთა ღმერთის ივლითისა. ქვეყნის დედოფალს,
ასულსა ისრაელისას, დიდებულს ივლითს გაუმარ-
ჯოს!!! (სვამს საესე ფიალს).

უკედანი (წამოდგებიან, აიღებენ საესე ფიალს) დიდებულს დედო-
ფალს ისრაელისას, ივლითს გაუმარჯოს!! (სმენ საესე
ფიალებს. ზოგს უჭირდებათ).

თავომფრე. უსუნთქლივ, უსუნთქლივ! (ერევა ღვინო, ურევს ენას).
უსუნთქლივ! გიბრძანებთ მეფე და ხელმწიფე თქვენი.
უნდა დასუალოთ, ასტარტ... ჩვენი მეუფის, დადე-
ბული სტუმრის სადლეგრძელო. მარტო საჭურისი
ვაღია არის თავისუფალი.

უკედანი. (მთვრალები ჰყვირიან) ისრაელის დედოფალს გაუმარ-
ჯოს! (სცლიან გაჭირვებით ფიალებს და ამხობენ პირქვე).
ასრე დაეცალოს მტერი შენს დიდებულს სტუმარს!

თავომფრე. გაუმარჯოს ქვეყნის დედოფალს! ისრაელი ცოტაა. მა-
გისი ადგილი—ტახტი სემირამიდისი. არა! სემირამიდა
იყო გარუკნილი. ევ სხეა! შექხედეთ მაგის უმანკო სა-
ხეს!.. თვით ღმერთი უმანკოებისა ასვენია მაგის ციურს
თვალებში. (მოსაკრავეთა) დაუკარით ქვეყნის დედოფ-
ლის შესამკობარი სმები.

(მესაკრავენი უკრავენ.)

გადათ. შესწყვიტეთ ეხლა ლხინი და მხიარულება თქვენი. ჩვე-
ნი მშვენიერი სტუმარი არის ღამე ნათევი, ნაღელ-
ვები, მოღლილი: საჭიროა მაგისთვის მოსვენება.

გვდით. სამოთხის ველთა და ყვაეილთა შორის არ იცის მო-
ღალვა სულმა ნეტართა. მე ვხარობ ლხენითა დიდე-

ასული ისრაელისა

ბულთა, და სული ჩემი უმაღლესი ნეტარებისაგან მხნევ-
დება, გული ჩემი შეჰდალადებს ცას, რათა ლხინი ესე
შეიქმნეს უსაზღვრო.

თავმფრე. ჯერ არა თქმულა სალოცავი ხატის დაღალვა.
უკეთუ შლოცავნი არ მოღალულან, ხატს ჰმაროვებს
თავისი წყალობის მოღება, და არა მოღალვა. (მეღვი-
ნეს) მოიტა ეხლა ღვინო სემირამიდის ჰაერკიდულ ბალ-
თაგან.

(მეღვინეს მოაქვს ღვინო.)

თავმფრე. აავსეთ ფიალნი!.. ეხლა უნდა დავლიოთ ხვალინ-
დელი გამარჯვებისა. (სვამს) დასცალეთ თქვენც... ესრე...
უსუნთქლივ!.. ესრეთია ჩემი ბრძანება... თქვენი ხელმ-
მწიფისა...

გვედანი. მორჩილნი და ყურმოჭრილნი ყმანი შენნი, ვასრუ-
ლებთ. ბრძანებასა შენსა. (იწაფებენ და ვარ ერევან ფი-
ალთა)

თავმფრე. დიალ, შეიმუსრა ბეთილი! ისრაელი დევს ჩემთა
ფერხთა ქვეშე განართხული... იწვის სიონი... ავერ,
სდგას ზღვა სისხლისა ჩვენი ურჩებისათვის... ავერ,
მივღივარ ძლევა-მოსილი ბაბილონს. ელიაკიმ... ოზია...
ხაბრი... ხამრი აბიან ჩემს, ყვავილებითა და გვირვი-
ნებით შემკობილს ოქროს ეტლოვანში... თავი ახი-
ორისა მიუძღვის ჩემი გამარჯვების შესამკობლებსა...
მთელი ცის ქვეშთი არის ჩემს ხელთ... მერე? თქვენ
ყველანი შეასრულებთ ჩემს ნებას... თუ არა და!..
ივლით! ქვეყნის დედოფალო! შენ იჯდები ჩემს ეტლ-
ში, ჩემს გვერდით. შორს ჩემგან ყველა ჩემი ცოლე-
ბი! სიკვდილი იმათ! შემასვი შენის ღვთაებრივის ხე-
ლით ღვინო, მე, შენს მონას... შენა ხარ ჩემი მეუ-
ფე! ჩემი მბრძანებელი... ჩვენ ყველანი მორჩილნი,
შსახურნი შენნი.

იფლითი. (აავსებს ფიალს) თვით ღმერთმა ჩვენმა ეგოდამ გაახლა ჩემი თავი მსახურად და მხევლად. ვასრულებ მეუფისა ჩემისა ბრძანებას. (ასმევს თავისი ხელით)

ოდომფრე. (ჰსგამს. თან ენთება სახე და თან ღვინი უფრო და უფრო ერევა) ვალა! სტუმარნი თვისუფალნი არიან... ღამე მშვიდობისათ! მე და ისრაელის ასულს გვაჭვს საიდუმლო სალიპარაკო... უნდა დავამხოთ ისრაელი... ისრაელი დამხობილია!!

გეგლანი. ღამე მშვიდობისა, ნეტართა უნეტარესო ოლომფრე ძლიერო! (აიშლებიან და მიდიან ბარბაცით. ზოგნი ვეღარ მიაგნებენ კარებს).

გადანი. (უჩვენებს კარებსა და გაჭყავს სტუმარნი. ისევ შემობრუნდება.) ღამე მშვიდობისათ. ღამე მშვიდობისა, ღიღებულო და უნეტარესო ოლომფრე! თვით ღმერთნი შეიშურებენ დღეს შენს ნეტარებას. ინებოს ბელლა-მაროდოხემ კარგად გეზრუნოთ თქვენი საქმისათვის. (თავისთვის) წრატომ! რატომ მომეციტ ჩემი სამშობლო, ქვეყნის ღმერთნო, ჩემთა მტერთა ამა სახიჩრებისათვის?! რა გცოდეთ აერეთი?! ჩემს ჯანზედ, ჩემს გულზედ, შენ, ოლომფრე, მაგა დედა-კაცის შეგინებისათვის გავაძლობდი შენი სისხლის ცქერით მაგის ღვთიურსა და მასთან უკნაური ცეცხლის შფრქვეველს თვალებს... მაგრამ მაგ ქალის სახე ესაუბრება ჩემს გულს, რომ არ გახდები ვისთვისმე სანატრელი მაგისთან შეხვედრით. (გადის)

იფლითი. ოლომფრე, ღიღებულო! შენ გაევირვებს ღვინო გოგ-მაგოგთა მთის ძირებისა, და არ ისურვე არც ერთ-ხელ გენახა ღვინო ჩვენი კარმელის მთის ხეობების ეაზისა. თუ მიბრძანებ, ჩემი საკუთარის ხელით მოგარომევ ამ ღვინოსა, და, თუ ყველა ღვინოებზე ეგ მეტად მოგეწონა, მაშინ ნება მიბოძეთ, შემოვწირო მთელი მარაში მაგ ღვინოებისა და მრავალი ვენახი მაგის ეაზისა.

თდომფრე. დიალ! თუ არ საკუთარის შენის ხელით, დღეის იქით მც ღვინოს არა ვსვამ... შენის საკუთარის ხელით უნდა დავიდგა გვირგვინი... შენა ხარ ჩემი ღმერთი... ხატი ჩემი გულისა... შენა ხარ...

იგდითი. (მოიტანს ერთს პაწაწა ღვინის ჭურჭელს, რომელიც ჰქონდა აბრის და არ აჩენდა) გვირგვინო ქვეყნისა, ოლომფრე! ჩემის საკუთარის ხელით, საკუთარის ფიალით, ჩემს საკუთარს სასმელს ღვინოს, ჩემის ხელით დაყენებულს მოვარომევა, უკეთუ ღირსი გავხდები, არ იუკადრისო სამსახური და ძლვენი შენი უკანასკნელის მხევლისა, შენის მონისა. (მიუტანს პირთან საქსე ფიალს)

თდომფრე. (ჰსვამს წყნარ-წყნარად) ეს არის სასმელი ღმერთთა!... უგემრიელეს ნექტარისა... ამაში სდგას თვითონ შენი სული... შენი სიცხოველე...

იგდითი. მაშ, იმეგია, კიდევ ინებებ, რომლითაც დიდად აამაღლებ ჩემს თავის მოყვარებას, რადგან ეგ ღვინო არის ჩემის ხელით შეზავებული, და არც არვინ ჩემს მეტა არ იცის მაგისი დაყენება.

თდომფრე. დიალ! სწორედ!.. მე... სწორედ შენ... შენს ხელში უნდა მოვკედე... დავიმარხო... ერთს სამარეში... შეიწირე ჩემი სული... წავიდეს შენი მხევალი...

იგდითი. (აბრის) გადი. (წასჩურჩულებს) წადი და მომიცადე ბანაკს გარედ, წყლის პირას იმ გზაზე, რომლითაც მოვედით ბეთილიდან.

აბრ. გიცდი იქ. და, თუ რიერაეზე არ ჩოხვალ ჩემთან, იღარ ვიხილავ ცოცხალი ბეთილს... იყავ მხნედ და არ მისცე უბიწოება და უმანკოება შენი შესაგინებლად ბილწთა ბაალის მალიარებელთა. (გადის.)

იგდითი. (დაჭხავს კარვის კართა). მხევალი ჩემი წავიდა თავის კარავს.

თდომფრე. (ძლივას დგება ტაბლიდან). დღეს მე... ღვთაება... ჩემთან .. ნეტარება... ივდით... ჩემო ღმერთო!.. (მიღის საწოლისაკენ). მე... მზადა ვარ... გელი შენცა.

დფდით. მე შევსწირე დიდებასა შენსა მორცხობა და უბიწოება ჩემი და შენ კი, მოწყალეო და მღრთაებაო ჩემო, არ ინებე ჩემი სადლეგრძელოს დალევა იმ ღვინით, რომელიც თვით ჩემი საკუთარი ხელით არის შეზავებული. (აწოდებს სავსე ფიალს).

ოლომფონე. (მივა საწოლთან). დიალ!.. დაელევ!.. დიალაცა, რომ... დაელევ... რატომაო!. შენ უნდა იცოცხლო... მე უნდა მოვ...კვდე... მე შენი ყმა... მსახური... მლო-ცველი... შენი ოლომ...ფრე!.. ქვეყნის დედოფალო... გვირგვინო... ცეცხლი... სისხლი... ჩეარა!.. (ჰსგამს ამ ფიალსაც და დაეშვება ქვეშაგებშე უგონოდ).

დფდით. (გადაუსვამს შუბლზე ხელს. ჩაცქერდება სახეში). დიდებული სახე! გამომმეტყველი დიდებულთა საქმეთა! (აზრერ-დება უფრო ძლიერ.) სადლაც, როდისლაც ჩემს ქალ-წულობაში შემხვედრია ასეთი დიდებული ჭაბუკი... თუ არ ვიცი იგი მხოლოდ ესახებოდა ნორჩი ასა-კოვნებით გატაცებულს გულსა ჩემსა, ოცნებასა ჩემ-სა, სიზმართა ჩემთა... და აი იგი ნეტარნი ოცნება-ნი ამიხდნენ ცხადლიც... ვხდები მეუფე გმირისა, რო-მელსა ჰსახავდა გატაცებული გონება ჩემი, მისრულ-დება უწმინდესი გულის თქმა უწმინდესის ხანისა კაცთა ცხოვრებაში... და იგი ნეტარნი ოცნებანი, ტკბილნი გულისთქმანი უნდა შეიმუსრნენ ჩემისავე ხელით... უნდა შეიმუსროს კაცი, რომელიც შეა-დგენდა ჩემს უმაღლესს და უწმინდესს გულის წა-დილს და რომელმანც მაღიარა ხატად და სალოცა-ვად თვისად... ენდო სიტყვათა ჩემთა, რომელნიც არიან სავსენი მზაკვარებითა, ცბიერებითა, ცდუნე-ბითა და ღალატით. (ჩაფიქრდება). უნდა შეიმუსროს! უნდა შეიმუსროს, თუ არა შეიმუსრება სჯული მო-სესი, შეიმუსრება ერი, რომელიც თვისი სჯულით, მცნებით უნდა გახდეს მოძღვარი ყოველთა ერთა, ყოველთა ნათესავთა... უნდა შეიმუსროს, თუ არა

და უნდა დაიღვაროს ზღვა უმან კოთა სისხლისა, რა-
თა უფრო ცათამდის აღიმართოს ბაბილონი, აგებული
ქვეყნის სისხლითა, ოფლითა, ქონებათა და ცოდვი-
თა, და უნდა დაიჭიროს ბაალ-მოლოხისა და ასტარ-
ტის მალიარებელთა ბილშმა და არა კაცურმა მოძ-
ლვრებამ ადგილი მოსეს ლვთიური სჯულისა... უნ-
და კაცი იქცეს მხეცად, ქვეყნიერება მოიცას მეძა-
ვობამ, გარყვნილობამ, პირუტყვობამ, მონობამ!...
(დაფიქრდება.) უნდა შეიმუსროს... მაგრამ... ვისით?!
დაპერდე იმის გმირულს სანახავობას, მდევთა ნაკვთს...
და მე, მე, უძლურმა ქალმა შევმუსრო ეგ?! (დაფი-
ფიქრდება). უნდა, უნდა შეიმუსროს!.. მთელი ერი
ელის ჩემგან ხსნას. მთელი ბეთოლი სდგას ციხის
კარს და გამოსცერის ჩემს გზას (შეპერდავს კარვის ბოძ-
ზე ჩამოკიდებულს მახვილს). აგერ მაგისი მახვილიც (ჩა-
მოილებს და სინჯავს). იმა მახვილმა დაიპურა ქვეყანა,
შემუსრა მიღი, ასური, გმირი ხალხი ელამიტთა,
ეგვიპტე, ფარსი, უმალლეს მთათა მცხოვრებნი გაუ-
ტეხარნი გოგ-მაგოგნი, დასცა ქვეყანას შიშის ზარი და
აღვიდა უმალლეს ნაბუქადონოსორისა, და დღეს ამავე
ძლევის მახვილით უნდა შეიმუსროს უძლეველი და
უძლიერების პატრონი მისი უძლური ქალის ხელით.
(დაფიქრდება) ჩემი ხელით! (დაფიქრდება), განა მე უძლური
ვარ? განა ამას ჩამდახოდა რაღაცა უცნაური ხმა სიზმრივ
თუ ცხადლივ?! (ამოილებს მახვილს, შეპართავს მალლა,
ატრიალებს და რამდენჯერმე დაიწევს.) ასრე უნდა! სწო-
რედ ასრე! არა... ძლიერია მაჯა ჩემი! (სახე ენთება თან
და თან.) ოჰ, მაჯაო ჩემო! მაჯაო უძლური ქალისა!
მოიკრიფე ყოველი ძალა, რაიცა კი მოიპოვება სულ-
სა და გვამსა ჩემსა! ოჰ, გულო, უძლურო. არ მიმ-
ტყუნო ამ საშინელია განჩინების დღეს! (მიდის მა-
ხვილ შემართული ოლომეტრესთან, დახედავს და უცებ შექერ-
დება. უცების დაშტერებით.) სახე ოცნებისა, სახე ღმრთა-

ებრივი, რომლისა მსგავსი ჯერ არ გაუკლია დღისა ნათელს. რა გულ-ნდობით, რა დამშეიდებული სძინავს. (დაფიქრდება.) იქნება მართლა მოხიბლა და შეიპყრა ჩემთა სახემ მაგისი გული და გახდეს ეგ მონა ჩემთა წალილთა? მაშინ? მაშინ ჩემს ხელთ იქნება ღსნა ისრაელისა უსისხლოდ. იქნება მაგისიერ ხელით და ბრძანებით მოეფინოს ქვეყანას უდიდებულესი სჯული მოსეს:?! (დაფიქრდება, თითქო რალას-ც ყურს უგდებსო) არა! აგერ მესმის ხმა, ხმა გლოვნისა, მოთქმისა, ტირილისა. აგერ ზღვა სისხლისა! ტალღანი ცათამდის ასული ცეცხლებისა! (თითქო გასცერის რალასც.) აგერ სისხლში შთანთქმულნი, ცეცხლის ალებიდან გამომცემრალნი ისრაელის ძენი მიყურებენ მე... ოჟ, ხაზარელებავ! აგერ მესმის ხმა მათი. მეძახიან: „იყდით, იყდით! სისხლი ჩეენი შეილთა და ყოველთა ნათესავთა ჩეენთა შენზედ! შენ მოგვეცი ცეცხლი და მახვილი! შენ მიეც თავი შენი ოლომფრეს. შენ უდალატე მშობელს ერს! შენ შემუსრე სჯული მოსესი, გაეცი კიდობანი სჯულისა! (ატაცებული) ვინ?! მე? გაგეცით თქვენ?! მე გაგწირეთ თქვენ?! იყდითმა გაგწირათ?! იყდით, თქვენმა მასხურმა?! იყდითმა მისცა თავი შემმუსრველსა და რისხვასა თქვენსა?! თქვენი ვარ თქვენი?! შორს ჩემგან, ყოველნო გულის თქმანი!! შორს თვით ერთო წვეთოც სიბრალულისაე!! (მივარდება ოლომფრეს, ზემართავს მახვილს საშინელის სიმუშბუქით) გაძლიერდა მკლავი ჩემი უმეტეს სამსონის მკლავისა, გამხნევდა გული ჩემი უძლიერეს დავითისა, ოდეს მოდიოდა იგი გოლიათზე. ცხონდი ისრაელ უკუნისამდე!! განძლიერდით ს ჯულნო მოსესნო!! გაპერი ჩემს სისხლში, ცეცხლო სიყმაწვილისა!! მშვიდობით, სიყრმის ზმანებანო!! გაუჩირჯოს გზასა მართალთა!! (დაუშვებს მახვილს საშინელი ძალით).

ხმა ერთდან. აი გათენდა კიდეც, მზემაც თავი ამოჰყო, და ჯე-
რაც თქვენი სასწაული არა სჩანს... აგერ როგორ
მობიბინებს წყალი!.. აგერ რა რიგად ეთამაშება მის
ტალღებს მზის სხივები... იქ მზე თვისი ოქროს სხი-
ვებით ცეცხლივით ალაპლაპებს წყლის სისპერაკეს,
და აქ მისი ცქერით ჩვენს გულსა და გვამში ჩნდე-
ბა წყურვილისაგან ცეცხლი სახმილისა... რა გინ-
დათ? რად გვატყუებთ?!. აქამდის ან გამუსვრილები
ვიქნებოდით, ან ჩაჭქრებოდა ჩემს გულში ცეცხლი
ჯოჯოხეთისა... არ არის არავის ხელთ ძლევა ბაბი-
ლონისა... ამას ბრძანებს ღმერთი ჩვენი ეგოვა... გვე-
ყო! მიშედეთ ქვეყნის საცოდაეობას: გაუღეთ კარი
ასურთა.

სხვა ხმები. გვეყო! არ არის არსად თქვენი სასწაული. სას-
წაულს ავლენს მხოლოდ ღმერთი, და ღმერთი არიან
ნაბუქადონოსორ, ბაალ, ასურ, მოლოს, ასტარტა,
და ესენი არ იზამენ ჩვენთვის სასწაულს, რადგან
ჩვენ უწევთ მათ წინააღმდეგს. კარი! კარი! გზა ქალ-
დეველთა!..

მრავალი ხმა. კარი! კარი! გაუღეთ კარი!.. ასურია ჩვენი ბა-
ტონი, ნაბუქადონოსორია ჩვენი ღმერთი!..

ხმები მხედრობიდან. აღარ არის სასწაული. ჩვენ აღარა გვაქვს
ძალა ბრძოლისა, გაუღეთ კარი!..

გადეგ ხმები. გაამზადეთ წნელები, შეიბით ყელზე, დაიყარეთ
ნაცარი და ისრე მიეგებეთ ბაბილონელთ, რომ ამი-
თი მოვიპოვოთ შებრალება ოლომფრე მრისხანისა.

ერთ დაიგრადებს. ან წყალი, ან სიკვდილი ჩვენი!! მოეიდეს
ასურ, ან ყველანი გადავცვივდეთ ამ კლდეებზე და
მოულოთ ბოლო ჩვენს წამებულს სიცოცხლეს.

რამდენიმე ერთს შეთაგენი. (იძრობენ მახვილებს) მოგვყევით აქ!
დავამტვრიოთ კარები, დაუძახოთ ასურთ, მოვიდნენ
და დაგვიპურიან.

ერთ და მხედრობა (დაიგრიალებს). წავიდეთ!! წავიდეთ!! (მიღიან ციხის კარებისაკენ). დავამტვრიოთ კარები! დაჰკარით კარებს!!.

ახილი. (რომელიც აქამდის გასცეროდა ოლომფრეს ბანკის გზას) სახ-
წაული! სასწაული!!.. ერო ღმრთისაო! წაწყდა ასუ-
რი! ცხონდა ისრაელი!!..

ელიაზამ. (გასცერის იქითვე). ო! ძლიერ ხარ, საბაოთ ღმერთო!
სასწაული! აღსდგა ძალათა ღმერთი, უსმინა ცრემლ-
სა ჩვენსა და შემართა მახვილი თვისი თავსა თვისი
შემგინებლისას...

თავია. ერო ბეთოლისა! დაემხე პირქვე! მოგვევლინა დიდებუ-
ლი და უცნაური სასწაული!!..

(გამოჩენდება შორიდან ივდით: ცალს ხელში უჭირავს თავი თმე-
ბითა, ცალს ხელში შემართული მახვილი. ხალხი შესდგება და გასც-
ერის ივდითის მხარეს).

ხმები. საღ არის სასწაული? რომელია სასწაული?!

ელიაზამ, თავია, ხაბრი, ხამრი, ახილი და სხვა მხედართმთა-
განი და მღვდელი (მრისხანედ ერს). დაემხეთ პირ-
ქვე, ურწმუნონო!! სასწაული! მოვიდა ჩვენი ხსნა...
აღსდგა საბაოთ ძლიერი ღმერთი!..

ივდით. (შემოვა სწრაფი ნაბიჯით სცნაზე). ცხონდოთ უკუნისამდე
ისრაელ! დაიჩიქეთ! შეპლალადეთ უფალს... წაწყდა
ასური! (ახილის) აპა, შენ იცნობ ამ თავს. (მისცემს მახ-
ვილს) აპა, მახვილიც, შენ იცნობ ამ მახვილსაც.

ახილი. (გამოართმევს თავსა და მახვილს და ათვალიერებს) ოლომფ-
რე! თავი ოლომფრესი, რომელიც დასცემდა ცის ქვე-
შეთს შიშის ზარს და რომელიც იძლია უძლიური
დედაკისაგან... მახვილი ოლომფრესი, რომელმან შე-
მუსრნა ერნი, მეფენი, მთავარნი და ღმერთნი, რო-
მელსაც მხოლოდ ძლიერი მკლავი ოლომფრესი ერეო-
და საბრძოლველიად. (აიშვერს მაღლა თავს) ერო მხო-
ლოდის ღმერთისა! ეს არის თავი ოლომფრესი, რო-
მელიც გემუქროდათ თქვენ შემუსერას! (ააშვერს მახ-

ვილს) ეს არის მახვილი ოლომფრესი, რომელმანც
შემუსრა ცის ქვეშეთი, და ბოლოს თვით შემჭედვე-
ლი, და პატრონი თეისი ზარი და რისხეა ქვეყნისა,
ოლომფრე! წაწყდა ასური! წაწყდა ქალდუ! ცხონ-
და ისრაელი! ისრაელს და მასთან ქვეყნის ხსნას გა-
უმარჯოს!!.

ეღიაგოძ, ევალა მსედართმთავარნა და დევატნა. გაუშარჯოს!..
მოეიდა ჩეენი ხსნა! გვევლინა სასწაული... ერსა
ღმრთისასა, ისრაელს გაუმარჯოს!!.

ერთ და **მსედრობა.** (ერთხმივ დაიგრიალებს) გაუმარჯოს! ძალათა
ღმერთს, ღმერთსა სასწაულისას გაუმარჯოს!! მუსრი
ასურს!! მუსრი ქალდეველთ!! მუსრი მათს ცრუ ღმერ-
თებს!! ივლითს, სიწმინდესა, დიდებასა და მხსნელ-
სა ისრაელისას გაუმარჯოს!!.

ხსიფრ. (მისცემს ივდითს ოლომფრეს თავსა და მახვილს) ივდითს, მხს-
ნელსა ისრაელისას და ქვეყნისას გაუმარჯოს! გაგ-
ვიძელ წინ... შენია ძლევა! შენვე მოულე ბოლო
ოლომფრეს მხედრობასა... ივდითს, დიდებასა ქვეყ-
ნისას, ცით ქვეყნის ხსნად მოვლენილს გაუმარ-
ჯოს!!.

ივდით. (აღტაცებული სახით) სჯულსა მოსესას და ქვეყნის მოძ-
ლვარს ერს გაუმარჯოს!! მომყევით აქ (შექმართევს
მაღლა თავს და მახვილს) მუსრი ასურს!! მუსრი ერსა
შუამდინარისასა! (გავარდება სცენიდან).

მთელი ერთ და **მსედრობა.** მუსრი ასურს! მუსრი ქალდეველთ.
მუსრი ცრუ ღმერთს ნაბუქალონოსორს. ივდითს, ჩვენ-
სა დიდებას, ჩვენსა გვირგვინს გაუმარჯოს!! (მთელი
ერი და მხედრობა გაჰყვება ივდითს).

სცენა მეორე

(ბანაკი ქალდეველთა. შორი-ახლოს სდგას კარავი ოლომფრესი, რომელსაც ყველა კალთები დაშვებული აქვს. მდინარე ბეთილისა. მზის სხივები ეთამაშებიან მდინარეს. წყლის პირას ალაგ-ალაგ თავ-მოყრილია მხედრობა და აქვთ მითქმა-მოთქმა და ბაასი. ერთს ალა-გას არიან შეყრილნი რამდენიმე ათასისა, ასისა და ეგრასის თავნი, წამოწოლილნი წყლის პირას.

ერთა ათასის თავთაგანი. მოვიდა ოლსასრული ბეთილისაც, ბეთილთან მოელი ისრაილისა და მათი მოკაეშირე ერებისაც. ჩვენს ღიდებულს და ყოველთა მეფეთა უძლიერესს, ღმერთთა დარს, ოლომფრეს მოსვლია ებრაელთა ღმერთის ეგოვასაგან მოციქული, უმშე-ნიერესი დედაკაცი, რომლის პირითაც შემოუთვლია, შენ უნდა იყვე პირველი კაციო ქვეყნად, შენ უნდა მოგცეო ისრაელი, რაკი ეს ერი მე აღარ მიღებსო თავს. ბეთილისა და ისრაელის დაპყრობით ჩვენი ღი-დებული და მრავალმოწყალე, ოლომფრე, შეიქნება პირველი კაცი ქვეყნად, გახდება მთელი ცის ქვეშე-თის მპყრობელი. მთელს ნადავლს და სამხედრო ნა-ჟოვარს ჰპირდება მხედრობას და მხედართმთავართა. მაშინ ყველანი გაეკეთდებით. ისრე კი აღარ იქნება, რომ ჩვენ სისხლსა ელვრით და ნაშოეარი მიდის ბა-ბილონს ნაბუქადონოსორთან. რაკი ეს ასრე იქნება, მაშინ ოლომფრეს მძლეველი აღარავინ იქნება, რად-გან ყველანი მაგისათვის თავს გასწირავენ.

მეორე ათასის თავი. ამბობენ, რაც ებრაელთ ბაბილონს თუ სხეა ქვეყნებში სიმდიდრე შეიძინეს, ღიდი წილი მი-დისო იერუსალიმს ეგოვას ტაძრის გასამშეენებლად და გასამდიდრებლად. აუარებელი თვალი, მარგალი-ტი, ოქრო და ვერცხლი დევსო სიონს.

მესამე პთასის თაგი. დიდი ნაშოერი მოგველის ისრაელის დაპყრობით. ეხლა რომ ნაბუქადონისარის მაგიერ ოლომფრე იყენს მეფე, ეს ნაშოერი სულ ჩვენი იქნებოდა.

ერთი ეპთასის თაგი. დილას ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო, რომ ბეთილის გალავანზე ოღანთეს ებრაელთა სამსხვერპლო ცეცხლი და ისმოდა დიდი ღალადისი. როგორც ეტყობა, ღმერთსა სიხოვდნენ წვიმასა, რომ წვიმის წყლით მაინც გაისველოს ერმა პირი. ისმოდა საშინელი ქრისტული ერისა და განწირული ტირილი წვრილფეხობისა.

(შემოდის ერთი უმთავრესი მხედართმთავართაგანი. ყველანი წარმოუდგებიან ფეხზე).

მხედართმთაგარი. გაეცით ბრძანება, რომ ყველა თქვენი მხედრობანი გაემზადნენ წყლის სათავისაკენ. ბეთილიდან მოსულმა ასტარტის უმშვერიერესმა ისრაელის ასულმა, როგორთან ეხლაც ნეტარ განცხრომაშია ჩვენი დიდებული ოლომფრე, მოიტანა ამბავი, რომ მოდისო ახალი მხედრობა ისრაელისა და მათთა მოკავშირეთა, რომ დაიჭირონ წყლის სათავე და მოუშვან ისევ ბეთილს. ბეთილის პლება შეიძლება მხოლოდ უწყლობით. უბრძანეთ, დაპყრან საყირისა და დაფლაფს მხედრობათა ასშლელად და შესაკრებლად. უგელა მხედარმთაგარი მიბრუნდებან სხეგა-და-სხეგა მხარეს და გასძახებენ. დაპყარით დაფლაფს და მიეცით საყირისა და ბუკების ხმა, რომ აიშალოს ჯარი და შეიკრიბოს ერთს ალაგას.

(შეიქნება ხმა ბუკა-საყირისა, დაფლაფისა და ნაღარისა. აშლილი მხედრობა შემოდის სკენაზე და იკრიბება ერთს ალაგას. ყველა მხედართმთავარი ჩადგებიან მხედართა შორის თავის ალაგას.

მხედართმთაგარი. მართალია, მოგბეზრდათ ბაბილონის დიდებული მეფის მხედრობათა აქ ასრე დიდხანს დგომა,

მაგრამ სასყიდელიც დიდი მოგელით თქვენი მოთმენისათვის. აი დღეს ან ხვალ ბეთილიცა და მასთან მთელი ისრაელიც იქნებიან ჩვევენს ხელთ. არ გეგონოთ ებრაელნი სხვა ხალხივით მწირი და გლახაკი: სადაც უნდა მივიღნენ ეგენი, თვით უუდაბურესს და უმწირეს ალაგებს, შექმნიან და არარაიდან დაპირებენ სიმდიდრეს. დატყვევდნენ იგინი ბაბილონელთაგან, გაცვივდნენ ეგვიპტეს, დაიყიდნენ მიდს, სპარსეთს, ინდოეთს და სხვა ქვეყნებში და მთელი ამ ქვეყნების სიმდიდრე გადავიდა ამათ ხელთ: მეფენი, მთავარნი, დიდებულნი, ერნი და სამღვდელონი გაჰსადეს თავის მოხარკეთ, ყურმოჭრილ ყმად. უკეთუ ტყვეობასა და უცხოობაში იჩინეს ამგვარი ძალა, ცხადია უფრო დიდი ქონება უნდა იყენეს მაგათს ქეყნებში, სადაც არც მდევნელი და არც შემცილებელი არა ჰყავთ. მთელი ოფერის ოქრო და ძვირფასი თვალი შესულა ისრაელს. და ყველა ესე გიშყალობათ თქვენ დიდებით შეუდარებელმა ოლომფრებმ. მთელი ისრაელის სიმდიდრე, უმშევნიერესი ასულნი და ყრმანი დაგრჩებიან თქვენ და რაც იქნება თქვენთვის უმაქნისი, ყველა მიეცემა ცეცხლსა და მახვილს. მუსრი ისრაელს!! მუსრი ამ თილისმის ხალხს, რომელიც, სადაც მივა, ყველგან უნდა გახდეს ქვეყნის სარჩოს პატრონი!! გაუჩარჯოს ჩვენი მხედრობის მოწყალე მამისა და მეუფეს, დიდებულს, ცის ქვეშეთის ბატონს ოლომფრეს!! (ამოილებს მახვილსა და იქნევს).

(მთელი მხედრობა ამოილებენ მახვილებს იქნევენ ჰაერში მუქარით და ჰყვირიან): გაუჩარჯოს უძლეველს ოლომფრეს!!! გაუიარჯოს ქალდეველთა მხედრობას!! მუსრი ისრაელს! მუსრი ბეთილს!! (შემოვარდება ერთი მხედარი).

მხედარი. (გულის ქასქასით) ბეთილის კლდეებიდან დაეშვა დიდი მხედრობა, ისრაელთა და საშინელი ყიუინითა და

სისწრაფით მოდის ჩვენს ბანაკზე. წინ მოუძღვის ვი-
ლაცა დედაკაცი, რომელსაც ხელში უჭირავს ვილა-
სიც მოკრილი თავი და მეორე ხელში ოლომფრეს
მახვილზედ უდიდესი მახვილი. მხედრობას მოუძღვის
სამღვდელოება წინ ფსალმუნთა გალობით და რალაცა
ძლევამოსილი ხმით. გამძვინებული მხედრობა ჰყირის;
მუსრი ასურს! მუსრი შუამდინარის ერთომ!!

(შემოვარდება გატაცებული სახით მეორე მხედარი.)

მეორე მხედარი, ისრაელი დაეცნენ მოწინავე მხედრობას და
სრულიად შექმუსრეს. იმათ უძღვის ასტარტაზე უმშ-
ვენიერესი ქალწული, ასტარტაზე უფრო მრისხანე
სახით. ხელში უჭირავს მთლად სისხლში მოსვრილი
თავი და მეორე ხელში ისრეთ დიდი მახვილი, რომ-
ლისაც ხმარება და მორევა შეუძლიან მხოლოდ უძ-
ლიერეს ოლომფრეს. თითქო მოელი განრისხებული
ცისა და ქვეყნის და გმერთთა ძალა ამათ მოსცემო-
დეთო, ისრაელთა მხედრობა, საითაც გაიწევს და
უწევენებს ის სანცეიფრო დედაკაცი, მისდევენ მას და
ეერა ძალა ეერ უდგრობთ მათ. ზარდაცემული ჩვენი
მხედრობა იძახის, ის თავი ოლომფრესი არისო, და
გარბის, როგორადაც ციდან მოვლენილი რისხისა-
გან, და იმუსრება უწყალოდ ისრაელთაგან.

მხედართმთაგარი. სიცრუეე! ეგ არის ებრაელთა შანქანება. ეგ
იქნება ცვილისაგან გაკეთებული. მაგათგან გასაკ-
ვირველი არა არის-რა. არიან მაგათში ისრეთნიც,
რომელნიც სახმილის ცეცხლს აქცევენ ყინულად და
შიგ ისრე დადიან, თითქო თავიანთს იორდანის წყალში
ჰბანაობენო. ოლომფრე ეხლა ისეთს განცხრომაშია
თავის ოქროს სარეცელზე, როგორსაც აღარ ეღირსება
არასოდეს მზის ქვეშეთის სულდგმული. უმშვენიერე-
სი ებრაელთა ასული, რომლისაც მსგავსი ჯერ არ
შეუქმნიათ ნაყოფიერებათა ღმერით ასტარტას და
ბაალს, არის მის გულს ჩაკრული. ის დედაკაცი აძ-

ლევს გზის ისრაელთა დასაპყრობლად. წუხელის სე-
რობაზე მეც იმათთან ვიყავ, და სერობის უკან ისინი
დავტოვეთ მარტოკანი ჩაჟეტილს კარავში... ვაი ებ-
რაელთ, თუ გაიღვიძა ოლომფრემ და გაუძლვა მხე-
დრობას!!. დეე ის განცხრეს... ისრაელთ მეც ვეყო-
ფი... მომყევით აქ!!..

(ამ დროს შემოცვინან სცენაზე ზარდაცემულნი ქალდეველთა მხე-
დრობანი, ყიუინით): უშეველეთ თავს!.. საშინელი რისხვა ზე-
ცისა!.. ოლომფრეს თავი!.. ოლომფრეს მანეილი!!:

(სცენას გარეთ ისმის ყიუინა): მუსრი ასურს! მუსრი შუამდი-
ნარის ერთა, მუსრი ქალდეველთ!!.

მხედართმთავარი. სიცრუვეა!!.. აგერ მოდის ოლომფრე!!.. დაუ-
ძახეთ ოლომფრეს!!.. მომყევით აქ!!.. დაუძახეთ ყველა
მეფეა.. და მთავართა... დაუძახეთ ვალაის!!..

(შემოვარდება ვალაი).

გზდათ. რა არის?! რა ამბავია?! რა არეულობაა, ზარი და ხე-
თქება მხედრობისა?!

მხედართმთავარი. ისრაელი დაგვესხა თავს.. ჩქარა გააღვიძე
ოლომფრე, მოვგეხდოს...

(ამ დროს გამოწმდება სცენიდან ივდით. ცალ წელში უჭირავს
თავი ოლომფრესი და ცალში მახვილი. თან მოსდევს ყიუინითა და
ბრძოლით მხედრობა ისრაელია).

ივდით. მუსრი ასურს! წაწყმნდა ქალდუ!! მუსრი ქვეყნის წამ-
წყმნდს ბაბილონს!

გადა. ივდით!!.. თავი და მახვილი ოლომფრესი!!.. ღმერთონ შუ-
ამდინარისანო! თქვენ იძლიერით ეგოვასაგან... ცხა-
დია ეს თუ სიზმარი?!... ო, ჩემო წინადგრძნობანო!!..
(გაექანება ოლომფრეს კარავისაკენ).

მხედართმთავარი. სიცრუვეა! თავი ცეილისაგან არის გაკეთე-
ბული... მომყევით აქ! მუსრი ისრაელს! მუსრი მათს
ცრუწინასწარმეტყველს დედაკაცს! (გაექანება ივდითი-
საკენ).

ივდით. მუსრი ასურს! (დანახვებს მახვილს). თავი თუ ცეილისაა,
ეისია ეს მახვილი?! მიცნობ თუ არა? ვინ იყო წუ-

ხელის თქვენთან?! ეის საღლეგრძელოსა ჰსვამდი აღ-
ტაცებით შენ პირველი? ვინ გაუშვით მარტოკა
ოლომფრესთან!! წადით, ჰნახეთ, თქვენი ოლომფრე.
მხედართმთაგარი. (დაუქნევს იყდითს მახვილს) გაპქერ ცრუ ზმა-
ნებავ! ცრუ სიზმარო!

ახითო (აუკრავს მახვილით მახვილს.) გაუმარჯოს იყდითს, დიდე-
ბასა ისრაელისასას!! წაწყდა ოლომფრე!! წაწყდა ბა-
ბილონი! მუსრი ნაბუქადონისოსორის მხედრობას! მი-
ცნობ თუ არა. (მივარდება მახვილით.)

მხედართმთაგარი. გიცნობ! შენა ხარ მოღალატე... და მზადაც
არის შენთვის თოვი და ძალლური სიკვდილი!

(შემოდის ახალი მხედრობა ბაბილონელთა; შემოდიან მეფენი,
მთავარნი და მხედართმთავარნი. სცენის გარეთ ჭიქინა:) მუსრი
ასურს! მუსრი ქალდეველთ! (სცენის მეორე მხრიდან შემორბის
გამოქცეული ქალდეველთა მხედრობა, ახალი ჯარი ქალდეველთა
ესევა ებრაელთ. ამ დროს შემოვარდება ვაღაი).

გაღამა. (განწირული ხმით). წაწყდა ბაბილონი! ოლომფრე გდია
უთავოდ, სისხლში ამოვლებული. არც თავი და არც
მახვილი იქ აღარ არიან.

(უხარდება ბრძოლა).

მხედართმთაგარი. ტყუილია! შენა ხარ მოღალატე! დაუმახეთ
ოლომფრეს.

(ვაღაი და რამდენიმე მხედარი შესცვივიან თლომფრეს კარავში
და გამოაქვთ უთავო გვამი ოლომფრესი, სისხლში მოსვრილი).

გაღამა. აი გვამი ქვეყნის დამპყრობი და ზარი ცის ქვეშეთისა!
ვაი ასურს! ვაი ბაბილონს! ვაი ქვეყანას?..

(ბაბილონთა მხედრობაში გავარდება ზარი და შეიიქნება ძახილი):
წაწყდა ერი შუამდინარისა! განრისხდნენ ჩექნშე ცამეტ-
ნივე ღმერთი ჩექნი. (გარბიან და თან გზაგზა ჰყრიან საჭურველს.

მრავალნი მხედართავარნიც გარბიან და ჰყრიან საჭურველს, და
თან გაიძახიან): უშველეთ თავი! უშველეთ თქვენს სამეფო-
ებს! საშინელი დედაკაცი! ცის რისხვით მოვლენილი! ძო-
დის! მოდის ჩექნს შესამუსრავად!

ჰამდენიმე მეფე და მთაგარნი დადამტორეს მხედრობიდან. მუ-
სრი ბაბილონელთ! გაუმარჯოს ისრაელს! გაუმარ-

ჯოს ქვეყნის მხსნელს ისრაელის ასულის, ცით მოგ-
ლენილს ივდითს! მხედრობანი ჩვენნო, მოგაყევით
აქ! მუსი ბაბილონს, ქვეყნის წარმატყველენს და წა-
მწყმენდს. (დადგები. ებრაელთა მხარეს და მიესევიან ბა-
ბილონელთა).

მხედართმთავარი. გაასწარით გვამი ოლომფრესი... დაიღუპა
ბაბილონი, დიდებული სამეფო! კაცი ნაბუქიდონო-
სორთან! გაამაგროს ქალაქი, მოჰკრიფოს მხედრობა...
გადაგვიდგნენ ყველანი... გვიღალატეს მეფეთა. (გარ-
ბის ზარდაცემული).

(ზოგი ბაბილონელთა მხედარნი ცდილობენ გაიტაცონ ოლომფ-
რეს გვამი.)

ივდითი. წართვით გვამი ოლომფრესი! (მიეარდება ოლომფრეს
გვამს.) შოთს აქედან!

(მისცვივიან იმარაელთა მხედარნი და გააგდებინებენ გვამს. ქალ-
დეველი გარბიან ძახილით): ოჭ, რისხვა ცისა! საშინელი
დედაკაცი!!

გადარ. (ამ გვამის ცილაობის დროს შეჰქორებს ოლოფრეს თავს.) ოჭ,
დიდებულო თავი! შენ განაგებდი მოელი ქვეყნის
ზედს, და სცემდი ცის ქვეშეთს შიშის ზარს, აპირებ-
დი გალმერთებას, ეცილებოდი ნაბუქიდონოსორს
პირველობას. ვერ გაგიძლეს ვერა მეფეთა და სამე-
ფოთა, ვერა ღმერთთა ცის ქვეშეთს მყოფთ, და იძ-
ლიე უძლური ქალის ხელით. სიბალწისა შენისა-
თვის!

ივდითი. (მიეა ოლომფრეს გვამთან და მიადებს თავს.) ოჭ, გვამო,
ჩემი სინორჩისა ოცნებაო! სული ჩემი, ნორჩიბა ჩე-
მი გეძებდა შენ სიცოცხლისა შესაცსებლად და
ხელმავე ჩემმან მოგილო შენ სიცოცხლე. შენ-
თან იმარხება ჩემი სიყმაწვილეც. (მხედრობას) წაიღეთ
ბეთილს ჩემს სამლოცველოში და შეჰქორეთ იგი. მე
მოვკალ ეგე და ჩემი უნდა იყვეს ეგე, ეიდრე ვარ
ცოცხალი (დაინახავს ვალის.) ვალი! მიცნობ თუ არა
წუხანდელს თქვენს სტუმარს?

გადაბა. (დაუჩიქებს და წაუშვერს თავს.) ოჭ, სოფლის საოცრებავ და სანციფრებავ, დედაკაცო, რომლისა ცალი არ გაუჩენიათ ჯერ გამჩენთა! დამეც ეგ, აქამდის უძლეველი მახვილი და მომიღე ბოლო! შენი ნახვის უკან ჩემი სიცოცხლე არის და იქნება წამება... შენი ხელით სიკვდილი მირჩევნიან ათასს სიცოცხლეს.

იგდითი. წამო ჩემთან, დავიტიროთ ერთად დიდებული გვამი იგი! გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს განთავისუფლებულთა ერთა! სიკვდილი მტარვალთა, და ქვეყნის მდევნელთა!

(გაისმის გრიალი და მახვილთა ქნევა) გაუმარჯოს ივ-დითს! გაუმარჯოს გვირგვინსა ქვეყნიერებისას! დიდებას ისრაელისას!

(მეფენი და დიდებული, ახიორ და ისრაელთა მხედართ-მთა-გარნი აიტაცებენ, ჩასმენ ივდითს ტახტრევანში და გაიტაცებენ სცენიდან ყიუინით): გაუმარჯოს ქვეყნის მხსნელს! გაუმარჯოს ივდითს! სიკვდილი მტარვალთა, ქვეყნის მმუსრველთა და მტყვევნელთა! გაუმარჯოს თავისუფლებას!!

ანტონ ფურცელაძე

1896 წ. ტყილისი.

(დასასრული)



ଲୁଗାଳ ମୁଣ୍ଡ

ଫଳଟ ଲାମିଥିଲେ, ଫ୍ରେଡିଲୁଟୋ ନିଧିଲେ,
ରାତ ମିଠିଥୀର ମିଶ୍ରିତାଳାଦ?
ଏ ଶୁଣ୍ଯାଳେ କପଳାଙ୍ଗ, କଲେ ମେ ପୁଣ୍ୟମିଶ୍ରିତାଙ୍ଗ
ମିଶ୍ରିତାଙ୍ଗ ଶେଖାଚାରାଦ?!

ମ୍ଯାନ୍ଦିଯ ଗଂଗନ୍ଧୀଳ ଲା ତାଙ୍କୁ ପାଥନ୍ଧୀଳ
ଶେନ୍ଦାର ଶ୍ରୀଗୁଟରାଦ,
ଲା ଶେନ କି ମାରାଦ, ମର୍ତ୍ତିକ୍ଷେପ ଉର୍ଜେମିଲଙ୍ଗାରାଦ,
ଅବତାର ଲା ଅକ୍ଷରାଦ.

ଏ ଲାଗିଛୀଗେ, କ୍ଷେତ୍ର ଶେବାଶ୍ଵାରୀ
ମେ ତାଙ୍କ ନେମିଠ,
ଏହି ଶାତ୍ରାନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରାଦ ଲା ଶେନଙ୍କ ମିଶ୍ରିତାଙ୍ଗ
ମେ ଗାନ୍ଧାରୀନି.

ମେ ଧେଉାଦ ଗ୍ରୀକାମ, ଶେନ କି ମରିଲେଖାଙ୍ଗ
ଗୁରୁଶେଖାଚାରାଦ.
ଏଇ ଗ୍ରେବରାଲ୍‌କ୍ଷେତ୍ରି? ମ୍ଯାନ୍ଦାମ ଉର୍ଜେମିଲ୍‌କ୍ଷେତ୍ରି
ନେମିଲିଦିଲେ ଲଙ୍ଘାରାଦ.

ମାତ୍ର ରାଧାର କ୍ଷେତ୍ରିକାଳ, ନୃ ତୃ ଏଇ ଗର୍ବନୀଳ
ଏଇ ଶାର ଲ୍ବତାନୀଳ,
ଏକଥ ଶେନତୃତୀୟ ଗ୍ରେବେକ୍ଷେତ୍ରି ଲା ଗ୍ରେବେନ୍‌କ୍ଷେତ୍ରି
ଅନ୍ଧାମିନୀଳ।

ტურქ კიბრის

* *

ბეჭდი მიგვედება, საეგარელო,
როცა შენ გხედავ დადონებულს.
ახ, ნეტარ რატომ არ შემიძლიან
გასიამთვინო შენ ჩემ სატრივოს.

მაღად არ შემწევს, რომ შევასრულო
აღფრთვანებულ გულის წეურვილი;
რა სიცოცხლეა, როდესაც კაცის
დონეს აჭარბებს მასი სურვილი. ॥

ბ. 5.

მამის იგ შეს ჩემი აუზი
აუზი მამის აუზი
აუზი ჩემი ჩემი აუზი
აუზი მამის აუზი

მამის იგ შეს ჩემი აუზი
აუზი მამის აუზი
აუზი ჩემი ჩემი აუზი
აუზი მამის აუზი

სამეგრელოს აღმერა

არჩანჯელო ლაშარიშისა

(თარგმანი იტალიურით)

III *)

მიწად-მოქმედება

არც ერთი ერი ისეთ პატივს არა სცემს მიწად-მოქმედებას, როგორც მეგრელები. სხვაგან ყოველგან მიწის მუშაობას ეტანებიან ხეოლოდ დაბალი ხალხი და გაუნათლებელი გლეხები. სამეგრელოში, კი არც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ მუშაობს თავის ყანებს და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩინიათ. პირიქით, ყოველი წინდახედული მეოჯახე აზნაური მეტად ეტანება ამ მუშაობას. თვითონ იღებს ხელში თოხსა და ბევრ ოფლის ღვრის თავის ყანების შესამუშავებლად. მეგრელებს ანდაზაც აქვთ, რომ საჭმელი ყველას უნდა, აზნაურსაც და გლეხსაც, და ამიტომ ყოველმა კაცმა თავის ხელით უნდა მოიწიოს ის, რაც მას საცხოვრებლად ეჭირვებათ. მთავრიდან დაწყებული უკანასკნელ მეგრელამდი სიამოვნებით ეტანებიან მიწად-მოქმედებას და დიდის გულმოდგინებით მუშაობენ თავიანთ ყანებს. ყველა სხვა ერებზე უფრო იმიტომ უნდა იზრუნონ მეგრელებმა საზრდოს

*) იხ. „მოიშვე“ № V:II, 1900 წ.

შესახებ, რომ სიმშილობის დროს მათ იმედი არა აქვთ, რომ სხვა შორეულ ქვეყნიდან მიიღონ რამე საზრდო. თუმცა, მართალია, მათი ქვეყანა ზღვის პირად არის და მათ ნაპირებზე ხშირად მოდიან უცხო გემები იმ ქვეყნიდან, სადაც ბლომად მოდის პური, მაგალითად ტრაპიზონიდან, სათათრეთიდან, კაფიდან და კანსტანტინეპოლიდან, მაგრამ პური სამეგრელოში არავის არ შემოაქეს, რადგან მეგრელები ჩეცულებრივ, პურით კი არა, ღომით იკვებებიან და უცხოელები დარწმუნებულნი არიან, პური რომ კიდეც მოიტანონ იქ, ვერ გაყიდიან. ამიტომაც ყოველი მეგრელი დიდის გულმოდგინებით ეტანება მიწად-მოქმედებას და ცდილობს მოიყვანოს იმდენი მოსავალი, რომ ეყოს შემდეგ წლებშიაც, უკეთუ მოუსავლობა იქნა.

სათესად კი მთელი ქვეყანა ვარგა, თუმცა მეტის-მეტი სინოტიეს გამო, რომელიც ალპობს თესლს, მიწა იმდენს მოსავალს არ იძლევა, რამდენსაც ასეთი მიწა სხვაგან მოიტანდა. დადი ნაწილი მიწისა დაუმუშავებელია მთავრის განკარგულებით, რადგან მას სურს, რომ მეტი ადგილი იყოს თავისუფალი ირმებზე და ტახებზე სანადიროდ.

მეგრელები დიდის ისტატობით მუშაობენ ღომს (ჩენებურად panigo და მათი ჩეცულებრივი საჭმელი) და ამისათვის სამეგრელოში, როგორც ჩენებშიაც, ყოველგან შეხვდებით ბუჩქებს დიდ ხეების მაგიერ, რათა ხეების ჩრდილშა არავნოს ღომს. ხეებს ერთიანად შემოაჭრიან ტოტებს, ისე რომ დასტოვებენ მარტო ღერს ხისას, რომელზედაც ძლივს ადის ვაზი. შემოჭრილ ტოტებით ღობეს უვლიან დათესილ მიწებს, რათა დაიცვან ისინი მინდვრებში გაშვებულ პირუტყვებისაგან. ხეების გაკრევის შემდეგ შეუდგებიან ხვნას და დახვნენ მიწებს ოთხჯერ თუ ხუთჯერ იმავე ზომის გუთნით, როგორც ჩენი გუთანია, მაგრამ მათ გუთანს მხოლოდ წვერში აქვს სულ პატარა რკინა, ოთხი თითის დადება, და დანარჩენი ნაწილი სულ ხისაა. მათის აზრით რკინის გუთნის გაკეთება მეტი ხარჯია, რადგან ხარებს უამძიმებს და ამ პატარა რკინითაც იოლად მიდიან. მიწას რომ დაამზადებენ, თესვას შეუდგებიან, ისე რომ პეტრე-პაელობისათვის თითქმის

ათავებენ ხენა-თესვეს. მაგრამ ამის შემდევ უფრო დიდი შრო-
მა იწყება: სინოტიეს გამო აქ ცუდი ბალახი სწრაფად იზრდე-
ბა და ამისათვის დიდი შრომაა საჭირო მის მოსახლებად. თუ
რამდენიმე დღე დასკალდა ბალახს ზრდა, ისე იმატებს, რომ
სულ გააქრობს ნათესს. ამიტომ მიწიდან თავს იჩენს თუ არა
ლომი, მაშინვე გამოთოხნა სჭირდება. რადგან საჭმე საჩქაროა
და პატრონი თავის კაცებით ვეღარ ერევა, მეზობლები უნდა
მოიხმაროს. ვინც უკვე დასხესა ყანა და ოოხნას უნდა შეუდ-
გეს, იწვევს მოსახმარებლად იმათ, რომელთაც ჯერ თოხნის
დრო არ დასდგომია. თავის დროზე სხვები ამათ მოეხმარებიან.
რადგან ეს დიდი შრომა საშინელ სიცხეში უნდა აიტანოს კაც-
მა, მისი გასაადვილებლად ისეთი ხერხი მოუგონიათ, რომ გეგო-
ნებათ, მთელი სოფელი ქეიფობსო. ამ ხერხს შეადგენს სამი
რამე: ნადი, სიმღერა და უხევი საჭმელი, რომელსაც მამულის
პატრონი იძლევა. ხშირად ნადი შესდგება ორმოცდათის და
სამოცის ჩარაზმულ მოხხელისაგან. იმ დროს რომ გაამხნევოს
იგინი, პატრონიც თაეში ჩაუდგება თოხით და ოოხნის, რო-
გორც დანარჩენები. სიმღერა, რომელიც მოჰყვება ნადის, გამოუ-
გონიათ მარტო ამიტომ კი არა, რომ ეს მხიარული კრება გაამხ-
ნევოს, არამედ იმისათვისაც, რომ იმათ ჩქარა იმუშაონ. ამისა-
თვის საგანგებო სიმღერა აქვთ, რომლის ხმაზე თოხნასაც ისე
იწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას: რამდენადაც სიმღერას ააჩ-
ქარებენ, იმდენად თოხნასაც ააჩქარებენ. ამისათვის თავში დადგება
ორი მომღერალი და იწყებს სიმღერას. ამ მეთაურებს ერთა-ორად
ეძლევა ულუფა იმისათვის, რომ თოხნა დააჩქარებინოს სხვებს.
საჭმელი საქმაოდ უხევი აქვთ, რადგან იგია მათი შრომის ერ-
თად-ერთი ფასი. დღის განმავლობაში სამჯერ მიუტანებენ სა-
ჭმელს ყანაში. დაღამებისას კი პატრონის სახლში უმზადებენ
ვახშამს, რომელიც მეტად მდიდრულია. ამ დროს ყოველსა-
ცე დარდს მუშაობის შესახებ თავიდან იშორებენ, შუალამებდის
სხედან და დროს ატარებენ ჭამაში, სმაში და სიმღერაში. რა
შევენიერი სანახავია, როცა მზის ჩასვლისას თოხნას გაათავე-
ბენ და მიდიან პატრონის სახლში. თითქო ერთი დროშის ჯა-

რისკაცებიათ, გაუდვიათ მხრებზე თოხები და ექვს თუ რვა წყებად, ნელ-ნელა მიღიან, თან მიიმღერიან და დიდის ამბით შედიან პატრონის ეზოში. აქ შემოვლენ თუ არა, დასხდებიან ირგვლივ, და მაშინვე მათ მოუტანებენ საჭმელს.

საუკეთესო ლვინოს, რომელიც კი აქვთ, შეინახავენ ხოლმე იმ დროისათვის, როცა მარვლა აქვთ. ხოლო, რადგან მათ ხახას ვერ გადაუჩრჩებოდა ეს ლვინო, ასეთი ხერხი მოუგონიათ: ამ ლვინოს სწირავენ წმ. გიორგის იმ პირობით, რომ პეტრე-პავლობამდი არ ახალონ თავი იმ ჭურს, რომელშიაც ლეინო არის. მართლაც ვერავინ გაჰქიდავს ამ დრომდის მას ხელი ახლოს, რადგან მღვდლები ხალხს ეუბნებიან, ვინც დაარღვევს წმ. გიორგის წინაშე დადგებულ აღთქმას, ის ცოცხალი ვერ გადარჩებათ. პეტრე-პავლობის დღეს კი, რომელიც მარგვლის წინ არის, დიდის ამბით უნდა მოხსნან თავი ჭურს. ამისათვის მარანში მოიწვევენ მღვდელს, რომელიც შეიმოხება საეკლესიო ტანისამოსით, რამდენსამეტ ლოცეს იტყვის ჭურის თავზე და შემდეგ ამისა მოხსნის თავს ამ ჭურს; იქიდან პატარა ჭურ-ჭელში გაღმოასხამს ლვინოს, რომელსაც გაგზავნის შესაწირავად წმ. გიორგის ეკალეგიაში. ამის შემდეგ შეუძლიანთ იხმარონ ეს ლვინო.

ასე მუშაობენ ლომს. ჭური ნაკლებად მოდის და ის ცოტაც, რაც მოჰყავთ, მეტად წერილ მარცვლოვანი არის. ყოველგან არც მოდის. თუმცა, მართალია, ყოველგან იზრდება, მაგრამ ზოგგან ნიადაგი ისე რბილია, რომ როგორც კი წვიმა ცოტად იმატებს და თან ქარიც ამოვარდება, ნათესი მაშინვე მიწაზე დაეგება და დაიღუპება. ამის გამო ოდიშის ერთ ადგილას, რომელსაც გაგდედ (Gaghidas) ჰქვია, მიწას არ ხნავენ გუთნეთ, რათა არ დაარბილონ და ასე შეუმუშავებელ მიწაში ჩაჰკრიან ჭურის თესლს, რომელიც კარგად ამოდის და მშეგნიერადაც იზრდება, რადგან ამ მაგარ მიწაში კარგად იდგამს ფეხსვებს და ქარი ისე ადვილად ვერ წააქციოს.

ჩვეულებრივ, კარგ მიწა სადაც არის, ასეთს წესს ადგიან: პირველ წელიწადს სთესენ ლომს, მეორეს—სიმინდსა და

შესამეს—პურსა. შემდეგ ამისა მიწას სამის თუ ოთხას წლით ასევენებენ. ოდიშის მრავალ ნაწილებში, საღაც წყალი დგას და არ შეიძლება ღამის დათესვა, სოესავენ ბრინჯას, რომელიც ისე ბლობად მოდის, რომ არამც თუ აქაურებს ყოფნის, არა-მედ მიაქვთ ოსმალეთის გემებს, რომელნიც აქ მოდიან.

ბალებს პატარეებს აკეთებენ მებატონეთა მტარვალისბის გამო, რადგან როგორც კი რომელიმე ყაზა დიდ ბაღს გააკე-თებს, მებატონე წაილებს ყოველიფერს, რაც კი მოეწონება. მაინც არაან იმისთანები, რომელნიც საჩვენებლობენ მებატონის კეთილისგანწყობილებით და მშვენიერ ბაღებს აკეთებენ. იქ შეხვ-დებით ისეთ დიდ ნესვებს, რომ სამ ტკაცელზე მეტი იქნება. ბოსტნებში ყველა მცენარეებზე მეტად მოჰკავთ ოსმალური ლობით, ეს ერთად-ერთი მათი სამარხო საჭმელი. მათ-ში ხომ მარხვა ხშირია და გრძელი. დროს შესაფერად მარხვა-ში ან ახალ ლობიოს სჭამენ, ან ძველია. რადგან სინოტის გამო მიწაზე გაშვებული ლობით დალგენადა, საკმაო მაღალ ჭიგოებს დასმენ ხოლმე და მათზე აუშვებენ ლაპიოს. ლობით აქ იძლევა ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში, ისე რომ ივლისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოსა სჭამენ; შემდეგ კი გაახმობენ და საზამოროდ შეინახავენ.

ლობიოს შემდეგ დიდ პატარისცემაშია ფხალი, რომელიც ყოველ აღვილას უხვად მოდის. ხოლო ფხალი მარტო ერთი გვარის იკიან. ამის მიზეზი ის არის, რომ, რაც უნდა მოიტანოთ სხვა ქვეყნიდან სხვა გვარი ფხალის თესლი, მაგალითად ან კომბოსტო ფხალის ან, ყვავილოვანი ფხალისა *), პარველ შელაშიდს რასაკვირველია ამოვა იმავე გვარის ფხალი, მაგრამ თანდათან გადაგვარდება და რამდენიმე შლის უკან სრულებით აღვილობრივ ფხალს დაემსგავსება. ღერი ამ ფხალისა მეტად დიდია, ისე რომ იწონის ათს თუ თორმეტს გირვანქას ჩვენებურს. ამ ფხალს ქილაშა ჩასდებენ, დაამარილებენ და დაბეჭ-დილს მარხვისათვის შეინახავენ. ისე დამეუკებულ ფხალს ღა-რიბი ხალხი თითქმის მუდაშ შეჭამნდად ხშარობს.

*) რუსულად—цветная капуста.

**

ნ ა დ ი რ თ ბ ბ

შეგრელების უმთავრესი ვარჯიშობაა ნადირობა და ყოველი წოდებისა და მდგომარეობის მეცნიერება. ამას ხელს უწყობს მათი ქვეყნის მდებარეობა: მოსახლეთა გარშემო ბუჩქებში, გორაკებზე და მინდვრებში ხშირად მოდის სხვა-და-სხვა გარეული ცხოველი, რომელსაც მცხოვრები თვალით ხედვენ და რასაკერველია სურვილი აღეძრებათ მათი დაჭრისა, და ამის გამო ნადირობას მიეცმიან. მათ ანდაზაც აქვთ, რომელიც ამბობს, რომ ბედნიერი კაცი ის არისო, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძალლი და საუკეთესო მიმინოო.

სანადიროდ ტყეები ისეა განაწილებული, რომ თვითეულ-თავის თავისი სანადირო ტყე აქვს, რომელშიაც სხვას მის ნება-დაურჩველად არ შეუძლიან ნადირობა. თვით მთავარსაც, თუმცა იგი ყველასი ბატონია, არ შეუძლიან სხვის საკუთრებაში ინადიროს, რადგანაც თვითონ იღკრძალა სასტიკი კანონით მის ტყეებში ნადირობა და ამ კანონის დარღვევას უერავინ ვერ ჰბედავს. მთელი ქვეყანა სავსეა სხვა-და-სხვა ნადიროთა, როგორც ოთხ-ფეხითა, ისე ფრინველებითაც (რასაც დაინახავთ ქვემოდ, მე-XXXI-ე და მე-XXXII-ე თავებში).

ნადირობის კარგად მოწყობისათვის მთავარი ისე ბევრსა ხარჯავს მწევარ-მეცნიერებზე და ქორ-მიმინოებზე და ბაზიერებზე, რომ არა მცონია, მოიძებნოს სხვა მთავარი, რომელმაც გადააჭარბოს მას ამ ხარჯში. ყველა ამაების სარჩენად მიჩნილია კარგაძალი სოფლები, რომელთა მოვალეობაცაა თავის დროზე მიაწოდონ ბაზიერებს—რიგიანი საჭმელი, ქორ მიმინოებს—ქათმები და ძალლებს—ღორები, თხები და ღომი.

მთავარი ისე ზრუნავს ქორ-მიმინოებზე და ძალლებზე, რომ როგორც კი სახლში დაბრუნდება, პირველად თვალი უნდა გადაავლოს ბაზიერების სადგომებს, იყითხოს ქორ-მიმინოებისა და

ძალების ამბავი და თუ რომელიმე ავად გახდა, დიდის გულ-მოდგინეობით უნდა უწამლოს. როცა პურის ჭამას მორჩება თვითონ, ბრძანებს, რომ მის თვალშინ აქამონ ძალების. მაშინ-კე ის მოსამსახურები, რომელთაც ძალები აბარიათ, გამოვარ-დებიან გარედ სასადილო ოთახიდან და ყველანი ერთად მაღა-ლის ხმით დაწყებენ ძახილს: „რიო, რიო, რიო“. ამ ხმას გაი-გონებენ ძალები და ერთბაშად მოირბენენ, რადგან იციან, რომ საჭმელზე ეძახიან. აქ თუ კარის გაღება დააგვიანეს, ვიღრე ყველანი შეგროვდებიან, ისეთ ყეფის გააბამენ, რომ იქაურობას სულ გადაყრუებენ. გააღებენ ოთახის კარს, თუ არა, ეს გრო-ვა ძალებისა უცბად შევარდება და თვალის დახმხამებაში ჩან-თქივს იმ ლომს, რომლითაც მოფენილია ოთახის იატაკი.

ყოველ ნადირობას თავისი დრო აქვს. ხოლო ყველაზედ უფრო მოწონებაშია ირმებზე ნადირობა, რომელსაც ორი დრო აქვს წელიწადში: ერთი ყველიერის დაწყებიდან დიდ-მარხვამდე და მეორე—სექტემბრის დასასრულიდან შუბის მარხვამდი. ყვე-ლიერში ჩვენებმა რომ შუბით ვარჯიშობა: და ნადიმებს ეტანე-ბიან, ამის მაგიერ მეგრელები დიდის ამბით ნადირობაში ატა-რებენ დროს.

მთავარი ამ დროისათვის მოიწვევს ოდიშის ყველა დიდე-ბოლებს, რომლებიც ამ შემთხვევისათვის გამოცხადდებიან საუ-კეთესო ცხენებზე და მშენებირად ჩატარები. წინა დღით, დილას, ნაღარას დაჰკრავენ და მის ხმაზე ადგებიან ყველა მონა-დირები და ძალებით წავლენ, რომ ტყე შეჰკრან. ხმაურობით და ძალების ყეფით ნადირს შეაშინებენ და ძლიერ შორიდან მოდენიან იმ აღავს, რომელიც დანიშნულია ნადირობისათვის. მთავარი ზომიერად სადილს მიირთმევს, ადრიანად შეჯდება ცხენზე და გასწევს დანიშნულ ადგილისაკენ. მას თან ახლავს ცხენოსანი კეთილშობილები და მრავალი ქვეითიც.

როგორც კი მივლენ ადგილზე, მთავარი გაჩერდება, და-თვალიერებს თავის მხლებელებს, დაწყობს რიგისამებრ და თვითეულს მიუჩენს თავის ადგილს. ყველა თავ-თავის ადგილზე უნდა იყოს გაჩერებული და ხელში უნდა ეჭიროს მშეილდ-

ისარი. მონადირეები რომ შენიშნავენ, ნადირი მოახლოვდათ, კადევ უფრო წინ გამოდევნიან ხმაურობით და ძაღლების ყეფით. როცა ნატირი საქაოდ მოახლოვდება, თვითეული თავის ადგილიდან დაიძერის, ცხენს გააკენებს, მომართავს მშვილდს და გაისროლის ისარს. ვინც ნადირს პირველად დაკუთდავს, თუმცა სხვამ აიღოს, თავი იმას ეკუთვნის, მთავრისავან დადებულის კანონით.

სახლში რომ დაბრუნდებიან, მთავარი ჩეეულებრივ მოიწვევს ვახშმად ყველა იმ თავადებს, რომელიც სანადიროდ ახლდნენ. ამ ვახშმის დასასრულს მოიტანებენ იმ ტახტის და ირმების თავებს, რომელიც იმ დღეს მოჰკლეს. ზოგჯერ ასეთი თავები მოვროვდება ოც-და-ათადან ორმოც-და-ათამდე. მათ მწყრივად დაწყობენ სტუმართა წინ. აქ მოჰკვებიან ნადირობის ამბავს, და თვითეულის თავის შესახებ იტყვიან, თუ, მაგალითად ვინ მოჰკლა ესა და ეს ირემი; ვინ იყო პირველი, რომ დაკუთდა იგი და რა ადგილას დაიკოდა; როგორ მოინდომა ნადირმა გაქცევით თავისთავის შველა; ვინ იყო, მეორედ რომ ესროლა ისარი, და ბოლოს ვინ მოჰკლა. ამ რიგად სულ ამ თავებზე საუბარი; ეს საუბარი მეტად სასიამიეროა დამსწრეთათვის, რადგან ამათი პირველი და უმთავრესი საგანი ნადირობაა.

უკეთუ ამ დროს სასახლეშია რომლისამე მთავრის ელჩი ან სხვა ვინმე დიდებული კაცი, რომელიც თავის ოთახში ცალკე ვახშმობს, იმას, მოკლული ნადირების თავებზე საუბარს როცა დაასრულებენ მთავრის სუფრაზე, გაუგზავნიან საჩვენებლად ამ თავებს, თან გააყოლებენ მთავრის მერიქიფეს საუკეთესო ღვინით ვერცხლის სურაში, რათა იმ დიდებულმა კაცმა თავისი მხლებლებით მთავრის სადღეგრძელო დალიოს ამ თავებზე. ამ შემთხვევაში ჩეეულება არის, რომ ვიდრე თასს ტუჩებამდი მიიტანდნენ, ცოტაოდენ ღვინოს ამ თავებზე დაასხამენ და ლმერთსა სოხოვენ, მშეიდაბით ამჟყოფოს და ადლეგრძელოს მთავარი, რათა შემდეგში ამასთანები ათასობით და ასი ათასობით მოჰკლასო.

სექტემბრის დასასრულს სხვანაირი ნადირობაა ირმებზე. ამ დროს ფური-ირმები მაკედ არიან და ამის გამო ხარი-ირმებს ერიდებიან და იმალებიან სხვა-და-სხვა აღგილებში. ხარი-ირმები გაგიერებით დარბიან იქათ-აქედ და საშინელის ბლავილით ეძებენ ფურებს. მაშინ, დღე-ღამის გაყრისას მთავარი თავის მხლებ-ლებით მაღას ტყეში, სადაც ბევრია ირმები. იქ ჩამოხტება ცხენიდან და მშვილდ-ისრით შეიარაღებული სულ ჩუმალ შედის ნელ-ნელა, სადაც უფრო დაბურული ტყეა, უახლოედება იმ ადგილს, საიდანაც ისმის ხარ ირმების ბლავილი. რადგან ირმები გაგიერებულნი არიან საყვარელი ფურ-ირმების დაკარგვით, ვეღარ შენიშნავენ მონადირებს, რომელნიც ზედ მივლენ და მშვილდ-ისრით მრავალს დახოცვენ. ეს ნადირობა მთავარს საუკეთესოდ მიაჩნია თავის სამთავროში. ამიტომაც, როდესაც მას მეუღლე გარდაეცვალა და მგლოვიარობის დროს არ შეეძლო სანადიროდ წასვლა, ამბობდა, რომ უნადირობა დიდად მაწუხებსო. ირმების ბლავილს რომ ამ დროს გაიგონებდა, ისე შესწუხდებოდა მართლა სანადიროდ წაუსვლელობით, რომ დაბოლოს ამოარჩია ისეთი ადგილი, საღაც ირმის ბლავილი აღარ ისმოდა, თავის კარის-კაცებით გიღიბიარგა იქ და დარჩა, ვიდრე ირმების ბლავილის დრო გაეიდა.

ფრინველებზე ნადირობითაც ისე გატაცებულია მთავარი, რომ არ მოიძებნება არც ერთი მონადირე ფრინველი, არც დიდი და არც პატარა, რომ მას არ ჰყეანდეს. ყოველ ნადირობისათვის თავისი დრო დააწესა: წეროების გადაფრენის დროს წეროებზე ნადირობა, ასიდების (Aironi) დროს — ასიდებზე და ზამთარში — სხვა წყლის ფრინველებზე. მთავარს სხვა ფრინველებზე უფრო წეროებზე უყვარს ნადირობა. საკვარველიც არ არის რომ უყვარდეს, რადგან მართლა საუცხოვო სანახავია, რომ ასე დიდ ფრინველს, როგორიც წერო არის, ერთი თუ ორი პატარა მიმინო ძირს დასცემს. ეს ნადირობა აწინდელი მთავრის წინად არ იცოდნენ. დიდი ხანი არ არის, რაც მთავრის დიღმა მეგობარმა სპარსეთის ხელმწიფემ, რომელმაც იცოდა, რომ სამეგრელოს მთავარს დიდად

უყვარს ნადირობაო, გამოუგზავნა ამ ნადირობაში დახელოვნებული კაცები და დაგეშილი მიმინოები. იმათ რომ მთავრის კაცები გაავარჯიშეს ამ ნადირობაში და აქაური მიმინოებიც გაავარჯიშეს, მთავარს ისე შეუყვარდა მერე ეს ნადირობა, რომ წეროობის დროს ყოველთვის მეტად მხიარული და აღტაცებული არის.

რაც შეეხება ასიდებზე ნადირობას, ამაზედაც მიმინოთ მიდიან, როგორც ჩვენში. ხოლო ასიდას რომ დაიჭირენ, მოგლეჯენ თავზე რომ შეი ფრთა აქვს, და ისევ გაუშვებენ თავისუფლად. ამას იმიტომ ჩაედიგართო, ამბობს მთავარი, რომ კოლხიდაში ამ საშუალებით მხოლოდ მრავლდება ასიდები და რომ ვკლავდეთ ან სულ მოისპობოდა და ან მეტად ნაკლები იქმნებოდათ.

წყლის ფრინველებზე და ხოხობზე ნადირობენ ქორით. ქორს არასოდეს არ გაუშვებენ წყლის ფრინველზე, სანამ ეს წყალში ცურვს, რადგან იგი წყალში დაიმალება და ქორი გაწბილებული დარჩება. როცა შენიშნავენ, რომ ფრინველი წყალში აპირებს ცურვასო, დაუწყებენ ცემს ჰატარა დოლს, რომელიც თვითეულს მიკრული იქვს უნაგირზე, და როცა შეშინებული ფრინველი წყლიდან აფრინდება, მაშინვე გაუშვებენ ქორს. ქორი მას სწრაფად დაიჭირს, რადგანაც ფრენაში წყლის ფრინველი ნელია და ქორიკი მეტად ჩქარი.

ქორით ნადირობენ აგრეთვე ხოხობზე. თუმცა ხოხობი საუკეთესო ფრინველად ითვლება, მაგრამ იმაზე ნადირობას ჰატივს არა სცემენ არც მთავარი და არც დიდებულები. მიზეზი ამის ის არის, რომ ხოხობზე ცხენით ნადირობა შეუძლებელია და მას სულ ფეხით უნდა სდიონ ქორით ხელში, რადგან ხოხობი იმყოფება ოხრად დატოვებულ მინდვრებში და დაბურდულ ბუქებში. ამაებში სიარულით მონაცირე ძალიან იღლება და გარდა ამისა საშინელ ეკლებში ტანისამოსსაც და ხორცასაც იგლეჯს. ამიტომაც ხოხობზე სანადიროდ თვითონ ბატონები არ მიღიან და გზავნიან თავით მონაცირებს. იციან კოდევ ნადირობა კურდლებზე, მწყერებზე და სხვა ფრინველებ-

ზე, მაგრამ ამაებზე სიტყვას არ გავაგრძელებ და სხვა საგანზე
გადავალ.

xx

მიცვალებულთა გასვანება

მეგრელები ფრიად სასტიკად ეპყრობიან მომაკვდავთ მის
სიცოცხლის უკანასკნელ წამს. როცა ავალმყოფი სულს ებრ-
ძის, და შემნიშვნავენ, რომ მეტად გრძელდება სულთან ბრძო-
ლაო, ვითომ ამ წვალებისაგან გადასარჩენად, უაღილო გულ-
მტკივნეულობით აღძრულნი, სიკედილს უსწრაფვენ. ამისათვის
ასწევენ მომაკვდავს, ბალიშებს შემოუწყობენ და უცბად პირ-
ქვე დაამხობენ და ამ რიგად დაახრჩობენ. ასეთი საზარელი და
ბარბაროსული საქციელი მათ კეთილ საქმედ მიაჩინათ.

როგორც კი ავალმყოფი სულს განუტევებს, ყველა იქ
მყოფი მეგობრები და მეზობლები დიდის კივილ-უკილით და
ტირილით მივარდებიან. მათი კივილი შორს გაისმის და მე-
ზობლები რომ გაიგონებენ, ყველანი მიატოვებენ თაეინათ სა-
ქმებს და მორბიან. ყველანი ისვრებიან ერთად და საშინელი
არეულობა და ტირილი იწყება. ყველა, არამც თუ ყვირის,
პირის სახესაც ისე იკაწრავს, რომ სისხლი წეიმისასვით მოსდის და
საკმაოდ სამწუხარო სანახავს წარმოადგენს. თმას იგლეჯენ
და თავში იცემენ, თუ ხელის გულით, თუ მუშტით.

გაათავებენ თუ არა ამ უწესო ტირილს, რომელიც ჩვეუ-
ლებრივ გრძელდება დაახლოვებით მეთხოდი სათაო, გაიხდიან
წელს ზევით ტანისამოსს, როგორც ქალები, ისე კაცებიც, გა-
იძრობენ აგრეთვე ფეხსაცმელს და ემზადებიან ვითომ წესიერ
ტირილს. მიცვალებულს ჩაცვამენ; ამოარჩევენ, რაც უფრო
დიდი ოთახი იქვთ და მის ბოლოში ხალზე დაასვენებენ. შემ-
დეგ ამისა ამოარჩევენ ჩამდენსამე კაცს, რომელთაც კარგი ხმა
აქვთ და იმათვან შეადგენენ მეზარეთა ორ გუნდს. ესენი გა-
ლებიან ოთახის კარებიდან მიცვალებულთან თვითეულად ყო-
ველ მოტირალს. ჯერ, რასაკერელია, ტირილს იწყებს ყვე-

ლაშე უფრო ახლობელი ნათესავი. მოტირალი ფეხშიშველი და წელს ზევით ტანშიშველი ჩადგება მოზარეთა ორ გუნდს შეა და ისე მაუახლოვდება მაცვალებულს. მოზარები მღერიან ნელის ხმით, თითქოს კიდეც მღერიან და კიდეც სტირიანი; ხოლო სიტყვებს არ ამბობენ და იძახან მხოლოდ: „ოჰი, ოჰი, ოჰი“.

მოტირალი რომ მიუახლოვდება იმ ადგილს, სადაც მიცვალებული ასვენია, მეზარები თრივე მხრებთან დაუდგებიან და ტირილს განავრმობენ. მოტირალი მიცვალებულს დაუჩიქებს და ხელახლავ დაიწყებს პირის სახის ცემას და კაწერას ისე საშინლად, რომ მხრებში რომ არ უდგნენ და ხელებს არ უჭირდნენ, ბოლო ცუდი იქმნებოდა. ცოტა ხანს რომ ასე იტირებს, მერე იდგება და როგორც არის გაშიშვლებულა, ისე დაჯდება მიცვალებულის მეორე მხარეს, გულზე ხელ-დაკრეფილი, ნიშნად მწუხარებისა, და სულ ტირის. აკრეთე იტირებს სამი თუ თოხი უფროსი დაახლოვებულ ნათესავთაგანი და მიცვალებულთანე ახლო დაჯდება.

ნათესავები რომ შეასრულებენ ამრიგად თავიანთ მოვალეობას და დასხლებიან მიცვალებულის ახლოს, მიახლოვდებიან შეზობლები და მევობრები აკრეთე ფეხშიშველ-ტანშიშვლები და იმავე მეზარებით. ესენი რომ მიუახლოვდებიან მიცვალებულს, იქ მსხდომ ნათესავებს დაუჩიქებენ და ერთად იტარებენ. ამრიგად ეს გარეშენი ანუგეშებენ ნათესავებს.

ასეთი ტირილი არის შემდევ დღეებშიაც, ვიდრე მიცვალებულს არ დაკრძალვენ. მიცვალებულის პატავისცემად მიაჩნიათ ამ ტირილის გაგრძელება რვა დღეები. ცოდვაც არის მიცვალებული ასე აღრე ჩავაგდოთ მიწაშიო, ამბობენ, და სულაც არ მივაბარებდით მიწასო, რომ მაცვალებულის გახრაშის შიში არ გვაიძულებდეს ამასო.

გარდაცვალების დღესვე ამ უბედურ ამბეის შესატყობად კაცებს ყოველ მხრით გზავნიან. გავზავნილები თან წაიღებენ მიცვალებულის რამე ნივთს, მაგალითად ან ხმალს, ან ჩანთას ისრებით ან რომელსამე ტანისამოსს. ეს გაგზავნილი კაცები რომ მიუახლოვდებიან იმ ოჯახს, სადაც უნდა მიუტანონ ამ-

ბავი, დაიწყებენ ხმა-მაღლა ტირილს, ისე რომ მასპინძლები მიხედვინ, სიკედილის ამბავი მოგვიტანებო, და გამოვარდებიან გარედ იმის გასაგებად, თუ ვინ მომკვდარა.

სახლის პატიონი რომ პასუხს მიღებს, მაშენვე, რაც უფრო დიდი ოთახი აქვს, იმას გააღებინებს და შეიყვანს ამბვის მომტანთა, რომელნიც წელზევით გაშიშვლებული დალაგდებიან ხალის ერთ კუთხეზე და დასდებენ წინ მოტანილ ნიშანს, რათა შინაურებმა საშიმარი გამოუცხადონ. შინაურები თითო-თითოდ ფეხზე გაიძრობენ და წელს ზევით ტანს გაიშიშვლებენ და შოზიარეთა გუნდთა შორის ჩამდგარნი იტირებენ ნიშანის წინ სწორედ იმ წესით, როგორც ზევით ავწერეთ მიცვალებულის წინაშე ტირილი.

ამბის მომტანი იმასაც აუწყებენ, როდის არის დანიშნული დაკრძალვის დღე. იმ დღისათვის განსვენებულის ყველა მეგობრები, ნათესავები და ნაცნობები უნდა მიეიდნენ მიცვალებულის სახლში და პატრი ცცნ დაკრძალვაზე დაწრებით.

ყველა ცდილობს, რომ რაც შეძლება მეტი მხლებლები ცყოლის, ცხენოსნები და ქვეითი. ამისათვის თავისიანებს გარდა, სხვებსაც სიხოეს ხლების. გარდა ამისა სატირლად ვინც მცდის, იმის მოვალეობა არის, რომ თან წაიღოს ბლომად სამარხეო საჭმელი, მაგალითად სხვა-და-სხვა ნირი თევზი, მწვანილი, ღვინო, პური და სხვა ამისთანები, რომელთაც ანზადებენ დანიშნული დღისათვის.

დაკრძალვის დღეს ყველანი მოდის მხევალის ცხენოსნით და ქვეითი მხლებელით და მოაქვს ბლომად ის სურსათი, რომელც ზეროდ დავხსეხელეთ. გზაში მხიარულად დროს ატარებენ და ისე გეგონებათ ქორწილში და ლხინში მიდინ და არა სატირლადო. მართალია, რომელსამე სოფელს ან სხვა დასხლებულ ადგილს რომ მიუახლოედებიან, ცოტის წიიტირებენ, რათა აჩვენონ სხვებს, რომ სატირლად მივდინართო.

როცა მცველებულის სახლს მიუახლოვდებიან, კოდრე ეზოში შევიდოდნენ, ყველანი ცხენიდან ჩამოხდებიან, ფეხზე

გაიძრობენ და წელს ზევით გაიშიშვლებენ და ერთი-მეორეს შემდეგ თავიანთ მეზარეებით შედიან და მიცვალებულს დაა-ტირებენ ისე, როგორც ზევით აღვწერეთ.

მეათე საათზე, როცა ყველანი მოგროვდებიან, გაემგზავ-რებიან იმ ეკკლესიისაკენ, სადაც უნდა დაკრძალონ მიცვალე-ბული. ყველაზე თავშია მიცვალებული კუბოში, რომელიც ძა-ლიან კარგად მოწყობილია სანთლებით და სხვა-და-სხვა ქსო-ვილებით. ამას მოსცდევს მღვდელი კურთხევნით ხელში. მღვდელს ახლავს ერთი კაცი, რომელსაც ხელში უჭირავს ანთებული დიდი თაფლის სანთლი. შემდეგ ამისა მოდის დანარჩენი ხალ-ხი, რომელშიაც არიან მიცვალებულის მახლობელი ნათესავე-ბი წელზევით გახდილი და ფეხ-შიშველები.

ლოცვების ხსენებაც არ არის. აյ არის მხოლოდ უწესო ხმაურობა, ტირილი, პირისახის კაწვრა, თაეში ცემა და მოზა-რეთა მოთქმა: „ოჰი, ოჰი, ოჰი“.

საფლავთან რომ მივლენ, მიცვალებულის ჩასენებამდი ნათესავები დასხდებიან კუბოსთან და აქ უკანასკნელად მოის-მენენ სამძიმარს იმ სასით, როგორც ნათქვამი გვაქვს. ამას რომ მორჩებიან, მიცვალებულის გვამს ჩასვენებენ საფლავში და მღვდელი აიღებს ერთ ხელში ფიცარს და მეორეში ჯოხს, და დგება საფლავზე და ჯოხით ურტყამს ფიცარს. ამ ხმაურობით ზარის მაგიერ აღდგომის კვირეში მღლოცველებს იწვევენ ეკკ-ლესიაში. მღვდელი შემდეგ ამისა რქიდან ცუტა ზეთს დას-ხამს მიცვალებულს თავზე და პატარა კურჭლით ღვინოს მო-უდგამს ხალო. შემდეგ ამისა მიცვალებულს ჩასვენებს საფლავ-ში და გადაყრის მიწას.

გვამის დასაფლავების შემდეგ ყველანი მიცვალებულის სახლში დაბრუნდებიან, სადაც მათვების ვახშამია დამზადებუ-ლი. ყველანი მიწაზე დასხდებიან, გრძლად გამწკრიეებულნი. მათ შორის ყველაზე უკეთესი და თვალსაჩინო აღილი მიჩე-ნილი აქვს მღვდელს, რომელმაც დაკრძალვის წესი შეასრუ-ლა. საჭმელი ამ შემთხვევაში უხვად არის, მაგრამ ყოველიფე-

რი სამარხევოა თვით სტუმრების ნოტანილი. განსაკუთრებით ზღვომად არის ღვინო. ხალხი რომ სულ დასხდება და საჭმელს დაარიგებენ, ღვინოს მაინც ვერავინ ვერ დალევს მღვდელზე წინ. მღვდელი წამოდგება და ხელში დაიკრეს ღვინოს დიდის ჯამით და დაიწყებს რა მწუხარე გალობას დალონებულის ხმით, რამდენიმე ღვინოს მიწაზე დააქცევს. ხალხი იმავე ხმით ჰასუხს აძლევს. ამას ხუთჯერ თუ ექვსჯერ განიმეორებენ ვახშმის განმავლობაში. მიცვალებულს არც კი ახსენებენ და მხიარულად ხეჭამენ და სვამენ. ვახშამი გათავდება, თუ არა, დაკრძალვის წესიც დასრულდება.

მგლოვიარება მათა მარტო ტანისამოსში კი არ გამოიხატება, არამედ ყოველიფერში, ისე რომ ყოველს საგანს უნდა აჯდეს ბეჭედი ტირილისა და მწუხარებისა. პირველად, დაკრძალვის დღესვე, განსკენებულის ნათესავები და მეგობრები მოიპარსავენ არამც თუ თბას და წვერ-ულვაშებს, არამედ წარბებსაც და შემდეგ ამისა მთელი წლის განმავლობაში სამართებელ-მაკრატელს აღარ მიიკარებენ. ასე იქცევიან, როგორც ქალები, ისე მამა-კაცები. ტანისამოსს პირველ ხანებში იკრივენ მსხვილ შალისაგან ფეხებამდის გრძელს. თავზე ბოხოხის მაგიერ ჰელურავთ თხის ტყავი შაქრის თავის მსგავსად. ფეხსაცმელი თხის ტყავისავე აცვიათ, და ტყავს ბანლიანი პირი გარედ აქვს. ხალხს რომ აჩვენონ მწუხარებისაგან დალონებული და გატეხილი ვართო, ხელში წვრილ ჯოხს დაიკრებ, ამაზე დაეყუდებიან და დადიან. რამდენიმე ხნის შემდეგ მსხვილ ტანისამოსს გაიძრობენ უა შეიმოსებიან ეანგის ფერის ანუ მუქ ყვითელ ტანისამოსში. კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ შეიმოსებიან შავ-თეთრ ზოლებიან ტანისამოსში; წმინდა შავი კი ყველაზე უფრო ლრრმა სამგლოვიაროდ მიაჩნიათ.

როდის უნდა დასრულდეს მგლოვიარობა, გადაწყვეტილი არ არის. ეს თვითეულის ნებაზე არის დამოკიდებული, ისე რომ არიან იმისთანები, რომელიც ახლობელ ნათესავის სიკვდილის

შემდეგ ცამეტს წელიწადსაც ატარებს სამგლოვიარო ტანისა-
მოსს.

მგლოვიარობას საჭმელშიაც იჩენენ მარხულობით და ისე
შარხულობენ, რომ ჩვენში ვერც კა წარმოიღენენ. პირველ
ხანში გარდაცვალების დღიდან სჭამენ მხოლოდ უსანელებლოდ
მოხარულ ფხალს; რამდენისამე ხნის შემდეგ მეგობართა თხოვ-
ნით და ხვეწნით ცოტაოდენ თევზსა სჭამენ და კიდევ რამდე-
ნიმე ხნის შემდეგ იგივე მეგობრები დაითანხმებენ კვერცხი და
ყველი სჭამოს და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იგივე მეგობ-
რები დიდის თხოვნით და ხვეწნით აჭმევენ ხორცსა. მიცვა-
ლებულისადმი მეტი სიყვარულის გამოსაჩენად ბევრი არამც თუ
ერთი წლის, არამედ ორის, სამის და ოთხის წლის გასვლამდი
ხორცს არა სჭამს.

მგლოვიარეს საწოლი პირველ ხანებში ტიტველი მიწაა,
შემდეგ დაიგებენ ცოტაოდენ თივას, მერე თივით გატენილ
ლეიბს და შემდეგ საბანს იხმარებენ, მხოლოდ ლეიბიც და სა-
ბანიც თალხი უნდა იყოს და ამასთანავე სინამდი მგლოვიარე
ან ერთს, ან მეორეს იხმარებდეს, საჭიროა, რომ მეგობრებმა
სთხოვონ და შეეხვეწონ.

საჯლომ ცხენს პირველ დღეებში მეტად აუშნოვებენ: მას
გადააცმენ შავს ტილოს და შეკურებენ ძუა-ფაფარს.

მგლოვიარეს სუფრიდან რაც უნდა დიდი კაცი იყოს იგი,
განდევნილია, ვერცხლისა, შუშისა და თიხის ყოველივე ჭურ-
ჭელი და ხმარობს მხოლოდ რამდენიმე ხის ჯამს და ფინ-
ჯანს.

მგლოვიარობის განმავლობაში მგლოვიარის სადგომია პა-
ტარა ჩალის სახლი, რომელშიაც სინათლე მხოლოდ კარებიდან
შედის.

ერთის სიტყვით ამ დროს განმავლობაში ვოველივე ნივ-
თი ტირილსა, მწუხარებას და ზარს უნდა აგონებდეს. ამ კა-
ნონს ვერავინ ვერ წაუვა ვერც თავის სუსტი აგებულების მი-
ზეზით, ვერც დიდებულის მდგომარეობისა და ვერც კეთილ-

შობილ სისხლის წყალობით. პირიქით, რამდენად უფრო დიდებულია მგლოვიარე, იმდენად უფრო ბეჯითად ასრულებს ამ წევებს, რათა მავალითი მისცეს სხვებს.

ეკკლესიაზე ორმოცი დღის განმავლობაში შემდეგ დაკრძალვისა ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა, იმართება ტირილი. ამისათვის ზოგიერთები მიცვალებულის სახლიდან ყოველ დღე, მზის ჩასვლის ეამს, იკრიბებიან და გააბამენ ზარით ტირილს, როგორც ზემოდ მოვიხენიეთ. ორმოცი დღის თავზე გაიმართება მეორე საერთო დიდი წვეულება, რომელსაც ესწრება მეტი ხალხი, ვიდრე დაკრძალვის დღესა. ამის მიზეზი ის არის, რომ გარდა ერის კაცებისა მრავალი სამღვდელოებაც მოდის, რადგან ორმოცის თავზე მეტად დიდებული წირვა უნდა იქმნას გადახდილი განსვენებულის სულის მოსახენებლად. ეს წირვა უნდა შეასრულოს იქაურმა ეპისკოპოსმა, რომელსაც წირვის ფასად ერგება ყოველივე ის, რაც კარგი და მშვენიერი ჰქონდა თავის სახმარებლად მიცვალებულს. ზართლაც, ეპისკოპოსს მიართმევენ ხოლმე მიცვალებულის საჯდომ ცხენს თავის საუკეთესო გაწყობილობით, ვერცხლელობას, ძვირფას ტანსაცმელს და საქმაო ფულსაც, რომელიც უმეტეს ნაწილად ადის ხუთას მანეთამდე (seuam). თუმცა ზოგიერთებს არ მიაჩნიათ ეპისკოპოსის წირვა საჭიროდ და არც უნდათ, მაგრამ ეპისკოპოსები ძალად სწირავენ და ფასაც ძალით თხოულობენ. მთავარიც საჩქაროდ აიძულებს ამ ფასის გადახდას, რადგან მისი სარგებლობა ამას მოითხოვს. საქმე ის არის, რომ ეპისკოპოსის სიკედილის შემდეგ მთავარს ეკუთვნის მისი მემკვიდრეობა, რომელიც, რასაკვირველია, იმდენად მეტი იქნება, რამდენად ეპისკოპოსი თავის იკუოცხლეში იშოვნის. წირვის შემდეგ დიდი ნადიღი გაიმართება როგორც ეპისკოპოსისა, ისე სხვა სამღვდელოებისათვის და აგრეთვე ერის კაცებისათვისაც. ნადიმის შემდეგ საჩუქრებს მიართმევენ არამც თუ ეპისკოპოსს, არამედ ყველა სამღვდელო პირებს, რომელთაც წირვაში მონაწილეობას იღებდნენ: ვის სხვა-და-სხვა ძვირფასი ქსოვილის ტანსაც-

მელს და ვის ფულად თვითეულის ლირსების და მდგომარეობის შესაფერად.

დაბალ ხალხისათვის კი, რომელიც ამ დღეს მრავალი იქრიბება, ჰკულავენ მრავალ ხარს და ძროხას. დაკლულებს რომ მოჭახარშავენ, ჯერ ეპისკოპოსს და მღვდლებს აკურთხებინებენ და მერე დაურიგებენ ხალხს, რათა ილოცონ ლეთის წინაშე მიცვალებულის სულისათვის. ეინც უფრო შეძლებული და მდიდარია, ის, რასაკვირველია, მეტს საქონელს დაკვლევინებს. მთავარი თავის ცოლის სიკვდილის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში აკვლევინებდა სამას-სამას თავს დღეში. ამისთანა შემთხვევისათვის მრავალი უძლური, დაშავებული და საწყალი ხალხი მოდის, რათა თავისი ულუფა ხორცი წაიღოს.

ამით როდი თავდება მიცვალებულის დასაჯლავების აურანელი ხარჯი. მიცვალებულის ჭირისუფალმა, როგორც თავის გვარის სახელისათვის, ისე მთავრის სიამოვნებისათვის, კიდევ უნდა დანიშნოს საგანგებო დღე და ამ დღისათვის მთავარი უნდა მოიწვიოს მიცვალებულის სატირლად. დანიშნულ დღეს მთავარი თავის კარის კაცებით და დიდის ზემით მობრძანდება ჭირისუფლის სახლში. რადგან მთავარი, ჩეეულებრივ, მოდის სატირლად მიცვალებულის დამარხვის შემდეგ, ჭირისუფლმა უნდა მოაწყოს მიცვალებულის ნიშანი, რომელზედაც უნდა გაიმართოს ტირილი. ვისაც უნდა დიდის ამბევით გამართოს ტირილი, იგი სხეა-და-სხვა კარავში სხვა-და-სხვა ნიშანსა სდგამს: ერთში აწყობენ მიცვალებულის ტანისამოსს, მეორეში დაიყენებენ ხაჯდომ ცხენს, მესამეში—მწევარ-მეძებრებს და მეოთხეში—მიმინოებს. ამ რიგად მიცვალებულის ხასიათის და ცხოვრების შესაფერად დააწყობენ ხოლმე სხვა-და-სხვა ნიშნებს.

ყველა ამ ნიშნების წინ ჯერ იტირებენ ჩეეულებრივის წესით მთავრის კარის კაცები და ბოლოს თეითონ მთავარი. იგი სხვებსავით ფეხშიშველია და წელ-ზევით ტანშიშველი, თავში ხელებს იცემს და იქით-აქეთ ჰყავს მოჭარეთა გუნდები, რომელიც მორიგობით ზარს ამბობენ. ჯერ მიდის პირველ

სამეგრელოს აღწრა

კარავთან, სადაც მიცვალებულის ნიშანია, რომლის წინ მუხლ-მო-დრეკილი ცუტა ხანს იტირებს; მერე შედის იმ კარავში, სა-დაც მიცვალებულის ცხენია, რომლის წინაშე აგრეთვე მუხლ-მოდრეკილი სტირის. ამავე სახით სტირის ყველა ნიშნების წინ. შემდეგ ტირილისა მთავარს და მის კარის კაცებს უმართვენ ჩინებულ ნადიმს. ნადიმი რომ დასრულდება, მთავარს მიართ-მევენ მჟიდარ საჩუქარს. ჭირისუფალი კმაყოფილია, რომ მთა-ვარმა პატივი მცაო და მთავარიც საჩუქრით ნასიამოვნები შე-ჯდება ცხენზე და სასახლეში დაბრუნდება.

გარდა ამისა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად და-ნიშნული აქვთ კიდევ აღდგომის მეორე დღე, როდესაც ასრუ-ლებენ ბერძენთა აღაპის მსგავსს. მეგრელები ამ დღეს იკრიბე-ბიან თავის სოფლის ეკკლესიაზე, სადაც არის მათი საგვარეუ-ლო სამარხი. თეითეული ოჯახი წაიღებს თავის საჭმელს და დააწყობს თავიანთ მიცვალებულთა საულავზე. დანიშნულ საათს მოდის ადგილობრივი მღვდელი, რომელიც აკურთხებს თვითეულ ოჯახის მოტანილ საჭმელს.

ამ კურთხევის შემდეგ ყველანი თავიანთ კალათებს აიღ-ბენ და საფლავზე სტოვებენ წენელისაგან გალიასავით გაკეთე-ბულ კოლოფს, რომელსაც გარშემო არტყია ყვაელები და სანთლები. მერე ყველანი ერთად მიღიან ეკკლესის წინ რომ ფართო მინდორია, სადაც მშვენიერი ხეებია დარჩული და იქ თვითეული ოჯახი დასხდება ცალკე ხის ძირს. ამ ხეების და-ნიშნულება ძველის დროიდან სწორედ ის არის, რომ ასეთს შემთხვევაში კაცმა თავი შეითაროს ჩრდილის ქვეშ. დასხდე-ბიან ყველანი ერთბაშად, რაღვან არავის არ შეუძლია სხვებზე უფრო ადრე დაჯდეს. დასხდებიან თუ არა, პირველად ერთი-მეორეს თავის საჭმელს უთავაზებს და თან ამბობს, რომ ღმერთ-მა აცხონოს ჩვენი მიცვალებულებით. შემდევ ამისა შეუდგე-ბიან როგორც თავიანთ მოტანილისა, ისე ნათავაზევის საჭმე-ლის ჭამას, რომელიც გაგრძელდება ხოლმე შუა დღიდან სა-ღამომდი. როცა კარგად დალევენ, დრო გამოშვებით სუფრი-დან ადგებიან ხოლმე დალეულები და ხელი-ხელ გაყრილი მღე-

რიან და ცეკვავენ მინდორში, ამ რიგად თვითონ მშვენიერად გაატარებენ ხოლმე დროებას და ფიქრობენ კი, რომ ამით მი-
ცვალებულის სულს ვასიამოვნებთო.

უფრო მოყვარულები თავიანთი მიცვალებულებისა, ამ დღესაც არ სჯერდება და დიდ დღესასწაულებში და ჟველი-
ერში ჩააწყობენ კალათში საჭელს თავიანთ მიცვალებულთა-
თვის, მიიტანებენ და დააწყობენ მიცვალებულის საფლავზე,
სადაც გამართავენ დიდ ტირილს. ტირილი დასრულდება იმით,
რომ მღვდელი აკურთხებს მოტანილ საჭმელს, რომელსაც და-
ურიგებენ დამსწრეთა, და ჟველანი ერთად მხიარულად სჭა-
მენ.

— — — — —

სუიმონ იმერთა მეფის და მთავრის მამია გურიელის სიგელი^{*})

წმინდისა და მცხოველის მუღლელისა შატიოსნისა ჯვრისა თავ-
დებობითა და შეამდგომელობითა წმინდათა ანგელოზთა და მთავარ-
ანგელოზთა და უკუკლთა ზეზისა ძალთა ანგელოზთა თავდებობითა
და შეამდგომელობითა — წმინდათა დადთა წმინდარ მეტყველთა და
დიდთა მღვდელთ მოძღვართა ქრისტეს მესამღვმღვთა თავსმდებო-
ბითა და შეამდგომელობითა წმინდათა ათორმეტთა და სამეოცდა
ჯთა მოციქულთა უკუკლისა სოფლისა ქადაგთა წმინდათა ასოვანთა
ღვაწლისა მძღოთა წამებით განბრწყანვებულთა მოწამეთა და წმინ-
დათა ქაღწელმოწამეთა თავდებობითა და შეამდგომელობითა რანიცა
წმინდასა საუკულოსა სკინეჭარსა შინა სწერია და თუ დღითა-დღე
მოისსენებიან მათ უკუკლთა წმიდათა ღთისათა თავსმდებობითა და
შეამდგომელობითა ესე აუარებელი უტყეარი უჩხებო გულის-მართ-
ლით დამტკაცებული ფირი პირი და წიგნი დაკიწერეთ და მოგარ-
თვით ჩეკნ მეფემან სკიმის თქვენ გურიელის მამიას ამა პირია ზედა
რომე მამაჩემი მეფე ალექსანდრე აბაშიძემ და იმერლებმა მუხლისად
მოჰქმებს და მისი მამა ბიძა ჩემი მეფე გიორგი ბერძნიერმა ცამდის
ამაღლებულმან ხონთქარმა მეფედ დასკა და არდა ის იბატონეს და
გარდაგდეს მეომე ჩეკნ შეკესკეწეთ დიდმან და ბერძნიერმან ცამდის
ამაღლებულმან ხონთქარმა შეკვიწეალა და ბერძნიერს უკენს ჩეკნითავა
აბატივა და კეზირი ბერძნიერი ასმან ფაშა თამა ქნა იმერეთი გვი-
ბოდა და თქვენცა ბერძნიერის ხონთქარის ბრძანებას მოუკეთ და

*) ამ ორის სიგელის პირი გადმოგვცა ჩვენ თ. ვ. თარხან-მოურავმა.
არც ერთს დატა არ აქვს.

ბედნიერს სერესკერს ოსმან ფაშას შემოეყარეთ მეტმეთ თქვენსა და ჩვენს შეს მორიგება მოხდა მამაჩემს მეფეს აღექსანდრეს და ბიძა-
ჩემს მეფე გორგიას ჭილაძე მიქელი თქვენთვის მოუყიდეს და სა-
ფიციროთ მოეცეს და ახლა რადგან ბედნიერი ოსმან ფაშის პირით
გარიგდით ჭილაძის მიქელაძის საფიცარი ჩვენ გვისოვეთ და მო-
გვირთმევა და გიბედნიერის ღმერთმან კრამ ჩვენმან შემდეგმან
გვარმან მეფემან ჭილაძე მიქელაძე კერ გედალის: ამის მოწამე თავად
ღმერთი და უოველი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეუნისნი უსორ-
ცონი და ხორციელი: კაცთაგან კათალიგოზი გრავოლ გენათელი
ნიკოლოზ ჩვენი სიმაგრი აბაშიძე გორგი ერისთავი შოშიტა ღი-
პარტიანი გორგი შვალი ქახოსრო მოურავი: ოტა და კახტანგ
თქვენი დარბაისელი — თაგდგირიძე ბოჭაული უხეცესი მიზანბეგ
ერისთავი გორგი — ბექან ნაკაშიძე — გურული უზედაესნი უქვენა-
ესნი::.

—

თავად დაუსაბამო ღვთისა შეათბითა და წმინდისა ჭალწუ-
ლისა შემდგომელობითა პატიოსნისა მცხოველის მეოფელისა ჯვარი-
სათა თავდებობითა მინდობითა შეათბითა და შემდგომლობითა
ზეცისა ძალთა ანგელოზთა მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრი-
ელისათა, წინასწარმეტებელისა წინამორბედისა ნათლის მცმლისა
ოვანესითა თავთა მოციქულთა შეტრე და პავლესითა ახოვანთა მსე-
დართა უძლეველთა მოწამეთა გორგი თევდერე ღიმიტრისათა და
რანიცა წმინდანი ღვთისანი სკინაქსასა შინა ქსწერიან და მოისესენ-
ბიან უოველთა წმინდათა ღმთისათა თავდებობითა მინდობითა შეა-
თბითა შემდგომელობითა ესე ფიცი შირი და საფიცარის წიგნი და
საიმედო წეალისა სამკიდრო და სამოდოვოდ გასათავებელი გიბო-
მეთ ჩვენ პეტწილებან გურიელმან ბატონმან მამაშ ღედოთალმან
ბატონმან ელენე ბატონის-შვილმა ბატონმან გორგიმ შენ ერის-
თავს ჩემს სიძეს გორგის და შენ შვილებს ამა შირსა ზედან რომე
საჭავახთლებმან გიმუხდლეს დრო გიმოვნეს და ჩვენს მეფეს არიალს
რადგან ჩემი გულითადი ერთგული ემა ხართ და შესაფერად შენი
მართებული იყო გიბომეთ სრულად საჭავახს სახელად რომ რო-
მელიც ჩემი სასამსახურო მოსახმარი და შესამატი უოფილიყოს და

მოქადა მეფის და მთავრის სიგელი

იუნის ჩემი დაუკავშირდის საქმით ამას გარეთ პაპუნა ნანაის შეიღებისა მამული გერმლი კაცები სახლი კარი შინაგამი მოასდე მარინა ტეს და წეალი საყდრის კარი სასაფლაო სასმელ-საჭმელი უძებარ საძებრიანათ სამკვიდროთ გვიბოძებია და გიბედნიეროს ღმერთმან ჩეკნს ერთგულად სამსახურში; ამის მოწამე არის თავად ღმერთი და უოკელი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეუნისანი უხორცონი და სორციელი კაცთაგან მოწამე არიან ნაკაშიძე ბეჟან როსტომ ღოღოსერიძე—მამუქა გუგუნავა და ჩეკნი დარბაზისერნი უოკელი დამიწერია მდიგან გაბრიელი და მოწამე კარ—: :-

გურიელი:	დედოფლი
მიმია	ელენე



პარიზის მსოფლიო გამოცენა

ქ

ჩვენი ქვეყანა

მეცხრამეტე საუკუნის აფთთეოზი, გვირგვინი და დიდებაა—მსოფლიო გამოფენა, საფრანგეთას სატახტო ქალაქში მიმდინარე წლის პრილში გახსნილი რამდენისამე წლის მზადებისა და ლოდინის შემდეგ. მდინარე სენის ერთის მხრით თანხმობის მოედნიდან ელისეს მინდვრის გაყოლებაზე ტროკადერს პარიზი მარიონ—ინვალიდთა მოედანი, სენის ნაპირი და უშველებელი ეგრედ წოდებული მარსის ველი; სულ სივრცით 56 ოთხ-კუთხი ქცევის ადგილი უპყრია ამ გამოფენას. აქ არის გაშენებული დიდთა და მცირეთა სახელმწიფოთა, ექსპონატებისათვის უზარ-მაზარი სასახლენი, პავილიონები, რესტორანები, გასაჩთობთათვის ავებული თეატრები და სხ. მათშია გამოფენილი ნიმუშები დიდთა და მცირე ერთა შემოქმედებითის ნიჭისა, მრეწველობისა, მეურნეობისა, მხატვრობისა, ვაჭრობისა, ხუროთმოძღვრებისა, მეცნიერებისა, სწავლა-განათლებისა, ძველის კულტურის ნაშთთა, საშინაო და საგარეო ცხოვრებისა და სხ. და სხ. გამოფენაშ დაანახვა ყველის, რანი იყვნენ წინაპარნი, როგორ სცხოვრობდნენ რამდენისამე საუკუნის წინად, რასა სჯერდებოდნენ, რა აზრი ასულდგმულებდათ, რა აკმაყოფილებდათ, რა ღირსება ანუ ნაკლი ჰქონდათ, და რანი არიან დღეს მათნი შთამომავალნი, როგორ გაიმარჯვეს, როგორ წასწიეს წინ კულტურა. აქ ითქვა უკანასკნელი სიტყვა

შარიზას მსოფლიო გამთვენა და ჩვენი ქვეყნა

25

ადამიანის ბედნიერებისა, დღეგრძელობისა, წარმატებისა, მის სულიერ და ხორციელ ძალისა, აქა ხედავთ ნაღვაშსა მარტო-ოდენ მოძმის და კაცობრიობის დღეგრძელობის სიყვარულითა და აზრით გამსჭვალულთა მეცნიერების ქურუმთა პასტორის და სხვათა, რომელთაც ცალკე სასახლე აქვთ დათმობილი. და ამათსავე გვერდით უშველებელ გრძლად გადაჭიმულ შენობაში გამოფენილია მოდელები უზარმაზარ ჯავშნიან გემების, უზარმაზარივე გველეშაპსავით საზარლად პირაშემული ზარბაზნებით, ცნობილ მეზარბაზნე შენედერის და ამხანაგობის მიერ სისხლის ფრად შელებილ შენობაში მოთავსებული. ზოგი ამ ზარბაზნებთაგანი (მაგ. ფაკერ, სონ და მაქსიმის) იწონს თავის მექანიზმიანად 3,126 ფუთს, მისი ყუმბარა — 19 ფუთს და 27 გირეანქას, ყუმბარას გასატენად ტყვია-შამალი 5 ფუთი და 30 გირგანქა უნდება, ერთ წამში 2 ვერსის და 8 მხარის მანძილს მიღის თითო ყუმბარა და ერთ წუთში ზარბაზანი 6-ჯერ იცლება! და ყოველივე ეს გამოგონილია იმავე ადამიანის შვილის გონების მიერ თავისივე მსგავს იდამის შვილის გასაქრობად, გასაქრობად ერთის წამის განმავლობაში იმისა, რაც საუკუნეთა განმავლობაში ადამის შვილმა საშინელის ოფლის წურვითა და ჭაპანწყვეტით შექმნა...

მოელის ქვეყნის წარმომადგენელთ მოუყარა თავი პარიზში ამ რამდენიმე თვის განმავლობაში. რა ზღვანი და ხმელნი არ გადაალახვინა ხალხს, რომ რამდენისამე კვირაში აჩვენოს, გაუთვალისწინოს ის, რის ნახვასაც სხვა დროს აუარებელი ფული და მთელი წელიწადები დასჭირდებოდა. ვინ გინდათ, აქ რომ არ იყოს! ინგლისელი, ამერიკელი, გერმანელი, რუსი, ავსტრიელი, ჩინელი, ველურები აფრიკისა და სხვა-და-სხვა კუნძულებისა. ჰელადავთ ყველას შინაურს ცხოვრების, სიმდიდრეს, ზეს, ჩვეულებას.

ამ გამოფენასთან ერთად ამ ზაფხულშივე გაიმართა მეორე გვარი გამოფენა, ანუ მსოფლიო კონგრესები მეცნიერების თითქმის ყოველ დარგის წარმომადგენელთა. ყველა

ერი თავის წარმომადგენელის პირით უჩიარებდა სხვებს თავისს აზრს, აზალს გამოგონებას, და ამ სახით თითოეულის კუუის და გამოცდილების ნაყოფი საერთაშორისო კუთვნილებად ხდებოდა მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

მთამრობამ საფრანგეთისამ არც შრომა დაზოგა და არც ხარჯი, რომ ლირსეულად დახვედროლა ქვეყნის ოთხსავე კუთხიდან მოსულ სტუმრებს, რომ გამოფენა ბრწყინვალე გამოსულიყო. საწადელს ეწია კიდევა: კველა კმაყოფილი და მოხიბლული დაბრუნდა ამ მსოფლიო განათლების დელის ნახვითა. კველამ მისს სატახტო ქალაქში საზრდო უშოვნა თვისს კუუას, გონებას და თასგვარის შთაბეჭდილებით დატვირთული და ნატვრით გამსჭვალული უკან დაბრუნდა.

დიალ, საჭირო და სასურველი იყო, რომ ამ საერთოშორისო ფერხულში ჩვენი ქვეყნაც ჩაბმულიყო, თავისი თავი, თავისი სულიერი, თუ მატერიალური ავლა-დიდება სხვა ერთათვის ეჩვენებინა და მათი ყურადღება მიექცია. ამ აზრის განხორციელება იყისრა შარშან ტფილისში საგამოფენოდ შემდგარმა კომიტეტმა და ქართველების წარმომადგენლობა მიანდო ბ-ს რაფაელ ისარლიშვილს.

ვნახოთ, რამდენად ვეწიენით საწადელს, რამდენად არ გაგვიცრუვდა იმედი.

ნუ დავიყინვებთ, რომ მთელი საუკუნეა, რაც გარეშე მტრისა აღარ გვეშინიან, თოფ-იარალის ხმარება აღარ გვეჭირვება. შეგვეძლო მთელი ეს დრო ჩვენის კულტურულ ზრდისა და მატერიალურ აღორძინებისათვის შეგვეწირნა. შეგვეძლო აღგვეყვავებინა მეურნეობა, მრეწველობა, გავემდიდრებინა მწერლობა, რომ ისეთის დიდებულის წარსულის ხალხს, როგორიც ჩვენა ვართ, საპატიო ადგილი გვპეროდა სხვა ერთა შორის და ჩვენი ზრდა მით უფრო გამოვევეჩინა აქ, ამ განათლებისა და წინსვლის მშვიდობიან შეჯიბრებაზე.

დიალ, ქართული განყოფილება უნდა გამხდარიყო სარ-
კედ, ნამდვილ მაჩვენებლად ჩვენის ზრდისა. თუ ამ თვალით
შეეხედავთ გამოფენაზე ჩვენს განყოფილებას, ის აზრი უნდა
დავასკვნათ: რომ ჩეენ არცა რა გვქონა წარსულში, არცა-რა
გვაქვს აწყობში და საეჭვოა რამე გვექმნეს მომავალში. აი, ამას
გვიჩვენებს ჩვენი განყოფილება. მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქმინას,
რომ თამარისა და შოთას სამშობლო ასეთი იყოს! აქ საჭი-
როდა ვსოდეთ მოვაგონოთ მკითხველს, რომ ქართულ გან-
ყოფილების ასეთის ძალზე ფერმკრთალობის მიზეზი ბევრ-
გვარია

ჩვენი ექსპონატები შეფარებულია ტროკადეროსთან აგე-
ბულ რუსეთის პაცილიონში, რომელშიაც მოთავსებულია სა-
მი კოლონია რუსეთისა: ციმბირი, თურქესტანი და კავკასია
საკუთრივ კივკასიას დათმობილი იქნება ერთი ოთახი და ზედ აწე-
რია Salle du Caucase. როგორც ვიცით, კავკასია ერთი ბუ-
ნებით უმდიდრესი და უკელუცესი ნაწილია რუსეთის იმპე-
რიისა კერძოდ და მსოფლიოსი—საზოგადოდ. მაგრამ იმით,
რაც ამ ზალაშია გამოფენილი, ის, ვისაც თავის თვალით არ
უნახავს კავკასია, ბევრ არაფერ აზრისა იქმნება ამ კუთხის შე-
სახებ. ვისა და ვის მიუღია მონაწილეობა ამ განყოფილებაში?—
ტფილისის მუზეუმის პატრონს ბ-ნს რაღეს, ტფილისის სამე-
ურნეო საზოგადოებას, სოხუმის სამეურნეო საცდელს სად-
გურს, რ-ქომპეტედელს სერობიანცს, ოქრომპეტელსაც სეიდ-
ჰუსეინს და საზოგადოდ ქართველობას, რომელსაც გამგე გა-
რედ-წოდებულ ქართულ განყოფილებისა, ანუ „წარმომადგე-
ნელი ქართველ მემამულეთა საზოგადოებისა“ „Association des
propriétaires géorgiens“-ს გვიწოდებს ყველგან.

თურქესტანის განყოფილებიდან კავკასიის ზალაში შეხ-
ვალთ თუ არა, მარჯვნივ დაინახავთ კედელზე ჩამოკიდებულს

რამდენსამე სპარსულს ხალიჩას, შერე იმათ მიჰყვება ფოტო-
გრაფიული სურათები კავკასიის მოებისა. სხვა ნივთებთა შო-
რის არეულია ბ-ნის რადეს საეტნოგრაფიო კოლექცია. აქ არის
მოდელი ჩვენებურის ურმისა, რომელსაც ყევარი კამერი უბია,
ზედ ადევს ფოსტა და რუსის მოხელესა და ჩვენებურს ორს
მეურმეს მიაქვთ მთიანის გზით. ქვეშ აწერია: Transport postal
au moyen des buffles (ფოსტის გადატანა კამერების საშუალებით).
ყველანი, ვინც კი გაუვლილნენ, უნებლიერ აცქერდებოდნენ
ამ ფოსტის ურემს, როგორც საოცარს რასმე. ევროპილს
ალარც კი ასხოვს ის დრო, როცა ასეთის დინჯისა და ზოზი-
ნა ცხოველის საშუალებით ატყობინებდა თავისს ამბავს შორს
მყოფ ნაცნობს, და ოღონდაც რომ გაუკვირდებოდა და იტ-
ყოდა, ეს რა ხალხი ყოფილა, შენი ჭირიმე, კავკასიაშია!
ახალის ამბის გაგება აქ თურმე არ ეჩარებათ და კამერებს აზი-
დეინებენ წერილებსაო!... ასეთი საშუალება უწინ, შეიძლება,
ყოფილიყო კიდეცა, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ახლა დასავ-
ლეთის კავკასია აღმოსავლეთის კავკასიას რეინის გზის წყა-
ლობით დღენახევრის განმავლობაში აწვდის ხოლმე თავისს ამ-
ბავს. რადდესავე საეტნოგრაფიო კოლექციაშია: ცალულვაშ
ჩამოვარდნილი ლეკი, ჩაჩნიანი ხეებური, ხარაგაულის ჭურჭე-
ლი, ქართული საკრავები (ხენათესვის და საზოგადოდ სამეურ-
ნეო იარაღი არსად არ იყო), თუში, რაჭველი მუშა და თეთ-
რად გამოწყობილი ქართველი ქალი. სხვებზე არას ვიტყვით
და ეს ორი უკანასკნელი კი სწორედ დაცინეა იყო ჩვენი. მუ-
შისათვის ერთი კოკიანი ტიკი წამოუკიდებიათ და ისე მოუ-
კავიათ წელში, რომ ცოცხალი კაცი ისე დამდგარი უეჭვე-
ლად უნდა დაეცეს. კაცს ასე ეგონება, რომ ამ თხის ტყავ-
ში ერთი კოკა კი არა 30 კოკა ღვინო უნდა იდგას, რომ
მისს სიმძიმეს ასე მოუხრია წელში საწყალი კაცი! ქართ-
ველ ქალისათვის ჩიხთიკოპი საღლაც მაღლა წამოუკისებიათ
და აბაზიანი ლეჩაქი მოუხვევიათ, მტვრით გასერილი. კავ-
ები ცხენის კუდსავით ჩამოჰშლია... ასე ჩათლახად მორ-
თულ ქალს დიდის რიხით აწერია: Femme géorgienne... რად-



დეს მოსდევს ტფილისის სააბრეშუმო სადგური, რომელსაც გამოუწვენია ნიმუშები აბრეშუმის ძაფისა, ნაქსოვისა, პარკისა და ფოტოგრაფიული სურათები აბრეშუმის ძაფის ამოღებისა სოფლელების მიერ. მაგრამ ისე მიყრილი და მტკრით დაფარული, რომ დათვალიერებაც კი ეზარება იდამიანსა. ტფილისის სამეურნეო საზოგადოებას წარმოუდგენია შუშებში ჩაყრილი თესლეულობა. სოხუმის სამეურნეო საცდელ სადგურს, რომელსაც სოხუმის ახლო ას-ოცი ქცევა ხაუკეთესო მიწა აქვს ქალაქისაგან მიცემული, და რომელიც წელიწილში ათი ათასამდე ფულსა ჰქარჯავს, მხოლოდ რამდენისამე ჯურის სიმინდი გამოუწვენია. სიმინდის ხელი უსადგუროდაც მშვენივრად იციან იქაურებმა, სხვა რამე სიკეთე ჰკითხეთ თორემ. არის კიდევ ტყლაპი და კახურის სახელით მონათლული დაობებული ჩურჩხელა, ვისგანდაც გამოგზავნილი, რამდენიმე ნიმუშები მაღნებისა და ეგ არის და ეგ!

ახლა ენახოთ, ჩვენს „assotiation des propriétaires géorgiens“-ს რა გამოუწვენია.

ზემო ჩამოთვლილ ნივთებთა შორის აქა-იქ ჩიჩინოულია ის ექსპონანტები, რასაც ბ ნი რაფ. ისარლიშვილი „ქართველ მემამულეთა“ სახელით აგროვებდა შარშან ტფილისა და პროვინციებში. ერთ ალაგას ჩამოკიდებულია ორი ყაბალახი, ზედ აკრავს მწვანე სქელ ქალალზე დაბეჭდილი „assotiation“ და სხვ. ამათ გვერდით რამდენიმე ბადისებური შარფებია აბრეშუმისა, ქუთაისის ურიები რიონის რეინის გზის სადგურზე ექვს-შვიდ შაურად რომ ჰყიდიან ხოლმე, იმის გვარისა, სხვა-და-სხვა ფერად შეღებილები. შემდეგ ერთ ყუთში რამდენიმე ტარიინი დანაა. ნუ დაივიწყებთ, რომ ფრანგულად ყველას აწერია: „ქართველ მემამულეთა საზოგადოება“. ერთ შეუმჩნეველ ალაგას პატარა კოლოფში ჩაწყობილია კუხის (ხონს ახლო) სააბრეშუმო ამხანაგობის ნაწარმოები. მეორე კოლოფში—ტყიბულის გიშრის კრიალოსნებია. ბოლოს კედელზე ჩამოფენილია ხუთითოდ ნაირი შალი ხონისა. ეს არის ჩვენი შინაური მრეწველობა. ახლა ვნახოთ ნიმუშები ჭირნახულისა.

ერთს კოლოფში ალუფხულია კონა-კონად შეკრული თუ-
თუნი სოფ. ხიდისთავის (გურია) მემამულის ვარლამ გოგიძე-
რიძისა. იმის პირდაპირ თაროებზე დგას ექვსიოდ ბოთლი კახუ-
რის ღვინისა. ეს ექვსიოდ ბოთლი წარმოდგენილია „კახეთის“
ამხანაგობისაგან და ტფალისში ოლგის ქუჩაზე მოვაჭრე ნიკ. სესიაშეილისაგან (ვერცხლის მედალი მიიღო). აქ ისიც უნდა
აღვნიშნოთ, რომ „კახეთის“ ამხანაგობის ღვინოების ოთხი
ბოთლი მხოლოდ ამ ბოლო თთვეში გამოჩნდა, თორემ მანამ-
დე მოელ ქართველობისაგან მარტო ნ. სესიაშეილის ღვინოე-
ბი იყო გამოფენილი. სამწუხაროა, რომ „ამხანაგობას“ არ უზ-
რუნია და ფრანგულს ენაზე არ გამოუცია თავისი დაარსების
ისტორია, სივრცე იმ რაიონისა, საღაცა ვრცელდება მისი ღვი-
ნოები, და სხ. სამწუხაროა, რომ სხვას არავის გამოუგზავნია
თავისი ექსპონატი. მით უფრო სამწუხაროა ეს ჩვენის ქვეყნი-
სათვის, რომელიც ღვინის სამშობლოდ ითვლებოდ, რაც თავი
ასსოდეს. ბრალი არ არის, რომ ვისაც „კრასუნის“ ღვინოს, რა-
ჭულ „ყიფიანთ ღვინოს“, გურულ „ჩხავერს“, მეგრულ „სვა-
ნურს“, იფხაზურ „ამილახეს“ ეროვა არ იცნობდეს! ოღონ-
დაც რომ ბრალია, მაგრამ სად არის პატრონი!..

ამნაირადვე მწირია სამაღნეულო განყოფილება. რამდენი-
მე ნიმუში აწყება ჭიათურის შავი ქვისა მავიდაზე, ისიც საუ-
კეთებო ღირსების არ არის; დექს აგრეთვე თ. დავით ბარათა-
შვილის მამულიდან გამოგზავნილი ალგეთის ლიტოგრაფიუ-
ლის ქვის ფიცარი. იქავე, ადგილობრივ, ცნობების შეტყობა
გამოფენილ ნივთების შესახებ შეუძლებელია, რა აუგან, რო-
გორცა ვსოდეთ, დაბეჭდილი არაფერია. მართალია, ჩვენი წარ-
მომადგენელი აცხადებს, ვისაც რამე ცნობა უნდა, ჩემს ბინა-
ზე მომართეთო, მაგრამ მოისურვებს კი უკელა ბინაზე სია-
რულს! დამეთანხმებით, მეტად უხერხულია.

ერთ მხარეზე დაწყობილია ალბომი ქართველთა ტიპები-
სა, ანუ როინაშვილისეულ ფოტოგრაფიდან აღებული ორ-
მოციოდე სურათი. ტიპებ შორის ურევია სურათი სცენებისა.

ჩვენის ცხოვრებიდან (ხატობა), მაგრამ ქვეშ არაფერი უწერია, რომ ევროპის ცნობის მოყვარეობა დაიკმაყოფილოს. ამ აღმოშაც, როგორც სხვა ნივთებს, აწერია: «Association des propriétaires géorgiens» და ფასიც — 200 ფრანკი, ე. ი შვიდ თუმან ნახევარი ადევს! ვერ გაგვიგია, რად უნდა ღირდეს ასე ძირად 40 სურათი საკაბინეტო სურათის ზომისა! უზომოდ უნდა უყვარდეს კაცს ჩვენი ქვეყანა და ამასთანავე უზომო ფულიც უნდა ჰქონდეს, რომ ეს აღმომი შეიძინოს! თუ გაკვირვება შეგვეძლო ვისიმე, აბა ჩვენის ძველის ხუროთმოძღვრების ნაშთთა სურათებითა! და სწორედ ჩვენთა ეკულესიათა აღმომი არ მოიძევა ჩვენს განყოფილებაში. დაუდევრობა და უთავბოლობა მეტი-ლა გნებავთ! აქავე ჩვენის გრავიორის გრ. ტატიშვილის უკანასკნელი ნამუშავარი ქართულ ხელოვნებიდან. ეს გახლავთ აღმომი ჩუქურთმებისა, გადაღებული გრავიორის მიერ ჩვენის XI, XII, XIII და XV საუკ. ეკულესია-ტაძრებიდან და „ქართული ჩუქურთმის“ სახელით ერთად თავმოყრილი. ფრანგულად აწერია: «L'art décoratif au Caucase» (დეკორატიული ხელოვნება კავკასიაში). ამ ნაშრომს, ფაქიზად და სინიდისიერად შესრულებულს, სამუშაოროდ, ჩვენში სულ რამდენიმე კაცი თუ იცნობს, რადგან, როგორც ვიცით, შემდგენელმა სულ ასიოდე დაპერებული და გასასყიდად არც კი გადაუცია სადმე. „ქართულ ჩუქურთმის“ გვერდთ უძევს გრ. ტატიშვილის საერთო მონოგრამები სითვით საკერ ქართულ ანბანისა.

მეტად გვევოცა, როცა ამ მონოგრამათა ყდაზე შემდეგი წარწერა დავინახეთ ფრანგულს ენაზე: «Alphabét géorgien — (ქართული ანბანი). თუ ვინმემ გადაშალა და დაკვირდა, უეჭველია, კარგს აზრს არ შეადგენდა ჩვენებურის ანბანის შესახებ, ასეთ ჩახლართულ ასოებს რომ დაინახავდა. ფასადაც 10 ფრანკი ანუ თითქმის ოთხი მანეთი აწერია იმას, რაც ჩვენში მანეთად იყიდება. რამდენადაც ვიცით, მყიდველი არავინ გამოსჩესია. არ დაუვიწყნიათ გახუნებულ ყდიან „ვეფხის-ტყაოსნის“ (გ. ქართველი შვილის გამოცემა) გამოფენაც. დევს აგრეთვე ჩვენის პედაგოგის შედგენილი წიგნები — „დედა-ენა“ და „ბუ-

ნების-კარი“, №№ „ცნობის-ფურცლისა“, „ივერიისა“, ულაზათო კაზმიანი წიგნაკები წმინდანთა ცხოვრებისა და... მორჩის განყოფილებაც, რომელსაც აწერია *La langue géorgienne* (ქართული ენა). ამასთანავე მორჩის ჩვენებურ ექსპონანტების სიაცა.

აი, რა ავლა-დიდებით წამოვედით ევროპაში, აი, რის პატრიონი ვაპირებდით აქაურებთან თავის გამოჩენას და სახელის განთქმას! მგონი საჭიროც აღარ არის იმის თქმა, რომ ყველა-საგან შეუმჩნეველი დავრჩით სუფრის ბოლოს გდებული. ახლა უნდა გენახათ ჩვენის განყოფილებისაც გვერდით კოლონიები ინგლისისა და საფრანგეთისა: ცეილონი, კანადა, ველურ დაპომელთა ქვეყანა, ტუნისი, გვინეა, გვადელუპი, ალეირისას ხომ ნუ იტყვით! მთელი მათი ცხოვრება, ბუნებრივი სიმდიდრე, სწავლა-განათლება, მრეწველობა, აღებ-მიცემა ხელის გულზე ეშლებოდა კაცს. უბრალო წვრილმანი რა არის, ისიც კი არ დაუკიწყინიათ. იქაური ხალხიც კი ჩამოუყანიათ სურათის სისრულისათვის. ცალკე წიგნებად დაბეჭდილა აღწერა უკველ კუთხისა, სტატისტიკური ცნობები უეჭველად არის ყოველს განყოფილებაში.

როგორც ხედავს მკითხველი, დიდი შეცდომა იყო ჩვენის მხრით, დიდი უანგარიშობა და წინდაუხედავობა ამ გვარის ექსპონატების იმედით აქეთ წამოსვლა. წინდაწინვე უნდა გვცოლოდა, რომ რასაც ვთესავდით, იმასევ მოვიმკიდით. საჭირო იყო, გამოგზავნამდე ექსპონატებისათვის თავი ერთად მოგვეყარა და საერთოდ გადაგვეწყვიტა, იმათის იმედით—ლირ-და ევროპაში წამოსვლა თუ არა. არამც თუ ეს არა ვქნით, საქმე ისე დავიწყეთ, რომ თვით ექსპონატები თითო და ორ-ორი თვის შემდეგ მოდიოდა თითო და ორ-ორი, სანამ შეივ-სებოდა ის ღარიბული კოლექცია, რაც გამოფენაზეა დღეს. პო, რაკი ერთად მოვუყრიდით თავს ყველაფერს, დავიჯერო, ერთი არაენ გამოჩნდებოდა ისეთი, რომ ეთქვა: ამით წასვლა არ შეიძლებაო! რაკი მათი წამოუდებლობა გადაწყდებოდა, რაკი

ყველასათვის თვალსაჩინო იქნებოდა, რომ ჯერ-ჯერობით აწ-
მყოთი ვერავისი გაკეირვება შეგვეძლო, სხვა საშუალებისათვის
უნდა მიგვემართა და ეს საშუალება კიდეც ასე თუ ისე გაჭირე-
ბისაგან გვიხსნდა, გავიყვანდა ფონს. მე მოგახსენებთ ჩვენის
ძველის მწერლობის და საეკლესიო და საარქეოლოგიო ნაშთ-
თა გამოფენის შესახებ. ეგრედ წოდებულ „პატარა სასახლეში“
გამოფენილია ამ გვარი კოლექციები როგორც კერძო პირთა,
ისე მუზეუმთა კუთვნილნი. ჩვენ, მადლობა ღმერთს, ასეთნი
ნივთნი არ გვაკლია. თუნდა მარტო „ქართ. შორ. წერა-კით-
ხვის გამავრც.“ საზოგადოებას ეკისრნა ეს საქმე და თავისი
კოლექცია დროებით გამოეგზავნა. მეცნიერნი და საზოგადოდ
ყველანი, დარწმუნებულნი ვართ, ყურადღებას მოგვაქცევდნენ,
ცნობისმოყეარეობა აღეძრებოდათ ჩვენის წარსულის ნახევით
და საინტერესოდ გაუხდებოდათ ჩვენი გაცნობა, ჩვენის ამბის
გაგება.

ამასთანავე უნდა დაგვებეჭდნა ჩვენის ქვეყნის ყოველმხ-
რივი აღწერა, თუ ვრცელი არა, მოკლე მიინც და ხელმისაწ-
დომ ფასად გაგვეყიდნა ან და სულ მუქთად დაგვერიგებინა,
როგორც ბერი სხვები შვრებოდნენ. მართალია, ამ ემად იბეჭ-
დება პარიზში საქართველოს შესახებ წიგნი, მაგრამ გამოფენა
ამ ერთ თვეში გათავდება კიდეცა და ამ წიგნს ის მნიშვნე-
ლობა არ ექნებოდა, რაც ექნებოდა მაშინ, გამოფენის დროს
რომ ყოფილიყო დაბეჭდილი და იქავე ჩვენს განყოფილებას-
თან გაყიდულ-გაერცელებული.

ჩვენ კი გვიხარიან და ბუკითა და ნაღარით ვაცხადებთ:
ჩვენი წარმომადგენელი გამოფენაზე საფრანგეთის რესპუბლი-
კის პრეზიდენტს ლუბეს წარუდგა, ან კიდევ მილერანსაო. ის
კი გვავიწყდება, რომ ამ „წარსდგომას“ ენაცვალა და თავს შე-
მოევლო სამასი თუმანი, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის
მიერ გადადებული, გარდა კერძო პირთა მიერ გაღებულ ფუ-
ლისა.

ასე იყო თუ ისე, გულის გატეხა არა გემართებს. თავი
იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ ეს პირველი ცდა იყო ჩვენის

მხრით. ხომ ვიცით, რომ პირველ ცდას შეცდომა და მარცხიც თან სდევს ხოლმე. თავი იმითი ვინუგეშოთ, რომ თუ კვლავ მოგვეცა შემთხვევა, უფრო დარბაისლურად, უფრო მომზადებულად წარვსდგებით ევროპიელთ წინაშე, რომ არამცთუ ყბად ასაღები არ გავხდეთ, არამედ ყურადღებაც დავიმსახუროთ, პატივი მოეიხევეჭოთ. თავი და თავი—ამ პირველმა მარცხმა ჭკუა მოგვაკრეფინოს, რათა შემდეგში უმეტესის სიფრთხილით გადაესდგათ ხოლმე ფეხი.

პარიზი,
30 (17) ენკენისთვე.



ინგლისის პონსტიტუცია

გე-XIX საუკუნეში

I

ნაშთდებნის რეჟიმის დაცემა.

ევროპის თანამედროვე ისტორია იწყება ისეთის ღირს-ხა-
ურადლებო ფაქტით, რომელსაც მთელის ევროპისათვის ული-
დესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ნაპოლეონ I-ის დაცემა;
მისმა დაცემამ ყველა სახელმწიფოები შეარყია, გარდა ჰქონდა მა-
თი შინაგანი ორგანიზაცია და მათი ურთის-ერთ შორის დამო-
კიდებულებანი ერთიანად შესკვალა. პირდაპირ, თუ არა პირ-
დაპირ, ნაპოლეონმა ევროპის ყველა ხალხთ აგრძნობინა თა-
ვისი გავლენა. იგი თეოთ განაგებდა საფრანგეთის იმპერიას, რო-
მელიც შეიცავდა არა მარტო საფრანგეთს და რესპუბლიკის-მიერ
შემოერთებულ ქვეყნებს (ბელგიას და რეინის პროვინციებს),
არამედ შეეიცარის ნაწილებს, მესამედ ნაწილს იტალიისას, პო-

*) სეინიობოსის ევროპის პოლიტიკური ისტორიიდან. ამას წინედ
ქუთაისში შესდგა ახალგაზღების წრე (უფრო ქალები), რომელთაც განი-
ზრახს ხსენებულის მეტად საყურადღებო წიგნის გადათარგმნა. პირველი
ნახევრის უმთავრესი ნაწილი გადათარგმნეს კიდეც, მხოლოდ საუბედუროდ
შეიცავდა რამდენიმე თავი აკლია. ამიტომ მთელის შრომის ერთიანად
დაბეჭდვა სწავათ შორის ამ მიზეზის გამოც არ შეიძლება. წიგნი თარგმნი-
ლია რუსულიდან, მხოლოდ შემდეგ შესწორებული ფრანგულ თრგინალის
მიხედვით. ვბეჭდავთ პირველ თავებს სანიმუშოდ.

ლანდიას, გერმანიის პროვინციებს, რომელნიც ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებზედ მდებარეობენ, და ილლირიის პროვინციებსაც; ყველა ამ ქვეყნებში ნაპოლეონმა დამყარა აბსოლუტური და სამხედრო გამგეობა. —იგი ჰატონობდა მეზობელ სახელმწიფოებს: ესპანიას, ნეაპოლს, იტალიას და ვესტფალიის სამეფოებს, რომელნიც თავის ნათესავებს დაურიგა, გერმანიის სახელმწიფოს, რეინის კონფედერაციად შეერთებულთ, დასასრულ შეეიცარიას და დანიას. ყველა ამ სახელმწიფოებთან მას ჰქონდა საიერიშო და საგერებელი ხელშეკრულებანი. 1812 წელს გერმანიის ორი დამოუკიდებელი მონარქიაც კი — ავსტრია და პრუსია — აიძულა შეერთებულიყო მასთან რუსეთის წინააღმდეგ. მისგან დამოუკიდებელი დარჩა მხოლოდ ევროპის განაპირობის ქვეყნები: ინგლისი, რუსეთი, შვეცია, სიცილია, პორტუგალია და ესპანიის განდგომილნი. ყველა ამ ქვეყნებს მასთან ომი ჰქონდათ.

ამნაირად, მთელი ევროპა ორ ბანაკად გაიყო. ერთის მხრივ იყო ნაპოლეონი და მეორე მხრივ — ყველა მისი მტრები.

ნაპოლეონის დაცემამ დაანგრია ევროპის ტერრიტორიალური ორგანიზაცია. 1813 წელს პრუსია და ავსტრია ჩამოშორდნენ ნაპოლეონს და მისს მტრებს შეუერთდნენ; ამნაირად, დაარსდა კონცერტი ოთხ დიდ სახელმწიფოთა, რომელნიც ოფიციალურად „მოკავშირეებად“ იწოდებოდნენ (ინგლისი, რუსეთი, ავსტრია და პრუსია). იმათ იქისრეს ომის ხელმძღვანელობა და შემოუერთეს ამ კოალიციას გერმანიის სახელმწიფოები და იტალიის გადაყენებულნი მთავრები. მოკავშირეებმა თანდათან მოუყარეს თავი თავის ჯარებს საქსონიაში. ლაპიპციგის ომშა ერთბაშად არგუნა მათ მთელი გერმანია; მაშინ მოკავშირეებმა შეაძლიეს ნაპოლეონს საფრანგეთის ტერრიტორია 1800 წლისა (ფრანკფურტი, ნოემბერი 1813 წ.).

შემდეგ კი, როდესაც მათი სამი ჯარი შეესია საფრანგეთს, ნაპოლეონს მხოლოდ 1790 წლის ტერრიტორია შეაძლიერდა.

ანგლისის ქონსტატურა მე-XIX საუკუნეში

ლიეს (შატილიონი, თებერვალი 1814 წ.). ბოლოს, პარიზიც
აიღეს და გადასწყვიტეს ტახტიდან გადმოგდება ნაპოლეონისა
(პარიზი 1814 წ.).

1790 წლიდან მოკიდებული, რაც ტერრიტორია საფრან-
გეთმა შემოიტა და ყველა ის სახელმწიფო, რომელთაც ნა-
პოლეონმა მისცა ორგანიზაცია, უმეფოდ დარჩენ, მთელ ევ-
როპაში გაძატონებულნი მოკავშირენი, შეუდგნენ იმათის მდგო-
მარეობის გაწესრიგებას. ისინი ჯერ კიდევ საფრანგეთში იყვ-
ნენ, რომ განიზრახეს მოეწვიათ ვენაში კონგრესი; ეს კონგ-
რესი უნდა შემდგარიყო ყველა იმ სახელმწიფოთა წარმომად-
გენელთაგან, რომელთაც კი მონაწილეობა მიიღეს ომში; ანუ,
სხვანაირად რომ ვთქვათ, იმათ გარდასწყვიტეს მოეწვიათ ამ კონგ-
რესზე ევროპის ყველა სახელმწიფონი. მაგრამ, ერთის საიდუმ-
ლო მუხლის ძალით, მოკავშირეთ დაიტოვეს უფლება იმ სა-
ფუძველთა დამტკიცებისა, რომელთა მიხედვით უნდა გაწესრი-
გებულიყო საფრანგეთისავან ჩამოშორებული ქვეყნები და იგ-
რეთვე სახელმწიფოთა ის ურთაერთობანი, რომელთა შედევი
ხანგრძლივი სწორწონაბის სისტემა (systeme d'équilibre) უნდა
ყოფილიყო; იმათ შეადგინეს კიდევ ქვეყნების დანაწილების
გეგმა. კონგრესს კი უნდა მხოლოდ გაეწესრიგებინა ის საფუძ-
ველნი, რომელიც მოკავშირეებმა ერთმანერთ რომ დაიდგი
ნეს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მას უნდა ფორმა მიეცა
„მოკავშირეთა“ დადგნილებათათვის (ტრაქტატი 30 მაისი
1814 წ.).

ეს ქონგრესი. ევროპის ყველა სახელმწიფონი იღებ-
დნენ მონაწილეობას ომში, ყველა იმათ გაგზავნეს ვენაში რწმუ-
ნებულნი, მათ შორის 90 იყვნენ მფლობელნი ხელმწიფენი, 53
უმფლობელო პრინცნი. ეს მრავალ-რიცხვანი ღიპომატთა
კრება ვენაში შემდეგ ხანგრძლივი ომიანობისა და ჯერ კიდევ
იმ შთაბეჭდილების ქვეშე, რომ კანონიერ მონარქიებმა რევო-
ლუციონურ საფრანგეთზე გაიმარჯვეს, სიცოცხლის ელფერს
სდებდა ამ ქალაქს; აქსტრიის მთავრობამ შეჰკრიბა სასახლის

კომიტესია, რომლის მოვალეობა იყო სტუმრებისათვის რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინათ; სტუმრებს დიდის ამბით და ზემით იღებდნენ, გართა ედნენ სალამოებს, დღესასწაულებს და მთელი დრო ამაში გადიოდა.

საქმეები უნდა წარმოებულიყო საზოგადო კრებებზე; მოკავშირეთ გამოაცხადეს, რომ კონგრესი 31 ივლისს დაიწყაბათ; შემდეგ კონგრესი გადადებულ იქმნა პირველ ოქტომბრისათვის და ბოლოს ოფიციალურად დაადგინეს პირველი ნოემბერი, როგორც დღე, როდესაც „ფორმალურად უნდა დაწყებულიყო კონგრესი“; უწინარეს ყოვლისა უნდა შეემოწმებინათ რწმუნებულთა საცეკვილო საბუთები. მაგრამ ნამდვილად კი ეს არ მომხდარა: კონგრესი არასოდეს არ დაწყებულა, კონგრესის მაგიერ, შესდგა რწმუნებულთა კერძო კომიტესიები, რომელნიც ხელს აწერდნენ ცალკ-ცალკე ხელშეკრულობებს სახელმწიფოებ შორის, შემდეგ ყველა ეს ხელშეკრულობანი მოათავსეს ერთ სერთო ტრაქტატში, რომელიც „ვენის კონგრესის უკანასკნელ აქტის“ სახელწოდებით არის ცნობილი (9 ივნისი 1815 წ.).

მთელი ევროპის ორგანიზაცია მხოლოდ დიდმა სახელმწიფოებმა გააწესრიგეს და აძიულეს სხვა სახელმწიფოები მიეღლოთ მათი გარდაწყვეტილებანი. ოთხმა მოკავშირემ ვენის კონგრესამდე შეიმუშავეს გაწესრიგების პრინციპები. გახაყოფტერრიტორიებს შეადგენდნენ ის ქვეყნები, რომელნიც საფრანგეთს ჩამოართვეს და ის სახელმწიფონიც, რომელნიც ნაპოლეონმა შექმნა; ესეთი იყვნენ: ბელგია, პოლანდია, რეინის მარცხენა ნაპირი, იტალია, გერმანია და ვარშავის დიდი საპერცრევო. ზოგიერთ ტერრიტორიების განაწილების შესახებ მოკავშირენი შეთანხმდნენ, ზოგიერთების შესახებ კი ვერა. 30 მაისს იმათ გააწესრიგეს უცილობელი კითხვები— შესახებ იტალიისა, ბელგიისა და რეინის მარცხენა ნაპირისა; რაც შეება გერმანიასა და პოლონეთს, მაგრა კითხვის გადაწყვეტა გადასდევეს ვენის კონგრესისათვის.

ვენაში ოთხ სახელმწიფოთა რწმუნებულებმა დაადგინეს, — პირველად ყოვლისა შეთანხმებულიყვნენ ამ გადაუწყვეტელ კითხვების შესახებ და პატივი ეცათ საფრანგეთისა და ესპანის წარმომადგენელთათვის „დასასწრებლებდ“ მოწვევით. საფრანგეთის რწმუნებულის ტალღეირანის სიტყვით, პირველმა კრებამ (30 სექტემბერს) ჩაიარა ამგვარად; ინგლისის რწმუნებულმა უთხრა ტალღეირანის: „კრების მიზანია გავაცნოთ თქვენ, თუ რა გააკეთა ოთხმა სახელმწიფომ მას შემდეგ, რაც აქ შევიკრიბენით“. მას გააცვნეს ის ოქმი, რომელშიაც ოთხი სახელმწიფოები „მოკავშირეებად“ არიან წოდებულნი. ამითი საფრანგეთი დიდ სახელმწიფოთა კონცერტის გარეშე რჩებოდა და ტალღეირანმა პროტესტი განაცხადა. „სადა ვართ ჩვენ? ლაონსა თუ შაშონში? მშვიდობიანობაა ჩვენ შორის, თუ ომი? შემდეგ აიღო ოქმი და შენიშნა: „მე წაიკითხე რამდენიმე პარაგრაფი და ვამბობ, რომ მე არა მესმის-რა“. — მეორედ წავიკითხე გულ-დასმით, და სახის გამომეტყველებით მინდოდა მეჩვენებინა, რომ ვცდილობ შემეგნო სიტყვების აზრი, და ვთქვი, რომ, როგორც პირველად, ისე ახლაც ვერა გაეიგე-რა. „მე ვხედავ მხოლოდ ორ დატას. რომელთა შორის არა არის-რა: ეს არის 30 მაისი, როდესაც გადაწყდა, თუ ვისგან უნდა შედგეს კონგრესი, და პირველი ოქტომბერი, როდესაც იგი უნდა შეკრებილიყო“.

ტალღეირანში ისაბუთა მოკავშირეთა დაპირება და მოითხოვა კონგრესის დაწყება და კომისიების შედეგენა იმ კითხვების „მდგრადი და დაწყება“, რომელთა „გადაწყებაზე“ მხოლოდ კონგრესს შეეძლო. მისი განზრახვა იყო — პატარა სახელმწიფო-ები საფრანგეთისაკენ მიემნრო მოკავშირეთა საწინააღმდეგოდ. მართლაც, ტალღეირანმა გამოაცხადებინა მოკავშირეთ, რომ კონგრესი 1-ლ ნოემბერს დაიწყება; მან ამ განცხადებას ისიც დაამატებინა, რომ ეს მოხდება „საერთაშორისო სამართლის დედა-აზრების თანახმადო“. მისი ტაქტიკა იყო — ხელზე „საერთაშორისო უფლების“ და „კანონიერების“ (légitimité), ესე იგი

კანონიერ მეფეთა უფლებების ხელშე დაწვევით ხელი შეეშალა მოკივშირეთათვის, რათა მათ დაპყრობილი ტერრიტორიები არ დაენარჩენებინათ; „საფრანგეთის მეფეო,—ამბობდა იგი—არა სოდეს არ დასთანხმდება იმ აზრს, რომელიც ამტკიცებს, რომ გამარჯვება თავის თავად იძლევა უზენაესს უფლებას (la souveraineté). ამიტომ მან მიიღო თავისს მფარველობის ქვეშ საქსონიის კანონიერი მეფე და არ იცნო ნეაპოლის მეფედ უზურპატორი მიურატი, რომელმაც კანონიერი მეფე ტახტიდან ჩამოაგდო. იმისსავე მეოხებით მოწვეულ იქმნა მოსამზადებელი კომისია, რომელშიაც მონაშილეობას იღებდნენ გარდა ოთხ მოკავშირეთა წარმომადგენლებისა, იმ სახელმწიფოთა რწმუნებულნიც, რომელთაც პარიზის ტრაქტატზე ხელი ჰქონდათ მოწერილი, სახელდობრ: საფრანგეთისა, ესპანიისა, პორტუგალიისა და შვეციისა, მაკრამ მისი თხოვნები შეწყნარებულ იქმნენ მხოლოდ ფორმალურად: კონგრესი არ დაწყებულა და გადაწყვეტილებანიც დაადგინეს მხოლოდ მოკავშირეებმა.

ტერრიტორიების დანაწილება. ინგლისს დარჩა მის მიერ დაპყრობილი ტერრიტორიები: მალტა, იონიის კუნძულები, ჰელენოლინი, გარდა ამისა ევროპის გარედ კაპის კონცი, ცეილონი და ილ-დე-ფრანსი. ავსტრიამ დაიბრუნა უკანვე ილ-ლირიის პროვინციები და ის ქვეყნები, რომელნიც ბავარიის ჰქონდნენ დათმობილნი; სამაგიეროდ ბავარიას მისცეს ჰერალცის საგრაფო, რომელიც რეინის მარცხენა ნაპარზე მდებარეობდა. ამნაირად, ინგლისი და ავსტრია დაკავუთვალებული იყვნენ ისე, რომ უთანხმოება არ ჩამოვარდნილა. ბელგია ჰოლანდიას შეუერთეს და დაარსდა ერთი სამეფო—ნიდერლანდი, რომელიც ორანის პრინცს მიეცა. იტალიაში ავსტრიამ მიღანს ვენეცია და ვალტელინა მოუმატა; სარდინიის მეფემ მიიღო უწინდელი რესპუბლიკა უნევა; დანარჩენი ძველი სახელმწიფოები ალდგენილ იქმნენ.

რაც შეეხება გადუწყვეტელ კითხვებს გერმანიისა და პოლონეთის შესახებ, აქ კი მოკავშირენი გაიყვნენ. რუსეთს სურდა დაეტოვებინა თავისთვის მთელი უწინდელი დიდი საპერკოვო ვარშავისა, ესე იგი, ის ნაწილი, რომელიც ერგო პრუსიის პოლონეთის გაყოფის დროს 1793 და 1795 წლებში. პრუსიის პოლონეთის თავისს ნაწილის დაბრუნებას მაინც და მაინც არ სცდილობდა, იგი ამჯობინებდა საქსონიის სამეფოს შემოერთებას; ეს უკანასკნელი თავისუფალ ტერიტორიად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, ენიაიდან იგი დაპყრობილი იყო საქსონიის მეფის—ნაპოლეონის მოკავშირეს—დროს, რომელმაც ვერ მოასწრო გერმანიის სხვა მთავართა მზგავსად მოკავშირებთან დადებულ პირობაზე ხელი მოეწერა. ამ აზრს დასთანხმდა რუსეთის მეფე; მას ვერ ეპატივებინა საქსონიის მეფისათვის ის, რომ იგი დასიანხმდა ნაპოლეონისაგან ვარშავის დიდი საპერკოვოს მიღებას და რომ მან „უღალატა ევროპის საქმეს“. ამნაირად, რუსეთმა და პრუსიამ საერთო ოანხმობით წინადადება შემოიტანეს შემოერთებინათ საქსონია, მისი მეფე კი გერმანიის თავისუფალ ტერიტიორიებით უნდა დაექმაყოფილებინათ. მაგრამ ინგლისს და მეტადრე ავსტრიას არ უნდოდათ რუსეთს ასე შორს გაედგა ფესვები ევროპაში და პრუსიია ერთიანად დამკვიდრებულიყო გერმანიაში, და ამიტომ იგინი საქსონიის შეერთების წინააღმდეგნი იყვნენ: ტალლეგორიანმა იმ საბაბით, რომ აქამ და მე ვიუავ საქსონიის კანონიერ მეფეს პრუსიის „რევოლუციონურ“ განზრახვთა წინააღმდეგო, ისარგებლა მოკავშირეთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებით და განზრახვა ჰქონდა ინგლისსა, ავსტრიასა და საფრანგეთს შორის მოგერებით კავშირი შეეკრა. ის რას სწერდა იგი მეფეს: „ეხლა კოალაცია სამუდამოდ დარღვეულია“ (იანვარი 1815 წ.) ნამდეილად კი მის საქმეში ჩარევას მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა რომ პრუსიის ჯარი საფრანგეთის საზღვრებზე დადგა.

რადგანაც პრუსიის წარმომადგენელთ არ მიაჩნდა სასურველად საფრანგეთისა და პრუსიის მეზობლობა, მათ შემოიტა-

ნეს წინადადება, შესდგეს სახელმწიფო რეინის მარცხენა ნაპი-რიდან სამთავრო და მიეცეს იგი საქსონის მეფეს: ეს იქნებოდა კათოლიკე სახელმწიფო, რომლის მმართველი საფრანგეთის ბუნებრივი მოკავშირე იქნებოდა. რუსეთის ხელმწიფე დასთანხმდა ამ წინადადებაზე. სხვა ორშა მოკავშირემ კი უარი განაცხადეს; ტალლეირანიც ამათ მიემხრო და დაირღვა საფრანგეთისათვის ასეთი სასარგებლო კომბინაცია.

საქმე დაბოლოთვდა იმით, რომ შესდგა სტატისტიკურ ქომისათ, რომელმაც თთხი სხვა-და სხვა ნაკრით დააქმაყოფილა პრუსია. სულ უნდა მიეცათ 3,400,000 სული კაცი; ეს ვალი ასე გადაიხადეს: მისცეს პოლონეთის ერთი პროვინცია—პოზნანი (810,000 სული), რეინის მარცხენა ნაპირი (1,044,000 სული), ვესტფალია (829,000 სული) და საქსონის სამეფოს ერთი მცირე ნაკერი (782,000 სული). რუსეთის მეფემ დაიტოვა თავის თვეისთვის პოლონეთის დანარჩენი ნაწილი, რომელიც თვის აღთქმისა მებრ, კონსტიტუციონური სამთავრო უნდა გამხდა. რიყო სხვა ცელილებანი გაწესრიგებული იყო კერძო ხელ-შეკრულობებით; შვეციამ დაუთმო პრუსიას პომერანია, პრუსიაშ გარდასცა ლაუენბურგი დანიას, რომელმაც ნორვეგია დაპკარება.

ეს ქვეყნების დაყოფა ჯერ არც კი გათავებულიყო, რომ ხმა გავარდა, ნაპოლეონი დაბრუნდაო. რწმუნებულთ პირი მისცეს ერთმანერთს გამოეცხადებინათ ევროპის სახელით შემდეგი: „ნაპოლეონ ბონაპარტემ თავისი თავი სამოქალაქო და საზოგადოებრივ უფლებათა გარეშე დააყენა და იგი როგორც მტერი და დამრღვეველი მსოფლიო შეკიდობიანობისა უნდა იქმნას „საჯაროდ დევნილი“. ისინი შეპირდნენ შემწეობას როგორც საფრანგეთის მეფეს, ისე ყოველ სხვა მთავრობას, რომელსაც იგი ომს დაუწყებდა. (13 მარტი 1815 წ.). შემდეგ საჩქაროდ შეუდგენ „კონგრესის უკანასკნელ აქტის მომზადებას“. ტრაქტატს ხელი მოაწერა რეა სახელმწიფომ, როგორც იმათ, რომელნიც შეადგენდნენ „მოსამზადებელ კომისიას“, ისე იმათაც, რომელნიც „მოწვეულ იყვნენ მორიგებისაავის“. ამასვე

დაუმატეს კონვენცია მდინარეებზე თავისუფალ ნაოსნობის შესახებ, აგრეთვე ნიდერლანდისა და შვეიცარიის ნეიტრალიტეტის გარანტიაც.

ვატერლოს შემდეგ მოკავშირეები ხელ-ახლა შეიკრიბნენ, რათა სიიდუმლო თათბირი მოეხდინათ საფრანგეთის წინააღმდეგ გარანტიების დასადგენად; ისინი შეთანხმდნენ ოკუპაციის საჭიროების, ფულით დაჯილდოების და ტერრიტორიათა და თმობის შესახებ. ხოლო ვერ შეთანხმდნენ დასათმობ ტერიტორიების ზომაზე. გერმანიის ორი სახელმწიფო პრუსია და ავსტრია, რომელთაც სხვაზე უფრო ჰქონდათ საფრანგეთის შიში, თხოულობდნენ ელზასსა და, ასე გასინჯვთ, ლოტარინგიასა და ფლანდრიასაც. ინგლისი და რუსის ხელმწიფე სთანხმდებოდნენ მხოლოდ იმაზე, რომ საზღვრები შეესწორებინათ და საერთო სარდინიის მეფეს დაბრუნებოდა, ამასთანავე საფრანგეთს უნდა ჩამორთმეოდა რამდენიმე გამაგრებული ადგილები. ბოლოს ავსტრია ამათ მიემხრო; პრუსიის მეფე, რომელიც მარტოდ დარჩა, ჯერ იმუქრებოდა და შემდეგ ისიც იძულებული შეიქნა დანარჩენებს დასთანხმებოდა. მაშინ მოკავშირეთ გარდასწყვიტეს მიმართონ საფრანგეთს ულტიმატუმით (21 სექტემბერი), რომელიც მიღებულ იქმნა საფრანგეთის მიერ მცირეოდენის ცვლილებით; იგი შეიქმნა შარი ზის ტრაქტატად. გარდა ამისა მოკავშირეებმა შეადგინეს მუდმივი ლიგა, რომლის მიზანი „მათ სახელმწიფოთა უზრუნველ ყოფა და ევროპის საერთო მშეიღობიანობა“ იყო; ისინი ერთად მოქმედების პირობას სდებლნენ, თუ კი საფრანგეთში რევოლიუციონური პრინციპები ხელახლავ არევდნენ საფრანგეთის და ევროპის მშეიღობიანობას.

ეგრეთ 1815 წ. დადგენილებათა შემდგა. ვენის დადგენილებებს საფუძვლით დაედა 18 საუკუნის დიპლომატიის პრინციპები, ე. ი. პრინციპები ეგროპის სახელმწიფოების ძალათა სწორწონათბისა და ომისთვის დაჯილდოებათა სისტემისაც.

სწორწონაობის ასადგენად საფრანგეთს, რომელიც მეტად ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა, ჩამოაცალეს ყველა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნები და დაუტოვეს მხოლოდ ის ტერრიტორია, რომელსაც წინად ჰყოლობდა. დანარჩენი დიდი სახელმწიფოები მიიღებდნენ მხოლოდ ჯილდოს იმ ტერრიტორიებისათვის, რომელნიც სხვა სახელმწიფოებს დაუთმეს და მეტ ვერაფერს. მაგრამ ორმა დიდმა სახელმწიფომ შეირჩინა თავის მიერ დაპყრობილი ქვეყნები: ინგლისმა შეირჩინა მალტა და ონიის კუნძულები; რუსეთმა — ბესსარაბია, ფინლანდია და პოლონეთი. ამნაირად ორივე სახელმწიფო საფრანგეთის წინააღმდეგ იმისათვის დაჯილდოვებულ იქმნენ თავიანთ ტერრიტორიების გაფართოებით: იმათ მიემატათ გაუქმებულ სახელმწიფოების (ვენეციის და მალიტის) ნაწილები და აგრეთვე საფრანგეთის წინააღმდელ მოკავშირეთა სამფლიბელოები (შვეციისა, ოსმალეთისა, პოლონეთისა). ავსტრიამა და პრუსსიამ მიიღეს მხოლოდ ჯილდო, იმის კვალობაზე, რამდენიც კი ერგებოდათ მათი ტერრიტორიის მიხედვით პოლონეთის უკანასკნელ დაყოფის შემდეგ. ავსტრიამ ბელგიის მაგიერ მიიღო ვენეცია და თავისი ძველი სამფლიბელოების მაგიერ შვაბიაში — ზალცბურგი.

პოლონელების ქვეყნები, რომელნიც ისე ძნელი გადასაგვარებელი აღმოჩნდნენ, პრუსსიამ ვასცეალა გერმანელ პროვინციებზე: ვესტფალიაზე, საქსონიაზე და რეინის პროვინციებზე; ლაუენბურგის მაგიერ მან შეიძინა პომერანია. ესლა თრივე სახელმწიფო, თუ უფრო ვრცელ ტერრიტორიას არ ჰყოლობდა, ყოველ შემთხვევაში იგი უფრო მოხერხებულად იყო შედგენილი, ვიდრე 1795 წელში. გერმანიის მთავრებს დარჩათ ის ქვეყნები, რომელნიც ნაპოლეონის მფლობელობის დროს იქმნენ ჩამორთმეულნი. დანარჩენი ტერრიტორიები დაურიგდათ მოკავშირეთა მფარველობის ქვეშ მყოფ პატარა სახელმწიფოებს, სახელდობრ: პრინც ორანელს ჰევდა ბელგია, სარდინიის მეფეს — გენუა, შვეიცარიას — ბერნის იურა და სავოის ნაწილი.

ეს მიწების დანაწილება სხვის ხარჯზე ხდებოდა. გამოაკლეს რაოდენიმე ნაწილი უდინასტიო ჰატარა სახელმწიფოებს, გენუის და ვენეციის ოქსპუბლიკებს, საეკკლესიო მამულებს, გერმანიის თავისუფალ ქალაქებს და საფრანგეთის ორ მოკავშირეს—საქსონიას და დანიას. ყველა საეკკლესიო სამთავროები, გარდა ჰაპის სამთავროსი გაუქმებულ იქმნენ. კონგრესმა უარი განაცხადა სხვა საეკკლესიო მთაერების მამულის დაბრუნებაზე; ჰაპი პროტესტი განაცხადა ვენაში მომხდარ დიპლომატთა გარდაწყვეტილებების წინააღმდევ ისე, როგორც ოდესალაც ვერსტფალის კონგრესის გარდაწყვეტილების წინააღმდევ.

კონგრესის საქმე ყოველ შემთხვევაში არ იყო უბრალო რესტავრაცია, იმ ცვლილებათა შორის, რომელნიც სარევოლიუციო ხანაშ მოახდინა, მოკავშირებმა მიიღეს ის, რაც მათთვის სასარგებლო იყო, ის, რაც არ არღვევდა არც ერთის საერთო ხელმწიფის უფლებებს. თავისუფალი ტერრიტორიები კი გამოიყენეს შისამატებლად და ჯილდოებისათვის.

ყველა ეს ოპერაციები ჰქონდოდა მეთვრამეტე საუკუნის ჩეულებისამებრ, ხალხის აზრის დაუკითხად და მისი ინტერესის დაუცველად, დიპლომატები მართებლობათა წარმომადგენელნი იყვნენ და არა ერებისა.

ამ გვარად დადგენილი წეს-წყობილება დაფუძნებული იყო, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში, ეგრობის მაღოთა სწორ-წონადაზე ხუთ დიდ სახელმწიფოთა შორის: ორ დასაელეთის სახელმწიფოსა — საფრანგეთსა და ინგლისის შორის და სამ აღმოსაელეთისა — რუსეთსა, ავსტრიასა და პრუსიას შორის. არც ერთი ამათგანი ისე ძლიერი არ იყო, რომ მთელ ევროპაზე გაბატონებულიყო ან და ომი დაეწყო სხვა სახელმწიფოების სურვილის წინააღმდევ. მართლაც, ძალთა სწორწონაობამ ნახევარი საუკუნე გასტანა და მშვიდობიანობაც არ დარღვეულა ორმოცი წლის განმავლობაში. ამ ორ ჯგუფთა შორის რჩებოდა ტერრიტორია, რომელიც შესდგებოდა გერმანიის და იტალიის

პატარა სახელმწიფოთაგან და ნეიტრალურ ქვეყნებისაგან — ნი-
დერლანდისა და შვეიცარიისაგან. ავსტრიას თავის გავლენის
ქვეშ ჰყავდა ორი, ნაწილ-ნაწილად დაყოფილი, ქვეყნები — იტა-
ლია, რაღვანაც მას აქ მოეპოებოდა თავისი სამფლობე-
ლონი, და გერმანია, იმპერატორის სახელის უპირატესობისა
გამო; ავსტრია არ საჭიროებდა. ტერიტორიის გადიდებას,
იგი უფრო დაინტერესებული იყო არსებული მდგომარეობა
დაეცვა.

აღმოსავლეთით რუსეთმა შთანთქა ის ქვეყნები, რომელ-
ნიც ჰყოფდნენ მას ეეროპისაგან; ძველი პოლონეთისაგან დარჩა
მხოლოდ კრაკოვი, რომელსაც არის ტოკრატიული რესპუბ-
ლიკის წეს-წყობილება ჰქონდა მიღებული. შვეცია, რომელმაც
ფინლიანდია და პომერანია დაჲკარგა, მოიმწყვდა სკანდი-
ნავიაში. ოტომანის იმპერია ევროპიულ უფლებათა გარეშე
დარჩა.

ევროპიულ ძალთა სწორ-წონაობის აღდგენას თან მოჰყვა
წინანდელ მთავრობათა რესტავრაცია. ის ქვეყნები, სადაც სა-
ფრანგეთის ჯარებმა რევოლუცია მოახდინეს, წინანდელ მმარ-
თველთ დაუბრუნდათ ძველის რეჟიმის აღსაღვენად. ევროპის
მმართველობის ნორმალურ ფორმად აბსოლუტური მონარქია
შეიქმნა. მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფოებში იყო მონარქიის
უფლება შეზღუდული კონსტიტუციით, ეს სახელმწიფოებია:
ინგლისი, საფრანგეთი და ნიდერლანდი, შვეიცარიის არისტო-
კრატიულ რესპუბლიკათა კონფედერაცია, ნორვეგია და ახა-
ლი პოლონეთის სამთავრო, მაგრამ აქაც ეს კონსტიტუცია
ისეთი იყო, რომ ნამდვილი მეუფება მეფების მცირე რიცხვან
არისტოკრატიის ხელში იყო. მაგრამ რევოლუციის გემოს
გაცნობამ, გამოცდილებამ და რევოლუციონურმა იდეებმა
ჰქმნეს ის, რომ ევროპის უველა ქვეყნებში იყვნენ პირნი, რო-
მელთაც სურვილი ჰქონდათ ლიბერალური და უფრო დემოკ-
რატიული წესწყობილების შემოღებისა და იმ უკმაყოფილო


პოლიტიკოსებისაგან შესდგა ლიბერალური პარტიები, რომელ-
ნიც ეწინააღმდეგებოდნენ 1814 წელში დამყარებულ პოლიტი-
კურ წესშეყობილებას. ვენაში ტერრიტორიათა დაყოფის დროს
ხალხის სურვილი არ იყო სახეში მიღებული და სახელ მწიფოს
საზღვრები არა ყველგან ეთანხმებოდა ნაციონალურ საზღვ-
რებს... სამი ერი: გერმანია, იტალია და პოლონეთი დანაწი-
ლებული იყო რამდენსამე სახელმწიფოთა შორის; პირიქით ავსტ-
რია, ეს ერთი სახელმწიფო წარმოადგენდა ხელოვნურად შე-
კავშირებულ ჯგუფს, რომელიც შეიცვდა სხვა-და სხვა ერს.
ესეთმა წყობილებამ დაბადა უკმაყოფილები, რომელნიც სცდი-
ლობდნენ ნაციონალური პარტიები შეედგინათ. უკმაყოფილო
ლიბერალები და ნაციონალისტები, შეერთებულნი საოპოზი-
ციო პარტიად, სცდილობდნენ დიპლომატების საქმე დაწმა-
ლათ; და როგორც სხვა-და-სხვა მთავრობამ პირი მისცეს ერთ-
მანეთს დაეცვათ ეს საქმე, ისე ყოველი ქვეყნის ოპოზიციო-
ნური ელემენტები თანაუგრძნობდნენ ერთმანერთს და ცდი-
ლობდნენ თანხმობით მოქმედებას.

ავსტრიის მთავრობელობა ყველაზე მეტად იყო დაინტერე-
სებული მასში, რომ ნაციონალური და ლიბერალური მოძრაო-
ბა მოსპობილიყო, რადგან ეს საშიში იყო მისთვის ორნაირიდა:
მისი შინაგანი ორგანიზაციისათვის და გერმანიაში გავლენისა-
თვის; ავსტრიის მთავრობის მოთავე მეტტერნისი ანტირე-
ვოლიუციონურ მოქმედების მოთავეთ შეიქნა. ის მოელ ოპო-
ზიციას რევოლუციონურს ეძახდა, რადგან ეს ოპოზიცია
სცდილობდა საფრანგეთის რევოლუციის პრინციპების გატა-
რებას ცხოვრებაში,—ხალხის სუვერინიტეტს, თავისუფლებას
და თანასწორობას. ის ამ მდგომარეობას ასე ახასიათებდა:
„მემბოსეთა მიზანი ერთია და ერთგვარი—ეს ყოველივე კა-
ნონიერად არსებულის დამხობაა. პრინციპი, რომელიც ამის
წინააღმდეგ უნდა წამოაყენონ მონარქებმა, არის პრინციპი
ყოველივე კანონიერად არსებულის დაცვისა. კონსერვატიუ-
ლი მთავრობანი, რომელთაც მეუფება ხელში ჰქონდათ და

ოპპოზიციონური პარტიები — ლიბერალები, ნაციონალისტები, დემოკრატები, ებრძვიან ერთმანეთს ევროპის ყველა ქვეყნებში.

ეს ბრძოლა შეადგენს ევროპის პოლიტიკურ ისტორიას მე-ХІХ საუკუნეში.

(შემდეგი იქნება)



შინაური მიმოხილვა

კეთილი ნიშნები სწავლა-განათლების საქმეში.—უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა გამრავლება.—სამრევლო სას-წავლებელთა დაარსება.—სავაჭრო და სამრეწველო სასწავლე-ბლები.— საშუალო სწავლა-განათლების რეფორმა.— მისი მნიშვნელობა ჩვენთვის.—სადგომის გადასახადი.— მისი საზო-გადო ხასიათი.—საქალაქო საარჩევანო უფლებანი.—ნაფიც მსა-ჯულთა სასამართლო.—ნაფიც მსაჯულთა განსაკუთრებული სასამართლო.— მოსალოდნელ სასამართლო რეფორმის საზოგადო ხასიათი და მნიშვნელობა.

წრეები დელი სამოსწავლო წელიწადი კეთილის ნიშნებით დაიწყო. არასოდეს არ ყოფილა ამდენი ლაპარაკი სწავლა-გა-თლების საქმეზე, როგორც უკანასკნელ ორ თვეში. სატახტო ქალაქისა და პროვინციალურს უკრნალ-გაზეთებში, საზოგადო-ებაში, მთავრობის წრეებში გაცხარებული სჯა-ბაასი იყო სწავ-ლა-განათლებისა და სასწავლებელთა საკითხების შესახებ. მაგ-რამ მარტო ლაპარაკში კი არ გამოიხატებოდა კეთილი ნიშ-ნები, გაცხოველება თვით საქმესაც დაეტყო. ეს გაცხოველება შეეხება როგორც სასწავლებელთა გამრავლებას, ისე მათის ლირსების გაუმჯობესობას.

სასწავლებელთა რიცხვი წელს მთელს იმპერიაში საკრძნო-ბლად გამრავლდა. თვით უმაღლეს სასწავლებლებსაც დაეტყო ეს მოძრაობა: გაიხსნა საექიმო ფაკულტეტი ოდესაში, დაარს-და უმაღლესი კურსები ქალებისათვის მოსკოვში, პეტერბურ-გში შეედგნენ შენობის იგებას მომავალ პოლიტენიკუმისა-თვის, გადაწყდა საკომერციო აკადემიის დაარსება და სხვა. უფ-რო შესამჩნევი ზრუნვა იყო საშუალო სასწავლებელთა დაარ-

სებისათვის. ბევრ ლიდ ქალაქებს მოემატა წელს სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებელი, მათ შორის ტფილისში გახსნილ იქმნა საკომერციო სასწავლებელი და ბათუმში—ქალთა გიმნაზია. მხნედ მოღვაწეობდნენ იგრეთვე ქალაქები, საერობო დაწესებულებანი და საეპარქიო მმართველობანი სახალხო პირველ დაწყებით სწავლების გავრცელებისათვის. ნამეტურ თვალსაჩინო იყო საეპარქიო მმართველობათა მოღვაწეობა: მათ მრავალი სამრევლო სკოლები დაარსეს ყველგან და ბოლოს უწმინდისაგან შენიშვნაც გამოცხადდა—ეპარქიებმა გადაამეტეს იმ ხარჯებსათ, რომელიც გადადებული იყო სამრევლო სკოლების დაარსებისათვისთ. როგორც უკანასკნელ წლებში, ისე ეხლაც მთავრობა ლიდ ყურადღებას აქცევდა პროფესიონალურ და სავაჭრო-სამრეწველო სწავლის გაფართოვებას. წელს სამი საკომერციო სასწავლებელი—მათ შორის ერთი ტფილისშიაც—და ბევრი სავაჭრო სკოლები იქმნა გახსნილი. ეს ზრუნვა აიხსნება იმ წარმატებით, რომელიც უკანასკნელ წლებში დაეტყო რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობას. რამდენად ზრუნვას მთავრობა სამრეწველო სასწავლებელთა გამრავლებისათვის, იქიდანაც სჩანს, რომ ამ საქმის უკედ მოწყობისათვის საგანგებო კომისიაც იქმნა დაარსებული, რომელიც დღემდის მუშაობს და ადგენს ვრცელს პროექტს. ტფილისის მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მიმართულებას იღებს სამოსწავლო საქმე ამ უამაღლესეთში: საქალაქო გამგეობამ გადასწყვიტა ავლაბარზე კლისიურ პროგიმნაზიის დაარსება, გადადვა ამ საქმისთვის თანხა და მამულიც მოსძებნა. თუმცა ადგილობრივმა სამოსწავლო უწყებამ თანაგრძნობით მიიღო ქალაქის ამგვარი გადაწყვეტა, პეტერბურგიდან შუამდგომლობაზე მაინც სხვა რიგი პასუხი მოვიდა; სახელდობრ, სამინისტრო იწერებოდა—უმჯობესი იქნება ავლაბარზე სამრეწველო სასწავლებელი დაარსდეს...

სასწავლებელთა გამრავლებასთან ერთად ამ უამაღლესი მათნად უწყება ზრუნვას მათის ლირსების განკარგებისათვის. ამ მხრით ყველაზე უფრო თვალსაჩინოა და ლიდი იმედებიც დაპატადა საზოგადოებაში მთავრობის განზრახვამ მოახდინოს სა-

შეუალო სწავლის რეფორმა. ეს საკითხი კარგა ხანია წამოაყენა რუსეთის უფრო განათლებულმა საზოგადოებამ, მაგრავ ეიღ- რე ცოცხალი იყო, შექმნელი ახლანდელის რუსულის კლასი- კურის სკოლისა—გრაფ დ. ტოლსტოი, მანამდის სკოლის რე- ფორმის მოხდენა მხოლოდ ოცნება იყო. შემდეგში კი, გრაფ დელიანოვის მინისტრობის დროს, ეს საკითხი მთავრობის მიე- რაც იქმნა აღიარებული საყურადღებო პრაქტიკულ საქმედ და დღემდის იწვევს საყოველთა ყურადღებას. ნამეტურ განსა- კუთრებულის გულმოდგინეობით შეუდგა მთავრობა აწინდე- ლის გიმნაზიების პროგრამის განხილვის უკანასკნელ ორ წე- ლიწადში. საერთო განათლების სამინისტროში საგანგებო კო- მისიაც დაარსდა საშუალო სასწავლებლის პროგრამის გადასა- სინჯად. კომისიის ჯერაც არ დაუსრულებია თავისი შრომა და ამიტომ ჯერ გადაჭრით არ შეიძლება ითქვას, რამდენად ნა- ყოფიერი იქნება მისი მოღვაწეობა. ამ ეამად კომისიის თავ- მჯდომარეობს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. 3. იანოვსკი, რომელიც არ ითვლება კლასიციზმის დიდ მომხ- რედ და რომელიც უურნალებშიაც და სხვა-და-სხვა დროს წარდგენილ პროექტებშიაც დაუღალევად ღალაჟებდა კლასი- კურ სკოლის პროგრამის შეკველის შესახებ...

როგორც ვთქვით, მთავრობის განზრახვამ საშუალო სკო- ლის რეფორმის შესახებ დიდი იმედები აღძრა საზოგადოებაში; ერთ დროს იმის ლაპარაკიც ჩამოვარდა, რომ ძველ ენებს მხო- ლოდ მსურველთ ასწავლიან ამიერიდანათ; მაგრამ ეს იმედები გადაჭარბებულია, რასაკირველია. რუტინა ასე ადვილად არ ასცილდება ადამიანთა საქმეებს, და საზოგადოებას კიდევ ბევრი ბრძოლა დასჭირდება კლასიციზმის საბოლოოვად დათრგუნვისა- თვის. რომ კლასიკურ გიმნაზიების პროგრამას რაღიკალური შე- ცვლა არ მოელის ეს სჩანს თუნდ იმიდან, რაც უკვე დააკანონა სამინისტრომ დროებით. სახელდობრ, 2 ავგვისტოს გამოიკა ახა- ლი პროგრამები ძველი ენების სწავლებისათვის. პროგრამა არც კი უკლებს ამ ენების სწავლების დროს და სცვლის ცო- ტაოდნად მხოლოდ სისტემას: გრამატიკას ნაკლები ყურადღება

უნდა მიექცესო, ვიდრე ამ დრომდე იყო ესაო, და უნდა მოისპოს რუსულ ენიდან ძველ ენებზე თარგმნაო. ეს ცვლილება მაინცა და მაინც არაფრით განირჩევა გრაფ დელიანოვის მიერ მოხდენილ რეფორმისაგან 1895 წელს. მაგრამ როგორც ვთქვით, ჯერ მთავრობას არ დაუსრულებია თავისი მოღვაწეობა საშუალო სწავლის პროგრამის განხილვისა და ვნახოთ რით გათავდება ეს დიდი და მწვავე საჭირო. საკურველი არ არის, რომ საზოგადოებას ყოველთვის გადაჭარბებული იმედები ებადება, როგორც კი მმართველ წრებზი დაიწყებენ ლაპარაკს ლათინურ და ბერძნულ ენების პროგრამის განხილვის შესახებ. განათლებული საზოგადოება კარგა ხანია დარწმუნდა, რომ ამ ენების სწავლებამ იმ პროგრამით, რომელიც არსებობს ჩვენებურს გიმნაზიებში, მხოლოდ ვნება მოუტანა მოზარდ თაობას. ძველი ენების შესწავლის დაწყება დაბალ კლასებში ანტიპედაგოგიურ მოვლენად გახდა და, საუკეთესო ავტორიტეტთა შემოწმებით, გონებითაც და ფიზიკურადაც აზინა ყმაწეოდებს. საშუალო სასწავლებელში კლასიციზმის დამკვიდრების შემდეგ ყმაწვილები უფრო ნაკლებ განვითარებულნი და ნაკლებ მომზადებულნი სტოვებენ სასწავლებელს და იმდენად დაქანცულ-დაღალულნი არიან, რომ ძლიერ უჭირთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის რიგიანად განგრძობა. იმავე ენების წყალობით, გიმნაზიებში სწავლას ათავებს ძლიერ პატარა პროცენტი, უმეტესი ნაწილი ბავშვებისა კი დაბალ კლასებიდან გამოდის და ხდება სრულიად მეტ და უვარების ბარგად ცხოვრებისათვის.

თუ რუსის მოზარდ თაობისათვის კლასიციზმი მავნებელია, ჩვენებურ ყმაწვილებისათვის დღევანდელი სისტემა სწორედ დამღუმვლია. ჩვენებურები იწყებენ სწავლას ისედაც უცხო ენაზე; იმავე დროს მთ ლათინურიც უნდა სძლიონ, მერე ამას ემატება ბერძნული და ერთ-ერთი ხალი ენა. თანამედროვე პედაგოგია კეშმარიტებად აღიარებს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ დედა-ენის შემწეობით შეიძლება ბავშვების გონებისა და მეხსიერების დაუტანჯავად უცხო ენების შესწავლა. ჩვენებური ბავ-

შვი კი იძულებულია მისთვის უცხო ენაზე ისწავლოს ყველა
საგნები (რიცხვით მრავალი) და უცხო ენის შემწეობითვე შე-
უდგეს ლათინურის ენის შესწავლას. წარმოიდგინეთ, რამ-
დენი ძალ-ღონე სჭირია ჩვენებურს ბავშვს, რომ ერთ-
სა და იმავე დროს შეითვისოს რუსული ენა და ამ ენის საშუ-
ალებით ისწავლოს ძველი ენები!.. რაღად იქნება გასაკვირველი,
თუ ჩვენი მოზარდი თაობა ნაკლებად ათავებს კურსს და უფრო
ნაკლებად არის განვითარებულ-მომზადებული, ვიღრე რუს-
თისა?!..

ამიტომაც ჩვენთვის საშუალო სასწავლებლის რეფორმას
მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ დღევანდელმა ლაპარაკმა
და განხრახვამ ფუჭად არ ჩაიარეს და თუ საშუალო სასწავლებ-
ლების სერიოზული რეფორმა მოხდა, ჩვენებურებს გაუადვილ-
დებათ სწავლა და შეიძლება ისინი უფრო გამოსაღები გახდ-
ნენ ჩვენის ცხოვრებისათვის, ვიდრე დღეს არიან...

„მოამბის“ მკითხველებთან უკვე გვქონდა საუბარი ერთ
ახალ გადასახადის შესახებ, რომელიც წესდება ჩვენში მომა-
ვალ წლიდან; ის იყო—სადგილ-მაზულო გაღასხადი, რომე-
ლიც გაეწერება სოფლის მცხოვრებთ. ეხლა კი გვსურს, გავა-
ცნოთ მკითხველთ მეორე გადასხადი, რომელიც აგრეთვე
მომავალ წლიდან იქნება შემოღებული ჩვენში და რომელიც
გაიწერება ქალაქის მცხოვრებლებზე. ეს არის სადგომის გადა-
სხადი (квартирный налогъ).

როდესაც 1891 წელს დიდი შიმშილობა ეწვია რუსეთს
და მრავალი მილიონი გლეხი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა,
მთავრობამ განიზრახა ხალხის ტეირთის შემსუბუქება ახალის
სისტემის გადასახადის დაარსებით. მან განიზრახა მოსპობა არ-
სებულ გადასახადებისა, რომელთა უმეტესს ნაწილს გლეხო-
ბა იხდიდა, და შემოღება შემოსავლის გადასახადისა (შედები-
ანის სახელი). მაგრამ, შემდეგ, ამ გადასახადის შემოღება შე-
უძლებლად სცნეს ჯერ-ჯერობით და 1893 წ. 14 მაისის კა-
ნონით შემოიღეს მხოლოდ ერთი ნაწილი, დარგი ამ გადასა-
ხადის—სადგომის გადასახადი. ეს ახალი გადასახადი შემოღე-

ბულ იქმნა მაშინ მხოლოდ რუსეთის შიდა გუბერნიებში, მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან კი შემოღებულ იქმნება იმპერიის სხვა ნაწილებშიაც და მათ შორის ჩვენშიაც.

საფინანსო მეცნიერებამ და დასავლეთ ევროპის გამოცდილებაზ უტყუარად დამტკიცეს, რომ შემოსავალზე, დაწესებული პროგრესიული გადასახადი გაცილებით სჯობია ყველა სხვა გვარ გადასახადებს. ყველა პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადები მძიმე ტვირთად აწვებიან უფრო ღარიბთ, უფრო შეუძლებელთ; ხოლო შემოსავლის გადასახადი უფრო შეძლებულთ ეხება. ვისაც არავითარი შემოსავალი არა აქვს, ის არაფერს იხდის, შემდევ გადასახადი მატულობს შემოსავლის რაოდენობის მიხედვით. ამგვარი გადასახადი სამართლიანია, რადგანაც იმ პრინციპზეა აშენებული, რომ ვისაც მეტი შემოსავალი აქვს—გლეხი იქმნება იგი, თუ თავადი—იმან მეტი უნდა გადიხადოს სახელმწიფო საჭიროებათათვის. ეს გადასახადი უკვე შემოღებულია დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში და ნელ-ნელა ფეხს იდგამს სხვა სახელმწიფოებშიაც, თუმცა მისს დაწესებას ეწინააღმდეგებიან შეძლებული ელემენტები. რუსეთშიაც პრინციპიალურად მოწონებულია ეს დარგი გადასახადისა, მაგრამ ჯერ უდროოდ იცნეს მისი განხორციელება; ხოლო უფრო შეძლებულთაც რომ გიორგი მონაწილეობა გადასახადების გადადებაში, შემოიღეს ქალაქებში სადგომის გადასახადი, სოფლებში — ადგილ-მამულის გადასახადი.

სადგომის გადასახადი მხოლოდ წააგავს შემოსავლის გადასახადს; მათ შორის არის თვალსაჩინო განსხვავება. შემოსავლის გადასახადი თანდათან მატულობს, შემოსავლის რაოდენობის მიხედვით; ამ შემთხვევაში გადასახადის ოპიეკტია (საგანი) შემოსავალი და სახელმწიფოს შეძლება აქვს კერძო პირის შემოსავალის ცნობაში მოყვანით სამართლიანიდ გაანაწილოს გადასახადი. ხოლო როდესაც გადასახადის ოპიეკტი სადგომის, მაშინ გადასახადი პროგრესიულიად ვერ გადიდება. სადგომის ქირა ყოველთვის ვერ გვიჩვენებს კაცის შემოსავლის რაოდენობას; რაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს კაცს, მით უფრო

ნაკლები ნაწილი ეხარჯება სადგომის დაქირავებაზედ. შეათანა შეძლების კაცს დაახლოვებით ერთი მეექვსედი თავის შემოსავლისა ეხარჯება სადგომის დაქირავებაზე, მდიდარს კი არასოდეს არ დაეხარჯება სადგომზე ერთი მეექვსედი შემოსავლისა. მოხელე, რომელიც იღებს ჯამავრათ 4000—5000 მანათს, უთუოდ დახარჯებს წლიურად სადგომის დაქირავებაში ათასამდე მანათს, მაგრამ ბაქოს მილიონერი, რომელიც წელიწადში რამდენიმე მილიონი შემოსავალი იქნება, ეტო დახარჯავს სადგომის დაქირავებაზე რამდენიმე ათას მანეთზე მეტს. გარდა ამისა, ოჯახის პატრონი კაცი ხშირად იძულებულია იქირაოს სადგომი, რომელშიც უნდა აძლიოს დიდი ნაწილი თავის შემოსავლისა, მაშინ, როდესაც უოჯახო მდიდარს ორი ოთახი შეუძლია იმყოფინოს. აქედან სჩანს, რომ სადგომის ქირა ვერ არის კარგი მაჩვენებელი კაცის შემოსავლისა და ამიტომ სადგომის ქარის რაოდენობის მიხედვით გაწერილი გადასახადი ვერ იქნება იმდენად სამართლიანი, რამდენად შემოსავლის გადასახადია. მა და ზოგიერთ სხვა ნაკლულევანებათა გამო სადგომის გადასახადი მეცნიერებაში მოძველებულ უორმად ითვლება და უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში ნელ-ნელა ისპობა სრულიად. მაგრამ რუსეთში და ჩიკენს ქვეყანაში, სადაც ჯერ შემოსავლის გადასახადი არ არსებობს, სადგომის გადასახადი პროგრესიულ ფორმად ჩათვლება და მოასწავებს, რომ მალე დადგება ის დრო, როდესაც, დასავლეთ ევროპის მიხედვით, დაგეიწესდება სამართლიანი სისტემა გადასახადისა კაცის შემოსავლის მიხედვით.

„სადგომის გადასახადის დებულება“ ჰყოფს რუსეთის ყველა ქალაქებს ხუთ კლასად იმის მიხედვით, თუ რა ფასის სადგომებია ქალაქში. ყოველი კლასი განაწილებულია რამდენიმე კათეგორიად და ყოველ კათეგორიისთვის დაწესებულია განსაზღვრული გადასახადი სადგომის ფასის მიხედვით. ყოველ კლასისთვის აღნიშნულია სადგომის ქირა, რომლიდანაც იწყება გადასახადის შეტანა. 1-ლ კლასის ქალაქებში გადასახადს გააწერენ მათ, ვინც სადგომში 300 მანათზე მეტს აძლევს, ხოლო ვინც ნაკლებს ის თავისუფალია გადასახადიდან, მე-2 კლასის

ქალაქებში გადასახადს გადიხდის ის, ვინც სადგომში 225 მანეთზე მეტს აძლევს, მე-3 კლასის ქალაქებში ამგვარ minimum-და დანიშნულია 150 მან., მე-4 კლასის ქალაქებში—120 მან. და მე-5 კლასისაში—90 მანეთი. ამიერ კავკასიის ქალაქები კანონით ისე არიან განაწილებული: ტფილისი, ბაქო და ბათუმი ეკუთვნიან მე-2 კლასს, ესე იგი, ამ ქალაქებში სადგომის გადასახადს შეიტანენ ისინი, ვინც სადგომში 300 მანათს, ან მეტს იხდიან; განჯა, ყარსი, ქუთაისი, ფოთი, ხოხუმი და ერევანი ეკუთვნიან მე-3 კლასს, რომლებშიაც გადასახადს შეიტანენ ისინი, ვინც სადგომში 225 მანათს, ან მეტს აძლევს ქირად; გუმბრი და შუშა ეკუთვნიან მე-4 კლასს, ესე იგი მათში გადასახადს შეიტანენ ისინი, ვინც სადგომის ქირად 150 მანათს, ან მეტს აძლევენ; ბოლოს, ახალქალაქი, ახალციხე, გორი, ყუბა, ლენქორანი, ნახიქვანი, ნუხა, ოზურგეთი, სიღნალი, თელავი და შემახა ეკუთვნიან მე-5 კლასს, საღაც გადასახადს შეიტანენ ისინი, ვინც სადგომის ქირად 90 მანათს, ან მეტს აძლევენ. ყველა ამ ქალაქებში, გარდა ამისა, სადგომები კატეგორიებად არიან დაყოფილნი და ყოველ კატეგორიის თავისი განსაზღვრული გადასახადი აქვს დანიშნული. ავილოთ, მაგალითად, მე-2 კლასი, ესე იგი, ტფილისი, ბაქო და ბათუმი; ამ ქალაქებში დანიშნულია შემდეგი გადასახადი სადგომებზე:

ფასი სადგომისა:	გადასახადი:	ფასი სადგომისა:	გადასახადი:
225 პ.	270 პ.-დე.. 3 პ. 50 კ.	1000 პ.	1100 პ.-დე.. 33 მან.
270 „	360 „ . . 6 რან.	1100 „	1200 „ . . 37 „
360 „	450 „ . . 8 „	1200 „	1300 „ . . 41 „
450 „	540 „ . . 11 „	1300 „	1400 „ . . 46 „
540 „	630 „ . . 14 „	1400 „	1500 „ . . 52 „
630 „	720 „ . . 17 „	1500 „	1600 „ . . 58 „
720 „	810 „ . . 21 „	1600 „	1700 „ . . 64 „
810 „	900 „ . . 25 „	1700 „	1800 „ . . 71 „
900 „	1000 „ . . 29 „	1800 „	1900 „ . . 79 „
		1900 „	2000 „ . . 86 „

დანარჩენ ციფრებს აქ არ მოვიყვანთ, რადგანაც იმ პირთა რიცხვი, რომელნიც წელიწადში 2000 მანეთზე მეტს აძლევენ

სადგომში, მეტად მცირეა. ამგვარსავე კატეგორიებად არიან დაყოფილნი სხვა კლასების ქალაქებიც, იმ განსხვავებით, რომ მე 3, მე-4 და მე-5 კლ. ქალაქებში გადასახადი ცოტა ნაკლებია.

ამრიგად, მომავალ წლილან გადასახადების შეტანაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის მრავალი მცხოვრებნი, რომელთაც დღემდის არაფერი სკოლნიათ გადასახადისა. ეს პროცენტებისული ზომაა, რადგანაც დღემდის მძიმე ტვირთი სახელმწიფო ხარჯებისა კისერზე აწევა მხოლოდ სოფლელთ, უმოაგრძესად გლეხებს...

როდესაც ეს გადასახადი არსდებოდა რუსეთში, საზოგადოებას იმყდი მიყცა, რომ მოვალეობასთან ერთად ჩამდებულებას მიეცება ქალაქის მცხოვრებთ. სახელდობრ, ლაპარაკი ჩამოვარდი იმის შესახებ, რომ სადგომის გადასახადის გადამხდელთ საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნებაც მიეცეს. ეს სამართლიანი და მეტად სასარგებლო ზომაც იქნებოდა. დღეს ქალაქების ბეჭ-ილბალი ხელში ჩაიგდეს მდიდარ ვაჭრებმა და სახლის პატრონებმა. კანონით ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის დიდი ცენზია დაარსებული; ეისაც კარგის შემოსავლის მამული არა აქვს ქალაქ-ში, ან ვინც ვაჭარი არ არის, მას არ შეუძლიან არც ხმოსნად იქმნას არჩეული, არც მიიღოს მონაწილეობა ხმოსნების არჩევაში. ამგვარ კანონის მეობებით, განათლებული ნაწილი ქალაქების მცხოვრებთა, რომელსაც ცენზი არა აქვს, შორსა სდგას ქალაქის საქმეებითან და, თუმცა დაინტერესებულია ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ქალაქის საქმეების რიგიანად წარმოებაში, გულზე ხელდაკრეფილი უნდა უცემ-როდეს, როგორ ბატონობს ერთი მუქა მდიდარ მეპატრონე-ვაჭრებისა. ამგვარმა წესმა ძალიან ავნო რუსეთის ქალაქებს. ესენი ძალიან ჩამორჩნენ დასავლეთ ევროპის ქალაქებს, სადაც ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეში მონაწილეობას მარტო მდიდრები კი არ იღებენ, რამედ ღარიბნიც და ნასწავლნიც... ამიტომ რუსეთის ქალაქებისთვის ფრიად სასარგებლო იქნებოდა — სადგომის გადამხდელთათვის მაინც ში-

ენიჭებიათ საარჩევნო უფლებანი; ეს სამართლიანი ზომაც იქნებოდა, რადგანაც ხსენებულ ნაწილს ქალაქის მცხოვრებთა მოვალეობა გაუჩნდა. მთავრობამაც ასე შეხედა საქმეს: გადასახადის დაწესების შემდევ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწესებულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა შემუშავება შესაფერ პროექტისა შესახებ სადგომის გადასახადის გადამხდელთათვის საარჩევნო უფლებათა მინიჭებისა. სამწუხაროდ, კომისია ნელის ნაბიჯით მიღიოდა წინ და რამდენიმე წელიწადს მხოლოდ მასალის შეგროვებას მოუნდა. წელს კი კომისიის მოქმედება დროობით შეჩერებულ იქმნა... ამ გვარად სასარგებლოდა სამართლიანი რეფორმა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სადგომის გადასახადი ქალაქებს გადაეცეს თვის საჭიროებათათვის და ამავე დროს გადასახადის გადამხდელთ ნება მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, გადადებულ იქმნა სხვა დროისთვის. დაწესდა მოვალეობა, უფლება კი ჯერ არა საბოლოო ჩვენს მხარეს, რომელშიაც უკვე არსებობს საერობო გადასახადი უერობობა, კიდევ ემატება იხალი გადასახადი — სადგომისა, რომელიც გადამხდელს აგრეთვე არ აძლევს არავითარს უფლებას.

თუ სადგომის გადასახადი შეადგენს შემოსავლის გადასახადის სურროვატს, მით უფრო უარესი სურროვატი ჩვენ მოგვეცემა სასამართლოს მომავალ რეფორმით... საგანგებო კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს იმპერატორის ილექსანდრე მეორის სასამართლო წესდებათა გადასინჯვა, უკვე გან უხილებეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულება და თითქმას ძირითადად შეუცვლია მისი ხასიათი.

ვინ არ იცის რამდენი ვით-ვაგლახი, როგორი ბრძოლა და უსიმოვნება გამოიარა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ რუსეთში?! დაარსებისათანავე ამ სამართლიანსა და საუკეთესო ფურმას მართლმასჯულებისას აუხირდნენ ყველა რეაქციონერები და დაუწყეს დევნა. უმთავრესი ყურადღება რუსეთის კონსერვატორთა შესანიშნავის ბელადისა — კატკოვის — ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე იყო მიქცეული; იკი მიწასთან ასწორებდა „ქუჩის სასამართლოს“, როვის დაცინვით ეძახდა ერის წარმომადგენელთა მსაჯულთ, და დაუკიდით თხოულობდა მის მოსპობას. მისის სიტყვით, ამსოდიუტურ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ჰქონოდა სასამართლოს, რომელსაც ვხედავთ

კონსტიტუციონურ ქვეყნებში. კატკოვის სიძულვილი ახალის სასამართლოსადმი შეითვისეს ყველა რეაქციონერებმა და თითქმის 30 წლის განმავლობაში იყო ერთი დაუსრულებელი განვითარებაში... ამგვარმა ამხედრებამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინააღმდეგ თავისი ნაყოფი მოიტანა: კინონებითა და აღმინისტრატორულ განკარგულებებითაც ეს „სინიდისის სასამართლო“ საგრძნობლად იქმნა შეზღუდული. მაგრამ შეზღუდვაც არ აკმარეს: საგანგებო კომისია უფრო შორს წავიდა და ჰლამობს მის გადამახილებას.

ხენებულ კომისიის პროექტით უნდა დაარსდეს ნაფიც მსაჯულთა განსაკუთრებული სასამართლო (ეუდ არის მართვის ნიშანი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ნაფიც მსაჯულთა საზოგადო სასამართლოსაგან. მაშინ, როდესაც უკანასკნელი თავისუფალია და თავის სინიდისის მიხედვით არჩევს საკითხს ბრალდებულის დანაშაულობის შესახებ, განსაკუთრებული სასამართლო იძულებული იქნება სრულიად დაემორჩილოს მოხელეთა სასამართლოს (კორონაციური ეუდ). როგორც მკითხველებს კორდინებით, ნაფიცი მსაჯულნი, ერთი წარმომადგენელნი სასამართლოში, სასამართლო განოძიებისა და ბრალმდებულ-დაცველი კამათის დასრულების შემდეგ, მიღიან განსაკუთრებულ რთახში და იქ, მოხელე-მოსამართლეთა დაუსწრებულიად, საჯიან—დანიშავება თუ არა ბრალდებული? მათი განაჩენი საბოლოო; მოხელეთა სასამართლო მოვალეა მხოლოდ შესაფერი სასჯელი მოუძებნოს ბრალდებულს, თუ იგი დამნა შავედ იქმნა ცნობილი ნაფიცითაგან. აქ ნაფიცი მსაჯულნი ხელმძღვანელობენ სინიდისით; პროფესიონალურ იურისტებს მათზე გავლენა არა აქვთ და ამიტომ გათ შეძლება აქეთ ფორმალური სიგართლე დაუმორჩილონ სინიდისის ბრძანებას, ზნეობრიეს სიმართლე დაუმორჩილონ სინიდისის ბრძანებას, შენეობრიეს სიმართლე, როდესაც ამას საქმის გარემოება მოითხოვს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, შეძლებარი 12 კაცისაგან, განცალკევებულია მოხელეთა სასამართლოსაგან, თვით სჯის ბრალდებულის ნამოქმედარს, და ამაშია მისი ძალა...»

ახალი პროექტი, როგორც ვთქვით, ქმნის სრულიად ახალს ფორჩას ნაფიც მსაჯულთა სამჯავროისას, რომელიც დაწესებულ უნდა იქმნას ზოგიერთ გუბერნიიებში. რუსეთის შიდა გუბერნიებში რჩება ეხლანდელი სისტემა; ხოლო დანარჩენი აღგილები მთელის რუსეთისა, საღაცჯერ არ არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, დაყოფილია სამნაწილად: პირველს ეპუთვ-

